
აკაკი სურგულაძე

დიდი რუსი მხედართმთავრები



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
სახელმწიფო საბანკო ბ-ბა ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
19 თბილისი 53

„დაე ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — აღექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონელის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, აღექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე!“

ი. სტალინი

1941 წლის 7 ნოემბერს წითელი არმიის პარადზე წარმოთქმული სიტყვიდან.

წინასიტყვაობა

სოციალისტური სახელმწიფოს ურღვევ სტალინურ ოჯახში რუსი ხალხი ერთსულოვნად აღიარებულია როგორც უფროსი ძმა, როგორც ხელმძღვანელი ძალა. რუსეთის პროლეტარიატმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად შესძლო ცარიზმის მიერ დაჩაგრულ ხალხთა ძალების შემჭიდროება, ექსპლოატატორული კლასების ბატონობის დამხობა და ახალი ფორმაციის, ადამიანთა საზოგადოებაში განვითარების ახალი ეტაპის დაწყება. რუსეთის პროლეტარიატის ამ მსოფლიო ისტორიულმა თაოსნობამ არა მარტო რუსეთის იმპერიაში მოსახლე ერებს დაუმკვიდრა თავისუფლება და ბედნიერება, არამედ საფუძვლიანად შეარყია იმპერიალიზმის მთელი სისტემა. 1917 წლის ოქტომბრიდან დაიწყო იმპერიალიზმის მსხვრევისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქა.

შემთხვევითი როდია, რომ სწორედ რუს ხალხს ხვდა წილად გამხდარიყო კაცობრიობის ისტორიის მესაჭე, მსოფლიო ცივილიზაციისა და პროგრესის მედროშე. რუსეთის მრავალსაუკუნოვანი მღელვარე ისტორია სავსებით ამართლებს მისი ხალხისათვის ამ საპატიო როლის მიკუთვნებას. შორეული წარსულიდანვე სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რუსი ხალხი თავის თავში იმუშავებდა შეუპოვრობის, მამაცობის, თავდადების ძვირფას ჩვევებს. რუსი ფეოდალების, კაპიტალისტების, მეფის მოხელეებისა და ჟანდარმების თავაშვებული პარპაში რუს ხალხში აღვივებდა მჩაგვრელებისადმი სიძულვილს, თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილს. გაბატონებული კლასების მხრივ არაადამიანური ჩაგვრისა და შევიწროების მიუხედავად, რუსი ხალხის შემოქმედებითს წიაღში ყოველთვის ცოცხლობდა და იფურჩქნებოდა ახალი აზრები. ხალხის უშრეტი სიბრძნე კვებავდა და ზრდიდა ათობით და ასობით რუს ადამიანს, რომელთაც წყვდიადის სამეფოში ხელთ ეჭირათ ცივილიზაციის უჭრობი ლამპარი. სწორედ რუსი ხალხის უშრეტი ენერგია ასაზრდოებდა გამოჩენილ ადამიანთა იმ გალერეას, რომელთაც მსოფლიო კულტურის თანავარსკვლავედში საპატიო ადგილი დაიკავეს. ლომონოსოვი და პუშკინი, ბელინსკი და გოგოლი, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, ჩეხოვი და პავლოვი, სალტიკოვ-შჩედრინი და ლევ ტოლსტოი, პლეხანოვი და ბაბუშკინი, გორკი და მაიაკოვსკი ის ადამიანები იყვნენ, რომელთა გენიალურ ქმნილებებში, ისე ვით სარკეში, მოჩანდა რუსი ხალხის ამოუწურავი შესაძლებლობა, მგზნებარე პატრიოტიზმი, ნათელი გონება და რევოლუციური გაქანება.

რუსი ხალხის უდიდეს დამსახურებას მსოფლიოს წინაშე წარმოადგენს ის, რომ იგი გახდა სამშობლო ლენინიზმის ძლევამოსილი მოძღვრებისა, რომელმაც რუსეთის რევოლუციური დემოკრატიზმის ტრადიციებისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოცდილების განზოგადოებით, მარქსისა და ენგელსის მეცნიერული სოციალიზმის შემოქმედებითი განვითარებით დაამტკიცა ცალკეულ ქვეყა-

ნაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა და ამით რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს უტყუარი კომპასი და მძლავრი იდეური იარაღი მისცა.

რუსეთის თვითმყობადი, მაღალი და მრავალფეროვანი ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია რუსული სამხედრო ხელოვნება. ეს ხელოვნება ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ხალხის მრავალსაუკუნოვანი საბრძოლო გამოცდილების საფუძველზე თითოეული ეპოქის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებთან დაკავშირებით. აღმოსავლეთის სლავები ჯერ კიდევ V—VI საუკუნეებში იყვნენ ცნობილი თავიანთი სამხედრო წყობით. კიევის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ეპოქაში რუსულმა სამხედრო ხელოვნებამ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. კიევის დიდი მთავრები ოლეგი და სვიატოსლავი, ვლადიმირი და იაროსლავი ამავე დროს ჩინებული მხედართმთავრებიც იყვნენ, რომელთაც საკუთარი, სლავური ტრადიციებიდან მომდინარე სამხედრო კულტურა ჰქონდათ. ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში, რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, ხალხმა თავისი წიაღიდან წამოაყენა ისეთი გამოჩენილი მხედართმთავრები, როგორიც იყვნენ ალექსანდრე ნეველი და დიმიტრი დონელი, რომელთაგან პირველმა მოიგო ყველა ბრძოლა იმ დროს ევროპაში სახელმოხვეჭილი მეომრების—შვედი და გერმანელი რაინდების წინააღმდეგ, ხოლო მეორემ კულიკოვოს ველზე დაამარცხა მრავალრიცხოვანი ლაშქარი თათარ-მონღოლებისა. რუსეთის ახლად ორგანიზებული ცენტრალიზებული სახელმწიფოს ომებმა მონღოლების, ლიტველების, პოლონელების, შვედების, გერმანელების, თათრების და სხვათა წინააღმდეგ ცხადჰყვეს, რომ რუსული სამხედრო სისტემა არაფრით არ ჩამორჩებოდა ევროპულ სარხედრო სისტემას. არმიის წყობისა და აღჭურვის საქმეში რუსეთი, პირიქით, ახალი წამოწყებების ინიციატორად გამოდიოდა. XVII საუკუნის დასაწყისში, როდესაც მოსკოვის სახელმწიფო მრისხანე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა, ხალხის პატრიოტული თაოსნობით შექმნილმა ლაშქარმა, რომელსაც სათავეში მინინი და პოჟარსკი ედგნენ, დაამარცხა ევროპაში მაშინ სახელმოხვეჭილი სარდლის ხოდკევიჩის არმია, რომელიც თავისი დროისათვის მაღალი სამხედრო ტექნიკით იყო აღჭურვილი.

პეტრე დიდმა რუსეთის ნაციონალური სამხედრო ხელოვნების საფუძვლები დაამუშავა. პეტრეს ეს სისტემა, რომელიც რუსი ხალხის ეროვნულ თავისებურებებს ეყრდნობოდა, გაცილებით მაღლა იდგა მის თანამედროვე ევროპულ სისტემებზე და მან თავისი უპირატესობა გამოამჟღავნა შვედეთისა და პრუსიის წინააღმდეგ დიდი მასშტაბის ბრძოლებში. ამ სისტემის შემდგომი განვითარება შეიძლეს: სალტიკოვმა, პოტიომკინმა, რუმიანცევმა, სუვოროვმა და კუტუზოვმა. განსაკუთრებით დიდია ამ მხრივ სუვოროვისა და კუტუზოვის დამსახურება. სუვოროვი იყო მსოფლიო მასშტაბის უდიდესი მხედართმთავარი და სამხედრო პედაგოგი. მან მოიგო ყველა ბრძოლა და რუსეთის სამხედრო დიდება უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. იგი ღრმად ჩასწვდა რუსი ჯარისკაცის ბუნებას და გადმოშალა მისი ამოუწურავი შესაძლებლობანი. სუვოროვის სამხედრო სტრატეგიამ და ტაქტიკამ XVIII საუკუნის მსოფლიო სამხედრო ხელოვნებაში წამყვანი ადგილი დაიკავა. მისგან დიდად იყო დავალებული თვით ნაპოლეონი. ისტორიკოსი ბაზილევიჩი სამართლიანად მიუთითებს, რომ „რუსეთის სამხედრო ხელოვნება, ეყრდნობოდა რა სამხედრო პროგრესის მიღწევებს, მიდიოდა თავისი, ნაციონალური გზით და

უდიდეს ზეგავლენას ახდენდა სხვა ევროპული არმიების სამხედრო ხელოვნებაზე. მსოფლიო სამხედრო ხელოვნების განვითარების ძირითადი ხაზი XVIII საუკუნიდან XIX საუკუნეში მიდიოდა ნაპოლეონისაკენ არა ფრიდრიხისაგან, არამედ პეტრესა და სუვოროვისაგან".

ხოლო ნაპოლეონი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბურჟუაზიული ევროპის ცნობილი მხედართმთავარი იყო, დაამარცხა გენიალურმა რუსმა მხედართმთავარმა კუტუზოვმა. კუტუზოვმა ახალ საფეხურზე აიყვანა რუსეთის სამხედრო მეცნიერება, მან შექმნა ბრძოლის საკუთარი სახეობა.

რუსეთის ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა წარმოადგენდა მუხრუჭს რუსეთის ნაციონალური სამხედრო ხელოვნების განვითარებისათვის. ცარიზმის რეაქციული ხროვის მიერ წამოწეული უნიჭო გენერლები განგებ იეიწყებდნენ რუსეთის სამხედრო სკოლის ძვირფას ტრადიციებს და იძულებით ნერგავდნენ არმიაში პრუსიულ წესებს. მიუხედავად ამისა, რუსეთის არმიაში XIX საუკ. მთელ მანძილზე ცოცხლობდა პეტრეს, სუვოროვის, კუტუზოვის მიერ დანერგილი სისტემა. ამ სისტემის დაცვისა და განვითარებისათვის ენერგიულად იბრძოდნენ მილიუტინი და დრაგომიროვი. მილიუტინის მიერ ჩატარებულმა რეფორმებმა რუსეთის არმია ევროპის საუკეთესო არმიების დონემდე აიყვანა. დრაგომიროვმა შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა სამხედრო დარგში გამეფებული რუტინის წინააღმდეგ, გაამახვილა ყურადღება ჯარისკაცზე. რუსეთ-თურქეთის ომი 1877—1878 წლებში მილიუტინის რეფორმებისა და დრაგომიროვის აღზრდის სისტემის გამოცდას წარმოადგენდა. შიპკისა და დუნაის გადალახვისას რუსმა ჯარისკაცებმა კვლავ გამოავლინეს თავიანთი თავი, როგორც სუვოროვის სახელოვანმა შთამომავლებმა.

საბჭოთა სამხედრო ხელოვნებამ ყველაფერი ის, რაც საუკეთესო იყო რევოლუციამდელი რუსეთის არმიის სამხედრო წყობისა და აღზრდის სისტემაში, მემკვიდრეობით მიიღო და შეისისხლხორცა, განავითარა და ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა.

საბჭოთა სამხედრო მეცნიერება სოციალისტური სახელმწიფოს დაბადებასთან ერთად ჩაისახა. საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს მისი შექმნის პირველი დღიდანვე განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდებოდა დიდი სტალინი. სტალინის სახელთან განუყოფლადაა დაკავშირებული საბჭოთა არმიის ყველა წარმატება, მისი ხრდა და განმტკიცება. ამიტომ სამეცდრო მეცნიერებას ჩვენს ქვეყანაში სამართლიანად ეწოდება სტალინური სამხედრო მეცნიერება.

„სტალინური სამხედრო მეცნიერება, რომელიც ეყრდნობა საზოგადოებრივი განვითარების კანონების სწორად გაგებას, დაიბადა იმავე დროს, როცა მუშათა კლასი სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას, ვითარდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა სახელმწიფო წყობილების ბაზაზე. ისეთი გადამწყვეტი ელემენტები, როგორიცაა საზოგადოებრივი წყობილების ახალი სოციალისტური სისტემა გენიალური ეკონომიკით, ახალი საწარმოო ძალებითა და ადამიანთა ახალი წარმოებითი ურთიერთობით, ახალი იდეოლოგიით, მორალით, შეადგენენ საფუძველს, რომელსაც ეყრდნობა სტალინური სამხედრო მეცნიერების მთელი შენობა" (კ. ვოროშილოვი).

ამხანაგმა სტალინმა განავითარა და გიგანტური ნაბიჯებით წასწია წინ მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერება. „ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა დებულე-

ბა ომის ბედის გადამწყვეტი, მუდმივ მოქმედი ფაქტორების შესახებ, აქტიური თავდაცვისა და კონტრშეტევის და შეტევის კანონების შესახებ, ომის თანამედროვე პირობებში ჯარების გვარეობათა და საბრძოლო ტექნიკის თანამოქმედების შესახებ, თანამედროვე ომში ტანკების დიდი მასებისა და ავიაციის როლის შესახებ, არტილერიის, როგორც ჯარების ყველაზე ძლიერი გვარეობის შესახებ" (იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია). სტალინურ სამხედრო მეცნიერების სიმტკიცეზე დაიმსხვრა ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის სამხედრო მეცნიერება. სტალინის მხედართმთავრულმა გენიამ უხრუნველჰყო საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვება დიდ სამამულო ომში, რომლის მსგავსი არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას.

სტალინური სამხედრო მეცნიერება უდიდეს ყურადღებას იჩენს იმ სამხედრო სისტემისადმი, რომელიც რუსმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე გმირულ ბრძოლებში გამოიმუშავა. იგი უდიდესი სიმპათიითა და სიყვარულით ეპყრობა იმ ადამიანებს, რომელთაც რუსულ იარაღს დიდება დაუმკვიდრეს და სამშობლოს ღირსებისა და დაუოუკიდებლობისათვის ბრძოლებს მეთაურობდნენ. ჩვენი ქვეყნის უდიდესი განსაცდელის ჟამს, 1941 წლის 7 ნოემბერს დიდმა სტალინმა საბჭოთა არმიის მეომრებს ასე მიმართა: „დაე ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების—ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონელის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე!".

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დიდ სამამულო ომში დააწესა ალექსანდრე ნეველის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის ორდენები, რომლითაც აჯილდოებდნენ საბჭოთა არმიის ოფიცრებსა და გენერლებს საბრძოლო ოპერაციების განსაკუთრებული მაღალი ოსტატობით ხელმძღვანელობისა და ჩატარებისათვის. საბჭოთა მეომრებს მტრის წინააღმდეგ მამაცურ ბრძოლებში აღაფრთოვანებდა დიდ წინაპართა დიადი სახეები.

საბჭოთა ქვეყანა პეშმარიტი შემფასებელია ყველა იმ ღვაწლისა, რაც ჩვენს სამშობლოს შორეული წარსულიდანვე დასდეს მისმა საუკეთესო შვილებმა. ამიტომაა, რომ ალექსანდრე ნეველი და დიმიტრი დონელი, კუზმა მინინი და დიმიტრი პოჟარსკი, კუტუზოვი და სუვოროვი მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში გამოჩნდნენ თავიანთი დიადი საქმეებით. აძიტომაა, რომ მათი მოღვაწეობის შესწავლას საბჭოთა ადამიანები დიდი ინტერესით ეკიდებიან.



ალექსანდრე ნევსკი

1220–1263

რუსი ხალხისათვის XIII საუკუნე მეტად რთული საშინაო და საგარეო მოვლენებით დაიწყო. კიევის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ცალკეულ ფეოდალურ სამთავროებად დაშლამ, რაც XII საუკუნის მიწურულისათვის უკვე დამთავრდა, გაამწვავა ფეოდალური კინკლაობა და შინაომები; სამთავროთა შორის განუწყვეტელი შუღლი და ბრძოლა წამქეზებელ გარემოებად იქცა რუსეთის აგრესიული მეზობლებისათვის, რომელთა მოძალებას აქამდე კიევის სახელმწიფო მამაცურად უმკლავდებოდა. ქვეყნის შინაგანმა დაქუცმაცებამ შეასუსტა მისი თავდაცვითი ძალა და დამპყრობლებს ჩაუნერგა წარმატების იმედი. გააქტიურდნენ სამხრეთის ველებში ბომთაბარე ყივჩაღები, ხარბი გერმანელი აზნაურები და შვედი კოლონიზატორები. ამავე დროს აღმოსავლეთიდან დაიძრნენ თათარ-მონღოლთა ურდოები. დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან დამპყრობელთა ერთდროული და გააფთრებული მოძალება, მაშინ, როდესაც შინაგანი სიმტკიცე და მთლიანობა აღარ არსებობდა, თითქოს, გამანადგურებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მამაცმა რუსმა ხალხმა გაუძლო ამ დიდ ისტორიულ ქარტეხილს და შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა. რუსმა ხალხმა, პირველ ყოვლისა, მოიგერია შვედი და გერმანელი დამპყრობლები, სასტიკი მარცხი აგემა მათ ნევასთან და ჩუდის ტბასთან და, ამრიგად, თავისი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი მხარე დამოსებისა და აოხრებისაგან იხსნა. მართალია, რუსეთმა იწვნია თათარ-მონღოლთა ეელური ტომების თარეშის მთელი სიმძიმე, მაგრამ ამ მძიმე ხვედრით მან ევროპა იხსნა, ხოლო შემდეგ, სათანადო ძალა რომ მოიკრიბა, დაამსხვრია ურდოს უღელი და ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოაყალიბა. უცხოელი დამპყრობლების წი-

ნაალმდეგ მამაცურ ბრძოლებში რუსი ხალხი თავისი წიაღიდან წარმოშობდა დიდ სახალხო გმირებს, გამოჩენილ მხედართმთავრებს და პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელთაც, ღრმად გაეგებოდათ რა სამშობლოს ერთიანობისა და თავდაცვის უკეთილშობილესი ამოცანები, შეეძლოთ ხალხი საქვეყნო საქმისათვის ბრძოლებში დაერაზმათ და გმირული საქმეებისათვის შთაეგონებინათ.

რუსი ხალხის ასეთი გმირი, გამოჩენილი ადამიანი XIII საუკუნის 30—40 წლებში იყო დიდი რუსი მხედართმთავარი ალექსანდრე იაროსლავის ძე ნეველი, რომლის ხელმძღვანელობით რუსეთმა ჩაშალა ჩრდილო-დასავლეთის აგრესიულ მეზობელთა ვერაგული გეგმები.

ალექსანდრე ნეველის მხედართმთავრული მოღვაწეობა, როგორც ზევით მივუთითებდით, რუსეთისათვის მეტად რთულ და საშიშ ვითარებაში მიმდინარეობდა. და მის მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა სიდიადე რომ ნათელი გახდეს, ამ ვითარებაზე უფრო დაწვრილებით მოგვიხდება შეჩერება.

* * *

კიევის სახელმწიფო — ველიკოროსების, ბელორუსებისა და უკრაინელების ისტორიული აკვანი აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. კიევის დიდი მთავრები (X — XI ს.ს). ოლეგი, იგორი, სვიატოსლავი, ვლადიმირი, იაროსლავი და სხვ., რომელთა ძალაუფლება ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კარპატებიდან ვოლგამდე ვრცელდებოდა, არა თუ აჩერებდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის მომთაბარე ტომებისა და ჩრდილო-დასავლეთის აგრესიულ მეზობელთა შემოტევებს, არამედ პირიქით, ხშირად თავადაც შორეულ ლაშქრობებს აწყობდნენ და გამარჯვებულნი, აურაცხელი დოვლათით ბრუნდებოდნენ კიევში. კიევის სახელმწიფოს ძლიერებამ ყველაზე მაღალ საფეხურს მიაღწია ვლადიმირ სვიატოსლავის ძის დროს (972—1015 წ.წ.). მარქსი ვლადიმირის მთავრობის პერიოდს კიევის ცენტრალიზებულ სახელმწიფოს განვითარების კულმინაციურ დონეს უწოდებდა.

კიევის სახელმწიფოს ძლიერება განთქმული იყო ევროპის ქვეყნებში. ევროპის ფეოდალურ სახელმწიფოთა მოთავენი ცდილობდნენ, მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინათ აღმოსავლეთის

ძლიერ მეზობელთან, ცდილობდნენ დანათესავებოდნენ კიევის მთავრებს. მაგალითად: იაროსლავ ბრძენის (1019 — 1054 წ.წ.) ერთი ქალიშვილი ანა გათხოვილი იყო საფრანგეთის მეფე ჰენრიხ პირველზე, მეორე — ელისაბედი — ნორვეგიის მეფე ჰერალდ მამაცზე, მესამე — უნგრეთის მეფე ანდრიაზე. იაროსლავს კი ცოლად ჰყავდა შვედეთის მეფის ოლაფის ქალიშვილი, ხოლო მისი შვილი ვსევოლოდი დაქორწინებული იყო ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე მონომახის ნათესავზე. მეორე შვილი სვიატოსლავი — ტრირის ეპისკოპოსის ბურჰარდის დაზე. იაროსლავთან ცხოვრობდნენ ჰერალდ მამაცი — შემდეგში ნორვეგიის მეფე, ედვინი და ედუარდი — ანგლოსაქსების მეფის ედმუნდის ვაჟიშვილები.

რუსთა მთავრებს, სვიატოსლავსა და ვლადიმირს დახმარებისათვის ბაჟირად მიმართავდნენ ბიზანტიის იმპერატორები. რუსი მეომრების მამაცობის სახელი ყველა მხარეში იყო განთქმული.

კიევის სახელმწიფოში ყვავოდა მაღალი კულტურა, რომელიც ადგილობრივ, თვით სლავი ხალხის წიაღში იყო აღმოცენებული. ჟამთა სიავემ კიევის სახელმწიფოს კულტურის მრავალი ძეგლი გაანადგურა. მაგრამ ისინიც კი, რაც ჩვენამდეა მოღწეული (კიევისა და ნოვგოროდის სოფიის ტაძრები, კიევის და ვლადიმირის მთავრების სასახლის ნაშთები, „დროთა წლების მოთხრობა“ (რუსული უძველესი მატიანე), იაროსლავისა და მისი შვილების მიერ შედგენილი საკანონმდებლო ძეგლები, „სბბავი იგორის ლაშქრობისა“ და სხვ.), ნათლად მიუთითებენ რუსი ხალხის მაღალ მატერიალურ და სულიერ თვითმყოფად ცხოვრებაზე.

XII საუკუნის დასაწყისიდან კიევის სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერება შეირყა, რაც ფეოდალური ურთიერთობის განვითარებით იყო გამოწვეული. ფეოდალური ურთიერთობა, რომელშიც სლავები ჯერ კიდევ IX საუკუნეში მოექცნენ, ხელს უწყობდა მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარებას, თანდათანობით აძლიერებდა კიევის სახელმწიფოში შენავალ ცალკეულ საუფლისწულოებს და მათ პოლიტიკური დამოუკიდებლობისკენაც უბიძგებდა. კიევის სახელმწიფოს ხელქვეითი ცალკეული მთავრები თენების გლეხობის გაძარცვის ხარჯზე მსხვილი მამულების შეძენით ისე გაძლიერდნენ, რომ მალე თვით კიევის დიდ მთავარს დაუწყეს ქიშპობა. მათ ახლა ყმების დიდი რაოდენობა ჰყავდათ, გალავანშემოვლებული საკუთარი ციხე კოშკი ჰქონდათ და თუ მეზობელი

მთავარი თავს დაესხმოდა, შეეძლოთ საკუთარი ლაშქარი გამოეყვანათ.

იაროსლავ ბრძენის სიკვდილის შემდეგ მის მრავალრიცხოვან მემკვიდრეთა შორის ცილობა დაიწყო. კიევში მთავრად იზიასლავ იაროსლავის ძე დაჯდა, მაგრამ ყივჩაღების წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებამ მას ავტორიტეტი წაუხდინა. უნიჭო და პატიჟმოყვარე მთავრის წინააღმდეგ აღსდგა ევის მოსახლეობა და იგი გააძევა. დაიწყო დაუსრულებელი შინაომი დიდი მთავრის ტახტისათვის. კიევის ძალა შეირყა. დიდი მთავარი ამიერიდან უკვე აღარ წარმოადგენდა სხვა მთავრებისათვის უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლების მატარებელს. ამისათვის საჭირო ძალა და ავტორიტეტი მას უკვე აღარ გააჩნდა.

ნიჭიერი მთავარი ვლადიმერ მონომახი კიევის სახელმწიფოს ძლიერების აღდგენას ცდილობდა. მისი წინადადებით რუსი მთავრები 1097 წელს ლუბეჩში შეიკრიბნენ. ამ ყრილობაზე წამოყენებულ იქნა გაერთიანების იდეა.

— რატომ ვღუპავთ ჩვენ რუსთა ქვეყანას, თვითონ ერთმანეთის წინააღმდეგ შეთქმულებას ვაწყობთ, ხოლო ყივჩაღები ჩვენს ქვეყანას ჯიჯგნიან და სიხარულს ეძლევიან, რომ ჩვენ ერთმანეთს ვეომებით. დეე, ამიერიდან ყველა ერთსულოვანი ვიყოთ და ერთიანი ძალით დავიცვათ რუსთა ქვეყანა. დეე, თითოეული ფლობდეს თავის მამულს, — ასე ამბობდნენ რუსი მთავრები.

ლუბეჩის ყრილობამ მტრის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის კეთილშობილური იდეა წამოაყენა, მაგრამ ამავე იდეას ძირი გამოუთხარა იმით, რომ აღიარა კიევის სახელმწიფოს დაშლა ცალკეულ სამთავროებად. მართალია, იმავე მონომახის დროს შესაძლებელი შეიქნა მთავართა ძალ-ღონის გაერთიანება ყივჩაღთა წინააღმდეგ ბრძოლაში და მშვიდობის დამყარება, მაგრამ ეს ღონისძიება დროებითი აღმოჩნდა. დამოუკიდებლობისკენ მისწრაფებამ მონომახის შემდეგ მეტი სიძლიერით იჩინა თავი. სამთავროთა საზღვრების გაფართოებისათვის შინაომი სისტემატურ მოვლენად იქცა. მთავართა თავაშვებულმა ექსპლოატაციამ დაბალი ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა და კლასობრივი ბრძოლა გაამწვავა. ყივჩაღებმა ისევ წამოჰყვეს თავი და რუსეთის ცალკეული სამთავროების აოხრება და მოსახლეობის ჟლეტა-აწიოკება დაიწყეს.

რუსეთის ამ დროის მოწინავე ადამიანები გრძნობდნენ, რომ ქვეყნის დაუძლურების მიზეზი მთავართა შორის დაუსრულებელ შუღლსა და ქიშპობაში მდგომარეობდა. ისინი მისტიროდნენ იმ დროს, როცა რუსთა შიშით ლიტვა ჭაობიდან ვერ გამოდიოდა, როცა ჰუნგრელები რკინის კარებს აბამდნენ კარპატებს, რომ იქ დიდი ვლადიმერი (მონომახი) არ შეჭრილიყო, როცა გერმანელებს უხაროდათ, რომ შორს იყვნენ სლავთა ქვეყნიდან. ახლა კი, — ჩიოდნენ ისინი, — ყველა ემუქრება რუსეთს, ხოლო თვით რუსეთში მოუსვენრობაა, რადგან მას შინაომის ავადმყოფობა შეეპარაო. (იხ. „მთავარ ალექსანდრე ნეველის ცხოვრება“). ეს ადამიანები რუსეთის ძლიერების აღდგენას რუსეთის ერთიანობაში ხედავდნენ და იბრძოდნენ კიდეც ამ ერთიანობისათვის.

ყველაზე სრულყოფილად რუსეთის მიწა-წყლის ერთიანობის იდეას გვიხატავს XII საუკუნის მიწურულის ეპიური თხზულება— „ამბავი იგორის ლაშქრობისა“.

პოემის ჩვენთვის უცნობი ავტორი თავისი დროის პოლიტიკურ მოვლენათა სიმაღლეზე დგას. მას შესანიშნავად ესმის რუსეთის ტკივილების მიზეზები: წავიდა სიამის დრონი, ქვეყანა დატანჯულია შინაომებით. აღარ ისმის ძველებურად მხნელ-მთესველთა გადაძახილი. სამაგიეროდ, ჩხავიან ყვავ-ყორნები, რომლებიც ადამიანთა გვამებს დასტრიალებენ. ბილწები (ყივჩაღები) კი მოდიან რუსთა ქვეყანაზე და ადვილად იმარჯვებენ. ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ:

> „შეწყდა მთავართა ბრძოლა მურდალთა დასათრგუნველად,
> რადგანაც ძმა ძმას ესიტყვებოდა „ეს ჩემი არის და ესეც ჩემი“,—
> მცირე შემთხვევას თვითონ მთავარნი აზვიადებდნენ და დაიმკვიდრეს
> შფოთი, ამბოხი ურთიერთ შორის. ხოლო ბილწები აღრევის გამო
> ძლევამოსილნი, მოიგრაგნოდნენ ყოველის მხრიდან რუსულ მიწაზე“.

ავტორი აღწერს ყივჩაღთა წინააღმდეგ ნოვგოროდ-სევერსკის მთავრის იგორ სვიატოსლავის ძის ლაშქრობას 1185 წელს. იგორი მარტოდმარტო წავიდა მტერზე, მაგრამ იგი ტყვედ ჩავარდა. მოძმე მთავრებს, თუ კი ისინი გაერთიანდებიან, შეუძლიათ არა მარტო დაიხსნან მამაცი იგორი, არამედ სასტიკად დაამარცხონ გათავხედებული მტერი. ავტორი მიმართავს რუსეთის მთავრებს—ვსე-

ვოლოდს, იაროსლავ გალიციელს, დავით იაროსლავის ძეს და სხვებს:

„აღიმართენით თქვენ, ხელმწიფენო,
ოქროდ მოქედილ უნაგირებზე
ჩვენი დროების დამცირებისთვის,
რუსული მიწის აღდგინებისთვის,
მთავარ იგორის ჭრილობებისთვის
და სვიატოსლავის მრისხანე ძისთვის".

(თარგმანი ს. ჩიქოვანისა)

ცალკეულ ფეოდალურ ნახევრად სახელმწიფოების გაერთიანების იდეას რუსეთში რეალური საფუძვლები გააჩნდა: კიევის, გალიჩ-ვოლინის, ვლადიმირ-სუზდალის, ჩერნიგოვის, სმოლენსკის, ნოვგოროდის და სხვ. სამთავროების მოსახლეობა რუსული იყო. ისინი ძირითადად ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. ერთი სარწმუნოებისანი იყვნენ და საერო კანონმდებლობაც საერთო ჰქონდათ. მოსახლეობის დაბალი ფენა — გლეხობა ფეოდალური შინაომებისა და ყივჩაღთა მძლავრობის ხანაში ყველაზე მეტად შეიწროებული, მშვიდობაზე ოცნებობდა, რაც მხოლოდ ფეოდალთა თავგასულობის ალაგმვითა და მოსული მტრის დასახვედრად შინაგან ძალთა შემჭიდროებით იყო შესაძლებელი. ხალხი ჰქმნიდა თხზულებებს (ბილინებს) გმირებზე, რომლებიც დაბალი წრიდან იყვნენ წარმოშობილნი და იცავდნენ რუსთა ქვეყნის დამოუკიდებლობასა და მთლიანობას. კიეველი ილია მურომეცი, რიაზანელი დობრინა ნიკიტიჩი, როსტოველი ალიოშა პოპოვიჩი, ვოლინელი მიხაილო კაზარინი და სხვ. ხალხის წარმოდგენით ძმები არიან, მათ არაფერი აქვთ გასაყოფი ერთმანეთს შორის და თავიანთ გმირობას რუსთა საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში იჩენენ.

რუსთა ქვეყნის ერთიანობის იდეამ ყველაზე ძლიერად იჩინა თავი XII საუკუნეში ვლადიმირ-სუზდალის სამთავროში. ეს სამთავრო პირველად კიევის ხელქვეითი იყო და მას ხარკს უხდიდა, მაგრამ საერთო ფეოდალური აშლილობის ხანაში იგი დამოუკიდებელი გახდა. დაიმორჩილა რა მეზობელი წვრილი სამთავროები (რიაზანისა, სმოლენსკისა, ნოვგოროდისა და სხვ.), ძმობაში უხუცესობის პრივილეგიაც დაიმკვიდრა. ვსევოლოდ იურის ძემ (დიდი ბუდე) ბრძოლით მოიპოვა ვლადიმირის სამთავრო ტახტი და დიდი მთავრის ტიტულიც მიიღო. იგი ომობდა ვოლგის ბულგარებისა

და ყივჩაღების წინააღმდეგ. გაამაგრა ქვეყნის საზღვრები და განამტკიცა შინაგანი მმართველობა. ოდესღაც ძლიერი კიევის სახელმწიფო თითქოს აღსდგა ვლადიმირის დიდი სამთავროს სახით, მაგრამ ესეც დროებითი მოვლენა აღმოჩნდა. თვით სამთავროს შიგნით გამოვლინდა დაშლის ნიშნები. ვსევოლოდის მრავალრიცხოვან მემკვიდრეთა შორის დანაწილებული საუფლისწულოები (პერეიასლავლის, როსტოვის, იაროსლავლის, სტაროდუბის, უგლიჩისა და იურიევპოლკის) იმავე პროცესების გამო, რაზედაც ზევით ვლაპარაკობდით, დამოუკიდებელნი გახდნენ. მათი შემდგომი დაშლა-დაქუცმაცება თათარ-მონღოლთა ურდოებმა დააჩქარეს.

მძიმე იყო ყივჩაღთა თარეშის შედეგი, მაგრამ გაცილებით მძიმე საშიშროება რუსთა ქვეყანას დასავლეთიდან ემუქრებოდა: ეს იყო გერმანულ-შვედური აგრესია, რომელიც XII საუკუნეში დაიწყო და XIII საუკ. დასაწყისში იმდენად გაძლიერდა, რომ სასიკვდილო საფრთხედ იქცა.

ისტორიაში ცნობილია, რომ დასავლეთის სლავთა ტომები ძველთაგანვე მოსახლეობდნენ მდინარე ელბისა და ვისლის მიდამოებში. ესენი იყვნენ ლუგიელები, ობოდრიტები, ლუტიჩები, პომორიელები და სხვ. ისინი განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე იდგნენ. მეურნეობის წამყვან დარგს შეადგენდა მიწათმოქმედება. მისდევდნენ აგრეთვე ნადირობას, თევზის ჭერას, ვაჭრობდნენ მეზობლებთან. ჰქონდათ კეთილმოწყობილი ქალაქები: ვოლინი, სტორგრადი, მიკელინი, ველეგოში, შტეტინი, კოლობრეგი და სხვ. VIII საუკუნეში ეს ტომები გვაროვნულ-თემური წყობილების რღვევისა და ფეოდალური ურთიერთობის აღმოცენების სტადიაში იმყოფებოდნენ.

გერმანელმა ფეოდალებმა VIII — IX საუკ. იწყეს ვისლასა და ნემანს შორის მოსახლე დასავლეთის სლავთა ტომების შევიწროება. გერმანელი კოლონიზატორები სლავებს ართმევდნენ მიწებს, ბეგრავდნენ მძიმე გადასახადებით, ძარცვავდნენ მათ სახლ-კარს, ხოლო წინააღმდეგობის შემთხვევაში უმოწყალოდ ჟლეტდნენ. პატარ-პატარა ერთეულებად დანაწევრებულმა სლავურმა ტომებმა ვერ შესძლეს შეეჩერებინათ გერმანელთა ძალადობა, თუმცა დამპყრობლებს მამაცურად უმკლავდებოდნენ. რაც მეტი იყო წინააღმდეგობა სლავების მხრივ, იმდენად იზრდებოდა ფეოდალ-

დამპყრობთა გააფთრება. იმპერატორი ოტონ I თავის მარკგრაფებს უბრძანებდა: „არ უნდა მისცეთ მათ (სლავებს) მოსვენება... ყოველგვარი საშუალება გამოიყენეთ, რომ დაიმონოთ ისინი და საქმე ბოლომდე მიიყვანოთ“. ეს უთანასწორო სამასწლიანი ბრძოლა XII საუკუნის დასაწყისში გერმანელ ფეოდალთა გამარჯვებით დამთავრდა. მათ დაიპყრეს ელბასა და ვისლას შუა მდებარე ტერიტორია, სლავური მოსახლეობის ნაწილი გაჟლიტეს, ნაწილი დაიმორჩილეს და ყმებად აქციეს.

მაგრამ გერმანელი ფეოდალების დაპყრობითი გეგმები ამით არ ამოიწურებოდა. ახლა მათ მახვილი ვისლის აღმოსავლეთით მიმართეს და ბალტიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოსახლე ტომების დამორჩილებას შეუდგნენ.

ბალტიისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე ვისლადან ნემანის შესართავამდე ცხოვრობდნენ ესტები, ლივები, პრუსები, ჟმუდები, ლეტები, რომლებიც აგრეთვე მიწათმოქმედებასა და ვაჭრობას ძისდევდნენ. აღსანიშნავია, რომ ეს მხარე, რომელსაც გადასერავდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზები, გერმანელი ვაჭრების მეშვეობით, კარგად იყო ცნობილი გერმანელი ფეოდალებისათვის და გამდიდრების მოყვარულ ავანტურისტებს დიდი ხანია იზიდავდა.

ბალტიისპირეთის ტომებს ძველთაგანვე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ რუსებთან. რუსულ სამთავროებთან მათ აკავშირებდათ დიდი სავაჭრო-სამდინარო გზა, დნეპრიდან რომ დასავლეთის დვინაზე გავლით ბალტიის ზღვისკენ მიდიოდა. ამ გზას, როგორც ცნობილია, კვეთავდა მეორე დიდი გზა — ვარანგეთიდან საბერძნეთამდე. ესტები, ფინები, ლიტვები, ჟმუდები, ლივები, როგორც კიევის მატიანე გადმოგვცემს, ხარკს უხდიდნენ რუსებს; თვით გერმანული წყაროებიც მიუთითებენ, რომ ბალტიისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში რუსებიც მოსახლეობდნენ. ამას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრები. ცნობილია ისიც, რომ ესტების სამოსახლო ტერიტორიის საზღვარზე გაშენებული იყო რუსული ქალაქი იზბორსკი. 1030 წელს იაროსლავ ბრძენმა მდინარე ემბახზე ქალაქი იურიევი ააშენა. ამავე მხარეში მდებარეობდა რუსული სოფლები უზმენი და ვორონიე. ბალტიისპირელი ტომებისა და რუსების დამოკიდებულება კეთილმეზობლური იყო. რუს ვაჭრებს ცხოველი

ალებ-მიცემობა ჰქონდათ ბალტიისპირელ ტომებთან. კუნძულ ეზელზე ნაპოვნია იაროსლავ ბრძენის მონეტები.

XII საუკუნისათვის ბალტიისპირა ტომებში გვაროვნულ-თემური წყობილება ირღვეოდა და ფეხს იკიდებდა კლასობრივი უთანასწორობა. წვრილ ტომობრივ კავშირებს მართავდნენ მამასახლისები. რელიგია წარმართული ჰქონდათ, მაგრამ, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, რუსთა გავლენით თანდათანობით ვრცელდებოდა მართლმადიდებლური ქრისტიანობა.

კიევის ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ბალტიისპირეთის ტომებს თავის გავლენის ქვეშ იქცევს ნოვგოროდის სახელმწიფო, რომელსაც ჩრდილოეთ რუსეთში XII — XIII საუკუნეში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა. იგი აგრეთვე კონტროლს აწესებს ფინეთის ყურეზე და ფინურ ტომებს — ემსა და კარელებს იმორჩილებს. უნდა აღინიშნოს, რომ ნოვგოროდის დამოკიდებულება ბალტიისპირელი ტომებისადმი არ ატარებდა აგრესიულ ხასიათს. იგი მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ხარკის აღებით განისაზღვრებოდა. ნოვგოროდი არ ერეოდა არც ამ ტომების შინა-ჩვეულებებში, არც ქრისტიანულ რელიგიას ახვევდა მათ თავზე და არც მიწა-წყალს ეცილებოდა.

და აი, ამ ტომებს XII საუკ. მიწურულსა და XIII საუკუნის დასაწყისისათვის დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მოადგნენ მრისხანე დამპყრობლები — გერმანელი და შვედი კოლონიზატორები, რომელთაც განზრახული ჰქონდათ ქრისტიანული რელიგიის საფარქვეშ მთელი ბალტიისპირეთის დაპყრობა და ადგილობრივთა ან გაჟლეტა, ან ყმებად გადაქცევა.

შვედი ხელისუფალნი ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ფინეთი, კარელიის ტერიტორია და ჩაეკეტათ ნოვგოროდისათვის ბალტიის ზღვაზე გასასვლელი გზა. 1142 წელს შვედი მეკობრენი 60 გემით თავს დაესხნენ ნოვგოროდის სავაჭრო გემებს. 1157 წელს შვედეთის მეფემ ერიკ ედვარდსონმა დაიმორჩილა ფინები, მათ ტერიტორიაზე ააგო ციხე-კოშკები და დააარსა ქალაქი აბო, რომელიც შემდეგ სამხრეთით შვედური აგრესიის დასაყრდენ პუნქტად იქცა. მეფისა და კათოლიკური ეკლესიის წაქეზებით შვედმა ფეოდალებმა ხელი მიჰყვეს ფინური მოსახლეობის ჟღეტა-აწიოკებას, მათი მიწა-წყლის დატაცებას. 1164 წელს შვედები 55 გემით მოულოდნელად შეიჭრნენ ლადოგის ტბაში, გადმოსხეს დესანტი და

ქალაქ ლადოგის გარეუბნის აწიოკება დაიწყეს. ლადოგა ნოვგოროდს ეკუთვნოდა. ქალაქის მცხოვრებლები პოსადნიკის მეთაურობით ციხე-სიმაგრეში ჩაიკეტნენ, ხოლო ნოვგოროდში სასწრაფოდ კაცი გაგზავნეს და შველა ითხოვეს. ლადოგელთა დასახმარებლად მოსულმა ლაშქარმა სვიატოსლავ როსტისლავის ძის მეთაურობით სასტიკად დაამარცხა შვედები, ხოლო მათი გემები დაამსხვრია. შვედთა ლაშქრის მცირე ნარჩენები, რომლებიც ამ სისხლისმღვრელ ბრძოლას გადაურჩნენ, გაიქცნენ.

შვედ ფეოდალებს არც ამ გაკვეთილმა ასწავლა ჭკუა. 1185 წელს მათ ფინების, კარელებისა და ესტების წინააღმდეგ ახალი ლაშქრობა მოაწყვეს. საპასუხოდ კარელები, რომლებიც ნოვგოროდელთა ძალაუფლებას სცნობდნენ, 1187 წელს შეესივნენ შვედეთის ერთ-ერთ მდიდარ და კარგად გამაგრებულ ქალაქ სიგტუნას, დაანგრიეს იგი და დიდძალი ნადავლით დაბრუნდნენ უკან. შვედეთის განუწყვეტელი აგრესიის საპასუხოდ ნოვგოროდელებმა 1198 წელს აბოს ციხე-სიმაგრე აიღეს და მთელი გარნიზონი ამოჟლიტეს.

შვედების დაპყრობითი ომების დროს ამოქმედდნენ გერმანელი ფეოდალები. 1184 წელს კათოლიკური ორდენის მეთაური ბერი მეინჰარდი სავაჭრო გემით დასავლეთ დვინის შესართავს მიადგა და სოფელი იკსკული დაიკავა. კათოლიკე ბერის ეს პირველი ანექსიური ღონისძიება, ჩვეულებრივ, შენიღბული იყო ქრისტიანული სარწმუნოებრივი მოტივებით. გერმანელები ხმას ავრცელებდნენ, თითქოს წარმართი ლივების ქვეყანაში ისინი მხოლოდ ქრისტეს სჯულის მშვიდობიანი ქადაგებისათვის მიდიოდნენ. მეინჰარდს მალე გოტლანდელი ოსტატები მოჰყვნენ და ეკლესიებისა და ციხე-სიმაგრეების შენება დაიწყეს. რომის პაპმა მეინჰარდს არქიეპისკოპოსობა უბოძა და უფლება მისცა ყველა მეთოდი ეხმარა ლივონიელი „წარმართების მოსარჯულებლად“.

მეინჰარდმა კათოლიკე რაინდების დახმარებით დაიწყო ლივების ქვეყანაში ქრისტეს რჯულის ცეცხლითა და მახვილით გავრცელება. ლივები მშვენივრად ხედავდნენ, რომ გერმანელ რაინდებს ქრისტეს რჯულზე მეტად მათი მიწა-წყლის დაპყრობა და ქონების დატაცება აინტერესებდათ, ამიტომ ყოველმხრივ წინააღმდეგობას უწევდნენ მოძალადეებს. მეინჰარდი რომ გარდაიცვალა, მისი მოადგილე ბერტოლდი ლივებმა მოჰკლეს, ხოლო ქრისტეს რჯული,

რომელიც მათ ძალად მიაღებინეს, ჩამოირეცხეს დვინის ტალღებში. ისტორიკოსი ჰენრიხ ლიტველი აღნიშნავს, რომ ლივები ტანს იბანდნენ და ამბობდნენ: მდინარის წყლით მოვირეცხთ ნათლობის წყალს და მასთან ერთად ქრისტიანობას, ჩვენს მიერ მიღებულ რჯულს ვტოვებთ და მიმავალ საქსებს უკან ვატანთო.

მაგრამ გერმანელი კათოლიკე ბერებისა და ფეოდალების დამპყრობლური ზრახვები თანდათან ძლიერდებოდა. ამ საქმეს ახლა სათავეში ჩაუდგა ლივონიის ახალი ეპისკოპოსი ალბერტ ფონ აპელდესონი, რომელსაც მარქსმა „არამზადა ბრემენელი კანონიკი“ უწოდა.

ალბერტმა მოინახულა დანიის მეფე ვოლდემარი და გერმანიის მეფე ფილიპე. მათ ალბერტს დიდძალი საჩუქრები მისცეს და დახმარებაც აღუთქვეს. საქმეში ჩაერია პაპი ინოკენტი III, რომელიც ცოდვების პატიებას შეჰპირდა ყველას, ვინც ლივონიის ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებდა. ამგვარად, რომის კათოლიკური ეკლესია ბალტიისპირეთის ტომების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გახდა.

1200 წელს ეპისკოპოსი ალბერტი 23 ხომალდით, რომელშიც შეიარაღებული გერმანელი აზნაურები და ვაჭრები ისხდნენ, დასავლეთ დვინის შესართავს მიადგა. ჯვაროსნებმა დაამარცხეს ლივების რაზმი, დაანგრიეს ნავსადგური და დაიწყეს ციხე-სიმაგრისა და ახალი ნავსადგურის მშენებლობა. ერთი წლის შემდეგ დვინის შესართავთან აღიმართა ახალი ქალაქი — ნავსადგური რიგა. აქედან გერმანელები უკვე კონტროლს უწევენ საზღვაო ვაჭრობას დვინის მდინარებაზე.

1202 წელს ალბერტმა პაპის კურთხევით ჩამოაყალიბა რაინდთა ორდენი, რომლის მთავარი დანიშნულება არსებითად ახალი ტერიტორიების დაპყრობა იყო, ოფიციალურად კი ვითომ მხოლოდ „წარმართების“ განადგურებას ისახავდა მიზნად. რაინდი — მახვილოსანთა ორდენის წევრი — ატარებდა თეთრ წამოსასხამს წითელი მახვილისა და ჯვრის გამოსახულებით, ემორჩილებოდა ეპისკოპოსს, უმოწყალოდ ჟლეტდა ყველას, ვინც მის ძალაუფლებას არ სცნობდა და ამ სამსახურისათვის ეპისკოპოსისაგან იღებდა დაპყრობილი მიწა-წყლის ერთ მესამედს.

მარქსი აღნიშნავს ,რომ „გამდიდრებისა და ფათერაკის მაძიებელი რაინდები შეუდგნენ საქმეს“ — დაიწყო ლივებისა და ესტე-

ბის დამორჩილება. გერმანელი კოლონიზატორები არაერთხელ სიასაძაგლის წინაშე არ ჩერდებოდნენ: წვავდნენ სოფლებს, ჟლეტდნენ მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს ტყვეებად ერეკებოდნენ, ალყაშემორტყმულთ აშიმშილებდნენ, ქონებას იტაცებდნენ და სამშობლოში გზავნიდნენ. დაქსაქსულ, პრიმიტიულად შეიარაღებულ ლივებს არ შეეძლოთ დიდი ხნით წინააღმდეგობის გაწევა. ლივების ტერიტორია გერმანელებმა ცეცხლითა და მახვილით დაიპყრეს.

ახლა ჯერი ესტებზე მიდგა. 1212 წლის ზამთარში რაინდები შეესივნენ ესტების მიწა-წყალს და იმავე მეთოდებით დაიმორჩილეს იგი. თვით გერმანელი ისტორიკოსი ჰენრიხ ლიტველი, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს ეს მძარცველური ომები ქრისტიანული მოტივებით შეაფერადოს, ვერ მალავს ყველა საშინელებას, რაც ამ ომებს ახლდა. ერთ ადგილას იგი წერს: „გაქცეულ ესტებს ყოველმხრივ თან მისდევდნენ და ჰკლავდნენ მარჯვნივ და მარცხნივ, ვიდრე დაღლილობისაგან ძალა არ გამოელეოდათ ადამიანებსა და ცხენებს... ესტონეთის დაპყრობა რომ დაამთავრეს, — განაგრძობს ისტორიკოსი,—ყველა რაინდმა ნაძარცვი ქონებით თავი მოიყარა ერთ ადგილზე. აქედან ისინი მხიარულად გაემართნენ ლივონიისკენ. თან მიერეკებოდნენ ცხენებსა და საქონლის ჯოგებს, მიჰყავდათ ქალები, ბავშვები და ქალიშვილები. საშინელი ტირილი და გმინვა ისმოდა წარმართთა შორის, ტიროდა ესტონეთი თავის შვილებზე და არავის არ შეეძლო მისი დამშვიდება“.

გერმანელ კოლონიზატორებს ბალტიისპირეთის დამორჩილება მეტისმეტად გაუძნელდათ. ესტები და ლივები ადვილად როდი ურიგდებოდნენ ძონობას. ისინი ხშირად აჯანყებებს აწყობდნენ და ჟლეტდნენ გერმანელ რაინდებს. ალბერტი იძულებული შეიქნა ისევ გერმანიაში წასულიყო და ახალი მოხალისეები შეეგროვებინა. ლივონიის ეპისკოპოსმა დახმარებისათვის აგრეთვე დანიის მეფეს მიმართა; დანიის მეფეს ადრეეც ეჭირა თვალი ბალტიისპირეთზე. ახლა მას მოქმედების საბაბი მიეცა და დაუყოვნებლივ შეუდგა ლაშქრობის სამზადისს. დანელთა ჯარი ესტონეთში შეიჭრა, ააგო იქ ციხე-სიმაგრე რეველი და აქედან შეუდგა ქრისტიანობის გავრცელებას. თუ რა იყო კოლონიზატორთა ნამდვილი მიზანი, ნათლად ჩანს შემდეგ მაგალითზე: დანელებმა ესტების მამასახლისი სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს იმისათვის, რომ ნათლობა გერმანელებისაგან მიიღო, ხოლო მოსახლეობა ხელახლა მონათლეს.

ცხადია, დანელ და გერმანელ დამპყრობლებს აწუხებდათ არა ქრისტეს სამსახური, არამედ სხვისი მიწების ხელში ჩაგდება. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც თვითონ ავრცელებდნენ ქრისტიანობას, აგრეთვე მათივე ბატონობის უფლებაც ვრცელდებოდა. ამიტომ ეცილებოდნენ ისინი ერთმანეთს ქრისტიანობის გავრცელებაში. სინამდვილეში ეს იყო ბალტიისპირეთში ბატონობაზე ცილობა.

ესტონეთის დაპყრობის მადა ახლა შვედეთის მეფესაც აღეძრა. მან ჯარები დასძრა კუნძულ ეზელის წინააღმდეგ. მაგრამ ეზელის მცხოვრებლებმა აჯანყების დროშა აღმართეს, შვედი დამპყრობლები თავიანთ ქვეყანაში არ შეუშვეს. ამავე დროს თავს დაესხნენ დანელ რაინდთა ციხე-კოშკებს და მათი გარნიზონები ამოწყვიტეს. ეს იყო მთელს ესტონეთში აჯანყების დაწყების ნიშანი. ესტონელებმა დახმარებისათვის პსკოვისა და ნოვგოროდის მთავრებს მიმართეს.

გერმანელ, დანელ და შვედ კოლონიზატორთა გაბატონება ბალტიისპირეთში რუსეთისათვის მეტად არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ჯერ ერთი, ბალტიის ზღვის სავაჭრო გზები უცხოელთა კონტროლქვეშ ექცეოდა, მეორე—ბალტიისპირელი ტომები ხარკს ვეღარ გადაიხდიდნენ, მესამეც—ჩრდილოელი და დასავლელი დამპყრობლები საფრთხეს უქმნიდნენ უშუალოდ რუსეთის მიწა-წყალს.

რუს მთავრებს კარგად გაეგებოდათ ამ საფრთხის მნიშვნელობა, ამიტომ ბალტიისპირელი ტომების მხარდამხარ ისინი მამაცურად იბრძოდნენ გერმანელი და შვედი რაინდების წინააღმდეგ.

ლივონელ ჯვაროსნებს რუსი მთავრები ჯერ კიდევ ეპისკოპოს ბერტოლდის დროს შეეჯახნენ და ასეულობით კოლონიზატორი გაწყვიტეს. ჩრდილო-დასავლეთის რუსი მთავრები, როგორც გერმანული ქრონიკა გადმოგვცემს, თავს ესხმოდნენ გერმანელთა ამ ახალ ციხე-სიმაგრეებს და უკან დიდი ნადავლით ბრუნდებოდნენ. 1206 წელს პოლოცკის მთავარი ვლადიმირი რიგის წინააღმდეგ გაემართა. ადგილობრივმა მოსახლეობამ რუს მთავარში თავისი მსხნელი დაინახა და მას გვერდით ამოუდგა მახვილოსანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანელი ფეოდალების წინააღმდეგ პოლოცკის მთავართან ერთად აქტიურად იბრძოდნენ ლიტველები. ლიტველებმა და ლივებმა არა ერთგზის მოაწყვეს ინტერვენტებზე თავდასხმა.

გერმანელი რაინდების წინააღმდეგ აღსდგნენ პსკოვისა და ნოვგოროდის მთავრები. 1211 წელს მსტისლავ მამაცმა თავის ძმა ვლადიმირთან ერთად გაილაშქრა რაინდების წინააღმდეგ, ალყა შემოარტყა ქალაქ ოდენპეს და აიძულა იგი დანებებულიყო. მომდევნო წელს მსტისლავმა პსკოვის მთავარ ვსევოლოდ ბორისის ძესა და ტოროპეცკის მთავარ დავითთან ერთად შეუტია მახვილოსნებს. მემატიანის სიტყვით, მსტისლავმა ციხე ვარბოლემდე მიაღწია და მას ალყა შემოარტყა. ციხის გარნიზონმა და მოსახლეობამ შვიდასი მარკა გადაუხადა მსტისლავს, რომელიც ამის შემდეგ უკან გაბრუნდა. სახელოვანი ბრძოლა გადიხადეს რუსებმა ქალაქ ოდენპესთან, სადაც დიდძალი მახვილოსანი გაწყვიტეს. ეპისკოპოსი ალბერტი ამის შემდეგ იძულებული შეიქნა კვლავ გერმანიაში გამგზავრებულიყო მოხალისეთა შესაგროვებლად.

კუნძულ ეზელის მცხოვრებთა გამარჯვებამ აღაფრთოვანა ბალტიისპირელი ტომები. მთელს ესტონეთსა და ეზელში გაისმა დანელებისა და ტევტონების წინააღმდეგ საბრძოლო მოწოდების ხმა და თვით ქრისტიანობის სახელიც განდევნილ იქნა ყველა ამ ოლქიდანო,—აღნიშნავს გერმანული ქრონიკა. გერმანელი და დანელი რაინდების გააფთრებას საზღვარი არ ჰქონდა, მათ ახალი ძალები ჩააბეს ესტების წინააღმდეგ ბრძოლაში. აჯანყებულთა მხარეზე იბრძოდნენ რუსი მთავრები.

მაგრამ ესტებისა და კუნძულ ეზელის მცხოვრებთა აჯანყება არ იყო კარგად მომზადებული. გერმანელმა და შვედმა რაინდებმა მოსყიდვით, მოტყუებითა და ცალკეულ პუნქტებზე მოულოდნელი თავდასხმებით შესძლეს აჯანყების ჩახშობა.

1223 წელს დამპყრობლების წინააღმდეგ დიდი ლაშქრით დაიძრა იაროსლავ ვსევოლოდის ძე, რომელიც მაშინ ნოვგოროდის მთავარი იყო. იაროსლავი (ალექსანდრე ნეველის მამა) ჭკვიანი პოლიტიკოსი და გამოცდილი მხედარი იყო. მან ქალაქ იურიევის გარნიზონი გააძლიერა, დამატებითი ძალები ჩააყენა ციხე-სიმაგრე ოდენპეში, აქედან რეველზე გაემართა და მას ალყა შემოარტყა. დიდძალი ტყვეებითა და ნადავლით იაროსლავი ნოვგოროდს დაბრუნდა. მაგრამ ვერ შეურიგდა რა ნოვგოროდის ვაჭრულ-ბოია-

რულ ზედაფენის პრეტენზიებს, ქალაქი მიატოვა. ამის შემდეგ დაკიწყებულ იქნა რუსთა ციხე-სიმაგრეები ლივონიაში.

გერმანელმა მახვილოსნებმა ახალი მობილიზაცია ჩაატარეს. მათ გადაწყვიტეს ლივონიაში ნოვგოროდის სამფლობელოებზე გადამწყვეტი იერიშის მიტანა. 1224 წელს ალყა შემოარტყეს ციხე-სიმაგრე იურიევს, რომელსაც მთავარი ვიაჩესლავი (ვიაჩკო იცავდა 200 მეომრით.

გერმანელებმა დიდი ბრძოლების შემდეგ შესძლეს ციხის კედლის შენგრევა, დაერივნენ რუს და ესტ მეომრებს, რომლებიც თავს გმირულად იცავდნენ. ვიაჩკო და მისი ლაშქარი მთლიანად დაიღუპა. იურიევის დაცემით დამთავრდა გერმანელ მახვილოსანთა მიერ ლივონიის მიწა-წყლის დაპყრობა. ახლა კოლონიზატორები უშუალოდ მოადგნენ პსკოვისა და ნოვგოროდის მიწა-წყალს. აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირეთში გერმანული აგრესიის გამარჯვება დაემთხვა აღმოსავლეთით მეორე მრისხანე ძალის—მონღოლების გამოჩენას. სწორედ ამ დროს მონღოლთა მზვერავმა ლაშქარმა ჯებესა და სუბუდაის მეთაურობით მდინარე კალკასთან რუსთა და ყივჩაღთა გაერთიანებული ლაშქარი დაამარცხა. შემთხვევითი როდია, რომ გერმანელი და შვედი კოლონიზატორები სწორედ მას შემდეგ გააქტიურდნენ, როცა მათ რუსთა ქვეყანაში ახალი დამპყრობი ძალის გამოჩენისა და გამარჯვების ცნობა მიიღეს. ამრიგად, რუსთა ქვეყანას დასავლეთიდან გერმანელი ჯოფაკი რაინდები ემუქრებოდნენ, ჩრდილოეთიდან შვედები, ხოლო აღმოსავლეთიდან—მონღოლთა ურდოები. ასეთ საბედისწერო ხანაში ნოვგოროდის ვეჩემ მთავრად ალექსანდრე იაროსლავის ძე (შემდეგში ნეველად წოდებული) მიიწვია.

* * *

ალექსანდრე დაიბადა 1220 წელს, 30 მაისს ქალაქ პერეიასლავლ-ზალესკში. ეს ქალაქი მდებარეობს მოსკოვ-იაროსლავლის რკინიგზის ხაზზე, მოსკოვიდან 128 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ტრუბეჟის ორთავე ნაპირზე.

ტერიტორიულად პატარა საუფლისწულო პერეიასლავლი ცნობილი იყო თავისი ტყეებით, სადაც ძვირფასბეწვიანი ცხოველები ბინადრობდნენ, ტბებით, რომელშიაც დიდძალი თევზი ბუდობდა.

სამთავროზე გადიოდა სავაჭრო გზა და შორეული ქვეყნებიდან შომავალი ქარავნები ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე ტყისა და ტბების ნაპირებზე გაშენებულ პატარ-პატარა სოფლებს.

ალექსანდრე ვსევოლოდ „დიდი ბუდის“ შვილიშვილი იყო. ალექსანდრეს მამა იაროსლავ ვსევოლოდის ძე ფლობდა პერეიასლავლის საუფლისწულოს, ხოლო შემდეგ ნოვგოროდის მთავარი გახდა. ალექსანდრეს დედა გალიციის სახელგანთქმული მთავრის მსტისლავ მამაცის ქალიშვილი იყო. მსტისლავის შეუპოვარი ბრძოლების მრავალი ლექსი და სიმღერა შეუთხზავს ხალხს. ეჭვს გარეშეა, მსტისლავის გმირობით მოხიბლული პატარა ალექსანდრე ოცნებობდა პაპისათვის მიებაძა.

ალექსანდრეს ბავშვობის შესახებ ცნობები ცოტა მოგვეპოება, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ მას რუსთა სამთავროებში დამკვიდრებული ჩვეულებრივი წესით ზრდიდნენ. 4 წლის ვაჟს, მამის მემკვიდრეს შეაჭრეს გრძელი თმები. ეს იყო საზეიმო მომენტი მთავრის სასახლეში. ამიერიდან ალექსანდრე მამაკაცად, ოჯახის ბურჯად იწოდებოდა. ალექსანდრე ჩააბარეს აღმზრდელს, რომელიც შეუდგა ბავშვის გამოწრთობას მომავალი საგმირო საქმეებისათვის.

ბავშვობაში ალექსანდრეს ცხენოსნობასა, შუბის ტყორცნასა და ფარ-ხმლის ხმარებაში ავარჯიშებდნენ, დაჰყავდათ სანადიროდ. ამავე დროს, სპეციალურად მიჩენილი მცოდნე ბოიარინი ასწავლიდა რუსულ წერა-კითხვას, ბერძნულ და ლათინურ ენებს.

ალექსანდრე თავისი დროის შესაფერად დიდად განათლებული პიროვნება იყო. ჩანს, საფუძვლიანი აღზრდა მიუღია. გადმოგვცემენ, რომ მის ბიძას კონსტანტინე ვსევოლოდის ძეს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, სადაც რუსულ თხზულებებთან ერთად მოიპოვებოდა მრავალი წიგნი ბერძნულ და ლათინურ ენებზე.

1228 წელს ალექსანდრეს მამა იაროსლავ ვსევოლოდის ძე მიწვეული იქნა ნოვგოროდის მთავრად. იაროსლავმა ნოვგოროდს თან წაიყვანა თავისი ვაჟები ალექსანდრე და თევდორე. მაგრამ

ნოვგოროდელმა ბოიარებმა, როგორც ჩანს, პირქუშ და პატივმოყვარე იაროსლავთან საერთო ენა ვერ გამონახეს და მის წინააღმდეგ ქალაქის მოსახლეობის აჯანყება მოაწყვეს, რომლის მსხვერპლნი კინაღამ გახდნენ ყრმა უფლისწულები.

რუსეთის ფეოდალურ სამთავროთა შორის ნოვგოროდს ბევრი თავისებურება ახასიათებდა. და რადგან ალექსანდრეს სახელოვანი მოღვაწეობა ამ ქალაქთან არის დაკავშირებული, ზედმეტი არ იქნება ამ თავისებურებათა მოკლედ გაცნობა.

რუსეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ნოვგოროდი მდებარეობდა ვარანგეთიდან საბერძნეთისკენ მიმავალ დიდ სამდინარო გზაზე, იქ, სადაც მდ. ვოლხოვი ილმენის ტბას ერთვის. ნოვგოროდს გადასერავდა აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთიდან მომავალი დიდი გზა, რომელიც დვინისა და ვოლგის გავლით კასპიის ზღვაში ჩადიოდა და აქედან აღმოსავლეთის ქვეყნებს უკავშირდებოდა. ამ ქალაქის დაარსების ზუსტი თარიღი ჯერ კიდევ არაა დადგენილი. ის კი ცხადია, რომ IX—X საუკ. მთელი სავაჭრო გზა ვოლხოვის გაყოლებით, ნოვგოროდის კონტროლქვეშ იმყოფებოდა, მასვე ეკუთვნოდა ნევის სანაპიროები და ფინეთის ყურე. ნოვგოროდი თანდათან აფართოებდა თავის სამფლობელოებს ჩრდილოეთით მურმანსკამდე, აღმოსავლეთით—ურალის მთებამდე.

ნოვგოროდის მიწა მწირი იყო და იგი დიდ შემოსავალს არ იძლეოდა. მაგრამ ნოვგოროდს სხვა რუსულ ქალაქებს შორის დიდი უპირატესობა ჰქონდა: ყველა მიმართულებით მიმავალი სამდინარო გზებით იგი მთელ ქვეყანას უკავშირდებოდა და მათთან ცხოველ აღებ-მიცემობას ეწეოდა. უცხოეთის ქვეყნებში დიდი გასავალი ჰქონდა რუსულ სელს, კანაფს და განსაკუთრებით ძვირფას ბეწვეულს, რითაც მდიდარი იყო ჩრდილოეთის დაბურული ტყეები. დასავლეთელ ვაჭრებს სანაცვლოდ რუსეთში შემოჰქონდათ ქსოვილები, ლითონის ნაწარმი. ამ განუწყვეტელ აღებ-მიცემობაში მდიდრდებოდნენ ნოვგოროდელი ბოიარები და ვაჭრები, ფართოვდებოდა თვით ქალაქიც.

ქალაქს შუაზე ჰყოფდა მდინარე ვოლხოვი. მის მარჯვენა ნაპირზე აგებული იყო ნოვგოროდელ და უცხოელ ვაჭართა ქარვასლები და სახელოსნოები, აქვე იყო მოწყობილი სახალხო კრების ანუ ვეჩეს მოედანი. ვოლხოვის მარჯვენა ნაპირს „სოფიას მხარე“ ეწოდებოდა. აქ იყო აღმართული სოფიას ტაძარი. აქ ხდებოდა უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიღება. აქ ცხოვრობდა ეპისკოპოსი. ქალაქის ორ მხარეს ვოლხოვის ხიდი აერთებდა. მთელ ქალაქს მიწათხრილები და ქვის კედლები ერტყმოდა. კეთილმოწყობის მხრივ ნოვგოროდი წინ უსწრებდა საშუალო საუკუნეების ბევრ ევროპულ ქალაქს. ქუჩები მოკირწყლული იყო. ქალაქს ჰქონდა წყალსადენი. შენობები აგებული იყო მაღალი არქიტექტურული გემოვნებით. ნოვგოროდელ ხელოსანთა ოსტატობა შორს იყო განთქმული.

მთელი ძალაუფლება ქალაქში მსხვილ მიწათმფლობელ ბოიარებსა და ვაჭრებს ეკუთვნოდათ. მართალია, ყველა საჭირბოროტო საკითხი ვეჩეზე წყდებოდა, მაგრამ ვეჩე გავლენიანი პირების ნება-სურვილის გამომხატველი იყო. მსხვილი ფეოდალები და ვაჭრები ამუშავებდნენ ხელოსნებს, სმერდებს, გლეხებს, პროდუქციას უცხოელ ვაჭრებზე ჰყიდდნენ და მოგებას თვითონ ითვისებდნენ.

ნოვგოროდის ფეოდალურ ზედაფენას განსაკუთრებით მაღალ მოგებას აძლევდა ბეწვეულით ვაჭრობა. ისინი იპყრობდნენ ბეწვიანი ნადირით მდიდარ ახალ-ახალ ტერიტორიებს. ნოვგოროდის ძალაუფლება შორს ვრცელდებოდა. ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის მომიჯნავე ტუნდრების მომთაბარე სამოედები, კომელები, მდინარე კამის სათავეში მცხოვრები პერმელები, ჩრდილოეთ ურალის ფერდობზე მოსახლე იუგრები ნოვგოროდელ ვაჭარ-ფეოდალებს ხარკის სახით უხვად აწვდიდნენ ბეწვეულს.

ნოვგოროდის ფეოდალურმა სამთავრომ, რომელიც წინათ კიევის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, XII საუკუნეში დამოუკიდებლობა მოიპოვა. ნოვგოროდელი მსხვილი ვაჭრები და ბოიარები თანდათანობით კვეცავდნენ მთავრის უფლებებს. მაგა-

ლითად, 1136 წელს ვაჭარ-ბოიარებმა მიიმხრეს მოსახლეობის დაბალი ფენა, აუჯანყდნენ ვლადიმერ მონომახის შვილიშვილს ვსევოლოდ მსტისლავის ძეს, მისი მთელი ოჯახი ორი თვით ციხეში გამოამწყვდიეს, ხოლო შემდეგ ქალაქიდან გააძევეს. ამის შემდეგ ბოიარული ზედაფენის ყოვლისშემძლეობა კიდევ უფრო გაიზარდა.

მიუხედავად ამისა, მთავარს ნოვგოროდში სისტემატურად იწვევდნენ, რადგან იგი ესაჭიროებოდათ როგორც სამხედრო ძალის წინამძღოლი. მაგრამ მთავრებს არ შეეძლოთ ნოვგოროდის სამფლობელოში მიწები შეეძინათ, ახალი გადასახადები შემოეღოთ, თავისი სურვილისამებრ ემართათ ქვეყანა. მთავარი გასამრჯელოს იღებდა ჯამაგირის სახით. ნოვგოროდის ფაქტიური ხელისუფალი იყო ვეჩეს მიერ არჩეული პოსადნიკი (მამასახლისი), რომელიც მუდამ მთავართან იყო და მის საქმიანობას კონტროლს უწევდა. დიდი უფლებებით სარგებლობდა აგრეთვე ტისიაცკი (ათასისთავი), რომელსაც ჯარის სარდლობა და სავაჭრო საქმეებზე მოსამართლეობა ეკისრებოდა.

ნოვგოროდის ფეოდალური რესპუბლიკის ასეთი დამოუკიდებლობა ბევრ მთავარს სიცოცხლეს უმწარებდა. მიუხედავად ამისა, მდიდარ, კეთილმოწყობილ, სახელგანთქმულ ნოვგოროდში მთავრობა ფეოდალური დაქსაქსულობის და ქონებრივი სიმწირის პირობებში ბევრი გაკოტრებული მთავრისათვის მაინც ღირსებასა და პატივს ნიშნავდა. ამიტომაც ნოვგოროდის სამთავრო ტახტს ბევრი მოცილე ჰყავდა.

არ უყვარდათ ნოვგოროდელებს ალექსანდრე ნეველის მამა იაროსლავი, რომელიც არ ემორჩილებოდა სამთავროში უკვე განმტკიცებულ წესებს და ფართო ძალაუფლებისაკენ მიისწრაფოდა.

1228 წელს იაროსლავმა, ჩაიყვანა რა ნოვგოროდში თავისი შვილები ალექსანდრე და თევდორე, ვეჩეს მოსთხოვა ჯარი ლივონიაში სალაშქროდ. ნოვგოროდელებმა უარი განუცხადეს. გაბრაზებულმა იაროსლავმა ნოვგოროდში დატოვა თავისი შვილები, ხოლო თვით პერეიასლავლს გაემგზავრა.

ეს წელი ნოვგოროდელებისათვის, როგორც მემატიანე გვამცნობს, მეტად მძიმე იყო. განუწყვეტელი წვიმების გამო ვერ მოახერხეს მინდვრების მოხვნა-დათესვა. ბეღლები დაცარიელდა. შიმშილობა დაიწყო. ქალაქის დაბალმა ფენებმა, რომელთა ზურგზე

ვადადიოდა შიმშილობის მთელი სიმძიმე, მღელვარება დაიწყეს. ნოვგოროდელმა სმერდებმა და ხელოსნებმა დაანგრიეს ბოიართა სახლ-კარი, გააძევეს ვეჩეს საბჭოს სათავეში მყოფი არქიეპისკოპოსი, გაძარცვეს ტისიაცკის სახლი, ხოლო იაროსლავს შეუთვალეს—დაბრუნდი ნოვგოროდში იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ადათ-წესებს პატივისცემით მოეპყრობი, თუ არა, შენ შენთვის, ჩვენ ჩვენთვისო.

იაროსლავმა მათ პასუხი არ გასცა, ხოლო მისი ვაჟების მეთვალყურე ბოიარინ დანიელს უბრძანა, ბავშვები ნოვგოროდიდან გაეპარებინა. 1229 წლ. თებერვალში ღამით დანიელმა ბავშვები ნოვგოროდიდან გააპარა და პერეიასლავლში მიიყვანა.

იაროსლავს ნოვგოროდში თავისი პარტია ჰყავდა, რომლის გავლენით 1230 წლის 30 დეკემბერს იგი ისევ მთავრის პოსტზე მიიწვიეს. იაროსლავმა თან წაიყვანა თავისი ვაჟები. მაგრამ თვით ისევ პერეიასლავლში დაბრუნდა და ლაშქრობისათვის სამზადისი დაიწყო. შვილები ნოვგოროდში დარჩნენ.

ნოვგოროდში დანიელის მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა ალექსანდრე. იგი თანდათან ეჩვეოდა ამ მუდამ მჩქეფარე და მდიდარ ქალაქს, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან განუწყვეტლივ მოდიოდნენ საქონლით დატვირთული ხომალდები, მოდიოდნენ ქარავნები, ვაჭრებს მოჰქონდათ ახალი ამბები..

1233 წელს ალექსანდრეს ძმა თევდორე გარდაიცვალა, 1236 წელს ალექსანდრეს მამა იაროსლავი კიევის დიდი მთავარი გახდა და ნოვგოროდი ალექსანდრეს გადაულოცა. 16 წლის ჭაბუკი ნოვგოროდის ძლიერი სამთავროს მმართველი შეიქნა.

ჭაბუკი ალექსანდრე სავსებით შესაფერი იყო ამ საპასუხისმგებლო თანამდებობისათვის. მამაცი, სამხედრო ხელოვნებაში ნაწრთობი, განათლებული, მტკიცე ხასიათისა, დინჯი, შორსმჭვრეტელი და შეუპოვარი მიზნის მიღწევაში, — იგი დიდი პატივისცემით სარგებლობდა ნოვგოროდელთა შორის. მდიდარი შინაგანი ბუნება საუცხოოდ ეხამებოდა მის მოხდენილ გარეგნობას.

დაუცხრომელი ენერგიით შეუდგა მთავარი მოღვაწეობას. რუსი ხალხის უანგარო სიყვარული, სამშობლოს სახელისა და დიდებისათვის დაუღალავი ზრუნვა მას ახალ-ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებდა.

ეს საგმირო საქმეები მას ელოდნენ. რუსთა მიწა-წყალზე წვე-

ბოდა შავი ღრუბელი. გერმანელი და შვედი დამპყრობლები პსკოვის და ნოვგოროდის ჩასაყლაპავად ხელსაყრელ დროს ელოდნენ. ეს დრო მაშინ დაუდგათ, როცა აღმოსავლეთის თვალუწვდენელ ტრამალებში გამოჩნდნენ თათარ-მონღოლთა უთვალავი ურდოები.

ვინ იყვნენ მონღოლები?

მონღოლები ცენტრალური აზიის ველებში მომთაბარე ტომები იყვნენ, რომლებიც გვარებად იყოფოდნენ. მათ ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა შეადგენდა და ახალი საძოვრების ძებნაში მომთაბარეობდნენ. მონღოლები განვითარების დაბალ დონეზე იდგნენ. მათი საზოგადოებრივი წყობილება გვაროვნულ-თემური იყო, თუმცა XII საუკ. მიწურულისათვის კლასობრივი უთანასწორობა მათში უკვე ფეხს იკიდებდა.

XIII საუკ. დასაწყისში ჩინგის-ყაენის მეთაურობით მონღოლებმა შექმნეს ძლიერი სახელმწიფო, რომელიც აერთიანებდა მონღოლთა, თურქთა და მანჯურთა მრავალრიცხოვან ტომებს. ჩინგის-ყაენმა დაიწყო შეზობელი ქვეყნების დაპყრობა. დაიმორჩილა ჩრდილოეთ ჩინეთი, შეუტია შუა აზიას და ხორეზმის ძლიერი სახელმწიფო, რომლის სათავეში მუჰამედი იდგა, გაანადგურა. მონღოლებმა საშინლად დაარბიეს შუა აზიის აყვავებული ქალაქები: სამარყანდი, ბუხარა, მერვი. ამის შემდეგ ჩინგის-ყაენმა გაქცეული ხორეზმშაჰის შესაპყრობად და დასავლეთი ქვეყნების დასაზვერად დიდი რაზმი გაგზავნა ჯებესა და სუბუდაის მეთაურობით. ამ რაზმმა ცეცხლითა და მახვილით გაიარა ჩრდილოეთ ირანი, სომხეთი და საქართველოს საზღვრებს მოადგა. ლაშა გიორგის დროინდელი უცნობი ქართველი მემატიანე ამბობს: „შემოვიდეს უცხო თესლნი ვინმე ლაშქარნი სომხეთს და ჰერეთს". ჟამთააღმწერლის მოთხრობაში კი ნათქვამია, რომ მონღოლები „ათორმეტითა ათასითა ჴხედრითა მოიწიენეს საზღვართა საქართველოსათა, ქვეყანასა გაგისა, იწყეს დარბევად". ქართველთა ჯარის დამარცხების შემდეგ მონღოლები დარუბანდის გასასვლელით ჩრდილო კავკასიაში გადავიდნენ, დაიმორჩილეს ოსები, დაამარცხეს ყივჩაღები, ყირიმში შეიჭრნენ და ქალაქი სუდაკი (სუროჟი) დაიპყრეს.

დამარცხებულმა ყივჩაღებმა დახმარებისათვის რუსთა მთავრებს მიმართეს. გალიჩის მთავარის მსტისლავ მამაცის მეთაურობით რუსთა მთავრები კიევში შეიკრიბნენ და ბჭობა გამართეს, ურჯობესად დაინახეს, მტერს სხვის მიწაზე შებრძოლებოდნენ. ყი-

რიმისაკენ დაიძრნენ გაერთიანებული რუსებისა და ყივჩაღების მეომრები თავიანთი სარდლების თანხლებით. დნეპრის მახლობლად რუსთა ლაშქარმა პირველ ბრძოლაში მონღოლთა მოწინავე რაზმები დაამარცხა, თათრები შეშინდნენ და ზავიც კი ითხოვეს, მაგრამ გათამამებულმა რუსმა მოლაშქრეებმა უარი შეუთვალეს და აზოვის ზღვისაკენ წაიწიეს. 1223 წლის 16 ივნისს მდინარე კალკაზე გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა. წინანდელი წარმატებებით გათამამებული მსტისლავ მამაცი და დანიელ რომანის ძე გალიციელი მცირე რაზმებით შეიჭრნენ ბრძოლაში, ისე რომ, მთავარ ძალებს არ დაუცადეს. თათრებმა, პირველ ყოვლისა, ყივჩაღები გაფანტეს. შემდეგ ალყა შემოარტყეს რუსთა ლაშქარს და სამდღიანი ბრძოლის შემდეგ აიძულეს ისინი დანებებულიყვნენ. გამარჯვებული მონღოლები დნეპრამდე მივიდნენ, მაგრამ უეცრად პირი იბრუნეს და შუა აზიის ველებისკენ გაემართნენ. ამჯერად იმათ გეგმაში არ შედიოდა ამ ადგილების დაპყრობა და აქ დასახლება.

1227 წელს ჩინგის-ყაენი გარდაიცვალა. მისი დიდი იმპერია შვილებს შორის დანაწილდა. უფროს შვილს ჯუჩის ერგო მდინარე ირტიშის დასავლეთით ტერიტორია, იქამდე, სანამდეც „მონღოლური ცხენების ფლოქვები მიწვდებოდნენ“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჯუჩის თავისი კუთვნილი ულუსი ბრძოლებით უნდა დაეპყრო, მაგრამ ჯუჩი მალე გარდაიცვალა და მისი შვილი ბათო შეუდგა მამის გეგმების განხორციელებისათვის საძზადისს.

1236 წელს ბათოს ურდო დასავლეთისაკენ დაიძრა. ეს ლაშქრობა ხალხთა გადასახლებას ჰგავდა. დედაწულიანად აყრილი მონღოლები მოდიოდნენ დღეც და ღამეც. მამაკაცები ცხენებზე ისხდნენ, ქალები და ბავშვები კი თექით გადახურულ ურმებში. მოდიოდნენ და აოხრებდნენ ყველაფერს. ქალაქებს ნაქალაქევად აქცევდნენ, სოფლებს—ნასოფლარად. ბათოს მრავალრიცხოვან ურდოს თან ახლდნენ მონღოლთა ხელქვეით მყოფ ხალხთა რაზმები. იმდენად დიდი იყო ეს ლაშქარი, რომ ერთ-ერთი მუსულმანი მწერლის ხატოვანი თქმით „მეომართა სიმრავლისაგან მიწაც კვნესოდა“.

1237 წლის დასაწყისში მონღოლ-თათართა ურდოები ქალაქ რიაზანს მიადგნენ და მორჩილება და დიდძალი ხარკი მოითხოვეს. „ჩვენ რომ ცოცხალი არ ვიქნებით, მაშინ ყველაფერი თქვენი იქნება“,—ამაყად შეუთვალა მათ რიაზანის მთავარმა. როგორც ზე-

ვით აღვნიშნავდით, რუსთა ქვეყანა მაშინ დანაწილებული იყო წვრილ ფეოდალურ სამთავროებად, რომელთა შორის მუდმივი მტრობა და ჭიშპობა იყო. რიაზანის მთავარს არ დაეხმარნენ არც ვლადიმირის, არც ჩერნიგოვის მთავრები და მარტო მიტოვებული რიაზანი მონღოლთა ურდოებმა გადათელეს. რიაზანი ისე დაანგრიეს მონღოლებმა, რომ ქალაქი ძველ ადგილზე აღარასოდეს აღარ აშენებულა. მხოლოდ მიწა, ფერფლი და კვამლიღა დარჩა ქალაქის ნაცვლადო,—ამბობს მემატიანე.

რიაზანის აოხრების შემდეგ მონღოლები ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს შეესივნენ. სუზდალის ლაშქარი მტერს გმირულად შეხვდა, მემატიანეს ცნობით, რუსები „მამაცურად იბრძოდნენ და იყო ომი ფიცხელი“, მაგრამ სიმრავლემ აქაც თავისი გაიტანა. რუსები დამარცხდნენ. მონღოლებმა დაანგრიეს სუზდალი, ვლადიმირი. დაწვეს მოსკოვი, მდინარე სიტთან გაანაღგურეს ვლადიმირის მთავრის იურის ვსევოლოდის ძის ლაშქარი და კურსი ჩრდილოეთისაკენ აიღეს. ნიკონისეული ბატიანე მოსკოვზე თათართა გალაშქრების შესახებ მოგვითხრობს: თათრები მოსკოვზე წავიდნენ. აიღეს იგი და მოჰკლეს ვოევოდა ფილიპე ნიანკი, ხოლო დიდი მთავრის იურის შვილი ვლადიმირი თან წაიყვანეს; მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჟლიტეს, ბავშვებიც კი არ დაინდეს, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს და წავიდნენ, წაიღეს დიდძალი ნადავლიო. დიდი საფრთხე მოელოდა ნოვგოროდს, სადაც მთავრად ამ დროს ახალგაზრდა ალექსანდრე იჯდა. მაგრამ ნოვგოროდის სამხრეთი ადგილები ხშირი ტყითა და გაუვალი ჭაობებით დაფარული, გაზაფხულის უგზოობის გამო მონღოლებმა ვეღარ გადალახეს. მათ პირი სამხრეთისაკენ იბრუნეს და სევერსკის სამთავრო ქალაქს—კოზელსკს მიადგნენ.

ორი თვის განმავლობაში იბრძოდნენ მონღოლები ამ ქალაქის მისადგომებთან. კოზელსკის მოსახლეობა არაჩვეულებრივი მამაცობით იცავდა თავს. მხოლოდ მას შემდეგ, როცა მონღოლებმა ახალი, მაშველი ძალები ჩააბეს ბრძოლაში, შესძლეს გმირი ქალაქის დამორჩილება. მეტად დიდი იყო მონღოლთა დანაკარგი კოზელსკისათვის ბრძოლაში; გამწარებულმა თათრებმა მას „ბოროტი ქალაქი“ შეარქვეს. მონღოლთა ურდოები სამხრეთში დაბანაკდნენ. მათი მარბიელი ლაშქრები რუსეთის მიწა-წყალზე დაძრწოდნენ. მონღოლებმა დაიმორჩილეს სამხრეთი პერეიასლავლი, ჩერნიგოვი,

ხოლო 1239 წელს კიევს მიადგნენ და ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, 1240 წელს მისი კედლებიც შეანგრიეს.

კიევის აღების შემდეგ ბათოს რაზმებმა განაგრძეს დასავლეთით ლაშქრობა და დაიპყრეს რა ვლადიმირ-ვოლინსკი, გალიჩი, კარპატის გასასკლელები, უნგრეთის ველებზე გავიდნენ და ქალაქ ოლმიუცამდე მიაღწიეს. მაგრამ ბათო კარგად გრძნობდა, რომ მისი ჯოჯოხეთის ხახი ძეტისმეტად გაიჭიმა, ხოლო ზურგი სრულებითაც არ იყო სანდო, ვინაიდან რუსი ხალხი არ აპირებდა თათარ-მონღოლთა მონობისათვის შერიგებას. ყველაფერი რიგზე ვერ იყო თვით მონღოლეთში: ჩინგის-ყაენის მემკვიდრეთა შორის შუღლი მწვავდებოდა.

ბათო დუნაის ველით უკანვე გამობრუნდა და შეჩერდა კასპიის პირეთის ველებში. აქ, ვოლგის შესართავის მახლობლად, აირჩია ბათომ თავისი სადგომი (სარაი-ბათუ). ეს ქალაქი ცენტრი გახდა თათარ-მონღოლთა დიდი სახელმწიფოსი, რომელიც ისტორიაში „ოქროს ურდოს" სახელით არის ცნობილი.

თათარ-მონღოლთა ურდოებმა ააოხრეს და ააწიოკეს მთელი რუსეთი. დაინგრა და დაიწვა წინათ აყვავებული ქალაქები და სოფლები. მოსახლეობის დიდი ნაწილი ბრძოლებში დაიღუპა, ცოცხლად გადარჩენილთ კისრად დააწვა მონობის მძიმე უღელი.

მონღოლებმა მთელი რუსეთი აღწერეს და ხალხს დიდი გადასახადი დააკისრეს. რუსი მთავრები იძულებულნი იყვნენ გამოცხადებულიყვნენ სარაი-ბათუში და იქ დამამცირებელი ცერემონიის შემდეგ მიეღოთ ხანის წყალობა—მთავრობის უფლება. მთავართა კარზე იმყოფებოდნენ ხანის მოადგილე ბასკაკები, რომლებიც კონტროლს უწევდნენ მთავრის საქმიანობას და გადასახადებს აგროვებდნენ. მათ განკარგულებაში მყოფი რაზმები ყველგან დათარეშობდნენ დი მოსახლეობას პირიდან ლუკმას აცლიდნენ. რუსულ თხზულებებში, ხალხურ თქმულებებში, ლექსებსა და სიმღერებში გადმოცემულია მონღოლთა ბატონობის მთელი საშინელება. მონღოლთა ლაშქრობის თანამედროვე ეპისკოპოსი სერაპიონი წერს: „ჩვენი მამებისა და ძმების სისხლმა წყალსავით გააძღო მიწა, მრავალი ჩვენი ძმა და შვილი ტყვედ წაასხეს, ჩვენი სოფლები ნორჩი ტყით დაიფარა; ჩვენი დიდება დასჭკნა; ჩვენი სილამაზე დაიღუპა; სიმდიდრე ჩვენი სხვისი საკუთრება გახდა; ჩვენი შრომა წარმართებმა მიითვისეს; ჩვენი მიწა-წყალი უცხო ტომელთა კუთ-

ვნილებად იქცა". იტალიელმა პლანო კარპინმა, რომელიც რომის პაპმა მონღოლებთან გაგზავნა, 1246 წ. გაიარა საჰხრეთ რუსეთის აოხრებული ადგილები. იგი მოგვითხრობს, რომ კიევში მხოლოდ 200 სახლი იყო დანგრევას გადარჩენილი, ხოლო მთელი გზა, სადაც კი მონღოლებმა ფეხი დაადგეს, ადამიანთა ჩონჩხებით იყო მოფენილიო. მონღოლთა ხარკის სიმძიმე ყველაზე მეტად დაბალ მოსახლეობას აწვა. ამას ნათლად მიუთითებს ძველი რუსული სიმღერა:

„ვისაც ფული არა აქვს,
იმის შვილს წაიყვანს;
ვისაც შვილი არა ჰყავს,
იმის ცოლს წაიყვანს;
ვისაც ცოლი არა ჰყავს,
იმას თავად წაიყვანს".

მონღოლთა ბატონობის საშინელებაზე კარლ მარქსი მიუთითებს: „ეს იყო უღელი, რომელიც არა მარტო ჩაგრავს, არამედ ხრწნის და აჭკნობს თვით სულს ხალხისას, რომელიც ამ უღელს ქვეშ აღმოჩნდება. თათარ-მონღოლებმა დააწესეს რეჟიმი სისტემატური ტერორისა, რომლის იარაღს წარმოადგენდა ძარცვა-გლეჯა და მასობრივი ხოცვა-ჟლეტა".

ამგვარად, თათარ-მონღოლთა მძიმე უღლის ქვეშ კვნესოდა რუსთა ქვეყანა. მხოლოდ ნოვგოროდი და პსკოვი გადაურჩნენ მონღოლთა ურდოების თარეშს, მაკრამ დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან სწორედ ამ სამთავროთა დასამონებლად მოისწრაფოდა მონღოლებზე არა ნაკლებ საშიში ძალა.

გერძანელმა რაინდებმა და შვედმა კოლონიზატორებმა სწორედ ხელსაყრელი დრო შეარჩიეს. მონღოლებმა გასტეხეს რუსთა ძლიერება და, მათი აზრით, ახლა ადვილად შეიძლებოდა მონღოლებისაგან გადარჩენილი მიწა-წყლის დაპყრობა. მაგრამ მონღოლთა შემოსევის წელსავე ლაშქრობის დაწყება რაინდებმა მაინც ვერ გაბედეს, რადგანაც მათი რაზმები რუს მოლაშქრეთა მამაცური დახვედრით საკმაოდ შებერტყილი იყო. სწორედ 1237 წელს ლივონიის ორდენი გაერთიანდა ტევტონთა ორდენთან, რომელიც სირიიდან პოლონელ მთავარს კონრადს ჰყავდა მიწვეული ლიტვა-პრუსიელთა წინააღმდეგ. „გერმანელი ქოფაკი რაინდების"

(კ. მარქსი) გაერთიანებული ორდენი ბალტიისპირეთის დამორჩილების შემდეგ უკვე მიადგა პსკოვსა და ნოვგოროდს.

* * *

ალექსანდრესთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა გერმანელ ფეოდალთა საომარი სამზადისი. მან, როგორც ნიჭიერმა პოლიტიკოსმა, შექმნილი ვითარება სწორად შეაფასა: ახლა, როცა თათარ-მონღოლთა ძლიერი ურდო რუსთა სამთავროებზე მბრძანებლობდა, ნოვგოროდის მცირერიცხოვანი ლაშქრით მას არ შეეძლო მრავალრიცხოვანი მტრისათვის გამკლავება. მაგრამ ალექსანდრემ კარგად იცოდა რუსი ხალხის სულისკვეთება და იმედოვნებდა, რომ ამჟამად წელში გატეხილი რუსეთი, რომელიც არასოდეს სხვისი მონა არ ყოფილა, თანდათანობით მოიკრებდა ძალას თათართა ბატონობის დასაბოლოებად. ამისათვის მხოლოდ დრო იყო საჭირო და ჯერჯერობით, ვიდრე ოქროს ურდოს ძლიერება არ შერყეულიყო, ხანებთან მოქნილი, მშვიდობიანი პოლიტიკის დაკავება სჯობდა. ალექსანდრეს ისიც კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ მას, ნოვგოროდის მთავარს, რომლის მიწა-წყალსაც არ შეხებია თათართა მახვილი, მთელი რუსეთის სახელით, ეკისრებოდა დაეცვა ეს მიწა-წყალი ბონღოლებზე კულტურით მაღლა მდგომი, მაგრამ უფრო ცბიერი, გამოცდილი და საშიში მტრებისაგან. ნოვგოროდ-პსკოვის ტერიტორია სიმბოლო იყო დამოუკიდებელი, ოდესღაც ძლიერი რუსეთისა და მისი ღირსებისა და სახელის დაცვა დაკისრებული ჰქონდა მას, 17 წლის ჭაბუკს, რუსეთის სახელგანთქმულ რაინდთა ნაშიერს.

ალექსანდრე სასწრაფოდ შეუდგა ნოვგოროდის სამთავროს სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების გამაგრებას მდინარე შელონის გასწვრივ. მანვე მოდარაჯე რაზმები ჩააყენა ნევის შესართავთან, მაგრამ სიმაგრეთა მშენებლობის დასრულება ვერც კი მოასწრო, რომ მდინარე ნევაზე გამოჩნდა შვედ დაპყრობათა ხომალდები. ცხადია, შვედების დაპყრობითი ზრახვები შეთანხმებული იყო ორდენთან. ორთაველ დაპყრობელს რუსთა მიწა-წყლის მიტაცება და განაწილება სურდა.

ჩვენ ზევით ვნახეთ, თუ როგორ დაიმსხვრიეს კბილები შვედმა დამპყრობლებმა 1164 წელს ლადოგის ტბასთან. ეს გაკვეთილი მათ კარგათ ახსოვდათ, მაგრამ ახლა ისინი რუსთა ქვეყანაში და-

ტრიალებულმა უბედურებამ გაათამამა. შვედ ჯვაროსნებს გათვალისწინებული ჰქონდათ, წაერთმიათ რუსეთისათვის ნევის შესართავი, აეგოთ იქ თავიანთი ციხე-სიმაგრე, ჩაეკეტათ რუსეთისათვის ბალტიის ზღვაზე გასასვლელი და დიდ სავაჭრო გზაზე თავიანთი კონტროლი დაეწესებინათ.

ამ ბოროტ განზრახვას შვედი დამპყრობლები საკმაოდ გაცვეთილი მოტივით — წარმართთა მორჯულებით ნიღბავდნენ. მათ გზას ულოცავდა რომის პაპი გრიგოლ მეცხრე, რომელიც მზად იყო ქრისტეს სახელით შეენდო ყველასათვის ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა, თუ ამას კათოლიკური ეკლესიის სამწყსოს გაფართოება მოჰყვებოდა.

1240 წლის ივლისის პირველ რიცხვებში შვედ ჯვაროსანთა დიდი ლაშქარი ხომალდებით შეიჭრა ნევაში და გადმოსხდა ხმელეთზე იქ, სადაც ნევას იჟორი შეერთვის. ამ მრავალრიცხოვან და თავით ფეხებამდე ჯავშანში ჩასმულ მეომარ-მეკობრეთა შორის იყვნენ უმთავრესად შვედები, აგრეთვე ნორვეგიელები და ფინელები შვედების მიერ დამორჩილებული ემისა და სუმის ტომებიდან. ლაშქარს სათავეში ედგა შვედეთში მეფის შემდეგ პირველი კაცი ოსტგოტლანდიის ჰერცოგი და ქვეყნის ფაქტიური მმართველი ბირგერი. ბირგერმა ნოვგოროდის მთავარს, როგორც მემატიანე მოგვითხრობს, გაუგზავნა ამაყი გამოწვევა: თუ შეგიძლია დამიხვდი და გამიმაგრდი, იცოდე აქა ვარ და დავიპყრობ შენს ქვეყანასო. ბირგერი ფიქრობდა ნევის ნაპირებზე შეესვენებინა ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილი რაზმები, შემდეგ დაძრულიყო ლადოგისკენ, აეღო ეს ქალაქი და ნოვგოროდისთვის შეეტია. გამარჯვება'ში წინასწარ დარწმუნებული ამაყი ბირგერი მისთვის სპეციალურად გამართულ კარავში ისვენებდა. ისვენებდნენ მისი მეომრებიც.

ალექსანდრემ უკვე იცოდა, რომ ბირგერის ლაშქარი შემოესია მის ქვეყანას. ნევასთან მოწყობილმა სადარაჯო დაცვამ, კერძოდ იჟორელმა პელგუსმა, სასწრაფოდ მიიტანა ეს ამბავი ნოვგოროდში.

„ალექსანდრე ნეველის ცხოვრების“ ავტორი მოგვითხრობს, რომ მთავარმა სოფიასთან შეკრიბა თავისი რაზმელები და მათ გამამხნევებელი სიტყვით მიმართა. მტრისათვის მოულოდნელი თავდასხმა და მისი განადგურება—ასეთი იყო ალექსანდრეს მიერ

სასწრაფოდ შეღუშავებული გეგმა, რაც უსათუოდ მის მაღალ სტრატეგიულ ნიჭზე მიუთითებს. მართლაც, თავდაჰსხმელები, როგორც სადარაჯო დაცვის ცნობიდან და თვით ბირგერის ამპარტავნული გამოწვევიდან ჩანდა, მრავალრიცხოვანი იყვნენ. მათთვის ნოვგოროდის კედლებთან ლოდინი დაბეჯპველ შედეგს მოიტანდა. ახლა ყველაზე მთავარი იყო ეშმაკობასთან და მამაცობასთან შეხამებული სისწრაფე და მოულოდნელობა.

მემატიანე წერს: „გაემგზავრა ალექსანდრე მათ წინააღმდეგ თავისი მამაცი მეომრების მცირე რაზმით, რადგან არ იყო დრო მრავალრიცხოვანი ჯარის შესაკრებად“. როგორც ჩანს, ალექსანდრემ საომრად გამგზავრების წინ შეადგინა კონკრეტული გეგმა: ცხენოსანი რაზმები მტერს შეუტევდნენ იჟორის გასწვრივ და შვედი მეომრების განლაგების ცენტრში. ქვეითი რაზმის ერთ ნაწილს ევალებოდა (ალექსანდრეს ბიოგრაფი ამ რაზმის ზეთაურად ასახელებს ნოვგოროდელ ბიშას) ნევის გასწვრივ მოქმედება და ამ ფლანგზე შვედების შევიწროების შემდეგ იმ ხიდების მოსპობა, რომლებიც ხომალდებს ხმელეთთან აკავშირებდნენ. ამ ამოცანის განხორციელებით შვედებს უკან დასახევი გზა ესპობოდათ.

15 ივლისს ნოვგოროდელთა მსუბუქად შეიარაღებული ლაშქარი ბირგერის ბანაკს მიადგა. შვედ მეომრებს აზრადაც კი არ მოსვლიათ, რომ რუსთა მთავარი ასე სწრაფად და მოულოდნელად მათ წინაშე აღმოჩნდებოდა, ისინი თავს არხეინად გრძნობდნენ. მაგრამ უეცრად კარვების განლაგებაში შეიჭრა რუსთა ცხენოსანი რაზმები ხმალაძოწვდილ ალექსანდრეს მეთაურობით და დაიწყო დამფრთხალი რაინდების ჩეხვა მარცხნივ და მარჯვნივ. მალე შვედები გონს მოვიდნენ და ნევის ნაპირას გაჩაღდა მძიმე, ხელჩართული ბრძოლა. მამაცობისა და გმირობის მაგალითს ამ სისხლისმღვრელ შეტაკებაში თვით ალექსანდრე იძლეოდა. იგი უშიშრად მიიჭრა ჰერცოგ ბირგერთან და ორთა ბრძოლაში სახეზე მძიმე ჭრილობა მიაყენა. შვედების დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე გაწყდა. გადარჩენილებმა ხომალდებს მიაშურეს. მაგრამ აქ მათ მოუსწრო ნოვგოროდელ ქვეითთა ლაშქარმა, რომელმაც ბევრ ხომალდზე ხიდები აჰყარა და სამი ხომალდი დაამსხვრია და ჩასძირა კიდეც. შვედები აბჯრიანად გადაეშვნენ ნევაში, რომ ხომალდებამდე ცურვით მიეღწიათ, მაგრამ ბევრი მათგანი წყალში ჩაიძირა. ძლივსღა მოასწრეს გემზე დაჭრილი ბირგერის აყვანა. სას-

ტიკად დამარცხებული ბირგერის მცირერიცხოვანი ჯარი შერცხვენილი გაეშურა ჩრდილოეთისაკენ.

მემატიანე აღფრთოვანებით ჰოგვითხრობს ნოვგოროდელი რაზმელების მამაცობაზე, რომლებიც შიშს გვრიდნენ მოწინააღმდეგეს. მამაცთა შორის განსაკუთრებით გამოჰყოფს ექვს დევგნიერ მეომარს: მათგან პირველი—გაბრიელ ალექსის ძე მისდევდა რა დაჭრილ ბირგერს, ცხენით შეიჭრა მტრის ხომალდზე და გასწყვიტა ბირგერის მრავალი მცველი. შეძდებმა იგი ცხენიანად წყალში გადააგდეს, მაგრამ მხედარმა გასცურა წყალი და ისევ მტერს დაედევნა. ახლა მან ხელჩართული ბრძოლა გაუმართა შეძდების ვოეოდა სპირიდონს და მას ხმლით თავი გაუპო, ხოლო ცვითონ უვნებელი დაბრუნდა რაზმში. მეორე—სბისლავ იაკუნოვიჩი იბრძოდა მხოლოდ ნაჯახით, მის მიერ თავგაჩეხილი მტრის მრავალი მეომარი დაეცა მიწაზე. მისი მაჯაცობით მტრებიც კი განცვიფრებული იყვნენ. მესამე—იაკობ პოლოჩანინი მარტო ხმლით მიიკვლევდა გზას მტრის რიგებში და თავის ვაჟკაცობით თვით მთავრის ქება დაიმსახურა. მეოთხე—ნოვგოროდელი მიშა თავისი ქვეითი რაზმით თავს დააცხრა მტრის ხომალდებს, აჰყარა ხიდები და სამი ხომალდი ჩასძირა. მეხუთე—სახელწოდებით ვინმე საბა შეიჭრა ბირგერის აბრეშუმის კარავში, აჩეხა მისი საყრდენები და კარავი დააქცია, რითაც „გაიხარა გულმან რუსთა ლაშქრისა“. მეექვსე--ალექსანდრეს მსახური რატიმირი მუდამ თან ახლდა თავის მამაც მთავარს, მასზე მოსეულ რაინდებს კაფავდა და გმირულად დაეცა მტერთან ბრძოლაში.

ალექსანდრემ ამ ბრძოლაში მხოლოდ ოციოდე რაზმელი დაჰკარგა. გამარჯვებული დაბრუნდა იგი ნოვგოროდში, სადაც 20 წლის ჭაბუკს გამარჯვების აღსანიშნავი პირველი საზეიმო მილოცვა ელოდა.

ნევასთან ალექსანდრეს გამარჯვება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. ჩაიფუშა შვედ დაპყრობათა გეგმები. ნოვგოროდი გადარჩა მონობას. კარლ მარქსს თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“ აღნიშნული აქვს: „1240 წ. ალექსანდრემ (ნოვგოროდის მთავარმა) ნევაზე დაამარცხა შვედები, აქედან წარმოსდგა მისი სახელი ნეველი“. ნევასთან მარცხის შემდეგ შვედ დამპყრობლებს დიდი ხნით დაეკარგათ რუსთა მიწა-წყლის მიტაცების ცდა. პირიქით, შვედებმა ზავი ითხოვეს და შეჰფიცეს, რომ ამიე-

რიდან რუსეთს არასოდეს თავს არ დაესხმოდნენ. ბალტიის ზღვასთან ნევის შესართავის დაცვას რუსეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთის შემდგომი ზრდა და განვითარება ბალტიის ზღვის ამ გასასვლელთან დიდად იყო დაკავშირებული.

შემთხვევითი როდი იყო, რომ XVI—XVII საუკუნეებში დაკარგული ბალტიისპირეთისათვის პეტრე პირველმა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში შვედების წინააღმდეგ 21 წლიანი ომი ჩაატარა, ბალტიის ზღვაზე გასასვლელი რუსეთს კვლავ დაუმკვიდრა და ქალაქი პეტერბურგი სწორედ იმ ადგილებში ააგო, სადაც ნეველის რაზმმა რუსთა იარაღი საშვილიშვილოდ ასახელა.

* * *

ნევასთან გამარჯვების შემდეგ ალექსანდრეს წარმატებისაგან თავბრუ არ დახვევია. იგი კარგად ხედავდა, რომ უფრო ძლიერი მტერი ნოვგოროდის დასავლეთ საზღვართან იდგა და ბრძოლისათვის ემზადებოდა. ალექსანდრე იწყებს მტრის შესასვედრად წინასწარი ზომების მიღებას. როგორც ჩანს, ამ სამზადისში მან თავის უფლებას გადააჭარბა და ლაშქრობისათვის საჭირო საბსრების გაღება მოითხოვა, ამავე დროს ალაგმა ბევრი თავგასული ბოიარი, რომელიც პირად ანგარებას სახელმწიფოებრივ საქმეებზე მაღლა აყენებდა. მაგრამ ნოვგოროდის მართვის ადათ-წესები მთავარს, როგორც ვიცით, მეტისმეტად ზღუდავდა. პოლიტიკურად მომწიფებული და ბრძოლებში ნაცადი ალექსანდრე, როგორც ჩანს, ველარ შეურიგდა ვეჩეს და ვაჭარ-მიწათმფლობელთა დაუსრულებელ ჩარევას მის საქმეებში და 1240 წლის ზამთარში ნოვგოროდი მიატოვა. ალექსანდრე თავისი ოჯახით მამის საუფლისწულო პერეიასლავლში გადასახლდა.

ლივონელი ჯვაროსნები ალექსანდრეს ნოვგოროდიდან წასვლამ, ჩანს, დიდად გაახარა. ახლა მათ შეეძლოთ შეეტიათ რუსთა მცირერიცხოვანი რაზმებისათვის, რომელსაც სათავეში აღარ ეყოლებოდა ნევის ბრძოლების გმირი და დიდად სახელმოხვეჭილი სარდალი ალექსანდრე. გერმანელმა რაინდებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მოქმედება და უფრო სწრაფი წარმატების მიზნით ამ საქმეში ისევ დანელები ჩააბეს.

1240 წელს გერმანელებმა დერპტისა (იურიევის) და სხვა ქალაქების მცხოვრებთა იძულებითი მობილიზაციის შემდეგ განაახ-

ლეს შეტევა, ქალაქი იზბორსკი დაიპყრეს და დაანგრიეს. გერმანელი მემატიანე აღნიშნავს, რომ რაინდები „რუსთაგან არავის მოსვენებას არ აძლევდნენ, ვინც კი ქალაქის დასაცავად მიდიოდა, კლავდნენ, ან ტყვედ მიჰყავდათ, ირგვლივ ისმოდა მხოლოდ ტირილიო“. პსკოველებმა იზბორსკის დაცემის ამბავი რომ გაიგეს, სასწრაფოდ შეკრიბეს ლაშქარი და ვოევოდა გაბრიელის მეთაურობით იზბორსკის დასაცავად გაემართნენ. მაგრამ არაპროფესიული და მცირერიცხოვანი მოლაშქრეების დამარცხება თავით ფეხებამდე შეჯავშნულმა რაინდებმა ადვილად შესძლეს. იგივე მემატიანე წერს: „პსკოველები დამარცხდნენ, რვაასი კაცი ადგილზე დაწვა, დანარჩენები გაიქცნენ... და მთელს ტყეში ისმოდა მხოლოდ კვნესა და წყევლა-კრულვა...“

იზბორსკის დაპყრობის შემდეგ გერმანელი ჯვაროსნები პსკოვს მიადგნენ და ალყა შემოარტყეს. პსკოვს აღარ შეეძლო მეორედ ლაშქრის გამოყვანა, მაგრამ მტერს მაინც არ დანებდა. რაინდებმა გადაწყვიტეს სხვა გზით დაემორჩილებინათ გარემოცული ქალაქი: გერმანელთა აგენტებმა დაჭრთამეს პსკოველთა პოსადნიკი— გამცემი და მოღალატე ბოიარინი ტვერდილო ივანოვიჩი, რომელსაც აგრეთვე თანამდებობის შენარჩუნებასაც შეჰპირდნენ. მოღალატემ თავისი დამჭაშებით კარები გაუღო მტერს, პსკოვი ოკუპირებულ იქნა. რაინდებმა საშინლად ააოხრეს და გაძარცვეს იგი. ამის შემდეგ ჯვაროსნებმა ნოვგოროდის დასაველეთით მდებარე ვოდების ტერიტორია დაიმორჩილეს და ამკვარად უშუალოდ ბოიარულ რესპუბლიკას მოადგნენ.

იზბორსკთან, პსკოვსა და ვოდების ქვეყანაში მახვილოსანთა წარმატების ამბავი სწრაფად გავრცელდა გერმანიასა და დანიაში. ამ მხარის სიმდიდრეთა შესახებ ზღაპრული ხმები დადიოდა და ახალ საშოვარზე დაიძრნენ გერმანელ და დანელ გაკოტრებულ აზნაურთა ახალ-ახალი რაზმები.

გათამამებული მძარცველები შეიჭრნენ ნოვგოროდის სამფლობელოში. დაიკავეს რა ციხე-სიმაგრე კოპორიე, იგი გადააქციეს დასაყრდენ პუნქტად, საიდანაც ცალკეული მოთარეშე რაზმები ყველა მიმართულებით დაძრწოდნენ და ხალხს აწიოკებდნენ.

1240—1241 წლების ზამთრის განმავლობაში მახვილოსნები თავისუფლად დათარეშობდნენ ნოვგოროდის ტერიტორიაზე და ხშირად ქალაქის გარეუბანშიაც კი შეიჭრებოდნენ ხოლმე. ნოვგო-

როდში ჩაკვდა ვაჭრობა. ვინაიდან დასავლეთისაკენ გასასვლელი გზები ჩაკეტილ იქნა. გაბარტახდა მუდროდ დასახლებული დასავლეთი გარეუბანი. შეშინებული ლტოლვილი მოსახლეობა თავს აფარებდა ქალაქის კრემლს.

„ქრისტეს მსახურმა" რაინდებმა იეორის, ვოდებისა და კარელის მიწები საუკუნოდ მიართვეს რომის პაპს. მას კი ეს ტერიტორია ეზელის ეპისკოპოს ჰენრიხს გადაულოცა. ჰენრიხმა სასწრაფოდ შეიმუშავა ამ აღვილების დატაცების პროექტი, ნაწილი მიწებისა თავად დაისაკუთრა, ნაწილი კი რაინდებს გადასცა, რომ ამით ისინი ახალი მძარცველური საქმეებისათვის წაექეზებინა.

ნოვგოროდის ბლოკადამ დაბალი ფენების მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა, ჩამოწვა შიმშილობის საფრთხე. თვით ვაჭარბოიარებმაც კი, რომლებიც ფულის ქისას ყოველთვის მაღლა აყენებდნენ, ვიდრე სახელმწიფო ინტერესებს და რომელთა ინტრიგამ აიძულა ალექსანდრე, ნოვგოროდი დაეტოვებინა, იგრძნეს, რომ ალექსანდრესთან წაჩხუბებით დიდი შეცდომა დაუშვეს. ვეჩეზე დაბალი ფენების დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად გადაწყდა, ეთხოვათ ალექსანდრესათვის ქალაქში დაბრუნება.

ალექსანდრეს სერიოზული მოტივები ჰქონდა იმისათვის, რომ უმადური ფეოდალური რესპუბლიკის თხოვნა უყურადღებოდ დაეტოვებინა. მაგრამ დიდი სახელმწიფო მოღვაწე, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი და ბრძოლაში ნაცადი მხედართმთავარი ხედავდა, რომ ახლა საქმე ეხებოდა არა მარტო ნოვგოროდს, არამედ მთელ რუსეთს. რა მოსატანი იყო პირადი ინტერესები იქ მაშინ, როცა გათავხედებული მტერი მისი სამშობლოს, მისი წინაპართა დიდების, მისი ნამოღვაწარის გაქელვას ცდილობდა. იგი სასწრაფოდ დაბრუნდა ნოვგოროდში და მტრისათვის ანგარიშგასაწორების სამზადისს შეუდგა.

ალექსანდრემ სწორად გაითვალისწინა, რომ გერმანელი რაინდების წინააღმდეგ ბრძოლებში მას აღარ გამოადგებოდა ის ხერხი, რაც შვედების წინააღმდეგ გამოიყენა. სისწრაფე და მოულოდნელობა ახლა ვერ გადაწყვეტდა ომის ბედს, რადგან რაინდებს დაკავებული ჰქონდათ მრავალი ციხე-ქალაქი. მომავალ ლაშქრობისათვის საჭირო იყო დიდი ლაშქრის შეკრება, მისი სათანადოდ გაწვრთნა და შეიარაღება.

ნიჟიერმა ორგანიზატორმა ყველაფერი ეს მოკლე დროის განმავლობაში მოახერხა. ლაშქრის დასაკომპლექტებლად მან აგრეთვე გამოიყენა იჟორისა და კარელიის მოსახლეობა, რომლებიც სიხარულით შედიოდნენ ალექსანდრეს ლაშქარში. 1242 წლის ზამთარშივე ალექსანდრემ პირველი იერიში კოპორიეზე მიიტანა, ეს ციხესიმაგრე აიღო და მტრის გარნიზონი მთლიანად გაჟლიტა. ამით ალექსანდრემ რაინდებს მოუსპო ნოვგოროდის ტერიტორიაზე თარეშისათვის დასაყრდენი პუნქტი. მორიგ ამოცანას პსკოვის განთავისუფლება შეადგენდა, მაგრამ ალექსანდრე პირდაპირ არ წავიდა ამ ქალაქზე. იგი ნოვგოროდს დაბრუნდა. ცხადია, ეს ნაბიჯიც მხედართმთავრის მიერ წინასწარ იყო გაზომილი. პირველმა გამარჯვებამ აამაღლა ნოვგოროდელთა სულისკვეთება, განამტკიცა მხედართმთავრისადმი რწმენა. მისი ლაშქრის რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ალექსანდრემ მოწოდება გაგზავნა ვლადიმირის სამთავროშიც.

მთელმა ზამთარმა სალაშქრო თადარიგში განვლო. მარტის დასაწყისში ნოვგოროდში მოვიდნენ ალექსანდრეს ძმის ანდრიას პოლკები. მსუბუქად აღჭურვილი და კარგად გაწრთვნილი ლაშქარი ალექსანდრეს მეთაურობით დაიძრა მოძმე პსკოვისაკენ, რომელიც გერმანელთა უღელქვეშ კვნესოდა.

მარშრუტის შენიღბვის მიზნით ალექსანდრემ მიმართულება ჩრდილოეთისკენ აიღო, მაგრამ მტრისათვის მოულოდნელად პსკოვისკენ მიბრუნდა და სწრაფი იერიშით ეკვეთა ქალაქს. პსკოვში მოთარეშე მახვილოსნების გარნიზონი გააფთრებით იცავდა თავს, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. ბრძოლაში გადარჩენილი რაინდები და გერმანელი მმართველები ტყვედ ჩავარდნენ. ალექსანდრემ მათ ბორკილი დაადო და ნოვგოროდს გაგზავნა, ხოლო მოღალატე რუსები და ესტები სახრჩობელაზე ჩამოჰკიდა. პსკოვში, მოგვითხრობს მემატიანე, „არც ერთი გერმანელი აღარ დარჩა, ხოლო ქალაქი რუსთა ხელში გადავიდა“.

პსკოვის განთავისუფლება ლივონიელი რაინდებისათვის ძლიერ დარტყმა იყო, მაგრამ საბრძოლო ოპერაციები ამით როდი დამთავრდა. გენერალური შეტაკება ჯერ კიდევ არ მომხდარიყო და ამ გადამწყვეტი მომენტისათვის ორთავე მხარე გაცხოველებით ემზადებოდა.

იზბორსკსა და პსკოვში დამარცხების შემდეგ ლივონიის ორ-

დენის მაკისტრმა ბალკაზ ეპისკოპოსთა დახმარებით ახალი დიდი არმია შეკრიბა და ალექსანდრეს წინააღმდეგ დასძრა. მასში შედიოდნენ გერმანიიდან ახლადმოსული მაშველი რაზმები, შვედთა მეფის ჯარი და დაპყრობილი ტერიტორიებიდან იძულებით მორეკილი მეომრები. ეს იყო ყველაზე დიდი და მრისხანე ძალა, რის გამოყვანაც კი იმ მომენტში შეეძლოთ გერმანელ-შვედ კოლონიზატორებს. ამ ძალის დანიშნულებას არა მარტო ძველი მდგომარეობის აღდგენა, არამედ ნოვგოროდზე შეტევა და მისი საბოლოო დაპყრობა შეადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისათვის გერმანელთა სამხედრო ტექნიკა მაღალ დონეზე იდგა და რაინდები საუკეთესოდ იყვნენ შეიარაღებული. ისინი გარემოცული ქალაქის წინააღმდეგ იყენებდნენ სასროლ მანქანებს, ქვემეხის მსგავს იარაღს, რომელსაც „ეჟას“ უწოდებდნენ, ჰქონდათ ქვის კედლების დასანგრევი მოწყობილობა და მოძრავი ხის კოშკები, რომლებიდანაც გარემოცული ქალაქის გარნიზონს ესროდნენ; მეომრებს ლითონის ტანსაცმელი ეცვათ.

რაინდები, როგორც პროფესიული მეომრები, ცხადია, ბრძოლაში არა ერთგზის ნამყოფი და ნაწრთობი იყვნენ. ჰქონდათ მეტად მკაცრი დისციპლინა. მათი სამხედრო წყობა—გერმანელი მემატიანეს თქმით—„რკინის პოლკები“—თავზარდამცემი იყო პრიმიტიულად შეიარაღებული ხალხისათვის. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა სოლისებური შეჭრის ტაქტიკა,რაც მოწინააღმდეგის ძალთა ორად გათიშვას და მის ცალ-ცალკე განადგურებას ემყარებოდა. ფათერაკის მაძიებელი, იოლი წარმატებებით გათამამებულნი გერმანელი და შვედი აზნაურები მეტისმეტად ცივი, ამაყი, მიუკარებელი და ამავე დროს შეუბრალებელნიც იყვნენ. ქრისტეს ამქვეყნიური მოადგილის, რომის პაპისაგან წაქეზებულ ჯვაროსნებს წარმართთა მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა გასართობ და სასარგებლო საქმედ მიაჩნდათ. თავის თავისადმი რწმენა, ყოყოჩობა, სხვისი აბუჩად აგდება და დამცირება მათ ჩვევად ჰქონდათ გადაქცეული.

გერმანელ და შვედ რაინდთა ამ შეჯავშნულ, მწყობრ, კარგად გაწვრთნილ და დისციპლინიან პოლკებთან შედარებით რუსთა ლაშქარი ვერ სტოვებდა კარგ შთაბეჭდილებას. მართალია, ალექსანდრეს ჰყავდა პროფესიულ მეომართა რაზმი, რომელიც კარგად

იყო შეიარაღებული და საბრძოლო ნათლობაც ჰქონდა მიღებული, მაგრამ ეს რაზმი მეტად მცირე იყო. ლაშქრის მეტი ნაწილი გლეხებისა და ხელოსნებისაგან შესდგებოდა, რომლებიც უმთავრესად ნაჯახებით, ცელებით, შუბებით, ორკაპებით იყვნენ შეიარაღებულნი. მათ არავითარი სამხედრო მომზადება არ გააჩნდათ. ძალთა ასეთი უთანასწორობის მიუხედავად ალექსანდრე ღრმად იყო დარწმუნებული გამარჯვებაში. მას სჯეროდა, რომ ამ პრიმიტიულად შეიარაღებულ ადამიანთა გულებში დაგუბებული იყო მტრისადმი შურისგების უძლიერესი გრძნობა. ისინი სიცოცხლეს არ დაზოგავდნენ, ოღონდ ამ განსაცდელის ჟამს დაეცვათ საკუთარი ქვეყანა, საკუთარი სახლ-კარი. თუ გერმანელი და შვედი აზნაურებისათვის ეს ომი მხოლოდ პროფესია იყო და მას სხვისი დაჩაგვრისა და გაძარცვის გარდა არავითარი მიზანდასახულება არ გააჩნდა, რუსი ხალხისათვის, რუსი მოლაშქრეებისათვის ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ალექსანდრეს სჯეროდა, რომ მისი ლაშქარი ან ერთიანად გაწყდებოდა, ან გათავხედებულ მტერს გაანადგურებდა. თავისებური უპირატესობა გააჩნდა ალექსანდრეს სახალხო ლაშქარსაც: იგი ყველაზე მეტ საშუალებას იძლეოდა სიმამაცის, გმირობის, საზრისიანობისა და მოხერხებულობის გამოჩენისათვის. სახალხო ლაშქარში ყველა ძოქმედებდა ცალკე, საკუთარი ჯკუა-გონებით. ამიტომ აქ პირადი უნარის გამოვლინების შესაძლებლობაც მეტი იყო. გავიხსენოთ თუნდაც ნევის ბრძოლაში ექვსი ყოჩაღი მეომრის გმირობა: ისინი ხომ სავსებით დამოუკიდებლად ძრქმედებდნენ, მაგრამ საერთო საქმისათვის გადამწყვეტ ოპერაციებს ანხორციელებდნენ.

1242 წ. აპრილის პირველ რიცხვებში რაინდთა დიდი რაზმი თვით მაგისტრის მეთაურობით დაიძრა ნოვგოროდისკენ და გზაზე გაანადგურა მზვერავთა ის მცირე რაზმი, რომელიც ალექსანდრეს ჰყავდა გაგზავნილი. ალექსანდრემ მის წინააღმდეგ მომავალი დიდი ლაშქრის შესახებ ცნობა რომ მიიღო, თავის რაზმებს მცირედით უკან დაახევინა, რათა მტრისათვის დასახვედრად ისინი უფრო მოხერხებულ ადგილზე განელაგებინა.

ალექსანდრესათვის ნაცნობი უნდა ყოფილიყო გერმანელ რაინდთა წყობა და მათი სოლისებური შეჭრის ტაქტიკა. მართლაც ეს ტაქტიკა საკმაოდ ძველი იყო და მას გერმანელთა ტომები ჯერ კიდევ მაშინ იყენებდნენ, როცა რომის იმპერიას ებრძოდნენ. ერთ-

ერთი რომაელი ისტორიკოსი, გერმანელების წინააღმდეგ რომაელთა ბრძოლას რომ აგვიწერს, მიუთითებს: ბარბაროსთა რაზმები „უხეშად, ჯარისკაცულად რომ ვთქვათ, იბრძოდნენ ისეთი წყობით, რომელიც გარეგანი ფორმით ღორის თავს ჩამოჰგავდა“. ამ წყობის შედგენა შემდეგნაირად ხდებოდა: პირველ მწკრივს შეადგენდა ხუთი ცხენოსანი რაინდი, მეორე მწკრივს ორი მეომარი ევატებოდა. ასე იბრდებოდა მწკრივები, ვიდრე მათი რიცხვი ათამდე არ მიაღწევდა. ეს შეჯავშნული ტრაპეცია კოლონის თავს წარმოადგენდა. მას უკან მიჰყვებოდა რაინდთა მწყობრი რაზმი, ხოლო შემდეგ ქვეითი მეომრები — უმთავრესად საჭურველმტვირთველები, მსახურები, კნეხტები, რომელთა ძირითად ამოცანას შეადგენდა რაინდების მიერ შუაზე გაკვეთილი და არეული მოწინააღმდეგის საბოლოო ლიკვიდაცია. ამ „ღორის დინგისებურ“ წყობის ლაშქრის სათავეში იდგნენ ყველაზე მამაცი რაინდები. მათვე მიჰქონდათ პოლკის დროშა. რაინდთა წესდების თანახმად, მწყობრიდან გამოსვლა ან გაქცევა ვიდრე დროშა ფრიალებდა, შეუძლებელი იყო. რაზმს რამდენიმე მედროშე ჰყავდა და ერთის მოკვლის შემთხვევაში მას მეორე ცვლიდა.

1242 წლის 5 აპრილს, დილით ალექსანდრემ განალაგა თავისი ლაშქარი ჩუდის ტბაზე ყორნების კლდის მახლობლად. პოზიცია თავდაცვისათვის მეტად მოსახერხებელი იყო: გერმანელთა მოძრავი რკინისებური სოლი რუსთა განლაგებაში რომ შეიჭრებოდა, კლდის შვეულ კედლებს მიადგებოდა და მას ესპობოდა წინსვლის საშუალება. ალექსანდრეს დიდი მხედართმთავრული ნიჭი მოჩანს ლაშქრის განლაგებაშიც. მან უარჰყო რუსეთის არმიის ტრადიციული საბრძოლო წყობა (ძლიერი ცენტრი, შედარებით სუსტი ფლანგები). ამ შემთხვევაში, გერმანელთა შეჯავშნულ ისარს, რომელიც უშუალოდ ცენტრისკენ იქნებოდა მიმართული, სულ ერთია, ვერ გაუმკლავდებოდა. ახლა სწორედ საფლანგო ნაწილების გაძლიერება იყო საჭირო. სწორად გაითვალისწინა რა გერმანელთა საბრძოლო წყობის სუსტი მხარეები, ალექსანდრემ თავისი რაზმი მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე გააძლიერა. ამავე დროს მოლაშქრეთა ნაწილი ალექსანდრემ ჩაასაფრა, რომ მათ გადაბუდებულ მომენტში დაეწყოთ მოქმედება. გერმანელთა მოძრავი ჯავშანი რუსთა ლაშქრის ცენტრს რომ დაეჯახებოდა, საფლანგო ნაწილებს მჭიდროდ უნდა შემოესალტათ იგი, შეენგრიათ მისი გვერდები.

თუ ეს შეკრული ჯავშანი დაიშლებოდა, მაშინ მსუბუქად შეიარაღებული რუსი ლაშქრისათვის ადვილი იყო ცალკეული ნაწილების ლიკვიდაცია.

გათენებისთანავე დაიწყო ბრძოლა. როგორც მოსალოდნელი იყო. შეტევის ინიციატივა მახვილოსნებმა აიღეს. მტკიცე მარშით დაიძრა მათი შეკრული კოლონა რუსთა ლაშქრის ცენტრისაკენ. აპრილის მზეზე ბრწყინავდა მათი ლითონის ტანსაცმელი და ფარშუბები. ბრძოლის წყურვილით ანთებულ რუს მეომრებს ძლივსღა აკავებდნენ მეთაურები.

მახვილოსნებმა ალექსანდრეს ლაშქრის სუსტი ცენტრი ადვილად გაარღვიეს და ბრძოლა მოგებულად მიაჩნდათ, მაგრამ სწორედ ამ დროს ეკვეთნენ მათ რუსი მოლაშქრენი მარჯვენა და მარცხენა მხრიდან გააფთრებული იერიშების შემდეგ ჯავშნის კედლები შენგრეულ იქნა. გერმანელთა საბრძოლო წყობა დაიშალა და მოწინააღმდეგენი ერთმანეთში აირივნენ. გერმანელ რაინდებს გაუჭირდათ ყინულზე ბრძოლა. ცხენებს ფეხი უცურდებოდათ. მოუხერხავი ტანსაცმელი მათ ხმლის თავისუფალი მოქნევის საშუალებას არ აძლევდა. რუსი მეომრები კი მტერს უმოწყალოდ ჩეხდნენ. ჰენრიატიანე მოგვითხრობს: „იყო დღე შაბათი და ბზის ამოსვლისას შეიბა ორი ლაშქარი. გერმანელები და ჩუდები სოლივით შეიჭრნენ რუსთა პოლკების შიგნით. იყო საშინელი და ბოროტი ჟლეტა. შორს გაისმოდა ტკრციალი დამტვრეულ შუბთა, ბახვილთა ზედა მახვილის ცემით აღარ იყო ყურთასმენა. იწყო დრეკად ყინულმან, ვითარცა ტალღამ ზღვისა. მოკლულ ცხენთა და კაცთა სიმრავლე და მდინარე სისხლისა ფარავდა ყინულს". „რუსი მეომრები, გადმოგვცემს ალექსანდრეს ბიოგრაფი, იბრძოდნენ ვითარცა ლომნი." ვისაბაძ მაგალითს ამ მხრივ თვით ალექსანდრე იძლეოდა. იბრძოდა იგი როგორც რიგითი მეომარი. ბრძოლის ყველაზე სახიფათო ადგილებში დააჭროლებდა თავის ჯარანს, აბიბინებდა თავისიანებს, სჩეხდა რაინდებს. მისი ზარივით მჭექარე ხმა მოწოდებად გაისმოდა ბრძოლის ველზე.

რუს მოლაშქრეთა გარშემორტყმულ მახვილოსნებს არ ჰქონდათ თავისუფალი მანევრირების საშუალება. გარემოცვის რკალი მათ გარშემო თანდათან ვიწროვდებოდა. ბოლოს რაინდთა ერთმა ჯგუფმა შესძლო რკალის გარღვევა და ბრძოლით უკანდახევა დაიწყო. მაგრამ უკანდახეულ რაზმებს არ შეეძლოთ რომელიმე ზღუ-

დეზე შეჩერება. ტბის მოყინული სწორი ზედაპირი თავშეფარებისა და ფეხის მოკიდებისათვის ვერ გამოდგებოდა. გერმანელმა რაინდებმა გაქცევა იკადრეს, მაგრამ ლხვობა დაწყებული ყინულის ხელმა ფენამ ველარ დაიმაგრა მათი ლაშქარი. ბევრ ადგილას ყინული ჩატყდა და რაინდთა და მეაბჯრეთა დიდი ნაწილი ჩუდის ტბამ შთანთქა.

7 ვერსის მანძილზე სუბოტიჩის ნაპირამდე მოსდევდნენ გაქცეულთ რუსი რაზმელები და მუსრს აევლებდნენ. მახვილოსანთა დიდი რაზმიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა გაასწრო ბრძოლის ველიდან. ჩუდის ტბის ყინულოვანი ზედაპირი კი წითლად იყო შეღებილი. მარტო 400 რაინდი თავგაჩეხილი ეგდო ბრძოლის ველზე. ხოლო 50 რაინდი გათოკილი ელოდა თავის ხვედრს. მემატიანე მოგვითხრობს: მტერმა გაქცევა იწყო, მაგრამ გასაქცევიც აღარა ჰქონდა. ურტყამდნენ მათ (რუსი მეომრები) 7 ვერსზე სუბოტიჩის ნაპირამდე, ბრძოლის ველზე 500 გერმანელი დაეცა, ხოლო ჩუდები უთვალავი. 50 საუკეთესო გერმანელი სარდალი ტყვედ ჩაიგდეს და ნოვგოროდს წაიყვანეს,სხვა გერმანელები ტბაში დაიხრჩვნენ, რადგან გაზაფხული იდგაო.

ჩუდის ტბასთან მარცხმა საშინელი პანიკა გამოიწვია ლივონიაში დასახლებულ გერმანელთა შორის. დიდმა მაგისტრმა სა. ჩქაროდ აფრინა ელჩები გერმანიასა და დანიაში, რათა დაეცვა თავი „ურწმუნო“ და „შეუბრალებელ რუსებისაგან“. მაგისტრი ფიქრობდა, ალექსანდრე თავისი გამარჯვებული ლაშქრით ახლა რიგაზე წავიდოდა და საბოლოოდ ამოკვეთავდა მათ ფეხს ბალტიისპირეთში.

მაგრამ ალექსანდრემ სხვაგვარად განსაჯა. გათავხედებული ლივონელი რაინდებისათვის ეს გაკვეთილი საკმაო იყო და ისინი დიდხანს ველარ გაბედავდნენ რუსთა მიწა-წყალზე ფეხის დაბიჯებას. მცირე რაზმებით შორეული ლაშქრობა კი სახიფათო იყო. ვინაიდან ნოვგოროდს აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ისევ მტრის თვალი დარაჯობდა. იგი დაბრუნდა უკან. თავის დიდ განმათავისუფლებელს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს პსკოველებმა. უფრო დიდი საზეიმო დახვედრა ელოდა მას ნოვგოროდში. მთელი ქალაქი შემოეგება ცის სახელოვან ლაშქარს, რომელსაც გათოკილი რაინდები მოჰყავდა და ბრძოლაში მამაცურად დაცემულ რუს მეომართა გვამები მოჰქონდა.გუგუნებდნენ სამლოცველოების ზარები„

ფრიალებდა დროშები, აღტაცების შეძახილები გაისმოდა ირგვლივ. ალექსანდრე ესალმებოდა მადლიერ თანამებრძოლებს, ამაყად გაჰყურებდა სამშობლო დროშას.

ჩუდის ტბასთან გერმანელ რაინდთა დამარცხება უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო, რომლის მნიშვნელობა რუსეთის ფარგლებს სცილდებოდა. ამ ბრძოლაში დაიმსხვრა ბოროტი გეგმები გერმანელი და შვედი ფეოდალებისა, რომის პაპისა, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ ქრისტიანობის ნიღაბქვეშ დაემონებინათ აღმოსავლეთისა და სამხრეთის მეზობლები. გერმანულ-შვედური აგრესია არა მარტო პსკოვსა და ნოვგოროდს, არამედ ბალტიისპირეთის, ლიტვის, პოლონეთის, ბალკანეთის სლავთა დამოუკიდებლობასაც ემუქრებოდა. გერმანელ და შვედ აზნაურთა დევიზი „დრანგ ნახ ოსტენ“ გულისხმობდა ამ სახელმწიფოთა „სასიცოცხლო სივრცეების“ ზრდას აღმოსავლეთის დაპყრობილ და დამონებულ ხალხთა ხარჯზე. ჩუდის ტბაზე ბრძოლამ ეს გეგმები დაამსხვრია და აგრესია შეაფერხა სწორედ იმ მომენტისათვის, როცა რუს, ლიტველ, ბალტიისპირელ ხალხს ყველაზე მეტად უპირდა. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი კარლ მარქსი თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“ მიუთითებს: „1242 წ. **ალექსანდრე ნეველი ილაშქრებს გერმანელ რაინდთა** წინააღმდეგ, ამარცხებს მათ **ჩუდის ტბის** ყინულზე ისე, რომ ნაძირალები საბოლოოდ იქნენ განდევნილი რუსთა საზღვრიდან“.

ამ ბრძოლამ ისე გასტეხა ლივონელ მახვილოსანთა ძლიერება, რომ 1243 წელს მათ ელჩები გაგზავნეს ალექსანდრესთან და დაზავება ითხოვეს. აქამდე ქედმაღალმა ლივონიის ორდენმა ახლა სიხარულით დათმო ლივონიის ნაწილი.

ნევასთან და ჩუდის ტბაზე გამარჯვებებმა ალექსანდრეს სწორუპოვარი გმირის სახელი მოუხვეჭეს. მოწიწებით იხსენიებენ მის სახელს თანამედროვე და შემდგომი დროის რუსული წერილობითი ძეგლები. მემატიანეები სიტყვებს არ იშურებენ მისი ქება-დიდებისათვის. სიბრძნით ალექსანდრეს სოლომონ მეფეს ადარებდნენ, ძალით—ბიბლიურ სამსონს, ხოლო მამაცობით ალექსანდრე მაკედონელს. რუსთა ქვეყანას გასცდა ალექსანდრეს გმირობის ამბავი. მემატიანე აღნიშნავს, რომ სახელი და დიდება მისი „განისმა ვარიაგთა ზღვით ვიდრე პონტოსა და კასპიის ზღვამდის, მიღწეულ

იქნა არარატის მთით წიაღთა ტიბერისათა, და თვით რომის კარიბჭემდე". თვით რომის პაპებმა,—აღნიშნავს ისტორიკოსი კოსტომაროვი,—რომლებიც აქამდე რუსთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის სულისჩამდგმელნი იყვნენ, ახლა აირჩიეს სხვა გზა—„ელჩობის და დარწმუნების გზა, რაც, როგორც ცნობილია, ისევე უნაყოფო აღმოჩნდა, როგორც წინანდელი შემმართებელი ბულები".

* * *

ალექსანდრე ნეველი იყო თავისი დროის ბრწყინვალე მმართველი-პოლიტიკოსი და სარდალი, დიდი სტრატეგი და ტაქტიკოსი. ნევასთან და ჩუდის ტბასთან მოპოვებული გამარჯვებანი მისი მაღალი მხედართმთავრული ტალანტის ბრწყინვალე დემონსტრაციაა. თითოეული ეს ბრძოლა მოკლებულია შაბლონს, ისინი ვითარების ყოველმხრივი გათვალისწინებიდან გამომდინარეობენ და გაოცებას იწვევენ ამოცანის ერთადერთი შესაძლებელი და სწორი გადაწყვეტით. თუ ნევასთან ბრძოლაში ყველაფერი მოულოდნელობაზე იყო დამყარებული, სამაგიეროდ ჩუდის ტბასთან ბრძოლაში გამარჯვებას განსაზღვრავდა მოწინააღმდეგის ტაქტიკური ხერხების სუსტი მხარეების გათვალისწინება, მისი აქილესის ქუსლის მონახვა. ჩუდის ტბასთან ბრძოლას სტრატეგიული გადაწყვეტის თვალსაზრისით სპეციალისტები ადარებენ კანის იმ ცნობილ ბრძოლას, რომელიც 216 წელს მოხდა რომაელებსა და კართაგენელებს შორის. კართაგენელთა მამაცმა სარდალმა ჰანიბალმა რომის კონსულისა და ცნობილი სარდლის ტერენცი ვარონის წინააღმდეგ ფლანგებიდან იერიში განახორციელა და რომაელთა 80.000 ლაშქარი 55.000 კაცით სასტიკად გაანადგურა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ალექსანდრემ ჩუდის ტბასთან ჰანიბალის გეგმა გამოიყენა. მას შეიძლება არც კი გაეგონა ამ სარდლის სახელი. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ერთსაც და მეორესაც მოწინააღმდეგის განადგურების ასეთი გეგმა შთააგონა კონკრეტულმა ვითარებამ, რომლის დაწვრილებითი გათვალისწინება გენიოს მხედართმთავრებს შეეძლოთ ისევე, როგორც ოსტატ მოჭადრაკეს შეუძლია დაფაზე წინასწარ გაიანგარიშოს რთული ძდგომარეობიდან გამოსავალის ყველაზე საუკეთესო სვლა.

მაგრამ ალექსანდრე იყო არა მარტო გამოჩენილი მხედართ-

მთავარი, არამედ შესანიშნავი დიპლომატიც. მას შეეძლო სწორად აეწონა საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია და მეზობელ სახელმწიფოებთან დამოკიდებულება ვითარების სწორი ანალიზიდან გამომდინარე დასკვნების მიხედვით წარემართა.

ცნობილია, რომ 1250-იან წლებში გალიციელი მთავრის დანიელ რომანის ძის თაოსნობითა და მხურვალე მონაწილეობით ყალიბდებოდა კოალიცია თათარ-მონღოლთა წინააღმდეგ. იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა რომის პაპთან, რომელიც თითქოს ამ კოალიციის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, რომის პაპს პირველხარისხოვან საქმედ მიუჩნევია ამ კოალიციაში სახელგანთქმული ალექსანდრე იაროსლავის ძის მონაწილეობა. შეთანხმების მისაღწევად მასთან საგანგებოდ ელჩები მიუგზავნია. პაპი ახლა შემპარავი ტონით მიუთითებდა ბალტიისპირეთში კათოლიკეთა უფლებებზე და ალექსანდრეს კავშირს სთავაზობდა. მაგრამ ბრწყინვალე დიპლომატიურმა ნიჭმა ალექსანდრეს უკარნახა დანიელ რომანის ძისთვის არ მიებაძა და უნაყოფო კოალიციის წევრი არ გამხდარიყო. „თქვენგან მოძღვრებას არ ვიღებ“,—უპასუხა პაპის ელჩებს ალექსანდრემ. იგი დარწმუნებული იყო, რომ პაპის პირმოთნული მიმართვა გამოწვეული იყო მის წინანდელ ღონისძიებათა მარცხით. დასავლეთიდან საფრთხე რუსეთს საკმაო ხნით აღარ ელოდა, ხოლო კოალიცია თათარ-მონღოლთა წინააღმდეგ ჯერ კიდევ არ მომწიფებულიყო.

თუ გერმანელი და შვედი კოლონიზატორების გეგმებს ალექსანდრე იარაღით ეღობება წინ და სისხლისმღვრელ ბრძოლებში ამარცხებს კიდეც, თათარ-მონღოლებთან მისი ურთიერთობა უფრო მორჩილი და მშვიდობიანია. აღმოსავლეთელ დამპყრობლებთან ასეთი დამოკიდებულება ნაკარნახევი იყო მაშინდელი ვითარებით. სამართლიანად შენიშნავს კოსტომაროვი: „დასავლელი მტრები ცდილობდნენ დაეპყროთ ჩრდილოეთ რუსეთი, ხოლო აღმოსავლეთელმა მტრებმა უკვე მოასწრეს რუსეთის დაპყრობა, მისი გაპარტახება და გაუკაცურება. მაშინ რუსული მოსახლეობის ნარჩენების მცირერიცხოვნობის, სიღარიბისა და გათიშულობის გაძო ფიქრიც კი არ შეიძლებოდა მონღოლთა ძალაუფლებისაგან თავის დაღწევაზე. საჭირო იყო სხვა გზის არჩევა.“

ალექსანდრემაც ჯერჯერობით მორჩილების გზა აირჩია.

რუსთა სამთავროებზე სამხედრო გამარჯვების შემდეგ ოქროს

ურდოს ხანი ბათო მიზნად ისახავს განამტკიცოს პოლიტიკური ბატონობა მის მიერ დაპყრობილ მიწა-წყალზე. რუსეთის დაქუცმაცებულობა, სამთავროთა შორის შუღლი და მტრობა თათარ-მონღოლებს ხელს უწყობს ამ ამოცანის განხორციელებაში. რუსი მთავრები იძულებულნი არიან გამოცხადდნენ ურდოში და თუ ხანის მიერ სანდოდ იქნებიან ცნობილნი, მიიღებენ რაყამს მთავრობის უფლებაზე. მაგრამ ეს პროცედურა მეტად დამამცირებელი და ამავე დროს სარისკოც იყო. ხშირ შემთხვევაში ურდოში მისული მთავარი უკან ვეღარ ბრუნდებოდა.

ოქროს ურდოში პირველი გამოცხადდა ალექსანდრე ნეველის მამა იაროსლავ ვსევოლოდის ძე. ეს იყო 1243 წელს. ბათომ მას დიდი მთავრის რაყამი უბოძა. იაროსლავი დაბრუნდა ვლადიმირში და შეუდგა ქვეყნის მართვას. ბათომ იგი რუსეთში პირველ ვასალად გაიხადა. მაგრამ მალე იაროსლავის მდგომარეობაც გართულდა; იგი დიდ ურდოში—ყარაყორუმში გამოიძახეს. ოქროს ურდოსა და ყურულტაის შორის, როგორც ჩანს, ფარული მტრობა არსებობდა. დიდ ურდოში სურდათ რუსეთის მმართველად თავიანთი კაცი ჰყოლოდათ. ბათოს მიერ არჩეული პიროვნება მათთვის სანდო არ იყო. ყურულტაის იმ პარტიამ, რომელსაც ყაენის დედა ხელმძღვანელობდა, იაროსლავი მოაწამლვინა. იმავე პარტიამ ახლა ყარაყორუმში იაროსლავის შვილი ალექსანდრე გამოიძახა და შეჰპირდა მას მამის თანამდებობის გადაცემა.

ალექსანდრემ შეაფასა რა ვითარება, სწორი დასკვნაც გამოიტანა: განზე გადგომა ნიშნავდა ხანის გადაკიდებას, რასაც უსათუოდ მოჰყვებოდა მისი მრავალრიცხოვანი რაზმების გამოჩენა ნოვგოროდში, და ახლა, როცა ყოველ მხრიდან საფრთხე ემუქრებოდა, მარტო მას არ შეეძლო შებრძოლებოდა თათართა ურიცხვ ლაშქარს. ალექსანდრემ იცოდა, თუ რა ბედი ეწვია მის მამას, მაგრამ იმედი ჰქონდა რა საკუთარი დიპლომატიური ნიჭისა, გადაწყვიტა სწვეოდა ურდოს.

ბათოს მთავარი სადგომი სარაი იყო, რომელიც ვოლგის სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობდა. ეს იყო მეტად თავისებური ქალაქი, რომელსაც სრულიადაც არ ამშვენებდა არქიტექტურულად გაფორმებული შენობები. უთვალავი თექის საბარგულები და კარვები უწესრიგოდ ეყარა ვეებერთელა ტერიტორიაზე. ამ კარვებსა და საბარგულებში ცხოვრობდნენ მონღოლთა ოჯახები. აქვე

იყო თავმოყრილი ბათოს არმია, რომელიც პლანო-კარპინის ცნობით 600.000 აღემატებოდა. თუ ყაენი მოისურვებდა საბრძანებლის სხვაგან გადატანას, ასეულ ათასობით საბარგული დაიძვრებოდა ახალი მიმართულებით და ქალაქიც რამდენიმე დღეში გაქრებოდა.

ალექსანდრე გამოცხადდა ურდოში. წესისამებრ, მას ორ ცეცხლშუა უნდა გაევლო. თათრების წარმოდგენით, ცეცხლი სწმენდდა ადამიანს ბოროტებისაგან და ხანის სიცოცხლეს დარაჯობდა. გადმოგვცემენ, რომ ამაყმა ალექსანდრემ არ ისურვა ამ დამამცირებელი ცერემონიის შესრულება, რისთვისაც მას სიკვდილი გადაუწყვიტეს, მაგრამ ბათოს მოეწონა ვაჟკაცი ალექსანდრე და არა თუ აპატია საერთო წესის დარღვევა, არამედ დიდი პატივითაც მიიღო. ძნელია თქმა, მართალია თუ არა ეს გადმოცემა. ერთი რამ კი ცხადია, ალექსანდრეს გმირობისა და მხედართმთავრული ოსტატობის შესახებ ბათოს უტყუარი ცნობები ჰქონდა. ნოვგოროდის ამაყი მფლობელი, რომელმაც არა ერთი და ორი საშინელი მარცხი აგემა დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ლაშქარს, რომლის ტერიტორიაზე მონღოლთა რაზმებს ფეხი არ დაუდგამთ, თავისი ნებით გამოცხადდა ბათოს წინაშე, რათა მისთვის მორჩილება აღეთქვა. ბათოსთვის ეს დიდი პატივი იყო. მან გადაწყვიტა ალექსანდრესადმი მოწყალება არ დაეშურებინა, მით უმეტეს, რომ ალექსანდრეს მამამ იაროსლავმა ბათოსაგან პირველმა მიიღო დიდი მთავრის რაყამი.

მაგრამ დიდი მთავრის რაყამის მიცემაზე საჭირო იყო მონღოლთა უზენაესი ყაენის თანხმობა, მეტადრე, რომ ალექსანდრეს ყარაყორუმში დაჟინებით იბარებდა დიდი ყაენის დედა და ბათოს რჩევით ძმები ალექსანდრე და ანდრია იაროსლავის ძენი დაადგნენ ყარაყორუმის შორეულ გზას.

საშინელი იყო მონღოლთა ნატერფალით გაევრანებული ეს ერცელი გზა; ერთი ზამთრისა და მეორე ზაფხულის განმავლობაში მიდიოდნენ ისინი და ვაჟკაცურად იტანდნენ ზამთრის მკაცრ ყინვებს და ზაფხულის პაპანაქება სიცხეებს. არ ვიცით ყარაყორუმში მრავალტანჯულ ძმებს შეხვდნენ ქართველი უფლისწულები—ულუ დავითი და ნარინ დავითი თუ არა, რომლებიც აგრეთვე ბათოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილებისათვის უზენაეს ყაენ მანგუსთან იყვნენ გაგზავნილი. როგორც ცნობილია, იაროსლა-

ვი (ალექსანდრეს მამა) ქართველ უფლისწულებთან ერთად იმყოფებოდა ყაენის კარზე. მათი კარვები მეზობლად ყოფილა. ქართველი ჟამთააღმწერელი ქართველი ბატონიშვილების შესახებ აღნიშნავს: „ესრე მრავალჟამს იმყოფებოდეს ხატაეთს და ყარაყორუმს...ორნი იგი დავით და დავით... დაჰყვნეს ვითარ ხუთისა წლისა ჟამი“. აკად. ივანე ჯავახიშვილის გამოანგარიშებით ყარაყორუმში „საქართველოს სამეფო ტახტის გამო ცილობა ულუ და ნარინ დავითებს შორის 1247 წ. უკვე გადაწყვეტილი იყო, ორივე მეფე თუ იმავე 1248 წ. არა, 1249 წ. მაინც საქართველოში დაბრუნებულად უნდა ვიგულისხმოთ“. ალექსანდრე და ანდრია სწორედ ამ წელს ჩავიდნენ ყარაყორუმში.

მანგუ ყაენმა იაროსლავის ძენი პატივით მიიღო და თანამდებობაც უწყალობა. ალექსანდრეს არგუნა კიევი, ჩერნიგოვი და პერეიასლავლი, ხოლო ვლადიმირის დიდი მთავრის ტიტული უბოძა ანდრია იაროსლავის ძეს. რატომ არ მისცეს დიდი მთავრის ტიტული ალექსანდრეს? ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან წყაროებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ერთი რამ ცხადია, ყარაყორუმში ნაკლებად ეხდობოდნენ ბათოს კანდიდატს, ჰკვიან პოლიტიკოსსა და გამოცდილ მხედართმთავარ ალექსანდრეს. საგულისხმოა ისიც, რომ კიევისა და ჩერნიგოვის სამთავროების გადაცემა ალექსანდრესათვის, რომელმაც დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიისაგან რუსული სამთავროები ასე მამაცურად დაიხსნა, სტრატეგიული მოსაზრებითაც იყო ნაკარნახევი. დიდი ყაენი ალბათ ფიქრობდა, რომ კიევში მჯდომარე ალექსანდრეს ყურადღება ისევ დასავლეთით იქნებოდა მიმართული, ხოლო ანდრია, რომელიც ძმას მამაცობითა და ჭკუის სიმახვილით ვერ შეედრებოდა, მონღოლთა ხელისუფლების მორჩილი იქნებოდა.

1249 წლის დასასრულისათვის იაროსლავის ძენი ყარაყორუმიდან რუსეთს დაბრუნდნენ. ალექსანდრე შეუდგა ჩრდილო-დასავლეთ რუსეთის შინაგან განმტკიცებას, მოაწესრიგა პსკოვის სამმართველო აპარატი, და როგორც ისტორიკოსი აღნიშნავს, მას სამოსამართლო სიგელიც დაუმტკიცა. ალექსანდრე ამტკიცებდა რა ქვეყნის შინაურ მდგომარეობას, ამავე დროს ძვირფასი საჩუქრებით ყაენის ნდობას იმსახურებდა.

ასევე მოქნილად ვერ მოქმედებდა ანდრია და მან თავისი გამომწვევი პოლიტიკით მალე დაჰკარგა დიდი მთავრის ტახტი. 1252

წელს თათარ-მონღოლთა ჯარები ვლადიმირის სამთავროს შეესივნენ, ააოხრეს იგი, ანდრიას მეუღლე მოჰკლეს, ხოლო თვით ანდრიამ მცირერიცხოვანი ამალით უშველა თავს. სწორედ ამ დროს იმყოფებოდა ალექსანდრე ურდოში და ბათოს შვილმა სართაქმა— მას დიდი მთავრის რაყამი უბოძა.

ვლადიმირის დიდი მთავარი ალექსანდრე კვლავ განაგრძობს მონღოლებთან მორიგების პოლიტიკას. მას მტკიცედ სწამს, რომ ჯერჯერობით რუსეთს არ შესწევს მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლის ძალა და რომ ეს ბრძოლა ქვეყნის ხელახალი აოხრების მეტს არაფერს მოიტანს. იმდენად მტკიცეა ამ მხრივ ალექსანდრეს რწმენა, რომ იგი არ ინდობს საკუთარ შვილს ნოვგოროდის მთავარ ვასილს. ალექსანდრემ ვასილი ვლადიმირს გაგზავნა, ხოლო მისი მრჩეველი ბოიარები სასტიკად დასაჯა და ნოვგოროდი აიძულა ხარკი ეძლია ოქროს ურდოსათვის. ასეთი დამოკიდებულება ნოვგოროდისადმი, რომლის სახელსა და ღირსებას წლობის განმავლობაში იცავდა ალექსანდრე, ასეთი სისასტიკე პირმშოს მიმართ, რომელსაც მამის მსგავსად, თათართაგან ნოვგოროდის დამოუკიდებლობის შენარჩუნება სურდა, არ არის შემთხვევითი. საქმე იმაშია, რომ თათარ-მონღოლთა წინააღმდეგ რუსეთის ცალკეულ სამთავროთა დამოუკიდებელი გამოსვლა ალექსანდრეს დამღუპველად მიაჩნდა. პირველი რიგის ამოცანად იგი დაქსაქსული სამთავროების გაერთიანებას და მათ შინაგან განმტკიცებას თვლიდა. როცა რუსეთი ძალ-ღონეს მოიკრებდა, მაშინ დადგებოდა გადამწყვეტი ბრძოლის ჟამიც. ჯერჯერობით კი მონღოლებთან, რომლებიც მხოლოდ ხარკს ითხოვდნენ და ქვეყნის შინაურ საქმეებში მაინცდამაინც არ ერეოდნენ, უმჯობესი იყო მშვიდობიანი პოლიტიკის გატარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრემ ამ მხრივ საკმაოდ შეუმზადა ნიადაგი ივანე კალიტას, რომლის დამოკიდებულებამ ოქროს ურდოსადმი მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თათარ-მონღოლთა უღლის დამხობის საქმეში.

* * *

ალექსანდრე ნეველის ნოგვოროდიდან წასვლამ ლივონიის ორდენსა და შვედ დამპყრობლებს ისევ აღუძრა რუსეთის მიწა-წყლის მიტაცების სურვილი. სამხედრო მოქმედება რუსეთის

ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე განახლდა. ახლა მას კომბინირებული ხასიათი მიეცა: გერმანელი, შვედი და დანიელი აზნაური დამპყრობლები გაერთიანდნენ.

ჩუდის ტბასთან მარცხიდან 11 წლის შემდეგ ლივონელმა მახვილოსნებმა ისევ გაბედეს ქალაქ პსკოვზე გალაშქრება. ისინი შეიჭრნენ ქალაქის გარეუბანში და ააოხრეს. პსკოველთა დასახმარებლად დაიძრა ნოვგოროდის ლაშქარი. რუსებმა და კარელებმა, რომლებიც ნოვგოროდელთა ლაშქარში შედიოდნენ, გადალახეს მდინარე ნევა და გაედევნენ მტერს, რომელმაც გაიგო თუ არა ნოვგოროდელთა ლაშქრის მოახლოება, სასწრაფოდ მოჰკურცხლა. შეშინებულმა ორდენმა ელჩები გამოუგზავნა ნოვგოროდს და მშვიდობის ხელშეკრულება დადო.

შვედმა დამპყრობლებმა კვლავ დაადგეს თვალი ფინეთის ყურის სანაპიროებს, მათ მიიმხრეს დანიის ვასალი დიტრიხ ფონ კიველი, რომელიც რეველს მართავდა და 1256 წელს შეესივნენ სუმისა და ემის ქვეყანას. დამპყრობლებმა გადაწყვიტეს ნარვაზე გამაგრება. ნოვგოროდელებმა დახმარებისათვის მიმართეს ალექსანდრეს, რომელიც ამ დროს ვლადიმირში იჯდა. ალექსანდრე შეუდგა სამზადისს, ლაშქარი დგებოდა ნოვგოროდშიც. ეს დიდი სამზადისი შეუმჩნეველი არ დარჩათ შვედებს და მათ, როგორც მემატიანე გვაუწყებს, მიატოვეს ნარვა და ზღვას იქეთ გადაიკარგნენ.

1256 წლის ზამთარში ალექსანდრე თავისი რაზმით ნოვგოროდს ჩავიდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა სასტიკად დაესაჯა შვედები, მაგრამ ნოვგოროდელი ბოიარები ასეთ შორეულ ლაშქრობაზე არ დასთანხმდნენ. ალექსანდრე თავისი რაზმით მაინც გაემგზავრა ჩრდილოეთისაკენ, ფინეთის ყურის ყინულოვანი გზით შეიჭრა ემთა ქვეყანაში და გაანადგურა აქ შვედთა სამფლობელოები. ამ ბრძოლაში მას მხარს უჭერდნენ კარელები, რომლებიც შვედი ფეოდალების ბატონობის უღელქვეშ იტანჯებოდნენ.

ლიტვის დიდმა მთავარმა მინდოვგმა 1260 წელს სასტიკად დაამარცხა ლივონელი რაინდები დურბეს ტბის რაიონში. ამ ბრძოლაში ლიტველთა და რუსთა პოლკებმა დახოცეს მარტო 150-ზე მეტი ცნობილი რაინდი (მათ შორის მაგისტრი ბურგარდი, მარშალი ბოტელი, ჰერცოგი კარლოსი და სხვ.), ხოლო შემდეგ დაიკავეს ქალაქები: სინტელენი, ვარხტახი, გეორგენბურგი და სხვ. გერმანელმა ფეოდალებმა დაჰკარგეს სემიგალია, სამხრეთ კურო-

ნია, კუნძული სარემა. აჯანყებული პრუსები დაერივნენ ჯვაროსნებს და ამოხოცეს. კარლ მარქსი აღნიშნავს, რომ „მთავარი მინდოვგი ანუ მენდოგი რუსებთან და კურებთან კავშირში ამარცხებს დურბენესთან გერმანელი ქოფაკი რაინდებისა და მათ მიერ დამორჩილებული და ძალად გაქრისტიანებული ლივებისა და პრუსების ჯარს, ასე რომ, დიდი ნაწილი ამ არამზადებისა გაწყვეტილ იქნაო".

მინდოვგი კარგად ხედავდა, რომ ლივონელი რაინდების წინააღმდეგ ამ გამარჯვებას ვერ შეინარჩუნებდა ალექსანდრე იაროსლავის ძის დახმარების გარეშე, ამიტომ სასწრაფოდ გაგზავნა მასთან ელჩები. რა თქმა უნდა, მინდოვგის მოქმედება ალექსანდრეს მისალმებას იწვევდა. 1262 წელს ლიტვაში ალექსანდრემაც გაგზავნა ელჩები. დადებულ იქნა გერმანელ რაინდთა წინააღმდეგ მოქმედების შეთანხმება. რუს-ლიტველთა გაერთიანებულ ლაშქარს, პირველ რიგში რიგაზე უნდა შეეტია და მოესპო ბალტიისპირეთში მახვილოსანთა ეს ყველაზე ძლიერი დასაყრდენი პუნქტი.

მაგრამ ყველაფერი ისე ვერ მოეწყო, როგორც ხელშეკრულებით იყო ნავარაუდევი. ლიტვის მთავარი ადრე დაბრუნდა ლაშქრობიდან, ისე რომ, რუსთა პოლკებმა ლივონიაში მას ვერ მიუსწრეს. რუსთა მრავალრიცხოვან ლაშქარს სარდლობდა დიმიტრი ალექსანდრეს ძე, მას ახლდნენ ტვერის, ვიტებსკის და პოლოცკის მთავრები.

რუსთა ლაშქარმა ალყა შემოარტყა იურიევს, რომელიც გერმანელებს საგანგებოდ გაემაგრებინათ. ქალაქის კედლები შენგრეულ იქნა, მახვილოსნები სასტიკად დამარცხდნენ. ამის შემდეგ რუსი მოლაშქრენი ნოვგოროდს დაბრუნდნენ. შესაძლებელია,—აღნიშნავს ისტორიკოსი პაშუტი,—რუსმა მხედართმთავრებმა მიიღეს ცნობა ლიტველთა ლაშქრის უკან დაბრუნების შესახებო.

ლივონელი მახვილოსნები ახლა იმაზე ზრუნავდნენ, რომ როგორმე თავი დაეხსნათ სრული განადგურებისაგან. მათ საჩქაროდ გაგზავნეს ელჩები ნოვგოროდს და ზავი ითხოვეს. ზავის პირობები ალექსანდრე ნეველმა შეიმუშავა. რუსეთისათვის იგი ხელსაყრელი იყო და გულისხმობდა რუსეთ-გერმანიას შორის იმ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას, რაც ლივონიაში მახვილოსანთა შემოჭრამდე არსებობდა.

მაგრამ ამ დროს გართულდა ოქროს ურდოსთან დამოკიდებულება. რუსმა ხალხმა ველარ აიტანა რა მონღოლთა უღლის სიმძიმე, დაიწყო აშკარა წინააღმდეგობის გაწევა. სუზდალის, როსტოვის, პერეიასლავლის, იაროსლავლისა და სხვა ქალაქების მოსახლეობა დაერია ბუსერმენებს (ვაჭარ-მუსულმანები, რომლებმაც ხანისაგან აიღეს რუსეთში ხარკის შეგროვების უფლება. ისინი მოსახლეობას ახდევინებდნენ გაცილებით მეტ გადასახადს, ვიდრე დაწესებული იყო და თავად მდიდრდებოდნენ). ეს ამბავი სწორედ იმ დროს მოხდა, როცა ბერქა ყაენის ლაშქარმა მარცხი განიცადა ჰულაგუ ყაენის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბერქა ყაენი ახლა ირანში დიდი ლაშქრობისათვის ემზადებოდა. წესის თანახმად, ლაშქრობაში მონაწილეობა მის დაპყრობილ ქვეყნებსაც უნდა მიეღოთ. ასეთ დაჭიმულ მდგომარეობაში რუსეთში მოსახლეობის აჯანყებამ ბერქას გააფთრება გამოიწვია. მან სასწრაფოდ დაიბარა ალექსანდრე.

ალექსანდრე იაროსლავის ძემ გადაწყვიტა ხანს წვეოდა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ყაენის ჩრისხვას ვერ ასცდებოდა. როგორც ჩანს, ალექსანდრემ თავისი დიპლომატიით ამჯერადაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მან კვლავ დაარწმუნა ბერქა ყაენი ერთგულებაში და არა თუ აცდინა რუსეთის ქალაქებს აჯანყების მოწყობისათვის მოსალოდნელი სასჯელი, არამედ დაიყოლია ყაენი, ამჟამად რუსები ირანში სალაშქროდ არ გაეწვია. ერთი წელი იჯდა ალექსანდრე ურდოში და ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ რუსეთისათვის აეშორებია მძიმე განსაცდელი.

დაღლილი, ავადმყოფი დაბრუნდა ალექსანდრე ურდოდან თავისი მცირე ამალით. ნიჟნი-ნოვგოროდში იგი ძლიერ ცუდად შეიქნა, მაგრამ მაინც განაგრძო გზა. გოროდცაში იგი დაწვა და აღარც ამდგარა. 1263 წლის 14 ნოემბერს 43 წლის ვაჟკაცი, რომლის სამხედრო და დიპლომატიური ნიჭი ახლა იწყებდა ყოველმხრივ გაშლას, გარდაიცვალა.

* * *

რა დასკვნები გამომდინარეობს ჩვენი დიდი წინაპრის ალექსანდრე ნეველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამ მოკლე აღწერიდან?

პირველი ის, რომ ალექსანდრე იაროსლავის ძე ნეველი იყო სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მისი ღირსებისა და დამოუკი-

დებლობისათვის თავდადებული მებრძოლი. მას განუზომლად უყვარდა ქვეყანა, თავისი ხალხი და ყოველთვის მზად იყო მისთვის სიცოცხლე გაეწირა. ალექსანდრეში შესისხლხორცებული იყო რუსი ხალხის საუკეთესო თვისებები—ნათელი გონება, მამაცობა და სიდინჯე.

ალექსანდრეს სჯეროდა რომ, რუსი ხალხის ბუნება შეუთავსებელია მონობასთან, სხვის ბატონობასთან. იგი ფუშავდა გერმანელი და შვედი ფეოდალების აგრესიულ გეგმებს. იგი მოთმინებით ამზადებდა ნიადაგს აღმოსავლეთელი დამპყრობლის დამარცხებისათვის. ალექსანდრეს პიროვნება, მისი მისწრაფება, მისი მთელი მოღვაწეობა შესანიშნავადაა კონკრეტიზებული იმ სიტყვებში, რომელსაც ხალხი მას მიაწერს: „ვინც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მახვილს აღმართავს, იგი მახვილითვე განიგმირება“.

ალექსანდრე იყო ამავე დროს თავისი დროის უდიდესი მხედართმთავარი, რომელმაც მოიგო ყველა ბრძოლა, და ისიც ისეთი საშიში მტრების წინააღმდეგ, როგორიც იყვნენ თავით ფეხებამდე შეჯავშნული გერმანელი და შვედი რაინდები.

ნევასთან და ჩუდის ტბასთან ალექსანდრეს მიერ გადახდილი ბრძოლები მსოფლიოს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლებს წარმოადგენენ და უკომენტარიოდ მეტყველებენ ალექსანდრეს შემოქმედებით სტრატეგიულ ტალანტზე, მის პირად მამაცობასა და გმირობაზე.

ალექსანდრე ნეველი თავისი დროის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწედ გვევლინება. იგი მტკიცედ დგას ეპოქის სიმაღლეზე და სწორად წყვეტს ყველა ამოცანას, რომელიც მას, როგორც რუსი ხალხის მეთაურს, ეპოქამ დააკისრა. ალექსანდრემ შესანიშნავად ივარაუდა, რომ ბალტიისპირეთი, ზღვაში გასასვლელი აუცილებელი პირობა იყო სამშობლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. მან პირველმა დაიწყო ის დიდი ბრძოლა ზღვაზე გასვლის უფლებისათვის, რაც შემდეგში ივანე III, ივანე IV საგარეო პოლიტიკის უმთავრეს საკითხს შეადგენდა და რაც საბოლოოდ, შვედეთის წინააღმდეგ 21 წლიანი ომით ბრწყინვალედ გადაჭრა პეტრე პირველმა. შემთხვევითი როდი იყო, რომ პეტრემ რუსეთის დედაქალაქის მშენებლობა სწორედ იქ დაიწყო, სადაც ალექსანდრემ შვედები გაანადგურა 1240 წელს, ხოლო 1423 წელს ალექ-

სანდრეს ნეშთი ვლადიმირიდან გადმოიტანა და პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში დაასვენა.

ალექსანდრე არა მარტო დიდი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, არამედ შორსმჭვრეტელი დიპლომატიკაა. ოქროს ურდოსთან თავისი მოქნილი დიპლომატიის მომარჯვებით ალექსანდრემ შესძლო დასავლეთისა და ჩრდილოეთის საზღვრების დაცვა-განმტკიცება, შესძლო ვლადიმირის დიდი სამთავროს ქვეშ დაქუცმაცებული რუსული მიწა-წყლის თანდათანობითი გაერთიანება და ამით საკმაოდ შეამზადა ნიადაგი მონღოლთა ბატონობის საბოლოოდ დამხობისათვის, რაც შემდეგ მისმა სახელოვანმა მემკვიდრეებმა განახორციელეს.



დიმიტრი დონელი

1350-1389

რუსეთის თავადაზნაურულმა და ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ ვერ შესძლო რუსეთში თათარ-მონღოლთა ბატონობის მნიშვნელობის სწორად შეფასება. ზოგიერთი მათგანი თათარ-მონღოლთა შემოსევას რუსეთში დადებით, პროგრესულ მოვლენად თვლიდა. მაგალითად, ისტორიკოსი კარამზინი მოსკოვისა და ტვერის დაწინაურებას მონღოლი ხანების დამსახურებას მიაწერდა. ისტორიკოს კოსტომაროვის აზრით მონღოლები ხელს უწყობდნენ საუფლისწულოებად დანაწილებული რუსეთის გაერთიანებას, ვინაიდან ეს ერთიანობა მათ ხარკის შესაგროვებლად ესაჭიროებოდათ. ისტორიკოსი კლუჩევსკი აღნიშნავდა: „ხანის ხელისუფლება წარმოადგენდა უხეშ თათრულ დანას, რომელიც ჰკვეთდა იმ კვანძებს, რომელშიც თავიანთ მიწა-წყალს ბოჭავდნენ ვსევოლოდ III მემკვიდრეები“.

პოკროვსკის სკოლა თათარ-მონღოლთა ბატონობის პერიოდის შეფასებაში ანტიმეცნიერულ თვალსაზრისზე იდგა. ისტორიკოსი პოკროვსკი მონღოლებში ხედავდა პროგრესულ ძალას, რომელმაც თითქოს ჩიხიდან გამოიყვანა დაჭაობების გზაზე მდგარი რუსეთი და მას შთაბერა ახალი ძალა. თათართა ბატონობამ, პოკროვსკის აზრით, არა მარტო დაამთავრა ის რღვევა, რაც შინაგანი ეკონომიური ძალებით იყო გამოწვეული, არამედ ხელი შეუწყო ახალი რუსეთის, საუფლისწულო მოსკოვური რუსეთის ჩამოყალიბებას. თათრებმა „შექმნეს გადასახადების სწორი სისტემა, რომელმაც თვით მონღოლთა შემდეგაც მრავალ საუკუნეს იარსება“. თათრებმა „ღრმა ცვლილებები შეიტანეს სოციალურ ურთიერთობაში“,—ასეთია პოკროვსკის მცდარი დასკვნები.

მონღოლთა სისხლიანი ბატონობის სწორი, მეცნიერული შეფასება მოცემულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებში. მარქსი თავის შრომაში—„XVIII საუკუნის საიდუმლო დიპლომატია“—მიუთითებს, რომ რუსეთში „თათარ-მონღოლებმა დაამყარეს სისტემატური ტერორის რეჟიმი, ამასთან ერთად აოხრება და მასობრივი მკვლელობა მათ მუდმივ ინსტიტუტად იქცა. თავიანთ ვეებერთელა დაპყრობებთან პროპორციულად მცირერიცხოვან მონღოლებს სურდათ მათ ირგვლივ შეექმნათ განდიდების შარავანდედი და მასობრივი სისხლის ღვრის გზით დაეუძლურებინათ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც შეეძლებოდა მათ ზურგ-

ში აჯანყების მოწყობა. მათ გაიარეს ისე, რომ უკან მხოლოდ უდაბნო დატოვეს".

მონღოლი მმართველები არა თუ ხელს უწყობდნენ რუსეთის გაერთიანებას, არამედ პირიქით, კიდევ უფრო აქუცმაცებდნენ მის მიწა-წყალს, ერთმანეთს უპირისპირებდნენ და უსისიანებდნენ ცალკეულ მთავრებს, რათა ერთმანეთთან ბრძოლაში დაესუსტებინათ ისინი და უზრუნველეყოთ თავიანთი ბატონობა. იმავე შრომაში მარქსი მიუთითებს: „ჩინგის-ყაენის მრისხანე გამოჩენისთანავე ქარწყლდება რუსეთის მოჩვენებითი ერთიანობის უკანასკნელი ნაშთები". ახასიათებს რა ოქროს ურდოს ტრადიციულ პოლიტიკას, მარქსი აღნიშნავს, რომ ოქროს ურდოს ხელისუფალნი თავიდანვე ცდილობდნენ ერთიმეორისათვის წაესისიანებინათ რუსი მთავრები, მხარი დაეჭირათ მათ შორის უთანხმოებისათვის, გაეწონასწორებინათ მათი ძალები, არც ერთ მათგანისათვის არ მიეცათ გაძლიერების საშუალება.

ამხანაგმა სტალინმა თავის წერილში „უკრაინის კვანძი", რომელიც 1918 წ. გამოქვეყნდა გაზ. „იზვესტიაში", ავსტრიელი და გერმანელი იმპერიალისტების ბატონობის უღელი თათართა ბატონობის უღელს შეადარა და ამით ნათლად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ოქროს ურდოს ხელისუფლებისადმი. „ავსტრიისა და გერმანიის იმპერიალისტებს,—წერდა ამხანაგი სტალინი, — თავიანთი ხიშტებით მოაქვთ ახალი, სამარცხვინო უღელი, რომელიც არაფრით არ სჯობია ძველ, თათართა უღელს..."

მონღოლებმა მძიმე გადასახადებით დაბეგრეს მთელი რუსეთი. ბასკაკები და მონღოლთა სხვა მოხელეები შეუბრალებლად ძარცვავდნენ მდიდარსა და ღარიბს. მონღოლთა მოთარეშე რაზმები ყოველწლიურად დაძრწოდნენ ქალაქებსა და სოფლებში და ყველაფერს ანადგურებდნენ, ქვეყნის სამეურნეო განვითარება ფერხდებოდა, მეურნეობა ირღვეოდა, კულტურის კერები ჩანაგდებოდა; თათართა უღელი, მარქსის სიტყვით, არა მარტო ხუთავდა, არამედ შეურაცხყოფდა და ახშობდა მის მიერ მსხვერპლად ქცეულ ხალხის სულს.

ყველაზე მეტ შევიწროებას განიცდიდა მოსახლეობის დაბალი ფენა, რომელსაც ადგილობრივი ბატონის—ბოიარის ნება-სურვილიც უნდა შეესრულებინა და ამავე დროს მონღოლების მიერ დაწესებული გადასახადიც ეხადა. ცხადია, ორმაგი ჩაგვრის ქვეშ მო-

ქცეული მშრომელი მოსახლეობა მოთმინებას ჰკარგავდა და ხშირად იარაღს მიმართავდა.

რუსი ხალხი არასოდეს არ შერიგებია თათარ-მონღოლთა ბატონობას. ბათოს ლაშქრობის დროს, მიუხედავად ურდოს რიცხობრივი სიმრავლისა, რუსეთის ხან ერთ, ხან მეორე საუფლისწულოში იფეთქებდა აჯანყება. ბათო კარგად გრძნობდა, რომ რუსეთის ქვეყანა მის მიერ მხოლოდ დაპყრობილი იყო. ხალხის დამორჩილება კი ასე ადვილად ვერ მოხერხდებოდა. სწორედ ამიტომ ბათომ ვერ გაბედა დასავლეთის დაპყრობის გეგმის სისრულეში მოყვანა. დასავლეთ ევროპის საზღვართან მისულმა პირი იბრუნა და მუდმივ სადგომად სამხრეთ რუსეთის ტერიტორია აირჩია. იწვნია რა მონღოლთა დარტყმის მთელი საშინელება, რუსეთმა თავისი გმირული წინააღმდეგობით გადაარჩინა ევროპა ბათოს მრავალრიცხოვანი ურდოების შესევისაგან.

რუსეთის მძიმე ხვედრი ამ პერიოდში, და მისი უდიდესი დამსახურება ევროპის წინაშე ნშვენივრად გამოხატა პუშკინმა: „რუსეთს ეკისრებოდა მაღალი დანიშნულება: მისმა თვალუწვდენელმა სივრცეებმა შთანთქეს მონღოლთა ძალა და შეაჩერეს მათი შეტევა ევროპის განაპირა მხარესთან. ბარბაროსებმა ვერ გაბედეს ზურგში დაეტოვებინათ დაბრუნებული რუსეთი და დაუბრუნდნენ თავიანთ აღმოსავლეთის ველებს. აღმოცენებული კულტურა იხსნა დაფლეთილმა და სულმობრძავმა რუსეთმა“.

მართლაც, იმ დროს, როცა რუსეთის თვალუწვდენ სივრცეებზე მოდებულ თათარ-მონღოლთა ურდოებს მამაცურად უმკლავდებოდნენ რუსი ადამიანები, როცა დამპყრობთა ცეცხლი და მახვილი ანადგურებდა აყვავებულ ქალაქებსა და სოფლებს რუსეთში, ევროპა მშვიდად ცხოვრობდა. მონღოლთა სისხლიანი მახვილი არ შეხებია მის მიწა-წყალს. ევროპის აღორძინებასა და პირველდაწყებით დაგროვებაზე რომ ვლაპარაკობთ,—მიუთითებს პროფ. მავროდინი,—შეუძლებელია ეს დიდი აღმოჩენები და გამოგონებანი შევაფასოთ იმის გაუთვალისწინებლად, რაც მოიმოქმედა რუსმა ხალხმა ბათოს ლაშქრობის დროს. დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი ჩერნიშევსკი შემდეგნაირად ახასიათებს რუსეთის როლს და მის დამსახურებას ევროპის წინაშე: არა, პოლიტიკურ ისტორიაში რუსები გველინებიან არა დამპყრობლებად, მძარცველებად როგორც ჰუნები და მონღოლები, არამედ მ ხ ს ნ ე ლ ე ბ ა დ — მონღოლთა

უღლისაგან მხსნელებად, რომლებმაც თავიანთი ძლიერი ქედით შეაკავეს მონღოლები, არ მოუშვეს ისინი ევროპამდე, გადაიქცნენ მათ კედლად, მართალია ყველა გასაროლის სამიზნოდ, მაგრამ მაინც კედლად, რომელიც მტრებმა ნახევრად თუ შეანგრიესო.

ორი საუკუნის მანძილზე რუსი ხალხი დაუღალავად ებრძოდა დამპყრობლებს. მრავალი ათასი რუსი პატრიოტი დაეცა ამ ბრძოლაში. ათობით ქალაქი და სოფელი ცეცხლს მისცეს გაბოროტებულმა თათართა დამსჯელმა რაზმებმა. მძიმე იყო ეს ბრძოლები, მაგრამ მისდამი წყურვილი არასოდეს არ ცხრებოდა. დაქსაქსული, სისხლისაგან დაცლილი ცალკეული სამთავროების გაერთიანების იდეა უფრო და უფრო ღრმად იდგამდა ფესვებს ხალხის გულში. მონღოლებმა კი არ შეუწყვეს ხელი რუსეთის გაერთიანებას, არამედ, პირიქით, მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში იწრთობოდა ქვეყნის ერთიანობის შეგნება.

ცხადია, ფეოდალური, დაქუცმაცებული რუსეთის გაერთიანება და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა, პირველ ყოვლისა, ეკონომიური პროცესის შედეგი იყო. განმსაზღვრელი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში საწარმოო ძალთა განვითარებას, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას ჰქონდა. არანაკლები მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენდა კლასობრივი ბრძოლა, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს. საერთოდ, კლასობრივი, და, კერძოდ, ფეოდალური საზოგადოების მთელ ისტორიას. მაგრამ რუსეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სხვა სპეციფიკური ხასიათის მოვლენას. ეს იყო ქვეყნის თავდაცვის ინტერესი. ყოველი მხრიდან მტრებით გარშემორტყმული რუსეთისათვის დაპოუკიდებელი არსებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას მისი პოლიტიკური ერთიანობა შეადგენდა. სწორედ ამიტომ დაჩქარდა რუსეთში ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა, იგი მოხდა მანამ, ვიდრე აქ ფეოდალიზმი მოისპობოდა და კაპიტალიზმი განვითარდებოდა. ამ თავისებური მოვლენის გენიალური ახსნა მოცემული აქვს ამხანაგ სტალინს: „აღმოსავლეთ ევროპაში, პირიქით,—აღნიშნავს ამხანაგი სტალინი,—ერების წარმოშობისა და ფეოდალური დაქსაქსულობის ლიკვიდაციის პროცესი დროის მხრივ არ დამთხვეულა ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა წარმოშობის პროცესს. მე მხედველობაში მაქვს უნგრეთი, ავსტრია, რუსეთი. ამ ქვეყნებში კაპიტალისტური განვითარება ჯერ კიდევ არ იყო, იგი, იქნებ, მხოლოდ ისახებოდა,

მაშინ, როდესაც თურქთა, მონღოლთა და აღმოსავლეთის სხვა ხალხთა შემოსევისაგან თავდაცვის ინტერესები მოითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ შექმნილიყვნენ ცენტრალიზებული სახელმწიფოები, რომლებიც შესძლებდნენ შემოსევას გამკლავებოდნენ".

თათარ-მონღოლთა მფლობელობის ხანაში მოსკოვი რუსეთის მიწა-წყლის გაერთიანების, მის ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გადაქცევის ცენტრად ხდება. მოსკოვი 1238 წელს, როცა იგი მონღოლებმა დაანგრიეს, პატარა საუფლისწულო ქალაქი იყო, მაგრამ მთელმა რიგმა პირობებმა, რომელთა შესახებ ქვევით გვექნება ლაპარაკი, მოსკოვი ისევ გამოაცოცხლეს და გადააქციეს იმ ცენტრალურ პუნქტად, რომლის გარშემო ხდებოდა ქვეყნის გამაერთიანებელი და უცხოელ დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლი ძალების შემოკრება. რუსეთის ერთიანობის იდეამ მოსკოვში ჰპოვა ნაყოფიერი ნიადაგი. მოსკოვი რუსეთის გაერთიანების და თათარ-მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის დროშად იქცა. მოსკოვის დროშის ქვეშ იბრძოდა რუსეთის ძლევამოსილი პოლკები კულიკოვოს ველზე. მოსკოვის მთავარმა ივანე III 1480 წელს საბოლოოდ დაამსხვრია დამპყრობელთა უღელი.

მოსკოვის ამ ისტორიულ დამსახურების გენიალური შეფასება მოცემული აქვს ამხანაგ სტალინს თავის ცნობილ მისალმებაში მოსკოვისადმი მისი სახელოვანი 800 წლისთავის დღეს:

„მოსკოვის დამსახურება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მან ჩვენი სამშობლოს ისტორიის მანძილზე სამჯერ გაათავისუფლა იგი უცხოელთა ჩაგვრისაგან — მონღოლების უღლისაგან, პოლონელ-ლიტველთა შემოსევისაგან, ფრანგთა შემოჭრისაგან. მოსკოვის დამსახურება, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ იგი გახდა საფუძველი დაქუცმაცებული რუსეთის გაერთიანებისა ერთიან სახელმწიფოდ ერთიანი მთავრობით, ერთიანი ხელმძღვანელობით. არც ერთ ქვეყანას მსოფლიოში არ შეუძლია იმედი იქონიოს თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა, სერიოზული სამეურნეო და კულტურული ზრდისა, თუ მან ვერ მოახერხა ფეოდალური დაქუცმაცებისა და მთავრების უთანხმოებათაგან განთავისუფლება. მხოლოდ ერთიან ცენტრალურ სახელმწიფოდ გაერთიანებულ ქვეყანას შეუძლია იქონიოს სერიოზული კულტურულ-სამეურნეო ზრდის შესაძლებლობის, თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცების შესაძლებლობის იმედი. მოსკოვის ისტორიული დამ-

სახურება ის არის, რომ იგი იყო და არის რუსეთში ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის საფუძველი და ინიციატორი".

* * *

მოსკოვი როგორც ციხე-ქალაქი 1147 წელს დააარსა მთავარმა იური დოლგორუკმა. ყველაზე პატარა და შეუმჩნეველი ციხე-ქალაქი იყო მაშინ მოსკოვი, მაგრამ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა მას საუკეთესო მომავალს უქადდა. მოსკოვზე გადიოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზები. ჩრდილოეთ რუსეთის სამთავროთა შორის იგი ცენტრალურ ადგილზე იყო მოთავსებული და ყველაზე ნაკლებ მას წვდებოდა მოძალადე დამპყრობლის ხელი. მართალია, 1238 წელს მოსკოვი ვერ გადაურჩა რუსეთის ქალაქთა მწარე ხვედრს და იგი მონღოლებმა დაწვეს, მაგრამ მოსკოვი მალე მოღონიერდა. მისმა პირველმა მთავარმა (ალექსანდრე ნეველის შვილმა დანიელმა) მოსკოვს კოლომნა და პერეიასლავლი შემოუერთა, ხოლო იური დანიელის ძემ (1304— 1325 წ.წ.) ოქროს ურდოში დიდი მთავრის რაყამი მიიღო.

მოსკოვის სამთავრო საგრძნობლად გაძლიერდა ივანე დანიელის ძის (კალიტას) დროს. კალიტა ოქროს ურდოს მიმართ განაგრძობდა თავისი პაპის ალექსანდრე ნეველის პოლიტიკას და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სახელოვანი შვილიშვილისათვის—დიმიტრი დონელისათვის თათართა წინააღმდეგ გადამწყვეტი შეჯახების პირობები მოემზადებინა. ივანე კალიტამ არ დაინდო მოსკოვის მოქიშპე ტვერი და მისი მთავარი ოქროს ურდოს ძალებით დაამარცხა. მანვე ურდოს კარზე ისეთი ნდობა დაიმსახურა, რომ თავის სამთავროში გადასახადების აკრეფის უფლება მოიპოვა, რითაც მოსკოვის სამთავროს თავიდან აცილა თათართა ბასკაკებისა და რაზმების თარეში. ივანემ მოსკოვის გაძლიერებისა და მისი ავტორიტეტის ამაღლებისათვის კარგად გამოიყენა ეკლესია, რომლის რეზიდენცია ვლადიმირიდან მოსკოვს გადაიტანა. არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა ივანე იმისათვის, რომ მოსკოვის ძალა და ავტორიტეტი აემაღლებინა. მან მოქნილი პოლიტიკით ურდოს ხელისუფალთ აჯობა და როგორც მარქსი შენიშნავს, გადააქცია ყაენი „თავის იარაღად, რომლის დახმარებითაც იგი თავიდან იშორებდა ყველაზე საშიშ მეტოქეებს და

სძლევდა ყოველგვარ დაბრკოლებას, რაც კი წინ ეღობებოდა ძალაუფლების უზურპაციის გზაზე. იგი არ იპყრობდა საუფლისწულოებს, მაგრამ თათარ დამპყრობთა ძალაუფლებას მათ შეუმჩნეველად მიმართავდა მხოლოდ და მხოლოდ თავისი ინტერესებისათვის".

მაგალითად, ივანე კალიტამ თავისი ინტერესებისათვის მოხერხებულად გამოიყენა ტვერის სამთავროში მონღოლთა წინააღმდეგ დაწყებული მოძრაობა. 1327 წელს, როცა ყაენის ელჩმა ჩოლხანმა ტვერის სამთავროში თარეში დაიწყო, ტვერელები აჯანყდნენ და ჩოლხანი მის რაზმელებთან ერთად მთავრის სასახლეში გამოამწყვდიეს და დასწვეს. კალიტამ ისარგებლა ამ შემთხვევით. ყაენის გული რომ მოეგო და მოქიშპე ტვერი რომ დაემარცხებინა, ოქროს ურდოს მმართველს დახმარება შესთავაზა. ურდოში მას თათართა რაზმი მისცეს. კალიტამ ამ რაზმს სუზდალელთა ლაშქარიც შეუერთა, ტვერის სამთავროს დაესხა და საშინლად აოხრა იგი. კალიტას მოქიშპე ტვერის მთავარი ნოვგოროდს გაიქცა, მაგრამ ნოვგოროდმა იგი არ ნიიღო, რადგან თათართა რისხვისა შეეშინდა. პსკოვს შეფარებული ტვერის მთავრის წინააღმდეგ კალიტამ ეკლესია აამოქმედა. მოსკოველმა მიტროპოლიტმა პსკოველები წერისხა. ტვერის მთავარი იძულებული გახდა ლიტვას გაეცეულიყო.

ივანე კალიტას 13 წლიან მოღვაწეობას მოსკოვის სამთავრო ტახტზე ღნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა: მოსკოვის მოქიშპენი— ტვერი და ნოვგოროდი დამარცხდნენ და იძულებულნი გახდნენ თავი ვასალურ მდგომარეობაში ეცნოთ. გარდა ამისა, ბევრი ბოიარი და უფლისწული, რომლებმაც კალიტას სახით ძლიერი მფარველი დაინახეს, თავიანთი ნებით გადავიდნენ მოსკოვის მთავრის სამსახურში. მოსკოვის მთავარი ახლა დიდი ტერიტორიის მფლობელი გახდა, მისი ძალა და ავტორიტეტი ამაღლდა, ეკლესია მას მხარში ამოუდგა. ურდოში მდგომარეობა განამტკიცა და ბასკაკთა თარეშისაგან ქვეყანა გაათავისუფლა. დიდი სიწყნარე ჩამოვარდა „მთელ რუსთა ქვეყანაში" და თათრებმა მისი დაპყრობა შესწყვიტესო. — გადმოგვცემს მემატიანე. კალიტას მიერ გატარებული ღონისძიებანი მყარ ნიადაგზე იყო დაყრდნობილი. ამიტომაც მოსკოვის უპირატესი როლი შენარჩუნებულ იქნა მისი შვილების სვიმონ ზვიადისა და ივანე ლამაზის დროსაც. მართალია, ამ დროს ბოიართა ერთ ნაწილში დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით თავი იჩინა ოპოზიციურმა განწყობილებამ, მაგრამ ოპოზიციასთან ბრძო-

ლაში გამარჯვება მოსკოვის მთავრებს ხვდათ წილად. ოპოზიციური ჯგუფის მეთაური ალექსი ხვოსტი ვერ გაუმკლავდა სვიმონ ზვიადს. თვით სვიმონის სახელწოდება — ზვიადი, ცხადია, რუს მთავართა შორის მის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე მიუთითებს.

სვიმონ ზვიადი 1353 წელს ეპიდემიის მსხვერპლი გახდა. 6 წლის შემდეგ გარდაიცვალა მისი ძმა ივანე, რომელსაც დარჩა მცირეწლოვანი შვილები — დიმიტრი და ივანე. მამის ანდერძით მოსკოვის ტახტი დიმიტრის ერგებოდა, მაგრამ იგი ამ დროს მხოლოდ 10 წლისა იყო.

მოსკოვის ტახტის მემკვიდრის მცირეწლოვნობით ისარგებლეს რუსეთის სხვა სამთავროებმა, რომელთაც სრულებითაც არ მოსწონდათ მოსკოვის ასე დაწინაურება. მოსკოვის მზარდი ძლიერებით განსაკუთრებით შეშფოთებული იყვნენ ტვერისა და სუზდალის მთავრები. მათ გადაწყვიტეს ვლადიმირის დიდი მთავრის რაყამი მოსკოვისათვის წაერთმიათ და თავად მიეთვისებინათ. მონღოლი ხანები, როგორც ვიცით, ამაზე აქეზებდნენ მათ.

ურდოში ამ დროს უკვე დაწყებული იყო შინაგანი რღვევის პროცესი. ფეოდალური ურთიერთობის განვითარება აქაც იწვევდა ისეთსავე დაშლილ პროცესებს, რამაც, როგორც ცნობილია, ერთ დროს კიევის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო ცალკეულ სამთავროებად დააქუცმაცა.

ურდოს ცალკეული ხანები ერთმანეთს ექიშპებოდნენ. ცენტრალიზებული მმართველობა ირღვეოდა. ხანების განუწყვეტელი შუღლი ურთიერთშორის და ბრძოლა ძირს უთხრიდა ურდოს ძლიერებას. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1360-დან 1380 წლამდე ურდოში 14 ხანი გამოიცვალა.

იმ დროს, როცა დიმიტრი ივანეს ძის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, ოქროს ურდო ორად იყო გათიშული. ერთ ნაწილს განაგებდა ხანი აბდულა (ფაქტიური მმართველი კი იყო ათიათასისთავი მამაი), ხოლო მეორე ნაწილს — მიურიდი. სუზდალის მთავრებმა მოახერხეს მოექრთამათ ურდოს ხელისუფალნი და ვლადიმირის დიდი მთავრის ტიტული დიმიტრი კონსტანტინეს ძისთვის დაემტკიცებინათ, რომელმაც ამიერიდან სამმართველო რეზიდენციად ქალაქი ვლადიმირი აირჩია.

სუზდალის მთავართა გამარჯვება, ცხადია, მოსკოველი ბოიარებისათვის თავზარდამცემი იყო. იღუპებოდა ყველაფერი ის, რაც

ხანგრძლივი შრომა-ბრძოლით იქნა მოპოვებული: მოსკოვი ჰკარგავდა თავის უპირატეს მდგომარეობას. მოსკოველმა ბოიარებმა 10 წლის უფლისწული ცხენზე შესვეს, ურდოში წაიყვანეს და თან წაიღეს დიდძალი საჩუქრები. როგორც ჩანს, მათ მოახერხეს ხან მიურიდის გულის მოგება და მას დიდი მთავრის რაყამი გამოსძალეს. მაგრამ ეს სრულებითაც არ იყო საკმარისი. საჭირო იყო დიმიტრი კონსტანტინეს ძის პარტიის დამარცხება და მისი ვლადიმირიდან განდევნა. მოსკოველმა ბოიარებმა შეკრიბეს ლაშქარი და თავს დაესხნენ დიმიტრი კონსტანტინეს ძეს ვლადიმირში, დაამარცხეს იგი და ქალაქიდან გააძევეს. გამარჯვებულ დიმიტრის დიდი მთავრის რაყამი აბდულასაგანაც მოუვიდა. დიმიტრიმ ეს რაყამიც მიიღო, ბოლო ელჩს ხანთან დიდი საჩუქრები გაატანა. დიმიტრის ასეთმა მოქმედებამ ხანი მიურიდი გააბრაზა და „უმადური რუსი მთავარი“ იმით დასაჯა, რომ დიდი მთავრის რაყამი ახლა სუზდალელ დიმიტრი კონსტანტინეს ძეს გაუგზავნა, რომელმაც მალე მოახერხა ისევ დაბრუნებულიყო ვლადიმირში, მაგრამ ეს გამარჯვებაც ხანმოკლე აღმოჩნდა. დიმიტრი ივანეს ძის ლაშქარმა იგი კვლავ ტახტიდან ჩამოაგდო, მის ჯარს სუზდალამდე სდია და სასტიკად დაამარცხა. მალე დიმიტრი ივანეს ძესა და დიმიტრი კონსტანტინეს ძეს შორის შეთანხმება დაიდო: დიმიტრი ივანეს ძე დაეხმარა ძველ მოქიშპეს ნიჟეგოროდის ტერიტორიის შემომტკიცებაში. ხოლო დიმიტრი კონსტანტინეს ძემ თავი მოსკოვის ვასალად აღიარა. ეს შეთანხმება ნათესაური მხრითაც იქნა განმტკიცებული. დიმიტრი ივანეს ძემ ცოლად შეირთო დიმიტრი კონსტანტინეს ძის ქალიშვილი.

მოსკოვის სამთავრო ტახტზე ახალგაზრდა უფლისწულ დიმიტრი ივანეს ძის დასმამ რუსეთის სხვა სამთავროებიც გაათამამა. თუ ივანე კალიტასა და სვიმონ ზვიადის დროს ისინი იძულებული იყვნენ მოსკოვის ხელქვეითად დარჩენილიყვნენ, ახლა, საერთო არეულობის ხანაში, მათი აზრით, უკვე დადგა დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტი. როსტოვის, სტაროდუბის, გალიჩის მთავრები აღარ ემორჩილებიან მოსკოვის განკარგულებებს. მაგრამ ახალგაზრდა დიმიტრიმ საკმაო უნარი გამოიჩინა იმისათვის, რომ განდგომილნი აელაგმა და მათზე მოსკოვის უფლებები აღედგინა. მან დაამარცხა ისინი და, როგორც მემატიანე აღნიშნავს, თავის ხელქვეითებად გაიხადა.

მაგრამ მოსკოვის მთავრის ყველაზე დიდ მოქიშპედ და საშიშ

მტრად კვლავ ტვერის მთავარი რჩებოდა, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლიტვის მთავართან; პირველობისათვის ბრძოლაში მის დახმარებას ეყრდნობოდა.

აღსანიშნავია, რომ ლიტვის სამთავრო XIV საუკუნეში საკმაოდ გაძლიერდა. 1316—1341 წლებში ლიტვის მთავარმა გედიმინმა რუსეთის დასავლეთ საზღვარზე დაიწყო აგრესიული მოქმედება, თათარ-მონღოლების მძიმე უღელქვეშ მოქცეული, ცალკეულ ფეოდალურ სამთავროებად დანაწილებული რუსეთი ვერ ახერხებს წინ აღუდგეს ახალ დამპყრობელს. გედიმინი იპყრობს პოლოცკს, მინსკსა და ვიტებსკს, მდ. პრიპიატის ბასეინს. იგი ამითაც არ კმაყოფილდება და თავის გავლენას კიევის, ვოლინისა და პოდოლიეს ტერიტორიაზეც ავრცელებს. გედიმინის სიკვდილის მომენტში ლიტვის სამთავროს თითქმის სამ მეოთხედს რუსეთის ტერიტორია წარადგენდა. გედიმინის პოლიტიკას განაგრძობდა მისი შვილი ოლგერდი (1345—1377 წ.წ.), რომელმაც მიიტაცა ჩერნიგოვ-სევერსკის ტერიტორია და თავის შვილებს დაუნაწილა. ოლგერდმა მოაოხრა აგრეთვე კიევის მხარე, სოლო კიევის მმართველად თავისი ვაჟი დააყენა. ოლგერდის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა სმოლენსკიც.

ანგვარად, XIV საუკ. 60-ანი წლებისათვის ლიტვის სამთავრო დასავლეთიდან უშუალოდ მოსკოვს მოადგა. ორი ძლიერი ფეოდალური ერთეული — მოსკოვი და ლიტვა ერთიმეორეს დაუპირისპირდა.

მოსკოვის სამთავროს, როგორც რუსეთის მიწა-წყლის შემკრების წინაშე ლიტვის აგრესიულ ღონისძიებათა ალაგმვის სახით ისახებოდა თათარ-მონღოლთა უღლის დამსხვრევის თანაბარმნიშვნელოვანი ამოცანა: საჭირო იყო მოსკოვის დასავლეთი საზღვრების გამაგრება. პირველ რიგში ქალაქ მოსკოვის გამაგრება, რომ ლიტვის მთავრისათვის შენდეგი წარმატების შესაძლებლობა მოსპობილიყო. მოსკოველი პატრიოტები არც იმას ივიწყებდნენ, რომ ლიტვის მიერ მიტაცებულ ტერიტორიის რუსული მოსახლეობა განმათავისუფლებელს ელოდა. მაგრამ ამ მეორე ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო ისე, თუ ჯერ თათართა უღელი არ დაიმსხვრეოდა და რუსეთის დაქუცმაცებული ტერიტორია ერთ ძლიერ სახელმწიფოდ არ გაერთიანდებოდა.

დიმიტრი ივანეს ძეს კარგად ჰქონდა შეგნებული ის დიდი სა-

ფრთხე, რომელიც მას დასავლეთიდან ელოდა. მისი მოქიშპე ტვერის მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე ლიტვაში იმყოფებოდა. ლიტვა და ტვერი ამჟამად გაერთიანებული ძალებით გამოდიოდნენ. 1367 წელს დიმიტრის ბრძანებით მოსკოვის ქვის კედელი შემოავლეს. ქალაქის კრემლი ახლა მტრისაგან საიმედოდ იყო დაცული. დიმიტრის ამ ღონისძიების დროულობა სულ მალე თვალსაჩინო გახდა. ერთ წელსაც კი არ გაუვლია, რომ ლიტველთა დიდი ლაშქარი, რომელსაც სათავეში ედგნენ თვით ოლგერდი, მისი ძმა კეისტუტი, ვიტოვტი კეისტუტის ძე და ტვერის მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, წაეკრა მოსკოვის მიწა-წყალზე. დიმიტრი ივანეს ძემ ვერარ მოასწრო ამ მრავალრიცხოვანი ლაშქარის საპირისპიროდ საკმაო ძალების შეკრება, მაგრამ ბრძოლა მაინც მიიღო და ლიტველებს შეახვედრა თავისი სადარაჯო პოლკი, რომელსაც ეოევოდები – დიმიტრი ბინინი და აკინფა შუბა მეთაურობდნენ. 1368 წლის 21 იანვარს მდინარე ტროსნაზე ლიტვისა და მოსკოვის ლაშქრებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. ლიტვის მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა მოსკოვის სადარაჯო პოლკი დაამარცხა. ოლგერდმა მიმართულება მოსკოვისკენ აიღო, მიადგა კიდეც ქალაქს, მაგრამ მოსკოვის კედლების შენგრევა ვეღარ შეძლო. მან მოაოხრა მოსკოვის გარეუბანი და ნადავლითა და ტყვეებით უკან გაბრუნდა.

საბრძოლოდ მოღალატე ტვერის მთავარი ლიტვის მხარდაჭერით აძლიერებს ბრძოლას მოსკოვის წინააღმდეგ. მის მხარეზე აოიან სმოლენსკის და ბრიანსკის მთავრები და ნოვგოროდის ჩმართველი ზედაფენა, რომელსაც მოსკოვის გაძლიერებისა ეშინია. დიმიტრი ივანეს ძე მამაცურად იბრძვის შინაგანი მტრული ძალების დასათრგუნავად. მან გაილაშქრა სმოლენსკისა და ბრიანსკის მთავრების წინააღმდეგ, რომლებიც ლიტვის ლაშქარს თან ახლდნენ და მოსკოვის მიდამოების აოხრებაში მიიღეს მონაწილეობა. სმოლენსკისა და ბრიანსკის მთავრებისათვის ანგარიშგასწორების შემდეგ დიმიტრის ჯარი ტვერის სამთავროს შეესია. ტვერის მთავარი მიხეილი დამარცხდა, რადგან ლიტვა—მისი მოკავშირე, რომელიც ტევტონთა წინააღმდეგ ბრძოლაში იყო ჩაბმული, ვერ დაეხმარა. ლიტვაზე გულგატეხილმა მიხეილმა გადაწყვიტა მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ ოქროს ურდო გაეხადა, მაგრამ დიმიტრი განზრახვას მიუხვდა, ურდოსკენ მიმავალი ყველა

გზა შეჰკრა. ტვერის მთავარი კელავ იძულებული შეიქნა თავი ლიტვისათვის შეეფარებინა.

1370 წელს ლიტვის დიდი ლაშქარი მეორედ შეესია მოსკოვის სამთავროს. თავდასხმა ამჟამადაც მოულოდნელი იყო და დიმიტრი, რომელსაც არ გააჩნდა სათანადო ძალები, იძულებული გახდა კრემლს შეფარებოდა. მისმა შიკრიკებმა სასწრაფოდ შემოიარეს მოსკოვის ხელქვეითი სამთავროები. დაიწყო ლაშქრის შეკრება. ვლადიმერ სერპუხოველმა პერემიშლთან დააჯგუფა თავისი ძალები და ლიტველთა დასახვედრად მოემზადა. მოსკოვის გაცხოველებული სამზადისი ომისათვის ოლგერდს არ გამოჰპარვია მხედველობიდან, მან იგრძნო, რომ რუსეთის მიწა-წყალზე მას ხაფანგს უმზადებდნენ და ამჯობინა საქმე მორიგებით გაეთავებინა. მაგრამ ოლგერდის მიერ შეთავაზებულ შეთანხმებაზე დიმიტრიმ უარით უპასუხა. ოლგერდმა თავისი ჯარები მიაბრუნა და უკანდახევა იწყო. ტვერის მთავრის იმედები ამჟამადაც გაცრუვდა. ახლა მან ისევ ოქროს ურდოსკენ იბრუნა პირი და 1371 წელს მოახერხა კიდეც ოქროს ურდოში დიდი მთავრის რაყამის მიღება. მაგრამ ვლადიმირელებმა მოღალატე მთავარი არ შეუშვეს ქალაქში. დიმიტრი მაინც არ ცხრება და ბრძოლას განაგრძობს, თუმცა მისი ძალები თანდათანობით სუსტდება. საყურადღებოა ერთი ფაქტი: დიმიტრიმ თავის მხარეზე გადაიბირა ურდოს ელჩი სიროხოჟა, რომელიც აქამდე ტვერის მთავრის კარზე იმყოფებოდა. სიროხოჟასთან შეთანხმებით დიმიტრი ურდოში გაემგზავრა, დიდძალი საჩუქრებით მოინადირა მამაისა და მისი მეუღლის გული და ტვერის ახალგაზრდა მთავარი ივანე მიხეილის ძე გამოისყიდა, რომელიც ურდოში მძევლად იყო დატოვებული. დიმიტრიმ გადაიხადა ის ვალი (10.000 მანეთი), რომელიც ტვერის მთავარზე ირიცხებოდა და ამრიგად, ტვერელი უფლისწული მძევლად წამოიყვანა მოსკოვში. ეს ფაქტი, როგორც პროფ. მავროდინი შენიშნავს, თვალნათლივ მიუთითებს, რომ მოსკოვის სამთავრო გაცილებით მდიდარი იყო, ვიდრე ტვერისა, რომ მოსკოვის ხელში დიდი შესაძლებლობანი იყო თავმოყრილი და ტვერის მთავრის ბრძოლა პირველობისათვის განწირული იყო.

ტვერის მთავარმა ოქროს ურდოში და ლიტვაში დაიწყო ქსელის გაბმა იმ მიზნით, რომ ორთავე ერთდროულად აემხედრებინა მოსკოვის წინააღმდეგ. მაგრამ არც დიმიტრი იყო გულხელდაკრე-

ფილი. მან შემოიკრიბა მიხეილის ძველი მოკავშირეებიც კი (სმოლენსკის, ბრიანსკის, ნოვოსილსკის, ობოლენსკის მთავრები) და ძლიერი ლაშქრით გაემართა ტვერისაკენ. 17 რუსი მთავარი იღებდა მონაწილეობას ამ ლაშქრობაში. ეს იყო გაერთიანებული რუსეთის პირველი ძლიერი გამოსვლა შინაური მტრის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ მიხეილს თავისი საუფლისწულოების მთავრებიც კი განუდგნენ. ისინი სამართლიანად საყვედურობდნენ, რომ ტვერის მთავარმა თავისი სიძის ოლგერდის ჯარს არა ერთხელ მოაოხრებინა მათი მიწა-წყალი, ბევრი ტანჯვა-წვალება მიაყენა ქრისტიანებს, ახლა კი მამაის დაუკავშირდა და ჩვენ გვახრჩობსო.

ტვერის მთავარი ახლა დარწმუნდა, რომ „მის წინააღმდეგ აღსდგა მთელი რუსეთი". მან თავი დამარცხებულად აღიარა და მოსკოვის მთავარი „თავის უფროს ძმად" იცნო. ხელშეკრულებაში, რომელიც მოსკოვისა და ტვერის მთავარს შორის დაიდო, განსაკუთრებით საინტერესოა ის პუნქტი, რომელიც თათართა წინააღმდეგ ბრძოლას შეეხება. ტვერის მთავარმა ვალდებულება აიღო მოსკოვთან ერთად გამოსულიყო ოქროს ურდოს წინააღმდეგ; ცხადი ხდება, რომ დიმიტრი ივანეს ძე უკვე ამზადებდა თათრებთან გადამწყვეტ შებმას და ამ დიდი შემთხვევისათვის რუსეთის ძალებს აერთიანებდა.

მოსკოვის წარმატებამ ლიტვის მთავარი ოლგერდი გააფთრა. მისი რისხვა, პირველ ყოვლისა, მიმართული იყო სმოლენსკის მთავრის წინააღმდეგ, რომელსაც იგი თავის ხელქვეითად თვლიდა (როგორც ცნობილია, სმოლენსკის მთავარი თან ახლდა დიმიტრის მიხეილ ალექსანდრეს ძის წინააღმდეგ ლაშქრობაში). ოლგერდმა გადაწყვიტა შური ეძია განდგომილ მთავარზე და სმოლენსკისაკენ დაიძრა, მოაოხრა ეს მხარე და დიდი ნადავლით გაბრუნდა უკან. მაგრამ ლიტვის მთავრის წარმატება დროებითი აღმოჩნდა. მალე ვითარება მოსკოვის სასარგებლოდ შეიცვალა. 1377 წელს ოლგერდი გარდაიცვალა. მთავრის ტახტი დაიკავა მისმა შვილმა მეორე ცოლიდან იაგაილომ. მალე იაგაილოსა და მის ძმას ანდრიას შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ანდრია პსკოვში გაიქცა და თავისთავი მოსკოვის ხელქვეითად აღიარა. ანდრიამ დიმიტრი ვოლინელთან ერთად გაილაშქრა ლიტვის შემადგენლობაში მყოფ სევერსკის საუფლისწულოს წინააღმდეგ. მალე იაგაილოს განუდგა მისი მეორე ძმა დიმიტრი ოლგერდის ძე, რომელიც ქალაქ ბრიან-

სკსა და ტრუბედსკში მთავრობდა. დიმიტრიმ მას პერეისლაველ-ზალესკი უბოძა. ერთი სიტყვით, დიმიტრი ივანეს ძემ, კარგად ისარგებლა რა ოლგერდის შემკვიდრეთა შორის დასავლეთის საზღვარზე გაჩაღებული ბრძოლით, საკმაოდ მტკიცე დასაყრდენი შექმნა ლიტვის წინააღმდეგ მოქმედებისათვის.

ტვერის დამარცხებამ შეაშფოთა ოქროს ურდოს სელისუფალნი. მათ დაინახეს, რომ ოქროს ურდოს მიერ გაცემულ განკარგულებებს მოსკოვის სამთავროში ყურადღებასაც არ აქცევდნენ, ვინაიდან ბრძოლა მიხეილის წინააღმდეგ, რომელსაც მამაის მიერ ბოძებული ჰქონდა დიდი მთავრის რაყამი, არსებითად ნიშნავდა ბრძოლას ურდოს წინააღმდეგ. მამაი იმასაც კარგად აბჩნევდა, თუ მოსკოვის ძალა და ავტორიტეტი რა სწრაფად იზრდებოდა, როგორ ერთიანდებოდნენ დიმიტრი ივანეს ძის ვარშემო რუსეთის საშთავრობები. ადრე თუ გვიან, მამაის აზრით, ეს ახალი, მზარდი ძალა მას დაუპირისპირდებოდა. ამიტომ აუცილებელი იყო ენერგიული ზომების მიღება და მოსკოვის მთავრის ალაგმვა.

ქვეყნის შიგნით ოპოზიციური ელემენტების დასათრგუნავად დიმიტრი ივანეს ძე, ივანე კალიტას მსგავსად, უნარიანად იყენებდა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას. მოსკოვის მიტროპოლიტი ალექსი ლოცვა-კურთხევას არ აკლებდა იმ მთავრებს, რომლებიც ლიტვას ან ტვერს განუდგებოდნენ და მოსკოვის სამთავროს შეეფარებოდნენ. იგი წყევლა-კრულვას უგზავნიდა მათ, ვინც მოსკოვს განუდგებოდა და რუსეთის მიწა-წყლის დაუძინებელი მტრების, ლიტვის ან ტვერის მთავართა მფარველობაში შევიდოდა. ალექსი მარჯვენა ხელი იყო დიმიტრისა, ამიტომ ჩიოდნენ მის წინააღმდეგ კონსტანტინეპოლის პატრიარქთან ოლგერდი და მიხეილ ალექსანდრეს ძე.

დიმიტრი ამავე დროს ყველა ზომას მიმართავდა იმისათვის, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია ბიზანტიის ეკლესიის ჩარევისაგან გაეთავისუფლებინა. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა, რომელიც ალექსით უკმაყოფილო იყო, მოსკოვის მიტროპოლიტის პოსტზე თავისი კანდიდატი წამოაყენა, მაგრამ დიმიტრიმ იგი მოსკოვში არ დაუშვა. ალექსის გარდაცვალების შემდეგ დიმიტრიმ არ დაუცადა კონსტანტინეპოლის კარნახს და მიტროპოლიტობა თავის კაცს, მოსკოველ დიმიტრის ჩააბარა.

ამგვარად, ეკლესია, რომლის შესაძლებლობანი ფეოდალიზმის ხანაში მეტად დიდი იყო, მოსკოვის მთავარს მხარში ედგა და დიდ როლს თამაშობდა როგორც ქვეყნის გაერთიანების, ისე რუსეთის გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხალხის აღფრთოვანების საქმეში.

დიმიტრი ივანეს ძე ტვერის დამარცხებისა და ლიტვაში ატეხილი დავის შემდეგ მტკიცედ გრძნობს თავს მოსკოვის ტახტზე. იგი მდინარე ვოლგაზე დამკვიდრებისათვის გაბედულ ნაბიჯს დგამს. 1376 წელს ვოევოდა დიმიტრი ვოლინელის მეთაურობით გზაჯვარის ლაშქარს კაზის ბოლგარების წინააღმდეგ. რუსმა მოლაშქრეებმა ყაზანს ალყა შემოარტყეს, აიღეს იგი და ყაზანის მთავრებს — ასანსა და მუჰამედ სოლტანს ხარკი დაადეს.

მაგრამ ამ დროს მოსკოვის ხელქვეითი ნიჟნი-ნოვგოროდის ტერიტორიაზე მოულოდნელად გამოჩნდა ლურჯი ურდოს ხანი არაპშა და ეს მხარე საშინლად აოხრა. დიმიტრი ივანეს ძემ ხანის წინააღმდეგ დიდი ლაშქარი გაგზავნა. როგორც ჩანს, ლაშქარი ასცდა მტრის კვალს. დაზვერვის არასწორი ცნობით, არაპშას მოთარეშე რაზმები თითქოს დონისკენ გაემართნენ. რუსებიც ამ შორ გზას დაადგნენ; იელიხის პაპანაქება სიცხეში ხანგრძლივი მგზავრობისაგან დაქანცული ლაშქარი უდარდელად განაგრძობდა სვლას, როცა მოულოდნელად არაპშა მას თავს დაესხა და დაამარცხა.

რუსი მხედრობის ამ მარცხმა მამაიც გაათამამა და 1378 წელს ნიჟნი-ნოვგოროდს შეუსია დიდი ურაზმი ბეგიჩის მეთაურობით. თათრებმა აოხრეს და დასწვეს ნიჟნი-ნოვგოროდი. დიმიტრი ივანეს ძემ გადაწყვიტა სასტიკად დაესაჯა თათრები. ლაშქარს თვით ჩაუდგა სათავეში და 1378 წ. 11 აგვისტოს დახვდა მას მდინარე ვოჟის ნაპირზე. დიმიტრისათვის კარგად იყო ნაცნობი ბრძოლის ის ხერხები, რომლებსაც თათრები მიმართავდნენ: ჩასაფრება, უეცარი თავდასხმა, მოწინააღმდეგის შეტყუება ბრძოლის შუაგულში და შემდეგ შეტევაზე გადასვლა. მონღოლები ხშირად განგებ იხევდნენ უკან, მოწინააღმდეგეს მოქანცავდნენ დადევნებით, შემდეგ გადასხდებოდნენ დასვენებულ ცხენებზე და ფლანგებიდან შემოვლით შეუტევდნენ, პანიკა შეჰქონდათ მოწინააღმდეგის განლაგებაში და ამარცხებდნენ.

დიმიტრიმ გადაწყვიტა არ მიეცა მონღოლებისათვის მანევრირების საშუალება. მან არ გადალახა მდინარე ვოჟი, პირიქით,

თათრები აიძულა თვით გადმოსულიყვნენ მდინარის მარცხენა ნაპირზე.

თავისი ლაშქრის საბრძოლო რიგები დიმიტრიმ ნახევარწრის ფორმით მოაწყო. ცენტრს თვით მეთაურობდა. მარჯვენა და მარცხენა ფლანგების სათავეში ტიმოფეი ველიამინოვი და დანიელ პრონელი ჩააყენა.

ბეგიჩმა სწრაფი შეტევა დაიწყო. მას სურდა რუსეთის საბრძოლო რიგები დაერღვია, გაეთიშა ლაშქარი ორ ნაწილად და შემდეგ ცალ-ცალკე გაენადგურებინა. მაგრამ ბეგიჩის გეგმები ჩაიფუშა. მის რაზმებს წინ აღუდგა რუსთა ცოცხალი კედელი. მალე რუსები თვით გადავიდნენ შეტევაზე.

მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. რუსი მხედრები ჩეხდნენ თათარ ცხენოსნებსა და ქვეითებს. ბეგიჩის ლაშქარში საშინელი პანიკა დაიწყო. გაქცეულები ერთმანეთს სრესდნენ. ბნელმა ღამემ იხსნა თათართა ლაშქრის მცირე ნარჩენი. ბრძოლის ველზე ათასობით მოკლული დარჩა. მათ შორის ბევრი იყო წარჩინებული პირი, აქვე იწვა თვით მურზა ბეგიჩი. მეორე დღეს დიმიტრი დაედევნა გაქცეულ მტერს. მართალია, მას ველარ დაეწია, მაგრამ წააწყდა თათართა მიერ ნაძარცვ ქონებას, რომელიც შეშინებულ მტერს გზაჯე დაეტოვებინა.

ბრძოლას მდინარე ვოჟთან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ოქროს ურდოსთან მოსკოვის სამთავროს პირველი სამხედრო შეჯახება, რომელიც მოსკოვის სასარგებლოდ დამთავრდა. რუს მოლაშქრეთა მორალური სულისკვეთება და საკუთარი ძალებისადმი რწმენა განმტკიცდა. კარლ მარქსი თავის „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“ აღნიშნავს: „დიმიტრი დონელმა მდინარე ვოჟზე (რიაზანის ოლქში) მთლიანად დაამარცხა მონღოლები. ეს მონღოლებთან პირველი სწორი ბრძოლაა, რომელიც რუსებმა მოიგეს“.

ამგვარად, დიმიტრიმ შესძლო ოპოზიციური ელემენტების დათრგუნვა მოსკოვის სამთავროში. მან დაამარცხა მოჭიშპე ტვერისა და რიაზანის მთავრები და ისინი მოსკოვის ხელქვეით მმართველებად გადააქცია.

დიმიტრიმ გაამაგრა მოსკოვი და იგი მტრისათვის მიუვალ ქალაქად გადააქცია. მანვე უნარიანად გამოიყენა ლიტვის სამთავროში შექმნილი ვითარება და უვნებელი გახადა დასავლეთის საშიში მეზობელი იმით, რომ თავის მხარეზე გადმოიბირა იაგაი-

ლოთი უკმაყოფილო ელემენტები. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მთავრების ალაგმვითა და მოსკოვის ძალაუფლებისადმი მათი დამორჩილებით დიმიტრიმ შესძლო რუსეთის შინაგანი განმტკიცება, მისი გადაქცევა ერთ საბრძოლო კოლექტივად, რომლის შესაძლებლობა ახლა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ცალ-ცალკე აღებულ ლიტვის სამთავროსი და ოქროს ურდოსი.

იგრძნო რა ფეხქვეშ მტკიცე ნიადაგი, დიმიტრი დონელმა გადაწყვიტა განეხორციელებინა რუსი ხალხის საუკუნოებრივი ოცნება—დაემსხვრია თათართა ბატონობის უღელი. პირველ ცდას, რომელიც მან მდ. ვოჟის ნაპირებზე ჩაატარა, წარმატება მოჰყვა. ვოჟთან რუსებისა და თათრების შეჯახებამ ოქროს ურდოსა და მოსკოვის სამთავროს შორის მდგომარეობა იმდენად გაამწვავა, რომ ამიერიდან მათი კონფლიქტი მხოლოდ იარაღს უნდა გადაეწყვიტა.

დიმიტრი დონელის მიერ ჩატარებული ეს დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი თავისთავად მეტყველებენ მისი ავტორის დიდ სახელმწიფოებრივ ნიჭსა და მხედართმთავრულ ხელოვნებაზე. მართლაც, დიმიტრი, რომელიც სავსებით ახალგაზრდა ავიდა სამთავრო ტახტზე, და რომელსაც მოქმედება მეტად დაძაბულ, რთულ საერთაშორისო ვითარებაში უხდებოდა, სწორედ მიიკვლევდა გზას, იგი იდგა თანამედროვეობის სიმაღლეზე და რუსი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავდა. დიპლომატური გზით თუ ბასრი რუსული მახვილით იგი აერთიანებდა დაქუცმაცებული ქვეყნის მიწა-წყალს და ამზადებდა თათარ-მონღოლთა სისხლიანი ბატონობის დაცხობას.

* * *

მდინარე ვოჟთან თათართა რაზმის დამარცხებამ ურდოში დიდი შეშფოთება გამოიწვია. საზღვარი არ ჰქონდა მამაის გაატრებას. მისი ერთადერთი მიზანი დიმიტრი ივანეს ძის სანიმუშო დასჯა და მოსკოვის სამთავროს იმგვარად აოხრება გახდა, რომ იგი შემდგომში ურდოს მონა-მორჩილი გამხდარიყო.

თავის ერთგულ ხანებსა და მურზებს მამაი ეუბნებოდა: დავსაჯოთ გათავხედებული მონები, ფერფლად ვაქციოთ მათი ქალაქები და ქრისტიანული ეკლესიები, გავმდიდრდეთ რუსული ოქროთი, ვილაშქროთ რუსთა მთავრებზე ისე, როგორც ეს ბაათოს დროს მოხდა, დავღვაროთ მათი სისხლი, აღვკვეთოთ მათი კანონებიო.

მაგრამ მამაის ამ ღონისძიებისათვის გართულებული მდგომარეობა ჰქონდა თვით ურდოში. თათართა ცალკეული სამთავროები ღელავდნენ. ისინი ხშირად ეომებოდნენ ერთმანეთს. შინაომით დასუსტებულ ურდოს ძველებურად აღარ შეეძლო დიდი ლაშქრის გამოყვანა. მამაის, რომელსაც საკმაოდ ბევრი მოქიშპე ჰყავდა, ეშინოდა კიდეც თავისი რეზიდენციის მიტოვება და ხანგრძლივი დროით სალაშქროდ გამგზავრება. ამიტომაც მამაიმ 1379 წელს თავისი რისხვა იმით დაიოკა, რომ რიაზანის მიწა-წყალს მარბიელი ლაშქარი შეუსია. ლაშქრის გაყოლა თვით ვერ გაბედა.

თათრები რიაზანში მოულოდნელად გამოჩნდნენ. ქალაქი პანიკამ მოიცვა. რიაზანის მთავარმა ოლეგმა ვერ მოასწრო ლაშქრის შეკრება და გაიქცა. თათრები შეიჭრნენ ქალაქში, დასწვეს იგი, გაძარცვეს და უკანვე გაბრუნდნენ. საგულისხმოა, რომ თათართა რაზმებმა მოსკოვზე გალაშქრება ვერ გაბედეს. ისინი ჭურდულად შეესივნენ რიაზანს, ჭურდულადვე გაიპარნენ.

რიაზანზე თავდასხმა მხოლოდ ნაწილი იყო მამაის მიერ მოფიქრებული გეგმისა და მას დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა. მრისხანე ხანი ახლა შინაური მტრების ალაგმვაზე ზრუნავდა, რომ შემდეგ ურდოს მთელი ძალა მოსკოვის წინააღმდეგ წარემართა. 1380 წლისათვის მამაიმ შესძლო კიდეც განდგომილთა დამარცხება, ჩამოიცილა ღოჭიშპეები და მთელი ურდო თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა.

მაგრამ მოსკოვის საბრძოლველად ომისათვის მამაის ურდოს ძალები უკვე აღარ მიაჩნდა საკმარისად. დაახლოებულ პირთა რჩევით მამაიმ რაზმების დაქირავება დაიწყო. ურდოში მოვიდნენ ხიკელთა, ჩერქეზთა, ბურტასთა, გენუელთა რაზმები, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ ქონებრივად დასძლევდნენ მოწინააღმდეგეს და მათ, როგორც ლაშქრობის მონაწილეებს, გარდა ჯამაგირისა, დიდი დავლა დარჩებოდათ; მამაიმ ესეც არ იკმარა და კავშირი გააბა ლიტვის მთავარ იაგაილოსთან, რომელიც მამაიზე არა ნაკლებ იყო დაინტერესებული თავისი აღმოსავლეთელი მეზობლის შემუსვრით. პირობის თანახმად, დანიშნული დროისთვის ლიტველთა ლაშქარი დონზე უნდა მოსულიყო და მამაის რაზმებს შეერთებოდა.

სრული ორი წელი მოანდომა მამაიმ მოსკოვის წინააღმდეგ ომისთვის სამზადისს, მან შეჰკრიბა დიდი არმია, რომელიც მემა-

ტიანეთა მოწმობით 400.000 კაცამდე აღწევდა. მამაი დარწმუნებული იყო წარმატებაში. იგი გაემართა დონისაკენ. წინასწარ მოსკოვს გაგზავნა თაეისი კაცები და დიმიტრის შეუთვალა—სასწრაფოდ გადაებადა ურდოსათვის ხარკის ისეთი რაოდენობა, როგორსაც უზბეკისა და ჯანიბეკის დროს იხდიდნენ. ხარკის ეს რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ არაეითარ შემთხვევაში მოსკოვს მისი გადახდა არ შეეძლო.

დიმიტრი ივანეს ძეს გათვალისწინებული ჰქონდა, რომ ჩდ. ეოჟთან თათრების დაძარცხების შემდეგ მამაი შურს იძიებდა, რომ საერთოდ, ურდოსა და რუსეთს შორის ვითარება მეტისმეტად დაძაბული იყო და გადამწყვეტ შეჯახებაში ერთ-ერთი უნდა განადგურებულიყო. იგი დიდი ხანია ემზადებოდა თათრებთან ბრძოლისათვის.

თათართა მოსალოდნელი შემოსევის ვითარებაში, დიმიტრის აზრით, ყველაზე მთავარი იყო ქვეყნის შინაგანი სიმტკიცე და ყოველგვარი ოპოზიციური მიდრეკილების ძირშივე აღმოფხვრა. სწორედ ამ მიზნით გააუქმა დიმიტრიმ თანამდებობა ტისიაცკისა, რომელსაც ბრძოლაში, ტრადიციულად, მთავარსარდლის პოსტი ეჭირა. ამ აქტის საბაბად იქცა მოსკოვის ტისიაცკის ივანე ვასილის ძის მოქმედება, რომელიც იმდენად გათავხედდა, რომ ურდოსთან კავშირი შეჰკრა. დიმიტრიმ შეიპყრო იგი და სასტიკად დასაჯა.

ასეთი ენერგიული ღონისძიების მიუხედავად, დიმიტრი ივანეს ძემ ოპოზიციური განწყობილების მთლიანად აღმოფხვრა მაინც ვერ შესძლო, ეს შეუძლებელიც იყო ფეოდალიზმის პირობებში. მსხვილი ფეოდალები, რომლებიც თავიანთ სიუზერენს შიშის გამო ემორჩილებოდნენ, და რომელთაც თავიანთი ვიწრო, პირადი ინტერესები უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, ვიდრე სახელმწიფოებრივი, ახერხებდნენ მაინც მტერთან ფარულად დაკავშირებას და მისთვის ხელის შეწყობას. ამ ჩხრივ ტიპიური მაგალითია რიაზანის მთავრის ოლეგ ივანეს ძის მოქმედება.

ოლეგმა მოსკოვზე სალაშქროდ მამაის სამზადისი რომ გაიგო, გადაწყვიტა ეს მომენტი გამოეყენებინა. პატივმოყვარე და ხარბმა რუსმა მთავარმა დაივიწყა სამშობლოს ინტერესები და წერილობით დაუკავშირდა მამაისა და მის მოკავშირეს—ლიტვის მთავარ იაგაილოს.

მამაის ოლეგი სწერდა: მე გავიგე, მოწყალეო ბატონო, რომ შენ გადაწყვიტე დასაჯო შენი მსახური, მოსკოვის მთავარი დიმიტრი. ახლა მომწიფდა დრო ოქროსა და დიდი სიმდიდრის შესაძენად. როცა კი მთავარი დიმიტრი შენს სახელსა და შენს მრისხანებას გაიგებს, გაიქცევა შორს, ან დიდ ნოვგოროდს, ან დვინაზე. ხოლო სიმდიდრე მოსკოვისა შენს ხელთ იქნება. მეც, შენს მონას ოლეგ რიაზანელს, წყალობას ნუ მომაკლებო.

ოლეგმა თავისი კაცი გაუგზავნა აგრეთვე იაგაილოს და წერილობით აცნობა მოსკოვის მთავარზე მამაის ლაშქრობის შესახებ. იაგაილოს იგი სთხოვდა ემოქმედნა მამაისთან ერთად, თავის მხრივ კი დახმარებას აღუთქვამდა. გამარჯვების შემდეგ მოსკოვის მიწა-წყალი ორთავეს უნდა გაეყოთ.

ცბიერი ოლეგი მამაისა და იაგაილოს დამარცხების შესაძლებლობასაც ითვალისწინებდა და რომ მოსკოვის მთავართან კაცი დამოკიდებულება ჰქონოდა, დიმიტრისაც წერილი გაუგზავნა. ოლეგი აცნობებდა მოსკოვის მთავარს, რომ მის წინააღმდეგ მოემართება მამაისა და იაგაილოს ლაშქარი და მოუმზადებელი არ შეხვდეო. მაგრამ ოლეგის ვარაუდი არ გამართლდა. დიმიტრიმ გაიგო მისი გამცემლობის შესახებ. თუმცა მისი დასჯა უფრო მოსახერხებელი დროისათვის გადასდო.

1380 წლის ზაფხულზე მონღოლთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი თვით მამაის ხელმძღვანელობით ჩრდილოეთისაკენ დაიძრა, გადალახა მდინარე ვოლგა და დაბანაკდა მდ. ვორონეჟის შესართავთან. პირობის თანახმად, აქვე უნდა მისულიყვნენ მისი მოკავშირენი — დასავლეთიდან ლიტვის მთავარი, აღმოსავლეთიდან — რიაზანის მთავარი.

შავი ღრუბელი ჩამოწვა რუსეთის ცაზე. ბათოს შემდეგ რუსეთის წინაშე არ მდგარა ასეთი დიდი განსაცდელი. მამაის მრისხანება უსაზღვრო იყო და იგი დიმიტრის სამფლობელოს სრულ განადგურებას ეძადდა. ბეშვზე ეკიდა მოსკოვის სამთავროსა და მთელი რუსეთის ბედი. მამაის გამარჯვება რუსეთის დამოუკიდებლობის დაკარგვას, რუსი ხალხის დამონებას მოასწავებდა. მამაიზე არა ნაკლებ ხარბი გეგმები ჰქონდათ იაგაილოსა და ოლეგ რიაზანელს. მოსკოვის მთავართა ათეულ წლობით ნამოღვაწარი ერთ დღეს დაინგრეოდა: რუსეთი თათრების, ლიტველი მთავრის

და რუსეთის მოღალატე ბოიარების საჯიჯგნ ტერიტორიად გადაიქცეოდა.

დიმიტრი ივანეს ძემ ყველაფერი ეს კარგად იცოდა. სრულყოფილად ჰქონდა შეგნებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მას სამშობლომ დააკისრა. რუსეთის მთავართაგან მხოლოდ მას, ყველაზე ძლიერს შეეძლო ხალხის დარაზმვა ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. იგი, ბრძოლაში არა ერთგზის ნაწრთობი, უნდა წასძღოლოდა წინ რუს მოლაშქრეებს სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

მოსკოვში ცნობა მოვიდა, რომ თათართა უთვალავი ჯარი რიაზანის მიდამოებშია დაბანაკებული და რუსეთზე სალაშქროდ ემზადებაო. ეს ხმა სწრაფად დაირხა მთელ რუსეთში. ხალხი ფეხზე დადგა.

დიმიტრიმ იცოდა, რომ სადაც მამაი ფეხს დაადგამდა, იქ სიცოცხლე გაჰქრებოდა. აძოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ არ შეძოეშვა გაბოროტებული მტერი მოსკოვის სამთავროში. დრო რომ მოეგო, მან დიპლომატიურ ხერხს მიმართა: თათრების ბანაკში გაგზავნა ელჩები ზაქარია ტიუტჩევის მეთაურობით. ელჩობას დაზვერვითი მოვალეობაც ეკისრებოდა: მას თათართა არმიის რაოდენობა და მისი გეგმები უნდა გაერკვია. ელჩობამ მართლაც დიდი როლი ითამაშა. მან დაახლოებით გაარკვია მტრის ძალთა რაოდენობა. გაიგო აგრეთვე, რომ მამაის კავშირი აქვს ლიტვის მთავართან და ოლეგ რიაზანელთან.

ამავე დროს რუსეთის სამთავროებში დიმიტრიმ აფრინა შიკრიკები, რომელთაც თან წაიღეს მთავრის ბრძანება ლაშქრის შეგროვების შესახებ. მოლაშქრენი მოსკოვს უნდა შეკრებილიყვნენ. აქ მოხდებოდა საბრძოლო ძალთა დათვალიერება—გადახგუფება. აქვე, სამხედრო საბჭოზე შემუშავდებოდა მოქმედების გეგმა.

უჩვეულო გამოცოცხლება დაეტყო მთელ რუსეთს. ყოველ გზაჯვარედინზე, სამჭედლოებში დიედაღამ ისმოდა უროების ცემა. სჭედდნენ შუბებსა და ხმლებს, ისრებსა და ფარ-აბჯრებს. საუკუნის მანძილზე რუსი ადამიანების გულში დაგუბებული იყო რისხვა შურისძიებისა და ახლა, ულმობელ მტერთან ანგარიშგასწორების ჟამი რომ დადგა, უსახღვრო იყო ყველას აღტყინება. მამაკაცებს მოთმინება არ ჰყოფნიდათ, ბრძოლის ველისკენ მიიწევდნენ. ქალები გზას ულოცავდნენ სამშობლოს მხსნელებს. რუსეთის ყველა

კუთხის ბაღალ საბრძოლო განწყობილებას შესანიშნავად გვისურათებს ძველი თქმულება კულიკოვოს ბრძოლის შესახებ: „მოსკოვში მერნები აღვირებს ჰგლეჯენ, ჟღერს დიდება რუსთა ქვეყნისა, კოლონნაში ნაღარას სცემენ, სერპუხოვში დაფდაფები ზუზუნებენ, დუნაის ნაპირას დროშები ფრიალებენ, ნოვგოროდში ვეჩეს ზარი მოუხმობს“.

მთავრის ბრძანების თანახმად ლაშქრის შეგროვება ივლისის ბოლოსათვის უნდა დამთავრებულიყო. მართლაც, დანიშნულ დროისათვის რუსეთის გულისაკენ—მოსკოვისაკენ დაიძრნენ აბჯარასხმული მეომრები სერპუხოვიდან, პსკოვიდან, ვლადიმირიდან, მურომიდან, პერეიასლავლიდან, როსტოვიდან, კოსტრომიდან, ბელოზერიდან, იაროსლავიდან, ბრიანსკიდან, მურომსკიდან, უსტიუგიდან და სხვა სამთავროებიდან. ლაშქრის შეგროვებას და მის ორგანიზაციას გარკვეული დრო ესაჭიროებოდა. ამავე დროს საჭირო იყო საიხრეთი საზღვრების წინასწარი გამაგრება, რომ მტერი მოულოდნელად არ შემოჭრილიყო მოსკოვში. დიმიტრიმ ჩამოაყალიბა სადარაჯო რაზმი ბრძოლაში ნაცადი ბოიარების—როდიონ რჟეველის, ანდრია ვოლოსატის და ვასილ ტუპიკის მეთაურობით. ეს რაზმი უნდა გამგზავრებულიყო დონის შენაკადი მდინარეების—ფისტრისა და ტიხი სოსნის მიდამოებში და ეთვალთვალა მტრისათვის, შეეპყრო ტყვე და მოსკოვში გამოეგზავნა.

ტყვემ, რომელიც სადარაჯო რაზმმა მოსკოვში გაგზავნა, აჩვენა, რომ მაჰაი, ვიდრე ლიტვიდან დამხმარე ძალა არ მოუვა, არ აპირებს მოსკოვზე გალაშქრებასო. ახლა ვითარება ნათელი იყო. საჭირო იყო მამაისათვის დასწრება, მისი განადგურება მანამდე, ვიდრე მოკავშირეს შეუერთდებოდა.

დიმიტრიმ სამხედრო საბჭო მოიწვია და მის წინაშე გადაშალა თათრების წინააღმდეგ მოქმედების გეგმა. დიმიტრის აზრით, მტრისათვის მოსკოვის კედლებთან ლოდინი დამღუპველ შედეგებს მოიტანდა. საჭირო იყო თათრებისათვის ინიციატივის ხელიდან გამოგლეჯა, არა თავდაცვა, არამედ შეტევა და შეტევა, რაც შეიძლება სწრაფად, ვიდრე ლიტვის ლაშქარი მამაის ლაშქარს შეუერთდებოდა. რუსი მხედრობა დონისკენ უნდა დაძრულიყო და იქ, მოსკოვის სამთავროს სამხრეთ საზღვართან, შებმოდა მტერს. მოხერხებულად იყო შერჩეული მოძრაობის მარშრუტიც. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვიდან დონისკენ უახლოესი გზა

რიაზანზე გადიოდა, დიმიტრიმ არჩია არ შეედგა ფეხი მოღალატე მთავრის მიწა-წყალზე, რომ ამით რიაზანელებისათვის მტრული მოქმედების საბაბი არ მიეცა.

აგვისტოს დასაწყისში რუსეთის დიდი ლაშქარი, რომლის შემადგენლობა მემატიანეთა გადმოცემით 150 ათას კაცამდე აღწევდა, კოლომნაში იყო თავმოყრილი. დიმიტრიმ დაათვალიერა ლაშქარი, მეომრები პატრიოტული სიტყვით ალაფრთოვანა, ცალკეული დრუჟინები გადააჯგუფა და სალაშქრო რიგებად მოაწყო. მევზურებად დიმიტრიმ ათი მოსკოველი ვაჭარი გამოჰყო, რომელთაც ურდოსკენ მიმავალი გზა კარგად ჰქონდათ შესწავლილი.

26 აგვისტოს სამხრეთისაკენ დაიძრა თათართა შემმუსვრელი ძალა. ლაშქარს წინ მიუძღოდნენ მეზარაღებსა და ჯავშნის პერანგებში ჩამჯდარი მთავრები. ლაშქრის პირველ კოლონას შეადგენდნენ ცხენოსნები. მათ მიჰყვებოდნენ ქვეითნი. ისინი უმთავრესად მოსკოვისა და სხვა ქალაქების გარეუბანთა მეომრები იყვნენ, ხელოსნები და გლეხები, რომელთა გულში ჩაუქრობელ ლამპრად ენთო საძმობლოს სიყვარული. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ უფრო მსუბუქად—ნაჯახებით, ხელკეტებითა და კომბლებით. ყველა იარაღი ძლიერია მაშინ, თუ ხელს მტრისადმი რისხვა და პატრიოტული გრძნობები ამოქმედებს. სახალხო მოლაშქრეთა ძალა მრავალჯერ ჰქონდათ ნაცადი რუს მხედართმთავრებს და ახლაც, დიმიტრი ამ უპრეტენზიო, ქვეითად მავალ, მაგრამ უსაზღვრო სიმამაცით აღსავსე მეომრებზე დიდ იმედებს ამყარებდა.

მდინარე ოკას ნაპირზე, ლოპასნის შესართავთან, დიმიტრიმ ლაშქარი შეასვენა. აქ მას წამოეწია მოსკოველი ვოევოდის ველიამინოვის ქვეითი რაზმი. მოსკოვის მთავრის განკარგულებაში მოვიდნენ თავიანთი რაზმებით აგრეთვე ლიტველი მთავრები—ანდრია და დიმიტრი ოლგერდის ძენი, რომელთაც, როგორც ზევით მივუთითებდით, უთანხმოება ჰქონდათ იაგაილოსთან და ჯერ კიდევ ადრე არჩიეს მოსკოვის მთავართან სამსახური. ველიამინოვს დიმიტრიმ უბრძანა დროებით აქვე დარჩენილიყო, დაეცვა ფონი და გზა ეჩვენებინა დაგვიანებული რაზმებისათვის. ამავე დროს ჩამოაყალიბა ცხენოსან მზვერავთა რაზმი, რომელსაც ამოცანად დაუსახა მარშრუტის დაზვერვა და მტრის მზვერავის ხელში ჩაგდება. ლაშქარმა განაგრძო გზა და 200 კილომეტრი მანძილი 7 დღე-ღამის განმავლობაში დაჭფარა. სოფელ ბერიოზთან დიმიტრიმ მცირე ხნით

შეასვენა ლაშქარი, რომელსაც ამ დროს ახალი ძალები შეემატა პოლოცკისა და ბრიანსკის სამთავროებიდან. მამაცმა მზვერავებმა შეიპყრეს თათარი მამაის ბანაკიდან და დიმიტრისთან მოიყვანეს. ტყვე თათარმა იგივე აჩვენა, რაც წინათ შეპყრობილმა. მამაი არ ჩქარობს, ნელა მოემართება, იგი რიაზანისა და ლიტვის ლაშქარს ელოდება, თათართა ბანაკში არაფერი იციან რუსთა ლაშქრის მოახლოების შესახებო.

ტყვის ჩვენება მეტად საყურადღებო იყო. მამაიმ ჯერჯერობით არაფერი იცის, მაშასადამე, შესაძლებელია მოულოდნელი თავდასხმა. ახლა ყველაფერს წყვეტს სისწრაფე, რომ იაგაილომ და ოლეგ რიაზანელმა არ მიასწრონ მას ბრძოლის ველზე.

6 სექტემბერს დიმიტრის ლაშქარი მდინარე დონს მიადგა. ამავე დროს მამაიმ უკვე გაიგო, რომ დიმიტრის ჯარები დონის ნაპირზეა. ამ მოულოდნელი ამბით შეშფოთებულმა მამაიმ გადაწყვიტა დაესწრო დიმიტრისათვის, არ მიეცა მისთვის დონის გადალახვის საშუალება. იგი დაიძრა დონის მიმართულებით.

7 სექტემბერს სოფ. ჩერნოვოში დიმიტრიმ სამხედრო თათბირი მოიწვია. მთავრებისა და ვოევოდების წინაშე მან დააყენა საკითხი— გადალახონ მდინარე დონი, თუ აქ დაელოდონ თათართა რაზმებს.

თათბირის მონაწილეთაგან ბევრი მომხრე იყო დონის გადალახვისა. ამ შემთხვევაში თათართა რაზმებს რუსები დასავლეთის მხრიდან მოექცეოდნენ და შეუძლებელს გახდიდნენ მამაის ლაშქრის შეერთებას ლიტვის ლაშქართან, რომელიც უკვე დაიძრა მამაისთან შესაერთებლად. მაგრამ წარუმატებლობის შემთხვევაში რუსეთის ლაშქარს აღარ ჰქონდა უკან დასახევი გზა. დონის გადალახვის ნომხრე მთავრები დიმიტრის ურჩევდნენ: თუ გსურს რომ ბრძოლა მედგარი იყოს, ბრძანე დღესვე გადავლახოთ დონი. დეე, ნურავის ნუ მოუვა აზრად უკან დახევა. დეე, ყველამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოლოს, იფიქროს არა თავის გადარჩენაზე, არამედ სიკვდილზე. ნუ შეგვაშინებს ის, რომ თათრებს დიდი ძალა ჰყავთ.

ვოევოდების მეორე ჯგუფი ფრთხილობდა და წინადადებას იძლეოდა ადგილზევე დარჩენილიყვნენ. „მტერი ბევრია, მთავარო, ჩვენს წინააღმდეგ მოდიან თათრები, ლიტველები, რიაზანელები; თუ

მდინარეს უკან მოვიტოვებთ, ბრძოლა გაგვიჭირდება, ჩვენ უნდა მოვიტოვოთ უკან დასახვევი გზა“,— აღბობდნენ ისინი.

დიმიტრი არ ყოყმანობდა. დონის გადალახვა მას გაბარჯვების აუცილებელ პირობად მიაჩნდა. მდინარეზე გადასვლა და იქ, მამაის უთვალავ ლაშქართან შებმა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და თუ თათრები სძლევდნენ, მაშინ არც ერთ რუს მეომარს აღარ ეწერა სახლში დაბრუნება. გზა უკან მოკრილი იყო, მაგრამ მამაცი მეომრისა და მხედართმთავრისათვის თვით სიკვდილზე უარესი იყო იმის დაშვება, რომ ამ ბრძოლაში რუსეთის მხედრობა დამარცხებული დარჩებოდა. მაშინ ხომ მათ ისევ მონობა ელოდათ. როგორღა დაბრუნდებოდნენ სახლებში შერცხვენილნი, სახელგატეხილნი, როგორღა შეხედავდნენ თავიანთ დედებსა და შვილებს, განა ამისათვის დააყენა ფეხზე დიმიტრიმ მთელი რუსეთი, რომ ბოლოს ბტრისთვის ზურგი ეჩვენებინა! როგორ შეაჩვენებდა მას, ამ ბრძოლის მეთაურს, შთამომავლობა!

და დიმიტრიმ, რომლისთვისაც მამაცურად დაცემულის სახელი უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე შერცხვენილი სიცოცხლე, შემდეგი სიტყვებით მიმართა მთავრებს: საყვარელო მეგობრებო და ძმებო! აქ მე მოვედი არა იმისთვის, რომ ოლეგსა და იაგაილოს შევხედო, ან მდინარე დონი დავიცვა, არამედ იმისთვის, რომ ვიხსნა რუსთა ქვეყანა ტყვეობისა და აოხრებისაგან, ან სიცოცხლე გავწირო რუსეთისათვის.

პატიოსანი სიკვდილი უკეთესია შერცხვენილ სიცოცხლეზე. უკეთესი იყო სრულიად არ გამოვსულიყავით თათართა წინააღმდეგ, ვიდრე ის, რომ გამოვედით და ვერა გავაკეთოთ რა, დავბრუნდეთ უკან.

დღესვე გადავიდეთ დონს გაღმა და იქ ან გავიმარჯვებთ და მთელი რუსეთის ხალხს დაღუპვისაგან ვიხსნით, ან დავდებთ ჩვენს თავს სამშობლოსათვის.

თავისი ბრწყინვალე, აღმაფრთოვანებელი სიტყვა დიმიტრიმ დაამთავრა მოწოდებით: „დღესვე დონს გაღმა, სანამ მტერს მიეცემა გაერთიანების შასაძლებლობა!“ ამ სიტყვებმა თათბირის მონაწილეებზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა. ყველა ერთსულოვნად შეუდგა დიმიტრის ბრძანების შესრულებას.

რუსმა ცხენოსნებმა ფონი მოსძებნეს. ქვეითებმა სახელდახელო ხიდები ააგეს იქ, სადაც დონს შეერთვის მდ. ნეპრიადვა. 7 სექ-

ტემპერს, ღამით დაიწყო ლაშქრის გადასვლა მდინარის გაღმა. დიმიტრი აჩქარებდა მოლაშქრეებს. ძვირფასი იყო ყოველი წუთი, ვინაიდან მტერი ახლოს იდგა. მზვერავთა ჯგუფის მეთაურმა სიმონ მელიქმა მოიტანა ამბავი, რომ მის მეომრებს ბრძოლა მოუხდათ თათართა მოწინავე ჯგუფებთან, რომ ყოველ წუთში მოსალოდნელია მათი გამოჩენა.

მდინარის გადალახვა წარმატებით დამთავრდა. გათენდა 8 სექტემბრის დილა. სქელი ნისლი რუსი მეომრების მოძრაობას უჩინარს ხდიდა. დაუღალავად მუშაობდნენ მოლაშქრენი. დიმიტრი თავისი ვოევოდებით მდინარის გაღმა ადგილმდებარეობის შესწავლას შეუდგა, რომ ლაშქარი მოხერხებულად განელაგებინა.

ახლოვდებოდა საბედისწერო წუთები.

* * *

მდინარე დონსა და ნეპრიადვას მარჯვენა სანაპიროებს შორის მდებარეობდა ხევებით დასერილი და ჭაობიანი კულიკოვოს ველი. ველის ეს სახელწოდება წარმომდგარია სიტყვისაგან „кулик" (ღალღა — ფრინველი, რომელიც, როგორც ჩანს, ამ მიდამოებში იყო გავრცელებული). ველის დასავლეთით, მდ. ნეპრიადვას ერთვოდნენ პატარა მდინარეები—ქვემო დუბიაკი, შუა დუბიაკი და ზემო დუბიაკი. ჩრდილოეთ მხარეზე, თითქმის მდ. დონის პარალელურად, მიემართებოდა მდინარე სმოლკა, თითოეული ეს პატარა მდინარე საკმაოდ ღრმა, ძნელად გასასვლელ ხევს ჰქმნიდა. ამავე დროს ხევები დაფარული იყო ხშირი ტყით.

ეს ველი რუსებისა და თათართა სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების ასპარეზად გადაიქცა.

დიმიტრიმ შეისწავლა კულიკოვოს ველის რელიეფი, გაითვალისწინა თათართა ტაქტიკა და თავისი ჯარის სუსტი და ძლიერი მხარე. რაზმები იმგვარად განალაგა, რომ თათართა ცხენოსნების ფლანგებიდან შემოელა თავიდან აეცილებინა.

როგორც ზევით აღვნიშნავდით, ბრძოლაში მონღოლთა ნაცადი ტაქტიკა ფლანგებიდან შემოვლაში მდგომარეობდა. თათრებს უყვარდათ გაწვლილ ველზე ბრძოლა. მაშინ, როცა მათი მთავარი ძალები მოწინააღმდეგის ცენტრში იჭრებოდნენ, ცხენოსნები მარჯვენა და მარცხენა მხრიდან უვლიდნენ და სწრაფი დარტყმით ასუსტებდნენ ცენტრის მოქმედებას. ცენტრის განკვეთის შემდეგ

გათიშული მტრის ცალ-ცალკე განადგურებას ადვილად ახერხებდნენ.

დიმიტრიმ ივარაუდა, რომ მამაიც არ უღალატებდა თათრულ ტაქტიკას და რომ მისი ცხენოსანი რაზმებისათვის გაშლისა და ფლანგებიდან მოქმედების საშუალება არ მიეცა, მარჯვენა და მარცხენა ფრთის რაზმები ამ ღრმა ხევებისა და ტყის ნაპირებზე მოაწყო.

დიმიტრიმ თავისი ლაშქარი რუსი მხედართმთავრების მიერ არა ერთხელ ნაცადი წესით განალაგა. მარჯვენა ფრთის განაყოფმა ანდრია ოლგერდის ძის მეთაურობით ქვემო დუბიაკის ხევის მარჯვენა ნაპირი დაიკავა. მარცხენა კი, რომელსაც სათავეში ედგნენ ბელოზერელი მთავრები, განლაგებულ იქნა მდინარე სმოლკას მარცხენა ნაპირზე. საფლანგო პოლკებს ღრმა თხრილები და ხშირი ტყე იფარავდა, ასე რომ, მტრის ცხენოსნების ზურგიდან შემოვლის საშიშროება გამორიცხული იყო. საბრძოლო პოზიციის წინა მხარე მეწინავეებმა დაიკავეს, სადაც თითქმის მთლიანად ქვეითი მეომრები იყვნენ. ამათ სათავეში დიმიტრი და ვლადიმერ ვსევოლოდის ძენი ჰყავდათ. „მეწინავე პოლკის“ უკან მოეწყო „დიდი პოლკი“ თვით დიმიტრი ივანეს ძისა და მოსკოველი ვოევოდა ტიმოთე ველიამინოვის მეთაურობით. „დიდი პოლკის“ უკან პოზიცია დაიკავა სარეზერვო პოლკმა დიმიტრი ოლგერდის ძის მეთაურობით.

მდ. სმოლკას ნაპირები—„ზელიონაია დუბრავა“ დაფარული იყო ხშირი ფოთლოვანი ტყით, დიმიტრიმ ეს ბუნებრივი საფარი სამარქაფო პოლკის განლაგებისათვის გამოიყენა. მან შეარჩია ყველაზე მამაცი, ბრძოლაში ნაცადი მეომრები და დიმიტრი ბობროკისა და ვლადიმერ სერპუხოველის მეთაურობით მოაწყო „ზელიონაია დუბრავას“ მიდამოებში, მარცხენა ფრთის განლაგების უკან. დიმიტრი ბობროკი იმ დროს ერთ-ერთ გამოჩენილ მხედართმთავრად ითვლებოდა. სიმამაცე, შეუპოვრობა, მტრის საბრძოლო ხერხების გამოცნობის უნარი, თავდაჭერილობა მის საბრძოლო თვისებებს შეადგენდა. ბრძოლაში ნაცადი, ენერგიული და მამაცი მეომარი იყო აგრეთვე ვლადიმერ სერპუხოველი.

სამარქაფო პოლკის ამოცანას შეადგენდა, თვალყური ედევნებინა ბრძოლისთვის, არავითარ შემთხვევაში არ გამოემჟღავნებინა თავისი თავი და მხოლოდ მაშინ, როცა დადგებოდა გადამწყვეტი

მომენტი, უეცარი დავდასხმით შიში და პანიკა შეეტანა მტრის რიგებში.

დილის 10 საათისათვის პოლკების მოწყობა დამთავრდა. სქელი ნისლი გაიფანტა, გამოჩნდა მტრის უთვალავი ჯარი. დიმიტრიმ ერთხელ კიდევ ჩამოუარა მამაც რუს მხედრებს.

— საყვარელო მამებო და ძმებო,— მიმართავდა მათ დიმიტრი,—თავს ნუ დავზოგავთ ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად. ყველა ჩვენ, დიდი და პატარა, ძმები ვართ, ერთი გვარისა და ტომის შვილები. დავიხოცოთ სამშობლოსათვის, მართლმადიდებლური სჯულისათვის...

აღმაფრთოვანებელი იყო მთავრის მოწოდება. ეს იყო სამშობლოს მოწოდება წარმოთქმული მისი რჩეულის, ეროვნული გმირის პირით. ახლა წყდებოდა რუსეთის ბედი.

რუს მეომართა საბრძოლო აღტყინება უსაზღვრო იყო. ჰიხვინებდნენ ცხენები, რომელთაც თავს ძლივს უკავებდნენ ჯავშანში ჩამჯდარი რუსი გოლიათები. ამ წუთში მხოლოდ სამშობლოსათვის ფეთქავდა გული თითოეული მხედრისა. ყველა მტერთან დაუყოვნებლივ შებმისა და მისი განადგურების წყურვილით იყო შეპყრობილი. მზეზე ლაპლაპებდნენ მოლაშქრეთა მუზარადები, მოკაუჭებული ხმლები და ფარ-შუბები. მეომრებს ზევიდან ეხურათ რუსული დროშების ტყე. მათ შორის გამოირჩეოდა ცენტრში აღმართული დროშა დიდი მთავრისა.

კულიკოვოს ველისკენ დაიძრნენ თათართა უთვალავი ურდოები. მათი საბრძოლო რიგების შუა ნაწილს დაჭირავებული ქვეითი რაზმები შეადგენდა, მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე მოდიოდნენ ცხენოსნები. თათრებს მუქი ტანსაცმელი ეცვათ, შავი ჩაფხუტები ეხურათ. რუსთა ბანაკიდან კარგად მოჩანდა მათი მოძრაობა. ეს ჩაშავებული ბრბო პირქუშ შთაბეჭდილებას სტოვებდა. მალე ველის შუაგულში, მაღლობზე (იქ, სადაც ახლა აღმართულია კულიკოვოს ბრძოლის აღსანიშნავი ძეგლი) მამაიმ გაშალა თავისი კარავი. თათრები შეჩერდნენ ისრის მისაწვდენ მანძილზე.

დიმიტრიმ გაიხადა მთავრის ტანსაცმელი და ჩამოქვეითდა. ცხენი და ჯაჭვ-მუზარადი რჩეულ ბოიარინს გადასცა. მასვე უბრძანა მთავრის დროშასთან დარჩენილიყო. თავად რიგითი მეომრის ტანსაცმელი ჩაიცვა და მეწინავე პოლკში გაეშურა.

— მე მინდა, პირადი მაგალითით აღვაფრთოვანო ჩემი მეომ-

რები და თავი ჩემი დავდო მამულისათვის, ეს სხვებს გაამხნევებს ბრძოლაში,—ამბობდა იგი. მთავრის მამაცურმა საქციელმა ახალი ძალა შემატა მეომრებს.

დადგა ბრძოლის ჟამი.

უეცრად თათართა მწყობრიდან მოედანზე გამოიჭრა გოლიათი ცხენოსანი. ეს იყო თათრების ფალავანი მურზა თემური. იგი შუბს ატრიალებდა ჰაერში, ცხენს ყალყზე აყენებდა და საომრად იწვევდა მოპირდაპირეს რუსთა ბანაკიდან.

თათრის გამოწვევა სამების მონასტრის მორჩილმა ალექსანდრე პერესვეტმა მიიღო. რუსი გოლიათი ამაყად გავიდა ბრძოლის ველზე. მოწინააღმდეგენი ელვისებური სისწრაფით ეკვეთნენ ერთმანეთს. იმდენად ძლიერი და თავგანწირული იყო მათი დაჯახება, რომ ორთავენი ცხენებითურთ უსულოდ დაეცნენ მიწაზე.

ეს იყო ნიშანი მოქმედების დაწყებისა. თათართა შავი ურდო დაიძრა, ისრების სეტყვა დაატყდა თავს რუსთა მოწინავე პოლკს, რომელიც პირველი ჩაება ბრძოლაში.

დიმიტრის ვარაუდი სწორი აღმოჩნდა. მამაიმ ვერ შესძლო ბრძოლაში თათრული ტაქტიკის გამოყენება. ფლანგები დაკეტილი აღმოჩნდა და ურდოს ქვეითი და ცხენოსანიც ახლა მთელი ფრონტით დაეჯახა რუსთა ფრონტს. ველის მცირე ფართობი არ იძლეოდა ბრძოლის გაშლის შესაძლებლობას და ერთმანეთში არეული მოწინააღმდეგენი შეტაკებაზე გადავიდნენ. თქმულება მამაისთან ბრძოლის შესახებ, თათართა შებმას რუსთა მეწინავე პოლკთან ასე აგვიწერს: „შუბები ბზესავით ტყდებოდნენ, ისრების წვიმა მოდიოდა, მტვერში ვერ ატანდა სხივები მზისა, მოჩანდა ხმალთა გაელვება, ადამიანები კი ეცემოდნენ, ვით ბალახი თიბვის დროს. სისხლი იღვრებოდა როგორც წყალი და რუებად მიედინებოდა“. მეწინავე პოლკი, რომელმაც პირველად იწვნია თათართა შემოტევა, თითქმის მთლიანად გაწყდა. რამდენიმე მხედარმა დიმიტრი ივანეს ძესთან ერთად შესძლო რკალის გარღვევა და „დიდ პოლკთან“ შეერთება.

პირველმა წარმატებამ თათრები გაათამამა. ახლა ისინი დაეჯახნენ „დიდ პოლკს“, სადაც მოსკოვის მთავრის დროშა ფრიალებდა. მამაცურად იცავდა თავს მოსკოვის სახალხო ლაშქარი, მაგრამ თათრებმა დიდი მსხვერპლის ფასად ქვეითი მოლაშქრენი აჩეხეს. ისინი მისწვდნენ დიდი მთავრის დროშას. მისი მცველი ბოიარინი

ბრენკი გმირულად დაეცა. მამაცურად უმკლავდებოდნენ მტრის მოძალებას რუსები, ადგილიდან ფეხს არ იცვლიდნენ, უშიშრად კვდებოდნენ. მაგრამ მტერი ურიცხვი იყო, მისი წინა რიგები რომ წვებოდა, გვამებზე გადავლით მოდიოდა და მოდიოდა ახალი ტალღა. „დიდი პოლკის“ რიგები შეირყა, მაგრამ ველიამინოვმა და გლებ ბრიანსკელმა ვლადიმირისა და სუზდალის რაზმების დახმარებით მტერს ხელიდან გამოგლიჯეს დიდი მთავრის დროშა, შეამჩნიდროვეს „დიდი პოლკის“ რიგები და თათართა შეტევა შეაჩერეს. „დიდი პოლკის“ შებმა თათართა ურდოებთან რუსულ წყაროებში ასეა აღწერილი: „...შეეჯახნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგეთა პოლკები და მედგრად იბრძოდნენ არა მარტო იარაღით, არამედ ხელებითაც. ისინი ეჭიდებოდნენ ერთმანეთს, კვდებოდნენ ცხენთა ფლოქვების ქვეშ, იხრჩობოდნენ დიდი სივიწროვისაგან, რადგანაც კულიკოვოს ველი ვერ იტევდა ორ დიდ ლაშქარს, ვიწროა ადგილი დონსა და ნეპრიადვას შორის. ხმალთა მოქნევა გაელვებას ჰგავდა, შუბთა მტვრევა და ხმლების ჩახაჩუხი საშინელ ხმას გამოსცემდა. სიკვდილის მრისხანე საათი იდგა. უამრავი ხალხი ეყარა ბრძოლის ველზე...“

მარჯვენა ფრთამ გმირულად მოიგერია თათართა შეტევა. თათრები უკუიქცნენ, მაგრამ ანდრია ოლგერდის ძემ უარი თქვა დადევნებაზე. იგი მიშობდა, რომ მოსწყდებოდა „დიდ პოლკს“, რომელსაც ახლა ყველაზე მეტი გასაჭირი ადგა.

თათრებმა ახლა იერიშის მთელი ძალა „მარცხენა ხელის“ პოლკზე მიმართეს. ბელოზერელმა მთავრებმა მოიგერიეს მამაის ცხენოსანთა იერიშები. მაგრამ მტერი ახალ-ახალ ძალებს აბამდა ბრძოლაში. თათრებმა დიდი მსხვერპლის ფასად მოახერხეს პოლკის საბრძოლო წყობის დარღვევა. მდგომარეობის აღსადგენად მას დიმიტრი ოლგერდის ძის სარეზერვო ნაწილები წამოეშველნენ, მაგრამ თათართა ურიცხვი ცხენოსანი ლაშქრის შეკავება შეუძლებელი შეიქნა. ბრძოლის ველზე დაეცნენ ბელოზერელი მთავრები, მთლიანად გაწყდა დიმიტრი ოლგერდის ძის რაზმიც.

„მარცხენა ხელის“ პოლკის დამარცხება თათართა ცხენოსანი რაზმების ზურგიდან შემოვლის საშიშროებას ჰქმნიდა. ერთმა ნაწილმა მოახერხა კიდეც „დიდი პოლკის“ ზურგისაკენ გაჭრა. მდგომარეობა უფრო გართულდა, წარმატებით მთვრალი თათრები მეტი და მეტი გააფთრებით მოიწევდნენ წინ. რუსები შედრკენ.

„ზელიონაია დუბრავასთან“ ჩასაფრებული პოლკი ნიშანს უცდიდა. ცუდი ამბები მოდიოდა ბრძოლის ველიდან და მეომრები ადგილზე ვეღარ ეტეოდნენ. ისინი უდიერად იხსენიებდნენ კიდეც მეთაურს, რომელიც საბრძოლო ბრძანების გაცემას აგვიანებდა. მოუთმენლობას იჩენდა ფიცხი ვლადიმერ ანდრიას ძე და დიმიტრი ბობროკს, რომელიც დაძაბულად დასჩერებოდა ბრძოლის ველს, ეუბნებოდა:—დიდი უბედურებაა ჩვენს თავს, ძმაო, რაღა აზრი აქვს ჩვენს უქმად ყოფნას, თუ ქრისტიანებს მთლად გასწყვეტენ, ვიღას დავეხმარებით, სასაცილოა ჩვენი მდგომარეობა.—მაგრამ,—გადმოგვცემს მამაისთან ბრძოლის ამბის ავტორი,—დიმიტრი ჯერ არ ჩქარობდა.

— დიდია უბედურება, მთავარო, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამდგარა ჟამი ჩვენი მოქმედებისა. ვინც საქმეს უდროოდ იწყებს, მას მხოლოდ ვნება მოაქვს. დავწუნარდეთ და მოვითმინოთ ხელსაყრელ დრომდე და როცა იგი დადგება, ჩვენ მტრებს თავზე საპასუხო რისხვა დავატეხოთ.

უცნობი ავტორი განაგრძობს: ბოიართა შვილებს უმძიმდათ ამ სურათის ცქერა, ისინი ტიროდნენ და განუწყვეტლივ ისწრაფოდნენ ბრძოლის ველისაკენ ისე, როგორც არწივები, როგორც სტუმრები მოწვეულნი ქორწილზე ტკბილი ღვინის სასმელად...

თათრებს თავი გამარჯვებულად მიაჩნდათ. მაგრამ, აი, ბრძოლაში გადაეშვა სამარქაფო პოლკი.

ქარიშხლისებური სისწრაფით დააცხრნენ თავს თათართა ურდოს ბობროკის მოლაშქრენი. რუსი მეომრების ხმლების პრიალმა და ყიჟინამ შიშის ზარი დასცა გაოცებულ მამაის ლაშქარს. როგორც დამშეული არწივები ესხმიან თავს ბატების ჯოგს,—გადმოგვცემს თქმულება,—როგორც ლომები დაერევიან ცხვრის ფარას, ისე დაერივნენ ბობროკის რაზმელები თათრებს. თათრებმა გონზე მოსვლაც კი ვერ მოასწრეს, ისე სწრაფი იყო რუსთა ახალი ძალების იერიში. თათრები გაოცებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: საიდან მოვიდნენ ისინი? მოგვატყუეს რუსებმა. მათ ბრძოლაში სუსტი ძალები ჩააბეს, ძლიერი პოლკები კი ხელუხლებელია. ამ აზრით შთაგონებული თათრები შედრკენ. ლაშქარმა უეცრად იბრუნა პირი. მამაიმ იგრძნო აღსასრული და მბლებელ მურზებთან ერთად ბრძოლის ველიდან გაქუსლა. მისი კარავი დაცარიელდა.

ბობროკის გამოჩენამ ბრძოლის ველზე გაამხნევა „დიდი პოლ-

კის“ შემადგენლობა, მან უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და თათრებს ეკვეთა. შეტევაზე გადავიდა „მარჯვენა ფრთის პოლკიც“.

თათართა ლაშქარი ახლა დამფრთხალ ცხვრის ფარას ჰგავდა. ისინი უკან მოუხედავად გარბოდნენ, გაქცეულთ კვალდაკვალ მისდევდნენ რუსი მხედრები.

დაახლოებით 40 კილომეტრი სდიეს თათრებს რუსმა მეომრებმა. მთელი ეს მანძილი თათართა გვამებით იყო მოფენილი, მამაის ურიცხვი ლაშქრიდან მცირედმა ნაწილმა დააღწია თავი რუსების მახვილს. დევნისაგან დაღლილი რუსი მოლაშქრენი თავიანთ ბანაკში დაბრუნდნენ.

მამაის განადგურებამ ჩაშალა იაგაილოს გეგმები. კულიკოვოს ველიდან ერთი დღის სავალი მანძილით იყო იგი დაშორებული, როცა რუსების ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი გაიგო. ვერ გაბედა რა დიმიტრისთან მარტოდმარტო შებმა, მან საჩქაროდ მიაბრუნა უკან თავისი პოლკები და ლიტვისაკენ მოჰკურცხლა. თავზარი დასცა დიმიტრის გამარჯვებამ შერცხვენილ ოლეგ რიაზანელს. იგი თავის მოკავშირე იაგაილოსთან გაიქცა ლიტვაში. რიაზანელმა ბოიარებმა კი თავი დამნაშავედ სცნეს და ერთგულება აღუთქვეს მოსკოვის მთავარს.

დაახლოებით 4 საათი გრძელდებოდა ეს სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომლის მსგავსი არ ახსოვს არც თათრებს, არც რუსებს. ბრძოლის ველი და თათართა უკანდახევის მთელი გზა გვამებით იყო მოფენილი. თანამედროვეთა გადმოცემით მსხვერპლთა რაოდენობა ორთავე მხრიდან 300.000 კაცს აღემატებოდა. დიდი იყო რუსთა ზარალი. ბრძოლის შემდეგ ამოკითხვამ გამოარკვია, რომ დიმიტრის დიდი ლაშქარი 40.000 კაცამდე შემცირებულიყო.

სადღა იყო თვით დიდი მთავარი?

„მოთხრობა მამაისთან გამართული ბრძოლის შესახებ“ ასე აგვიწერს დიმიტრის ამბავს:

ბრძოლის დამთავრების შემდეგ ვლადიმერ ანდრიას ძე დიმიტრის ძებნას შეუდგა, მაგრამ იგი ვერსად ვერ იპოვნა. მაშინ მან ბრძანება გასცა საბრძოლო ნაღარა დაეკრათ, მაგრამ დიმიტრი არსაიდან ხმას არ იძლეოდა. მტირალი ვლადიმერი უვლიდა პოლკებს, ყველას ეკითხებოდა დიმიტრის ამბავს, მაგრამ არავინ არ იცოდა, სად გაქრა დიდი მთავარი.

— ძმებო, სთქვით, ვინ ნახეთ ჩვენი ბელადი! როცა მწყემსს მოჰკლავენ, ცხვრის ფარაც დაიშლება. ლიტველმა მთავრებმა თქვეს: ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი ცოცხალიაო, მაგრამ ალბათ მძიმედ არის დაჭრილი და სადმე უგონოდ წევს მოკლულთა გვამებს შორის.

ერთ-ერთმა მეომარმა წამოიძახა: ხუთ საათზე მე ვნახე, თუ როგორ გმირულად იბრძოდა იგი ოთხი თათრის წინააღმდეგ, მას ძლიერ უჭირდა.

მოლაშქრეთა შორის სხვაც აღმოჩნდა დიმიტრის მნახველი.

— მე,—თქვა ახალგაზრდა მეომარმა სტეფანე ნოვოსელსკიმ,— ვნახე ის, როცა ფეხით მოდიოდა ბრძოლის ველიდან და ბევრ ადგილზე იყო დაჭრილი. ვერ მივეცი ჩემი ცხენი იმიტომ, რომ სამი თათარი მომდევდა. ღვთის მადლით, გადავურჩი თათრებს და ისიც გადავარჩინე.

ვლადიმერ ანდრიას ძემ მოუწოდა მეომრებს, მოეძებნათ მთავარი ბრძოლის ველზე. ვინც იპოვნის მას, იგი ჯეშმარიტად დიდი ადამიანი იქნება ჩვენს შორისო.

მეომრები გაემართნენ ბრძოლის ველის სხვადასხვა მხარეზე და დაიწყეს დიმიტრის ძებნა. მათ იპოვნეს მიხეილ ანდრიას ძე ბრენკი და იგი დიმიტრი ეგონათ (ბრენკს ხომ დიმიტრიმ თავისი ტანსაცმელი ჩააცვა ბრძოლის წინ) ნახეს მოკლული ბელოზერელი მთავარი თედორე რომანის ძე და ისიც დიმიტრი ეგონათ, რადგან სახით ძლიერ ჰგავდა დიმიტრის. მაძებართა ერთი ნაწილი ჰალის მიმართულებით წავიდა და აქ, საბურმა და გრიგოლ ხოლოპიშჩევმა—კოსტრომელმა მეომრებმა—იპოვნეს დიდი მთავარი. იგი გრძნობადაკარგული იწვა არყის ხის ძირში. საბური სასწრაფოდ დაბრუნდა ვლადიმერ ანდრიას ძესთან და აცნობა მას დიმიტრის ნახვის ამბავი.

დიმიტრი მოასულიერეს. მოუყვანეს მას მშვიდი ცხენი, შესვეს ზედ და ბანაკისკენ წაიყვანეს. მაგრამ დიმიტრიმ სურვილი გამოთქვა, პირველ რიგში შემოევლო ბრძოლის ველი. საშინელი სანახაობა წარმოუდგა თვალწინ. რუსთა და თათართა გვამები ერთმანეთზე ეწყო. წითლად იყო შეღებილი ბალახი. ირგვლივ დაჭრილთა კვნესა გაისმოდა. ცრემლები სდიოდა დიდ მთავარს, როცა მის ერთგულ მამაც მეომრებს განგმირულს ხედავდა, მაგრამ მის მწუხარებას აჭარბებდა გრძნობა დიდი სიამაყისა, რომე-

ლიც სამშობლოსათვის ესოდენ საჭირო გამარჯვებით იყო გამოწვეული.

შემდეგ იგი მიუბრუნდა დიმიტრი ვოლინელს და უთხრა:— ჰეშმარიტად გონიერი კაცი ხარ და ღირსი ხარ ბრძოლაში ხელმძღვანელი იყო!

დიმიტრი მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც 15 ბელოზერელი მთავრის გვამი ეწყო. ისინი იბრძოდნენ შეუდარებელი მამაცობით და თავი დასდეს სამშობლოსათვის. ნახა დიმიტრიმ მისი რჩეული ბოიარინი ანდრია ბრენკი, მთავრის დროშასთან დაცემული, უშიშარი მზვერავი სიმონ მელიკი, თათარ გოლიათთან პირისპირ ბრძოლაში დაცემული რუსთა ფალავანი პერესვეტი, დალოცა დიმიტრიმ მათი უშიშარი მარჯვენა და ბრძანა დაეკრათ ნაღარა პოლკების შესაკრებად...

დიდი პატივით დამარხეს რუსმა მოლაშქრეებმა ბრძოლაში დაცემული მათი თანამოძმენი. დიმიტრი გამოსათხოვარ სიტყვაში ამბობდა: „აქ, დონსა და დნეპრს შორის, კულიკოვოს ველზე, ნეპრიადვას მახლობლად, მიგიჩინათ თქვენ სამუდამო ბინა სამშობლომ. აქ დასდეთ თქვენ თავი რუსთა ქვეყნისთვის...“

გამარჯვების მახარობლები მიაქროლებდნენ მერნებს მოსკოვისაკენ. დიმიტრის პოლკები, მართალია, შემცირებული, მაგრამ დიდებით მოსილი დაბრუნდა უკან. სამშობლო ქვეყანა, დედაქალაქი მათ ზეიმით შეხვდა. დღესასწაულობდა მთელი რუსეთი.

* * *

უდიდესია კულიკოვოს ბრძოლის სამხედრო-პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა.

კულიკოვოზე რუსი მეომრების ბრწყინვალე გამარჯვებამ დაამსხვრია მითი თათარ-მონღოლთა უძლეველობისა. თათართა გამუდმებული თარეშისაგან გავერანებულმა, მათი ვერაგული პოლიტიკის შედეგად დაქუცმაცებულმა რუსეთმა ასორმოცდაათწლიანი წამების შემდეგ მოიკრიბა ძალა და აქ, კულიკოვოს ველზე, ისე მძლავრად დაარტყა თათარ დამპყრობლებს, რომ მათ ხერხემალი გადაუმსხვრია. კულიკოვოს ბრძოლის შემდეგ ოქროს ურდო წელში ვეღარ გასწორდა. იგი სწრაფად დაექანა დაქვეითების გზაზე და 100 წლის შემდეგ, რუს ხალხთან მეორე ძლიერ შეჯახებაში საბო-

ლოდ განადგურდა კიდეც. კულიკოვოს ველზე გამარჯვებამ აღაფრთოვანა მთელი რუსეთი. რუსი ადამიანების პატრიოტიზმმა და ეროვნული სიამაყის თვითშეგნებამ ახალი სიძლიერით იჩინა თავი. თათართა უღლისაგან სწრაფად განთავისუფლების იმედმა დაისადგურა მათ გულებში. კულიკოვოსთან გამარჯვებამ დაანახვა რუს ხალხს, რომ თათრები უძლეველნი არ არიან, რომ მათი სამარცხვინო უღლის დამხობა სავსებით შესაძლებელია. მხოლოდ ამისათვის საჭიროა ძალთა ერთიანობა, შეუპოვრობა, სიმამაცე.

კულიკოვოს ბრძოლამ რუსეთის ფეოდალურ სამთავროთა შორის კიდევ უფრო აამაღლა მოსკოვის ძალა და ავტორიტეტი. ტვერის, ნოვგოროდის, რიაზანის მთავრებმა ახლა თვალნათლივ დაინახეს, რომ მათი სეპარატიზმი განწირულია, რომ ისინი უძლურნი არიან მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის გარშემო უკვე შემოკრებილია მთელი რუსეთი და რომელმაც ოქროს ურდოს დამარცხებაც კი შესძლო. თვით ოლეგ რიაზანელიც იძულებული შეიქნა ლიტვიდან დაბრუნებულიყო და დიმიტრისათვის პატიება ეთხოვა.

„დიმიტრი დონელმა, —აღნიშნავს ბელინსკი, — ხმლით და არა მორჩილებით უწინასწარმეტყველა თათრებს რუსეთზე მათი ბატონობის აღსასრული“. განსაკუთრებით გაძლიერდა მოსკოვთან გაერთიანების სურვილი ფეოდალურ სამთავროთა დაბალ ფენებში— გლეხურ მოსახლეობაში. გლეხობამ დაინახა, რომ ქვეყანაში მშვიდობის დაცვა, ფეოდალური შინაომების აღმოფხვრა და მთავართა თავგასულობის ალაგმვა მხოლოდ მოსკოვის ცენტრალიზებულ ხელისუფლებას შეუძლია. ამიერიდან მოსკოვის, როგორც რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრის, რუსეთის ნაციონალური ცხოვრების ცენტრის როლი კიდევ უფრო იზრდება. იგი სამშობლოს გულად, რუსეთის მხსნელად იქცევა.

მოსკოვის უდიდესი როლი ყველაზე უკეთ ჰქონდა შეგნებული თვით დიმიტრის. მან სწორად განსაზღვრა თათრებზე გამარჯვების მნიშვნელობა. სწორად შეაფასა საკუთარი ძალა და ავტორიტეტი: ბრძანება გასცა ამიერიდან მისთვის „მთელი რუსეთის დიდი მთავარი“ ეწოდებინათ. „კულიკოვოს ბრძოლა,—აღნიშნავს ისტორიკოსი მავროდინი,—რუსი ადამიანების თვითშეგნების აღმავლობისათვის ბიძგის მიმცემი იყო. იგი ველიკორუსული ეროვნებისა და

ერთიანი რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეოლოგიური მომზადების უდიდესი ფაქტორი გახდა.“

კულიკოვოს ველზე დიმიტრის გამარჯვებამ შიშის ზარი დასცა რუსეთის მტაცებელ მეზობლებს დასავლეთით. ჩაიფუშა რუსეთის მიწა-წყლის მიტაცების ვერაგული გეგმები. ლიტვის მთავარი იაგაილო, რომელიც ვარაუდობდა, მოსკოვის დამარცხების შემდეგ ხელთ ეგდო რუსეთის ტერიტორია და ეძარცვა იგი, დამფრთხალი გაიქცა და ჩაიკეტა თავის სამთავროში. ასევე მოულოდნელი და სამწუხარო იყო ეს გამარჯვება ლივონელი რაინდებისათვის, რომლებიც ნევასთან და ჩუდის ტბასთან მარცხის მიუხედავად მაინც არ იღებდნენ ხელს აგრესიულ ზრახვებზე და პსკოვ-ნოვგოროდის მიწა-წყალს ემუქრებოდნენ.

კულიკოვოს ველზე რუსეთის გამარჯვებამ აამაღლა მოსკოვის სამთავროს საერთაშორისო ავტორიტეტი. სწრაფად გავრცელდა ხმა მთელს ევროპაში მრისხანე ოქროს ურდოს დამარცხების შესახებ. აქამდე შეუმჩნეველი მოსკოვის მთავარი ევროპაში სახელმოხვეჭილი ადამიანი გახდა.

ისტორიკოსები ბ. დ. გრეკოვი და ა. ი. იაკუბოვსკი თავიანთ შრომაში „ოქროს ურდო და მისი დაცემა“ მიუთითებენ:

„მოსკოვის მეთაურობით რუსების გამარჯვებას კულიკოვოს ველზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი რუსეთისათვის. ამ ამბავმა ევროპაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამ მოვლენის შედეგები განსაკუთრებით მწვავედ უნდა ეგრძნო მამაის მოკავშირეს ლიტვას, რომლის ძალაუფლების ქვეშ მაშინ იმყოფებოდა კიევის რუსეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. აი რას წერს ამის შესახებ პოლონელი ისტორიკოსი კოლიანკოვსკი: „მოსკოვის გადამწყვეტი გამარჯვება კულიკოვოს ველზე წარმოადგენდა არა მარტო მნიშვნელოვან დარტყმას იაგაილოს საშინაო პოლიტიკისათვის, არამედ რუსებზე ლიტველთა ძალაუფლების ავტორიტეტის ნამდვილ კატასტროფას.

რუსეთის მართლმადიდებელმა მთავარმა ერთი დარტყმით გაანადგურა რა თათართა ყველა ურდო, ამით დაამსხვრია ამ დღემდე მთელი რუსეთისათვის მრისხანე მბრძანებლის ძლიერება და ჩრდილში დააყენა ლიტვის მთავრის ყველა ღონისძიება ამ მიმართულებით... მოსკოვში ზის ვლადიმერ სვიატოსლავის ძისა და მონომახის შთამომავალი, რომელიც ახლა პირველად იწყებს, როგორც რუსეთის

განმათავისუფლებელი, „მთელი რუსეთის დიდი მთავრის“ ტიტულით სარგებლობას“. ევროპა და აზია მომხდარი ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ და იძულებულნი გახდნენ სერიოზული ანგარიში გაეწიათ მსოფლიო მნიშვნელობის ამ ახალი ფაქტისათვის“.

კულიკოვოს ბრძოლაში მთელი ძალით გამოვლინდა დიმიტრი ივანეს ძის მაღალი მხედართმთავრული ხელოვნება. მან შესძლო თათართა წინააღმდეგ თავისი ლაშქრის ისე განლაგება, რომ ჩაშალა მტრის წინასწარი ვარაუდები. დიმიტრიმ მაღალი სამხედრო ოსტატობით განახორციელა ცხენოსანი და ქვეითი პოლკების თანამოქმედება, უზრუნველჰყო ფლანგების უნარიანი დაცვა და მტრის მთავარი მიმართულების საპირისპიროდ ფარულად განალაგა რეზერვი, რომელიც ბრძოლაში შეყვანილ იქნა გარდამწყვეტ მომენტში. დიმიტრიმ შესძლო თავისი არმიის მორალური სულისკვეთების ამაღლება. სამშობლოსათვის მებრძოლთ იგი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა.

შთამომავლობამ სათანადოდ შეაფასა დიმიტრის ღვაწლი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. დონთან, კულიკოვოს ველზე სახელოვანი გამარჯვების აღსანიშნავად მას დონელი უწოდა.

* * *

კულიკოვოს ველზე დამარცხება მამაისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. შერცხვენილი დაბრუნდა იგი ურდოში. შურისძიების წყურვილი ახლა კიდევ მეტად აღრჩობდა. მან გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სამაგიერო მიეზღო დიმიტრისათვის, ჩამოერეცხა სამარცხვინო ლაქა და აღედგინა უძლეველი ხელისუფლის სახელი. მემატიანის ცნობით, იგი დაუყოვნებლივ შეუდგა ხელქვეითი სამთავროებიდან ახალი რაზმების შეკრებას.

მაგრამ ახლა მას სხვა მხრიდან უფრო დიდი განსაცდელი მოელოდა. ასპარეზზე გამოჩნდა ბათოს შთამომავალი, თეთრი ურდოს ხანი თოხთამიში, რომელიც ჯუჩის ულუსის მჰართველობაზე აცხადებდა პრეტენზიას და სურდა გზიდან ჩამოეცილებინა მამაი. მამაისა და დიმიტრის შეჯახებას იგი ფხიზლად ადევნებდა თვალს და როცა მისი მოქიშპე სასტიკად დამარცხდა, შეუდგა მისი საბოლოო განადგურებისათვის სამზადისს.

თოხთამიში გაემართა მამაის წინააღმდეგ. მდინარე კალკასთან, იქ, სადაც 1223 წელს მონღოლებმა შესძლეს გაეტეხათ რუსთა წინააღმდეგობა, ახლა ერთმანეთს შეეჯახა თათართა ორი ურდო. მამაი სასტიკად დამარცხდა. მისი ჯარი გაწყდა. იგი გაიქცა ყირიმში და საზღვაო ქალაქ კაფას ხელისუფლებს სთხოვა მისთვის თავშესაფარი მიეცათ. მამაიმ მიიღო ნებართვა და თავისი მცირე რაზმებით შევიდა ქალაქში. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ კაფელებმა მამაი მოჰკლეს, ხოლო მისი ქონება დაიტაცეს.

ოქროს ურდოს თოხთამიშის სახით ახალი ძლიერი და მრისხანე ხელისუფალი მოევლინა. მან ცეცხლითა და მახვილით აღმოფხვრა განდგომის ტენდენციები და ოქროს ურდო, ჩრდილოეთ კავკასია, ასტრახანის მხარე თავისი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა.

თოხთამიშმა გადაწყვიტა მორჩილებაში მოეყვანა რუსეთი, ხელქვეით ულუსად გადაექცია. იგი განრისხებული იყო იმის გამო, რომ კულიკოვოს ბრძოლის შემდეგ რუსები მონღოლთა ბატონობას დამხობილად თვლიდნენ და არ ცნობდნენ თოხთამიშს; მან რაყამი გაუგზავნა ლიტვის მთავარ იაგაილოს, ცხადია; იმ ვარაუდით, რომ მოსკოვის დაუძინებელი მტერი, ლიტვის მთავარი, მისი მოკავშირე იქნებოდა. ამაეე დროს თოხთამიშმა რუსეთის სამთავროებში, მათ შორის მოსკოვში, გაგზავნა თავისი ელჩები და აცნობა მთავრებს, რომ მან დაამარცხა რა ძოქიშპე მამაი, ახლა ურდოს ხელისუფალი გახდა და რუსი მთავრები მოვალენი არიან დაემორჩილონ მას, ძველებურადვე ხარკი იხადონო.

მოსკოვში თოხთამიშის ელჩები თავაზიანად მიიღეს, მაგრამ დაპირებებზე თავი შეიკავეს. თოხთამიში შეუდგა მოსკოვის წინააღმდეგ ომის სამზადისს. მან იცოდა, რომ კულიკოვოს ველზე გამარჯვებული ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა არ იყო ადვილი და მიზანს მხოლოდ მოულოდნელი და უეცარი მოქმედებით თუ მიაღწევდა. ამიტომ საომარ სამზადისს იგი უდიდესი კონსპირატულობით ეწეოდა, ხოლო გარეგნულად, მოსკოვის მთავართან მეგობრულ დამოკიდებულებას იჩენდა.

თოხთამიშმა ლაშქრობის წინ თავის ერთგულ კაცებს დაავალა დაეტყვევებინათ რუსი ვაჭრები ვოლგაზე და ყირიმში, რომ მათ არ წაეღოთ მოსკოვში ცნობა ურდოს საომრად მზადების შე-

სახებ. ამის შემდეგ დიდი ლაშქრით გაემართა ვოლგაზე, აქედან აპირებდა იგი მოსკოვზე უეცარ თავდასხმას. გზა, რომელიც მას უნდა გაევლო, რიაზანის ტერიტორიაზე გადიოდა. სუზდალის მთავარმა გადაწყვიტა მორჩილად შეგებებოდა მტერს და ამით სამთავრო აოხრებისაგან გადაერჩინა. თოხთამიშთან მძევლად გაგზავნა შვილები: ვასილი და სვიმონი. მაგრამ თოხთამიშს მეტისმეტად ეჩქარებოდა, მის გეგმებში არ შედიოდა სუზდალის ტერიტორიაზე დროს დაკარგვა, იგი რიაზანის ტერიტორიას მიადგა. მხოლოდ აქ დაეწიენ მას ნიჟეგოროდელი მთავრები.

მორიგი ღალატისათვის მზად იყო ოლეგ რიაზანელი. იგი სიხარულით შეეგება თოხთამიშს, აღუთქვა მას მორჩილება და დათანხმდა წაეყვანა თათართა ლაშქარი მოსკოვზე. ამასთანავე იგი ამხნევებდა თოხთამიშს, არწმუნებდა, რომ კულიკოვოს ბრძოლის შემდეგ მოსკოვს აღარ შეუძლია სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა, დიმიტრი მოსკოვშია და მისი შეპყრობა ადვილად შეიძლებაო. ოლეგმა მოახერხა ისიც, რომ თათართა რაზმები არ გაეტარებინა თავის სამფლობელო ტერიტორიაზე. მოსკოვზე სერპუხოვის გზით გაემართა ყაენი.

მოსკოვისათვის თოხთამიშის თავდასხმა მოულოდნელი აღმოჩნდა. კულიკოვოს ველზე რუსეთმა დიდი ზარალი განიცადა და ხელახლა დიდი ლაშქრის შეგროვება თითქმის შეუძლებელი იყო. დიმიტრი ეთათბირა მოსკოველ ბოიარებს, მაგრამ, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, მათ უარი განაცხადეს ლაშქრის შეკრებაზე. დაიწყო შინაური ინტრიგები მოსკოველ ბოიართა შორის. ზოგი მათგანი ქალაქის დატოვებას მოითხოვდა, ზოგი კი ქალაქში დარჩენას და მტრისათვის ვაჟკაცურ დახვედრას. ყველაზე მკაფიოდ პატრიოტულ გრძნობებს ქალაქის დაბალი ფენები გამოხატავდნენ. ისინი ზეზად იყვნენ თათრებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, სასწრაფოდ იარაღდებოდნენ, ამაგრებდნენ ქალაქის უბნებს.

დიმიტრი იძულებული შეიქნა დროებით მიეტოვებინა მოსკოვი. ერთგულ ბოიარებს უბრძანა ჩაეკეტათ ქალაქის ქვის კედლები და დაეცვათ თავი მანამ, ვიდრე იგი დამხმარე ჯარით არ მოვიდოდა. დიმიტრი გაემგზავრა კოსტრომას და აქ დაიწყო სამზადისი ახალი პოლკების შესაკრებად.

1382 წლის 23 აგვისტოს თოხთამიში მიადგა მოსკოვს, მოაოხრა მისი გარეუბანი, შემოერტყა კრემლს, რომელშიაც ჩაკეტილი იყვნენ

ქალაქის მცხოვრებნი. დიმიტრის მიერ 1366 წელს აგებული ქვის კედლები საიმედო სიმაგრეს წარმოადგენდა. თათრებს არ შეეძლოთ მისი შენგრევა. ისინი მხოლოდ ისრებს უშენდნენ ალყაში მყოფთ. მოსკოველები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ. ისინი თათრებს უშენდნენ ქვებს, თავზე მდუღარეს ასხამდნენ, ამავე დროს იყენებდნენ ცეცხლსასროლ იარაღს „ტუფიაკს“. მაგრამ ქალაქში გამოჩნდნენ გამცემლები, რომელთაც დაიწყეს თავდამცველთა შორის დეზორგანიზაციის შეტანა. ეს ბოროტი ადამიანები, როგორც მემატიანე აღნიშნავს, იწყებენ მთავრისა და ბოიარების სარდაფების მტვრევას, გამოაქვთ იქიდან თაფლის სასმელი. მამაკაცები დაეხარბნენ ამ სასმელს, მთვრალნი დაეხეტებოდნენ ქუჩებში, ჩადიოდნენ ათასგვარ უწესობას. ლოთობამ მოადუნა ალყაშემორტყმულთა სიფხიზლე, დაავიწყა მათ ის სასიკვდილო საფრთხე, რომელიც ემუქრებოდათ.

24 აგვისტოს კრემლს გარს შემოერტყნენ თოხთამიშის ძირითადი ძალები. თათრებმა კედლის სანგრევი კოშკები აამოქმედეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. რამდენჯერმე იერიშზეც გადავიდნენ, კედელზე მიდგმულ კიბეებზე აცოცდნენ, მაგრამ მამაცმა მოსკოველმა მეომრებმა მოიგერიეს ისინი და კრემლში შეპრის ყველა ცდა ჩაშალეს.

თოხთამიშმა ბრძოლით რომ ვერაფერი გააწყო, გადაწყვიტა ვერაგული ხერხით დაეპყრო მოსკოვი. თოხთამიშის მიერ წინასწარ დარიგებულმა მურზებმა გამართეს მოლაპარაკება მოსკოველებთან. ირწმუნებოდნენ, რომ მოსკოვში ისინი მხოლოდ მთავარ დიმიტრის დასასჯელად მოვიდნენ. რადგან მთავარი ქალაქში არ არის, მათ გადაწყვეტილი აქვთ ალყის მოხსნა და უკან დაბრუნება. მოსკოვის მოსახლეობასთან თოხთამიშს არავითარი საქმე არ აქვს. მათზე არც გაგულისებულია, ასე რომ, ქალაქის ჩაკეტვა უაზროა. ხანს სურს მის ულუსში მშვიდობა და წესრიგი იყოს. დეე, გამოვიდნენ მოსკოვის თავკაცები, თოხთამიშს საჩუქრები გამოუტანონ, ის მათ მიესალმება და დაათვალიერებს რა ქალაქს, უკანვე გაბრუნდებაო. თათართა ამ დაპირებას მოსკოველები კიდევ არ ენდობოდნენ, მაგრამ სუზდალელმა მთავრებმა, რომლებიც თოხთამიშს ახლდნენ, დაიფიცეს, რომ ხანს არავითარი ბოროტი ზრახვები არ აქვს, რომ მასთან სტუმართმოყვარული შეხვედრით ყოველივე დამთავრდებაო.

მოსკოველი მოლაშქრენი ისევ ყოყმანობდნენ, მაგრამ ბრიანური ოსტეი თათართა ცრუ განცხადებას დაენდო. მოსკოველებმა კარები გახსნეს. ოსტეი რამდენიმე მხლებლით გავიდა თოთხამიშის შესაგებებლად. მათ ძვირფასი საჩუქრები მიჰქონდათ. სწორედ ამ მომენტს ელოდებოდა თათართა ჩასაფრებული ჯარი. გახსნილ კარებში უეცრად შეიჭრნენ ცხენოსნები. ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ხალხი დააფრთხო. თათართა ურდოებმა ააოხრეს კრემლი, უმოწყალოდ გაძარცვეს იგი, ამოხოცეს კრემლში თავმოყრილი მოსახლეობა და გავიდნენ კრემლიდან.

თოხთამიშის მოთარეშე რაზმებმა ააოხრეს აგრეთვე მოსკოვის ახლომახლო ტერიტორია. თოხთამიში გრძნობდა, რომ მისი ქურდული და ვერაგული მოქმედება დაუსჯელი არ დარჩებოდა. მით უმეტეს, რომ კულიკოვოს ბრძოლის გმირი დიმიტრი ლაშქარს აგროვებდა. თოხთამიშმა, ხაფანგში რომ არ მომხვდარიყო, ამჯობინა სწრაფად გაბრუნებულიყო.

საშინელ სანახაობას წარმოადგენდა მოსკოვი თოხთამიშის თავდასხმის შემდეგ. თათრებმა დასწვეს და დაანგრიეს შენობები გარეუბანში და კრემლში. 24 ათასი გვამი დამარხეს მოსკოველებმა. ბევრი წყალში დაიხრჩო. აუწერელი იყო მოსკოვში დაბრუნებული დიმიტრის მწუხარება. მაგრამ იმ მომენტში იგი უძლური იყო რაიმე ეღონა ქურდულად მოსული მტრის წინააღმდეგ, რომელმაც თავი ისევ ურდოს შეაფარა. დიმიტრიმ გადაწყვიტა პირველ რიგში წელში გაემართა სამთავრო, ხოლო თათრებისათვის სამაგიეროს გადახდას როგორმე მოახერხებდა.

მძიმე იყო თოხთამიშ-ხანის თავდასხმის შედეგები, მაგრამ მან ოდნავადაც ვერ შესძლო გაექარწყლებინა ის დიდი უპირატესობა, რომელიც რუსმა ხალხმა კულიკოვოს ბრძოლაში მოიპოვა. თვით თოხთამიშის ტაქტიკა — უეცარი, ქურდული თავდასხმისა და სწრაფად უკან გაბრუნების ტაქტიკა მოწმობდა, რომ ურდოს, ერთ დროს მრისხანე ძალას, ახლა უკვე აღარ ჰქონდა შესაძლებლობა მოსკოვის სამთავროს პირისპირ ბრძოლაში შებმოდა თათრები წელში იყვნენ გაწყვეტილი. მოსკოვს უკვე ჰყავდა თათართა უღლის შემუსვრისათვის საჭირო ძალა. თოხთამიშის მიერ ურდოს მექანიკური გაერთიანება, რომელსაც სათანადო ეკონომიური პირობები სრულებითაც არ შეესაბამებოდნენ, მხოლოდ დროებითი და მოჩვენებითი სიძლიერისა იყო. იგი ადვილად დაიმსხვრეოდა გარეგან ძალებთან შე-

ჯახებაში. ცნობილია, რომ თოხთამიშის ძალები მალე თემურ-ლენგმა გაანადგურა, ხოლო ურდოს შემდგომი მმართველები ტყუილად ცდილობდნენ აღედგინათ რუსეთის სამთავროზე ძველი გავლენა. კულიკოვოს ბრძოლიდან 100 წლის შემდეგ ოქროს ურდო საბოლოოდ დაეცა და რუსი ხალხი სამარცხვინო უღლისაგან განთავისუფლდა.

დიმიტრი ივანეს ძისათვის თოხთამიშის შემოსევა მწარე გაკვეთილს წარმოადგენდა. იგი ახლა მტკიცედ დარწმუნდა, რომ კულიკოვოსთან მამაის ურდოების განადგურებით არ შეიძლებოდა თათართა ბატონობა მოსპობილად ჩათვლილიყო. მისთვის ნათელი იყო, რომ რუს ხალხს ისევ დასჭირდებოდა ძალთა მობილიზაცია თათართა უღლისაგან სრული განთავისუფლებისათვის. თოხთამიშის შემოსევის დროს რუსეთის სხვადასხვა ფენების მოქმედებამ დიმიტრი ერთხელ კიდევ ნათლად დაარწმუნა იმაში, რომ მოსკოვის გარშემო რუსულ სამთავროთა გაერთიანების პროცესი არ იყო დამთავრებული, რომ ბევრი მთავარი ისევ განდგომაზე ოცნებობდა და ამისათვის ხელსაყრელ შემთხვევას ელოდებოდა. მაშასადამე, საჭირო იყო ახალი ღონისძიებები, განდგომილთა დასჯა.

დიმიტრიმ კარგად დაინახა ისიც, რომ თოხთამიშის ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე მეტი ერთგულება და მამაცობა უბრალო ხალხმა გამოიჩინა. თუ ბოიართა წრეებიდან ზოგიერთები გამცემლობამდეც მიდიოდნენ, მოსკოვის გარეუბნელები გმირობის მაგალითის მიმცემნი იყვნენ, ისინი არ ზოგავდნენ ძალასა და ენერგიას სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. დიმიტრის თამამად შეეძლო დაყრდნობოდა სახალხო ლაშქრის სიმტკიცეს, დაბალი ფენების ერთგულებასა და მგზნებარე პატრიოტიზმს. დიმიტრიმ გადაწყვიტა მკაცრად დაესაჯა მოღალატენი. 1382 წელს მან თავისი ჯარები ოლეგ რიაზანელის წინააღმდეგ გაგზავნა, მაგრამ ოლეგს უკვე მოესწრო ლიტვაში გაქცევა. მოსკოვის ლაშქარმა ააოხრა რიაზანის ტერიტორია და დასაჯა რიაზანელი ბოიარები ღალატისათვის.

თოხთამიშის დროს კვლავ წამოჰყო თავი ტვერის მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ. იგი გაემგზავრა ურდოში, დიდძალი საჩუქრები წაუღო თოხთამიშს და სთხოვა მას დიდი მთავრის რაყამი, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. როგორც ჩანს, თოხთამიში

უკვე ხედავდა მოსკოვის ძალას და მასთან ურთიერთობის გართულება არ სურდა.

ოლეგ რიაზანელი 1385 წელს ისევ დაბრუნდა თავის სამთავროში და გადაწყვიტა სამაგიერო გადაეხადა დიმიტრისათვის. იგი კოლომნას შეესია და ააოხრა. დიმიტრის მიერ გაგზავნილი რაზმი ოლეგმა დაამარცხა. დიმიტრი გრძნობდა, რომ რიაზანელის წინააღმდეგ ომს შეეძლო დიდი მსხვერპლი გამოეწვია, რაც მხოლოდ რუსეთის მტრებისათვის იყო ხელსაყრელი და 1387 წელს მასთან ზავი შეჰკრა. ამავე დროს დიმიტრის ქალიშვილი ცოლად შეირთო ოლეგის ვაჟმა თევდორემ.

იმ დროს, როცა დიმიტრის ყურადღება ლიტვისა და ოქროს ურდოსაკენ იყო მიქცეული, ნოვგოროდის ბოიარული ზედაფენის ერთმა ჯგუფმა მოსკოვისადმი მტრული პოზიცია დაიკავა. ამავე დროს ნოვგოროდელი მეკობრენი, რომელნიც ქალაქის მსხვილ ვაჭრებთან და ბოიარებთან იყვნენ დაკავშირებული, ხშირად ესხმოდნენ თავს მოსკოველ ვაჭრებს. ისინი იმდენად გათამამდნენ, რომ კოსტრომასა და ნიჟნი-ნოვგოროდშიც კი დაიწყეს თარეში. ნოვგოროდელი ბოიარები, გარდა ამისა, უკვე დიდი ხანია აღარ იხდიდნენ იმ გადასახადს, რაც მათზე იყო შეწერილი.

დიმიტრიმ, როცა მოლაპარაკებით არაფერი გამოვიდა, გადაწყვიტა დაესაჯა ნოვგოროდის თავგასული ბოიარები. 1385 წელს იგი თავისი რაზმებით ნოვგოროდისაკენ გაემართა. ბრძოლა არ მომხდარა. ნოვგოროდელებმა მთავარს ელჩები გამოუგზავნეს და დიმიტრის მიერ წაყენებული პირობები მიიღეს. მოსკოვის ძალაუფლება ნოვგოროდზე ისევ აღდგენილ იქნა.

1389 წელს დიმიტრი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ, ანდერძში მან მოსკოვის სამთავრო თავის შვილებს შორის გაანაწილა. უფროს შვილს ვასილს კი დიდი მთავრის ტახტი დაულოცა. როგორც ისტორიკოსი ბაზილევიჩი მიუთითებს, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მოსკოვის დიდი მთავარი თავის მემკვიდრეს დიდი მთავრის ძალაუფლებას აბარებდა ურდოს წყალობის ან მასთან შეთანხმების გარეშე. „ამით დამთავრდა ვლადიმირის დიდი სამთავროს მიწა-წყლის შერწყმა მოსკოვის ძირითად ტერიტორიასთან. დიმიტრი ივანეს ძე გარდაიცვალა იმ წელს, როცა შუა აზიის ახალმა ძლიერმა ხელისუფალმა თემურმა თოხთამიშს სასიკვდილო დარტყმა მიაყენა. ამიტომაც თავის ანდერძში დიმიტრი ივანეს ძემ

გამოთქვა რწმენა ოქროს ურდოსაგან მიწა-წყლის სრული განთავისუფლების ჟამის მოახლოებისა.“

* * *

როგორია დიმიტრი დონელის პოლიტიკური და მხედართმთავრული მოღვაწეობის შედეგები?

დიმიტრი დონელს მოსკოვის სამთავრო ტახტის მართვა მოუხდა მეტად მძიმე პერიოდში. ოქროს ურდოს უღელქვეშ დატანჯულმა რუსეთმა სხვა მრავალი უბედურებაც განიცადა: ორჯერ შემოესია მოსკოვის მიწა-წყალს ლიტვის მთავარი. თითოეული ეს შემოსევა რუსეთის დასავლეთი პროვინციებისათვის გამანადგურებელი იყო; საუკეთესო, რჩეული ვაჟკაცები დაჰკარგა რუსეთმა კულიკოვოს ბრძოლაში. იმდენად დიდი იყო ეს დანაკარგი, რომ, მემატიანის სიტყვით, სავოევოდოები თითქმის დაცარიელდა. საშინელი ზარალი მიაყენა მოსკოვს თოხთამიშის უეცარმა თავდასხმამ; 1363—1364 წლებში რუსეთში გაჩნდა ხოლერა. 1365, 1371 და 1373 წლები კი გვალვიანი იყო და ზედიზედ მოუსავლიანობამ ხალხი დაამშია. სტიქიურ უბედურებას, სამთავროთა შორის აშლილობას, გარეშე მტრების თავდასხმებს რუსეთი თითქოს დაღუპვის პირამდე უნდა მიეყვანა, მაგრამ სწორედ პირიქით მოხდა.

რუსეთის გამაერთიანებლის, რუსეთის გულის, მისი სასიცოცხლო ცენტრის—მოსკოვის ძალა და ავტორიტეტი ამ დროს გაიზარდა არა მარტო რუსეთის შიგნით, არამედ რუსეთის გარეთ—მთელს ევროპაში.

დიმიტრიმ დაამარცხა მოსკოვის მოქიშპენი, დათრგუნა ქვეყნის დამშლელი ძალები და აიძულა ისინი ჩაბძულიყვნენ რუსეთის გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ივანე კალიტას მიერ დაწყებული დიდი საქმე რუსეთის გაერთიანებისა მან წარმატებით განაგრძო და ისეთ შედეგებს მიაღწია, რომ მთელი ქვეყნის ძალებს თავი მოუყარა სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული ამოცანის გადაწყვეტაში.

დიმიტრიმ სწორად შეაფასა მოსკოვის ისტორიული როლი. მან პირველად შემოავლო ქვის კედელი ამ ქალაქს და მტრებისაგან დაიცვა იგი. რუსეთის სხვა ქალაქთა შორის მოსკოვის უპირატესი როლის ასეთი სწრაფი ზრდა ნიადაგს ამზადებდა მისი სამშობლოს დედაქალაქად გადაქცევისათვის.

დიმიტრიმ კარგად აუღო ალღო რუსი ხალხის პატრიოტულ გრძნობებს. მან მშვენიერად შეაფასა რუსი ადამიანების თვისება, რაც მონობისადმი სიძულვილსა და შეურიგებლობაში მდგომარეობდა. დარაზმა ისინი ერთი დროშის ქვეშ და კულიკოვოს ველზე სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ოქროს ურდოს, რომელიც მანამდე მრისხანე და უძლეველ ბატონად ითვლებოდა.

უდიდესია დიმიტრის დამსახურება რუსეთის სამხედრო ხელოვნების განვითარების საქმეში.

ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი აზრს ავრცელებდა იმის შესახებ, თითქოს რუსებმა ომის ხელოვნებაში თათრებისაგან ბევრი რამ ისესხესო. ეს მოსაზრება ყალბია. რუსეთს თავისი ნაციონალური სამხედრო ხელოვნება გააჩნდა; იგი გაცილებით მაღალი იყო თათრულ ხელოვნებაზე. მართალია, ბათოს ურიცხვმა ურდოებმა შესძლეს რუსეთის მიწა-წყლის დამორჩილება, მაგრამ თათართა ეს გამარჯვება გამოწვეული იყო არა მათი სამხედრო ხელოვნების უპირატესობით, არამედ რუსეთის დაჭუცმაცებულობითა და თათართა ლაშქრის სიმრავლით. რუსეთის სამხედრო ხელოვნების მაღალი დონე ნათლად გამომჟღავნდა შვედი და გერმანელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც, ცხადია, საერთო განვითარებითაც და სამხედრო ხელოვნების დონითაც მონღოლებზე გაცილებით მაღლა იდგნენ.

კულიკოვოს ველზე, სადაც დიმიტრიმ, მართალია, თათრებზე რიცხობრივად ნაკლები, მაგრამ მაინც საკმაო ძალა მიიყვანა, ნათლად გამომჟღავნდა რუსეთის ნაციონალური სამხედრო ხელოვნების უპირატესობა მონღოლურის წინაშე. რუსთა ტრადიციული საბრძოლო განლაგების შეჯახებისას დაიმსხვრა მონღოლური ტრადიციული საბრძოლო განლაგება. დიმიტრიმ თათრების წინააღმდეგ ბრძოლაში არა მარტო გამოიყენა რუსული სამხედრო ხელოვნების ტრადიციები, არამედ ინიშნელოვანი წვლილი შეიტანა მის შემდგომ განვითარებაში.

დიმიტრი დონელის დროს შეიქმნა რუსეთის არტილერია (1389 წ.). დიმიტრიმ თავდაცვით ბრძოლებში ფართოდ გამოიყენა საინჟინრო-ფორტიფიკაციული ნაგებობანი, ცეცხლმსროლელი იარაღები გავრცელდა რუსეთში.

დიმიტრიმ წინ წასწია სამხედრო-თავდაცვითი მნიშვნელობის ნაგებობათა მშენებლობის საქმე რუსეთში. ამის საუკეთესო ნი-

მუში იყო მოსკოვის კრემლის კედელი, რომლის მშენებლობას დიმიტრი პირადად ხელმძღვანელობდა და რაც იმდენად მტკიცე აღმოჩნდა, რომ გაუძლო ლიტველთა და თათართა ალყას.

დიმიტრი დონელის სტრატეგია ეყრდნობოდა საომარ მოქმედებაში ფართო მასების მონაწილეობას. თათრებთან და ლიტველებთან ომის სამამულო ხასიათი მას უკარნახებდა ფართოდ გამოეყენებინა სახალხო ლაშქარი. გრძნობდა რა ქვეყნის თავდაცვისა და მისი ძალების გაერთიანებაში დაბალი ფენების ერთგულებასა და მხარდაჭერას, იგი ახალისებდა მათ სახალხო ლაშქრის შექმნაში და სახალხო ლაშქრის პოლკებს დარტყმისათვის ყველაზე მნიშვნელოვან უბანზე ანლაგებდა.

დიმიტრის შეეძლო აგრეთვე ბრძოლაში მორალური ფაქტორის უნარიანი გამოყენება. კულიკოვოს ველზე მისი მოქმედება ამის თვალსაჩინო მაგალითია. მეომრებისადმი მიმართვაში მას შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა რუსი ადამიანების გრძნობებზე, აღეფრთოვანებინა ისინი სამშობლოს წინაშე წამოჭრილი ისტორიული ამოცანის გადასაწყვეტად თავგანწირვისათვის. დიმიტრი იყო კარგი პოლიტიკოსი და კარგი სტრატეგი. სტრატეგია მის პოლიტიკას ექვემდებარებოდა. ორთავე კი ერთი დიდი მიზნისაკენ—რუსეთის გაერთიანებისა და მისი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ იყო ბიმართული.

დიმიტრის ტაქტიკა შორს იყო შაბლონისაგან. მტრისა და საკუთარი ძალების შეფასების შემდეგ, ადგილმდებარეობის თავისებურების გათვალისწინებით, დიმიტრი ახერხებდა აერჩია თავისი ძალების განლაგების ყველაზე საუკეთესო ვარიანტი. მდ. ვოჟთან და კულიკოვოს ველზე ჩატარებული ბრძოლები ნათლად მოწმობენ მის შემოქმედებით ნიჭს ტაქტიკური საკითხების გადაჭრაში. არმიის ოსტატური წყობა, სწრაფი მარში, დაზვერვის ორგანიზაცია და მისი მონაცემების გათვალისწინება, ადგილმდებარეობის სწორი შეფასება. რეზერვის როლის გათვალისწინება, გადამწყვეტი მიმართულებით მთავარი ძალების დაჯგუფება, მტრის ცოცხალი ძალების განადგურებაზე ყურადღების გამახვილება, მტრის დადევნების მოწყობა და სხვ., რასაც დიმიტრი მიმართავდა ბრძოლაში, მისი წარმატების საწინდარი იყო.

39 წლისა იყო დიმიტრი, როცა მოღვაწეობა დაამთავრა. მაღალი, მხარბეჭიანი, შავგვრემანი ვაჟკაცი თავისი ძალების გა-

ფურჩქვნის პერიოდში გარდაიცვალა. მაგრამ მან შესძლო რუსეთისათვის იმდენის გაკეთება, რომ მისი სახელი უკვდავი დარჩა შთამომავლობის ხსოვნაში.

დიმიტრი რუსი ხალხის საუკეთესო თვისებათა განსახიერებაა, ამიტომაა რომ რუსი ადამიანები მას სახელოვან თანამემამულედ თვლიან. მისი ნათელი სახე აღაფრთოვანებდა საბჭოთა მეომრებს დიდ სამამულო ომში. დიდმა სტალინმა იგი ჩვენი სამშობლოს გამოჩენილ მხედართმთავართა შორის მოიხსენია.



კუზმა მინინი
– 1616
და
დიმიტრი პოჟარსკი
1578-1642

მოსკოვში, წითელ მოედანზე, ვასილ ნეტარის ჩუქურთმიანი ტაძრის მახლობლად აღმართულია კუზმა მინინისა და დიმიტრი პოჟარსკის გრანდიოზული მონუმენტი. პირბასრ მახვილზე დაყრდნობილი მამაცი პატრიოტები გასცქერიან დასაელეთს და მსჯელობენ სამშობლოს ბედზე. მათ მღელვარე დაძაბულ გამოხედვაში ერთდროულადაა აღბეჭდილი მრისხანებაცა და გამარჯვებისადმი რწმენაც. მოქანდაკეს თითქოს სული ჩაუდგამს ციცი ლითონისათვის, მასში ჩაქსოვილია რუსი ხალხის თანდაყოლილი თვისებანი — მამაცობა და სიდინჯე, ნათელი გონება და სამშობლოსადმი თავდადება. ამაყად დგანან ისინი მშობლიური ქვეყნისა და მისი გულის — მოსკოვის სადარაჯოზე, ისე, როგორც დადგნენ 1612 წლის მრისხანე დღეებში.

კუზმა მინინისა და დიმიტრი პოჟარსკის სახელგანთქმული მოღვაწეობა XVII საუკუნის პირველ ათეულ წლებს განეკუთვნება. ეს პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე რთული და მძიმე პერიოდი იყო რუსეთისათვის. ახლად ჩამოყალიბებული ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესამუსრავად, მისი მიწა-წყლის დასატაცებლად ერთდროულად აღსდგნენ პოლონეთის პანები, შვედი ფეოდალები, ყირიმელი თათრები. რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ გერმანელები და უნგრელები, დანიელები და შოტლანდიელები, ინგლისელები და ფრანგები. უდიდესი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა რუსეთი, მაგრამ მამაცმა რუსმა ხალხმა შესძლო ინტერვენტების დამარცხება და სამშობლო დამონებას გადაარჩინა. დამპყრობთა წინააღმდეგ სახალხო, სამამულო ომის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა კუზმა მინინმა და დიმიტრი პოჟარსკიმ ითავეს.

მინინი და პოჟარსკი ხალხის ფართო მასებისათვის უცნობი და უპრეტენზიო ადამიანები იყვნენ, როცა რუსეთს ასეთი განსაცდელი დაატყდა თავს. ნიჟნი-ნოვგოროდის გარეუბნელი მოსახლეობის მამასახლისს კუზმა მინინს და ფეოდალური ქიშპობის შედეგად ჩამოქვეითებულ სტაროდუბელ თავად პოჟარსკის არავინ არ ეკითხებოდა ქვეყნის ბედ-იღბალს, მაგრამ სამშობლოსადმი განუსაზღვრელმა სიყვარულმა, მტრებისადმი ზიზღმა და სიძულვილმა, მაღალმა ორგანიზაციულმა და მხედართმთავრულმა ნიჭმა ეს ორი ადამიანი უეცრად აამაღლა რუსეთის ბედის განმგებელთა დონემდე, მათ ალექსანდრე ნეველისა და დიმიტრი დონელის თანაბრად საპასუ-

ხისმგებლობა საქმე დააკისრა. განსაცდელის ჟამს ხალხმა თავისი წიაღიდან ამოატივტივა ეს ორი გმირი, რომელთაც შესძლეს ხალხის დარაზმვა რუსეთისა და მისი გულის—მოსკოვის გადასარჩენად.

შთამომავლობამ ამ კეთილშობილ ადამიანთა სახელები დიდებით შემოსა. საუკუნეთა მანძილზე ისინი იხსენიებიან რუსეთის ნაციონალურ გმირებად, მის სახელგანთქმულ მხედართმთავრებად. მათი პატრიოტული საქმეებით შთაგონებული მოსკოველები ყოველთვის მედგრად იდგნენ დედაქალაქის კედლების დასაცავად.

რატომ აირჩიეს დამპყრობლებმა XVII საუკუნის დასაწყისი რუსეთზე თავდასხმისათვის? რა მიზანი ჰქონდათ მათ, როგორი მამაცობით იგერიებდა რუსი ხალხი მტრების ერთდროულ მოძალებას, რა პირობებში მიმდინარეობდა მინინისა და პოჟარსკის ბრძოლა—ამ საკითხთა გარკვევა მინინისა და პოჟარსკის სასახელო და მარად უკვდავი საქმეების გადმოცემის საშუალებას მოგვცემს.

* * *

დიმიტრი დონელის ბრძოლამ ფეოდალური დაქუცმაცებულობის წინააღმდეგ და თათარ-მონღოლთა უღლის დასამხობად მოსკოვის ძალა და ავტორიტეტი, როგორც ვიცით, შესამჩნევად აამაღლა. ცალკეულ ფეოდალურ სამთავროთა მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის ცდებმა მარცხი განიცადა და მოსკოვის სამთავროს უპირატესი როლი იმდენად გაზარდა, რომ იგი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ბირთვი გახდა. დიმიტრის მემკვიდრემ ვასილ I-მა (1389—1425 წ.წ.) შეიერთა ნიჟნი-ნოვგოროდის სამთავრო, ხოლო ვასილ II, ვასილის ძემ (უსინათლომ) 1425—1462 წლებში არა მარტო გაიმარჯვა მეტოქე უფლისწულებზე, რომელთაც მთავრის ძლიერების შესუსტება და ქვეყნის დანაწილება სურდათ, არამედ მოსკოვის სახელმწიფოს შეუერთა ბეჟეცკის მიწა-წყალი, ქალაქი ვოლოკოლამსკი და ვოლოგდა, ვასალურ დამოკიდებულებაში მოაქცია რიაზანის სამთავრო.

განსაკუთრებული როლი რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში მიუძღვის ივანე ვასილის ძეს (1462—1505 წ.წ.) მან საბოლოოდ დაამარცხა მოსკოვის მოქიშპე ნოვგოროდი და ტვერი, დაიპყრო ნოვგოროდის კუთვნილი კოლონიები და ყაზანის სახანო აიძულა მოსკოვის სუვერენობა ეცნო; ივანე III დროს, 1480 წელს, რუსმა ხალხმა საბოლოოდ მოიშორა თათართა მძიმე

უღელი. ასევე წარმატებას მიაღწია რუსეთმა ლიტვის სამთავროს წინააღმდეგ ომში. მიუხედავად იმისა, რომ ლიტველ ფეოდალებს ლივონიელი რაინდები ეხმარებოდნენ, ივანემ სასტიკად დაამარცხა მათი გაერთიანებული ჯარები, ლიტვას ხელიდან გამოჰგლიჯა სევერსკის ტერიტორია ქალაქი ჩერნიგოვით, ხოლო ლივონიის ორდენი აიძულა ყოველწლიურად მოსკოვისათვის ხარკი ეხადა.

რუსეთის ფეოდალურ სახელმწიფოდ გაერთიანების შემდეგ ივანემ ახლებურად მოაწყო ქვეყნის მმართველობა; შემოიღო ერთიანი წონა და ზომა, ერთი სამართალი. შინაგანი სიმტკიცის დასაცავად და გარეშე საფრთხის შესამუსრავად გააძლიერა არმია, აამაღლა მთავრის ხელისუფლების უფლებები, გაამშვენიერა მოსკოვი ახალი სასახლეებითა და ტაძრებით, შემოავლო მას ახალი კედლები.

დიდება და სახელი მოსკოვისა, რომელმაც თავის გარშემო ყველა რუსეთი შემოიკრიბა და თათართა უღელი დაამხო, მთელი ევროპისათვის გახდა ცნობილი. მარქსი აღნიშნავს: განცვიფრებულ ევროპას, რომელიც ივანე III მთავრობის დასაწყისში ოდნავ თუ გრძნობდა ლიტვისა და თათრების მარწუხში მოქცეულ მოსკოვის არსებობას, თავზარი დასცა აღმოსავლეთის მხარეზე ყველერთელა იმპერიის უეცარმა გამოჩენამ. დასავლეთის მეფეები და რომის პაპი ცდილობდნენ აღმოსავლეთის ძლიერ მეზობელთან ურთიერთობა დაემყარებინათ, რაც მათ, ცხადია, გავლენის შემდგომი გაფართოებისათვის სჭირდებოდათ.

ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში დაისახა რამდენიმე ძირითადი ისტორიული ამოცანა, რომელთა წარმატებით გადაწყვეტაზე დამოკიდებული იყო მისი შემდგომი არსებობა და აღმოსავლეთ ევროპაში უპირატესი როლის შენარჩუნება.

მოსკოვის სახელმწიფო ჩაკეტილი იყო მტრულ გარემოცვაში. მას არ ჰქონდა ზღვაზე გასასვლელი. ბალტიისპირეთის მიწა-წყალი მიტაცებული ჰქონდათ შვედ დამპყრობლებსა და ლივონელ რაინდებს. ლივონია ყრუ კედლად იყო აღმართული რუსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის. იგი ჰკეტავდა ყველა არხს, რომლითაც შესაძლებელი იყო ევროპიდან შედარებით განვითარებული მეცნიერულ-ტექნიკური აზრის შემოჭრა რუსეთში. რუსეთის ეკონომიური, პოლიტიკური და საზღვრო-თავდაცვითი ინტერესები მო-

ითხოვდნენ ზღვაზე გადასვლას, გაუყინავ ნავსადგურებს, ევროპასთან განუწყვეტელ კავშირს. ლივონია კი რუსეთსა და ევროპას შორის ჰქმნიდა არა მარტო ბარიერს, არამედ ტრამპლინს გერმანელი, ლიტველი და შვედი კოლონიზატორების რუსეთზე თავდასხმისათვის.

მეორე მნიშვნელოვანი ამოცანა, რომლის გადაწყვეტა რუსეთს ეკისრებოდა, დასავლეთი საზღვრის გამაგრებაში მდგომარეობდა. ცნობილია, რომ რუსეთის ფეოდალური დაქუცმაცებულობის ხანაში ლიტვა-პოლონეთის სამთავროებმა ხელთ იგდეს რუსეთის დასავლეთი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი. მათი აგრესიული გეგმები თანდათან ძლიერდებოდა და საფრთხე ემუქრებოდა თვით ცენტრალურ ოლქებსაც კი. საჭირო იყო იმ ტერიტორიების დაბრუნება, რომელიც დამპყრობლებმა სხვადასხვა დროს მიიტაცეს, საჭირო იყო უცხოეთის მონობაში მყოფი რუსი ხალხის განთავისუფლება და რუსეთის აღდგენა კიევის დროის სახელმწიფო და ეთნიკურ საზღვრებში.

მესამე მნიშვნელოვან, გადაუდებელ ამოცანას შეადგენდა ოქროს ურდოს მემკვიდრე თათართა ტომების ალაგმვა სამხრეთში; ყველაზე აგრესიული მათ შორის იყო ყირიმის სახანო. ყირიმელი თათრები სისტემატურად ესხმოდნენ თავს სამხრეთის მშვიდობიან მოსახლეობას და ძარცვავდნენ. მათი მარბიელი ლაშქარი ხშირად მოსკოვამდე აღწევდა. თავდამსხმელთა მუდმივი შიშით მოსახლეობა ინტენსიურ მეურნეობას ხელს ვერ ჰკიდებდა. რუსეთისათვის აუცილებელი იყო სამხრეთით წინ წაწევა, ბუნებრივ ზღუდემდე მისვლა, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეწყვეტილიყო ყირიმელი თათრების თარეში, რომელსაც ზურგს უმაგრებდა თურქეთი.

რუსეთის ეკონომიური ინტერესები ასევე მოითხოვდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო გზის განთავისუფლებას თათარი მოხარკეებისაგან.

ამ ამოცანათა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა კარგად ჰქონდა შეგნებული ივანე III, რომელმაც მათი განხორციელება პირველად სცადა იმ მხრივ, რომ ლიტვას ხელიდან გამოჰგლიჯა რუსული მიწა-წყლის ნაწილი, ხოლო ლივონიას ხარკის გადახდა დააკისრა. მაგრამ განსაკუთრებული ინტენსიობით ამ მხრივ ბრძოლა ივანეს სახელოვანმა შვილიშვილმა, ნიჭიერმა სახელმწიფო მოღვაწემ ივანე IV წამოიწყო.

რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზნებს ივანეს მიერ ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დაპყრობა უპასუხებდა. ამ ღონისძიებამ მოსკოვის მსახურეულ აზნაურობას დიდძალი მამული შესძინა. მანვე გახსნა ვოლგის დიდი სავაჭრო გზა და აქამდე ყოველმხრივ ჩაკეტილ მოსკოვის სახელმწიფოს საშუალება მისცა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობა დაემყარებინა.

მაგრამ ივანე IV რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხად მაინც ბალტიის ზღვაზე გასვლას თვლიდა და სწორედ ამ მიზნით ჩაება ლივონიის ომში, რომელიც 1558 წელს დაიწყო და 25 წელს გრძელდებოდა.

ომის პირველ წლებში რუსეთმა წარმატებას მიაღწია. ორდენი დაეცა. მაგრამ მისი ყოფილი ტერიტორიის „მესაკუთრეებად“ ახლა შვედი, პოლონელი და ლიტველი ფეოდალები გამოვიდნენ, რომელთაც რუსეთის ასეთი წარმატება, ცხადია, მოსვენებას არ აძლევდა. ლივონიის მმართველებმა ადვილად გამონახეს საერთო ენა რუსეთის დაუძინებელ მტრებთან. პოლონეთისა და ლიტვის მთავრებმა ლივონიისადმი დახმარების საფასურად მიიღეს დვინის შუა წელი, კუნძული ეზელი დანიამ დაისაკუთრა, ხოლო მთელ ესტლანდიაში შვედები გაბატონდნენ. პოლონეთის ვასალურ დამოკიდებულებაში მოექცნენ აგრეთვე კურლანდია და ლიფლანდია. ამგვარად, რუსეთის პირისპირ იარაღით აღმოჩნდა ჩრდილო-დასავლეთის სახელმწიფოთა ძლიერი კოალიცია. თუ გავითვალისწინებთ მოსკოვის სახელმწიფოს ბოიარული დიდკაცობის საბოტაჟს ივანე IV წინააღმდეგ, ცხადია, ასეთი დიდი კოალიციის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა მას არ შეეძლო. ივანემ დაჰკარგა ომის პირველ წლებში განთავისუფლებული ქალაქები და ფინეთის ყურესთან ის პატარა ტერიტორიაც კი (ვოდსკაია პიატინა), რომელიც რუსეთს საზღვაო გზებთან აკავშირებდა. ამგვარად, ლივონიის ომში ვერ მოხერხდა რუსეთის წინაშე წამოჭრილი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა.

რუსეთის სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ბრძოლის გზაზე ივანე IV მოუხდა მწვავე ბრძოლა მსხვილი ბოიარული არისტოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობდა მეფეს და ხელს უშლიდა ქვეყნის მტკიცე ცენტრალიზაციასა და თვითმპყრობელური ხელისუფლების ამაღლებას. ოპრიჩნინამ უდიდესი პროგრესული როლი ითამაშა. მან ძირი გამოუთხარა

მსხვილი საერო და სასულიერო ბოიარების ეკონომიურ ძლიერებას, შეასუსტა მათი ოპოზიციური ბლოკი, ამავე დროს განამტკიცა მდგომარეობა წვრილი აზნაურობისა, რომელიც ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის ბრძოლაში მეფის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა. მსხვილი ფეოდალების განადგურებას მოჰყვა თვითმპყრობელობის დამყარება; იმ პერიოდისათვის ეს უაღრესად პროგრესული ღონისძიება იყო.

ლივონიის ომში მარცხისა და ქვეყნის შიგნით მწვავე ბრძოლების შედეგად, რუსეთის სახელმწიფო კი არ დასუსტდა და დაინგრა, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა. ივანე IV ღონისძიებებმა ხელი შეუწყო საწარმოო ძალთა განვითარებას. ქვეყნის ცენტრალიზაციამ დაანგრია ფეოდალური ზღუდეები, შექმნა ხელსაყრელი პირობები სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გაჩაღებისათვის. შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ, საქალაქო მეურნეობის ზრდამ, აღებ-მიცემობის გაცხოველებამ განამტკიცა ქვეყნის სასიცოცხლო ძალები. მოსკოვმა გარშემო შემოიკრიბა არა მარტო ველიკორუსული ტერიტორია, არამედ თავისი ძალაუფლება გაავრცელა ვოლგისპირეთის ხალხებზე (ყაზანელი და ასტრახანელი თათრები, მორდველები, ჩუვაშები, ბაშკირები, მარელები, უდმურტები) და ციმბირის სახანოზე. რუსეთი მრავალეროვან სახელმწიფოდ იქცა.

მოსკოვის სახელმწიფოს სწრაფ ზრდას შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს ევროპაში. ივანეს სამეფო კარზე მივლინებული უცხოელი ელჩები, რომელნიც წარმატებით ასრულებდნენ ჯაშუშურ საქმიანობასაც, თავიანთ საანგარიშო მოხსენებებში მიუთითებდნენ რუსეთის მზარდ ძლიერებაზე. ინგლისელი კაპიტანი ჩენსლერი, ბუნებით კოლონისტი, რომელიც შემთხვევით მოხვდა მოსკოვში, უკვე აგროვებდა ცნობებს ამ ქვეყნის შესაძლებლობათა შესახებ. იგი წერდა: „ე არ ვიცნობ ჩვენს ახლო სხვა ქვეყანას, რომელსაც შეეძლებოდა ეამაყა ასეთი ადამიანებით. რას უნდა მოველოდეთ ამ ადამიანებისაგან, თუ ისინი ივარჯიშებენ და გაიწვრთნებიან ცივილიზებულ სამხედრო ხელოვნების მიხედვით. რუსთ ხელმწიფის ტერიტორიაზე რომ აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მეფეს ჩააგონებენ იმას, რაზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი, მე დარწმუნებული ვარ, რომ ორ ყველაზე საუკეთესო და ძლიერ ქრისტიანულ ხელმწიფეს ძალა არ ეყოფოდა მასთან საომრადო. ჩენს-

ლერი განცვიფრებული იყო რუსი ხალხის ამტანობით, მისი მამაცობით, მისი თავმდაბლური, მუყაითი შრომით. ხოლო ფრანგი ლანგე 1558 წელს საეკლესიო რეფორმატორ კალვინს სწერდა: თუ ევროპაში რომელიმე სახელმწიფოს გაძლიერებაა მოსალოდნელი, ასეთი სწორედ რუსეთი არისო.

ლივონიის ომში ივანე IV წარუმატებლობის შემდეგ ევროპის ბევრ აგრესიულ სახელმწიფოს იმედი მიეცა, რომ რუსეთის მდიდარი მიწა-წყლის მიტაცებას მოახერხებდა. გამოჩნდნენ მთელი რიგი ავანტურისტები, რომლებიც ადგენდნენ გეგმებს მოსკოვის დასაპყრობად. მაგალითად, ვესტფალიელი ჰენრიხ შტადენი გერმანიის იმპერატორს ურჩევდა გაელაშქრა ივანე IV წინააღმდეგ, დაეპატიმრებია იგი და მთელი რუსეთი თავიანთ კოლონიად გადაექცია. ევროპელთა აგრესიული გეგმების მომზადებაში ენერგიულად მონაწილეობდა რომის პაპი, რომელსაც კათოლიკური ეკლესიის გავლენის გაფართოება აინტერესებდა. შვედეთის მმართველი წრეები უმიზნებენ რუსეთის ჩრდილოეთ მხარეს, ხოლო პანური პოლონეთი რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ მხარის ხელში ჩაგდებას ამზადებდა. ასეთი იყო დამპყრობელთა გეგმები, მაგრამ ივანე ნეოთხემ საკმაოდ დიდი სიმტკიცე გამოიჩინა და რუსეთი მწვავე კრიზისიდან უვნებლად გამოიყვანა. მოქნილი დიპლომატიით ივანემ შესძლო დასავლეთის ბლოკის შესუსტებაც. დამპყრობლებმა ვერ გაბედეს რუსეთზე თავდასხმა. თავიანთი მტაცებლური გეგმების განხორციელება მათ უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადასდეს.

* * *

ივანე IV მემკვიდრე გონებასუსტ თეოდორეს (1584—1598 წ.წ.) ძალა არ შესწევდა განეგრძო მამის მტკიცე პოლიტიკა. სუსტი მეფით წათამამებული ბოიარული დიდკაცობა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ისევ ერთმანეთს დაეტაკა. ამ ბრძოლაში გამარჯვება წილად ხვდა მეფის ცოლისძმას ბორის გოდუნოვს, რომელმაც გზიდან ჩამოიცილა მოქიშპეები ბელსკების, რომანოვების, მსტისლავსკების, შუისკების წრიდან. 1587 წელს ბორისმა გაანადგურა მსხვილ ბოიართა შეთქმულება, რომელსაც შუისკები და მსტისლავსკები მეთაურობდნენ. ბორისი სახელმწიფოს ფაქტიური მმართველი გახდა. იგი ივანე IV პოლიტიკას განაგრძობდა და თრგუ-

ნავდა რა ბოიარულ ოპოზიციას, თვითმპყრობელურ ხელისუფლებას ძალას მატებდა.

თევდორე ივანეს ძის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვის სამეფო ტახტზე რიურიკთა დინასტიის მოსკოვის შტოს მეფობა შეწყდა. ივანეს ბცირეწლოვანი შვილი დიმიტრი, რომელიც უკანასკნელი მეუღლისაგან ჰყავდა, დაიღუპა უგლიჩში 1591 წელს. თევდორეს კი შვილები არ დარჩენია და საერობო კრების გადაწყვეტილებით მოსკოვის ტახტზე ბორის გოდუნოვმა მოახერხა არჩეული ყოფილიყო.

ბორისი ნიჭიერი მმართველი იყო. თევდორე ივანის ძის მეფობის დროს მან მოახერხა მოსკოვში საპატრიარქოს დაარსება და ამ თანამდებობაზე მისი ერთგული პირი დასვა. მანვე განაახლა საომარი მოქმედება შვედებთან 1591—1593 წლებში. ამ ომში რუსეთმა წარმატება მოიპოვა და 1595 წელს ლივონიის ომის შედეგად ბალტიისპირეთში დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნა ქალაქებით: იამით, ივანგოროდით, კოპორიეთი და კარელათი (კეგსგოლმი). თათართა შემოსევებისაგან სამხრეთ რუსეთის საზღვრების დასაცავად აგებულ იქნა მთელი რიგი ციხე-სიმაგრენი (კომი, ელეცი, ბელგოროდი), ქვის კედელი შემოარტყეს ქალაქ სმოლენსკს, რომელსაც პოლონელი დამპყრობნი უმიზნებდნენ.

მაგრამ ბორისმა, რომელიც 1598 წლიდან დამოუკიდებელი მმართველი გახდა, არათუ შესძლო შეჩერება იმ დიდი კრიზისისა, რომელიც ფეოდალური რუსეთის წიაღში კარგა ხანია მზადდებოდა, და რაც საბოლოოდ გლეხთა რევოლუციაში გამოვლინდა, არამედ გაამწვავა კიდეც იგი. ყმების ფეოდალის მამულზე მიჯაჭვის პოლიტიკამ, რასაც ბორისი გაბატონებული კლასის—ფეოდალების ინტერესებისათვის ანხორციელებდა, მეტისმეტად გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა და გზა გაუხსნა გლეხთა ომებს რუსეთში.

აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნეში კლასობრივი ბრძოლა ფეოდალური საზოგადოების ორ ანტაგონისტურ კლასს—გლეხებსა და ფეოდალებს შორის მეტისმეტად გამწვავდა. სასაქონლო ფულადი ურთიერთობის გაცხოველებამ, ნატურალური კარჩაკეტილობის რღვევამ გაზარდა ფეოდალთა ფულით დაინტერესება. ისინი ყმებისაგან მეტ სასაქონლო პროდუქციას მოითხოვდნენ და რადგან ფეოდალური ტექნიკის დაბალი დონის გამო შრომის ნაყოფიერების ზრდა მხოლოდ სამუშაო დროის გადიდებით იყო შესაძლებელი, ცხადია, ფეოდალები გლეხებს აიძულებდნენ მეტი ემუშავათ.

მაგრამ ზევიდან დაწოლის ზრდასთან ერთად იზრდებოდა წინააღმდეგობა ქვევიდან: უხეში, აუტანელი ექსპლოატაციით სულშეხუთული გლეხობა თავისი არსებობისა და ადამიანური უფლებების დასაცავად სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავდა; ფეოდალთა მკვლელობა, სახლ-კარის გადაწვა, მასობრივი აჯანყება, ერთი ფეოდალიდან მეორესთან გადასვლა, ხოლო ხშირად გაქცევა იმ განაპირა მხარეებში, სადაც ფეოდალსა და მის დამცველ სამეფო ხელისუფლებას ხელი არ მიუწვდებოდა, ამ დროისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

მიწათმფლობელების ინტერესებს ყოველმხრივ იცავდა ფეოდალური სახელმწიფო. იგი სასტიკად უსწორდებოდა ურჩ გლეხებს, თანდათან ზღუდავდა გლეხთა უფლებებს; 1497 წ. ივანე III გამოსცა გამოსცა კანონი („იურის დღე"), რომლითაც გლეხს ნება ეძლეოდა მხოლოდ გვიან შემოდგომაზე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ გასცლოდა თავის მფლობელს. ივანე IV 1581 წლის კანონით „ხელმწიფის ბრძანებულების გამოცემამდე" „იურის დღეც" შეზღუდა, ხოლო ბორის გოდუნოვმა 1597 წლის ბრძანებით მემამულეებს უფლება მისცა ხუთი წლის განმავლობაში გაქცეული გლეხები მოეძებნათ და უკანვე დაებრუნებინათ. მანვე მთელი რიგი პრივილეგიებით აღჭურვა ფეოდალები და გააძლიერა მათზე ყმური მოსახლეობის დამოკიდებულება. ამგვარად, გლეხები ფეოდალის მამულზე თანდათან მიჯაჭვულნი აღმოჩნდნენ. მათ აკრძალული ჰქონდათ მიეტოვებინათ თავიანთი მფლობელი და უნდა ეთმინათ ყოველგვარი ძალადობა ბატონის მხრივ.

მაგრამ გაბოროტებული გლეხობა ასე ადვილად როდი ურიგდებოდა თავის ბედს. ახლა იგი ფარულად გარბოდა უფრო შორს და სამუდამოდ, რომ ფეოდალის ხელი ვერ მისწვდენოდა დასაჭერად. XVI საუკუნეში ასეთმა გაქცევამ მასობრივი ხასიათი მიიღო. გლეხები უმთავრესად გარბოდნენ აღმოსავლეთსა და სამხრეთ რუსეთში --მდინარეების: ვოლგის, თერგის, დონის, იაიკის მიდამოებში და იქ ჰქმნიდნენ თავისუფალ, დამოუკიდებელ ცხოვრებას. ასე შეიქმნა კაზაკობა რუსეთში (კაზაკი გაქცეულ, ძარცვა-რბევით, მონადირეობით თავის მარჩენალ გლეხს ეწოდებოდა). ფეოდალთა თვითნებობას გამოქცეული, რუსეთის თვალუწვდენ ტრამალებს შეფარებული ეს ვეებერთელა მასა ყველაზე უფრო მამაცი თავზე ხელაღებული ადამიანებისა, რა თქმა

უნდა, გლეხთა აჯანყებისათვის საიმედო რეზერვს წარმოადგენდა. ისინი ყოველთვის მზად იყვნენ იარაღით ხელში დაძრულიყვნენ მათი კლასობრივი მტრების — რუსი ფეოდალების შესამუსრავად.

XVII საუკუნის დასაწყისში კლასობრივი ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა იმ მასობრივი შიმშილობის გამო, რომელიც 1601—1603 წლებში მძვინვარებდა ზედიზედ გვალვიანი წლების გამო. ხალხი, როგორც მემატიანენი გადმოგვცემენ, მცენარეთა ფესვებით იკვებებოდა. შიმშილობას ეპიდემიაც მოჰყვა. თანამედროვე ცნობით, მარტო მოსკოვში შიმშილობის წლებში 127 ათასი კაცი დაიღუპა. დამშეულ გლეხთა ვეებერთელა რაზმები დაძრწოდნენ ქალაქებსა და სოფლებში და ყველაფერს აჩანაგებდნენ. 1603 წელს ერთი ასეთი რაზმი, რომელიც გლეხებისაგან, ხოლოპებისაგან და კაზაკებისაგან შედგებოდა, ხლოპკა კოსოლაპის მეთაურობით მოსკოვსაც კი მოადგა და მხოლოდ ბორისის დიდმა ჯარმა შესძლო მისი დამარცხება.

შიმშილობის წლებში გლეხთა გაქცევა აღმოსავლეთისა და სამხრეთის რაიონებში კიდევ უფრო მასობრივი გახდა. რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში დაიწყო გარეუბნელი მოსახლეობის მლულვარება. სახელმწიფოს ყველგან ხელი ვერ მიუწვდებოდა. ბორისით უკმაყოფილო ფეოდალები ხშირად აქეზებდნენ გლეხთა დამშეულ მასებს მოსკოვის წინააღმდეგ. ხაზინა დაცარიელდა. გამოილია პურისა და სხვა პროდუქტების მარაგი. ბოიარულმა ოპოზიციამ თავი წამოყო და სახელმწიფოში ვითარების გამწვავება მეფეს გადააბრალა. ამგვარად, მოსკოვის სახელმწიფოს ძლიერება შეირყა, იგი მწვავე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა.

პოლონეთისა და შვედეთის მმართველი წრეები კარგად იყვნენ ინფორმირებული მოსკოვის სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობის შესახებ. მათ იგრძნეს, რომ დიდი ხნით შემზადებული დამპყრობლური გეგმების განხორციელებისათვის ხელსაყრელი მომენტი დადგა.

პოლონეთის მეფე სტეფან ბატორიმ ლივონიის ომის შემდეგ შეიმუშავა ავანტურისტული გეგმა, რომელიც მოსკოვის დაპყრობას, ხოლო შემდეგ კავკასიასა და სპარსეთში ლაშქრობას ითვალისწინებდა. ბატორი ფიქრობდა, გაბატონებული მდგომარეობა მოეპოვებინა მცირე აზიაში, ხოლო აქედან შეეტია თურქეთის იმ-

პერიისათვის, რომელიც ევროპაში პოლონეთის სამფლობელოებს ემუქრებოდა. ამ დიდი ლაშქრობის ლოზუნგი იყო: „მოსკოვიდან თურქეთისაკენ!“. რომის პაპი ამ ავანტიურისტულ გეგმას ყოველმხრივ თანაუგრძნობდა და მის დაფინანსებას თავის თავზე იღებდა. მაგრამ სტეფან ბატორი 1585 წელს გარდაიცვალა. გეგმა განუხორციელებელი დარჩა.

პოლონეთის პანებმა სამეფო ტახტზე შვედეთის მეფის მემკვიდრე სიგიზმუნდ III მოიწვიეს. იგი ფართო აგრესიული გეგმებით შეუდგა პოლონეთის მართვას, პირველ რიგში ვარაუდობდა მოსკოვის სახელმწიფოს დაპყრობას, ხოლო შემდეგ დამორჩილებული რუსეთის ძალთა გამოყენებით შვედეთზე შეტევასა და მისი ტახტის ხელში ჩაგდებას. ამავე დროს იგი შემტევი კათოლიციზმის მედროშედ გამოდიოდა. რომის პაპის ყურმოჭრილ მსახურს სურდა თავი ესახელებინა მართლმადიდებლური რუსეთისა და პროტესტანტული შვედეთის დამარცხებით.

რუსეთის მიწა-წყლის დაპყრობაში პოლონეთის ავანტურისტ მმართველს თანაუგრძნობდნენ პოლონელი პანები, რომელთაც დიდი ხანია თვალი ეჭირათ რუსეთის მდიდარ მიწებზე და სურდათ სხვისი ნაძარცვით იოლად გამდიდრება.

პოლონეთის აგრესიულ ხროვას ხელსაყრელი დრო დაუდგა და შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ამ დროს თავად ივშნევეცკების მამულში გამოჩნდა კაცი, რომელიც თავისთავს დიმიტრი ივანეს ძეს უწოდებდა. როგორც აღვნიშნავდით, დიმიტრი ივანეს ძე 1591 წელს დაიღუპა უგლიჩში. იგი თითქოს ყველასაგან დავიწყებული იყო, მაგრამ ადამ ივშნევეცკის, რომელსაც რუსეთის საზღვარზე დიდძალი მამულები ჰქონდა და ამ მამულების შემდგომ გაფართოებას რუსეთის ტერიტორიის ხარჯზე ფიქრობდა, აზრად მოუვიდა მკვდრეთით აღედგინა მოსკოვის უფლისწული და მისი დამცველად გამოესულიყო.

თვითმარქვიაობა საკმაოდ დიდი ხნით ცნობილი იყო ისტორიაში. საშუალო საუკუნეების გერმანელი და პოლონელი ფეოდალები ხშირად მიმართავდნენ ამ ხერხს. მეზობელ სამთავროსთან ომის დროს ისინი უეცრად გამოსძებნიდნენ ტახტის პრეტენდენტს, დებდნენ მასთან ხელშეკრულებას და მისთვის დახმარების საბაბით ეწეოდნენ მეზობლის ტერიტორიის ძარცვას.

თვითმარქვიას წამოყენების სამარცხვინო ფაქტი რომ დაემა-

ლათ, პოლონელმა პანებმა შემდეგში შექმნეს მრავალი ვერსია იმის შესახებ, თუ როგორ იქნა აღმოჩენილი „უფლისწული“. ერთერთი ვერსია მოგვითხრობს: პან ადამ ვიშნევეცკის აბანოში ერთერთმა მსახურმა აწყენინა. ვიშნევეცკიმ მას ხელი გაარტყა და გამოლანძღა კიდეც. მსახური ატირდა და ბოლოს შესჩივლა პანს:

— თავადო ადამ, შენ რომ იცოდე ვინ გემსახურება, მაშინ მე აღარ გავიგონებდი შენგან ასეთ სიტყვებს და ისიც ხელის შემორტყმით. მაგრამ რას ვიზამ, ყველაფერი უნდა ვითმინო, რადგან ნამდვილ ვინაობას ვმალავ.

— ვინა ხარ?! — შეეკითხა მას ვიშნევეცკი.

— მე მეფე ივანე ვასილის ძის შვილი ვარ, — გაამხილა მსახურმა თავისი ვინაობა.

ვიშნევეცკი შეშინდა. მსახურს სთხოვა აბანოში დარჩენილიყო, თვით სასახლეში გაიქცა და ბრძანა ახლადმოვლენილი უფლისწულისათვის საზეიმო შეხვედრა მოეწყოთ. მას სპეციალური კარეტა გაუგზავნეს. ადამის ყურადღებით კმაყოფილმა უფლისწულმა აღუთქვა მას დიდი ჯილდო, როგორც კი მოსკოვის ტახტს მიიღებდა.

ასეთი უხამსი ზღაპრები საგანგებოდ იყო შეთხზული. სინამდვილეში ცრუ დიმიტრის ვიშნევეცკების ოჯახი დიდი ხანია ამზადებდა: წვრთნიდა სამხედრო ვარჯიშობაში, ცხენოსნობაში, აცნობდა მოსკოვის სამეფო ტახტის „საიდუმლოებას“, რომ მომავალი „მეფე“ უვიცობაში არ გამოეჩვირათ. როცა ავანტურისტი სათანადოდ მოამზადეს, ვიშნევეცკებმა ხმა დაარხიეს, რომ მათ კარზე იმყოფება მოსკოვის ტახტის მემკვიდრე, რომელიც შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს და პოლონეთს შეეხიზნაო. პოლონეთში ეს ამბავი სწრაფად გახმაურდა. განსაკუთრებით სასიამოვნო მოვლენა იყო ეს კანცლერ იან საპეგასათვის, რომელიც ყველაზე დიდ აქტივობას იჩენდა პოლონელი პანების დამპყრობლური გეგმების მომზადებაში და, რომელსაც თავისი დიდი სავაჭრო ოპერაციების გასაფართოებლად სიზმარშიც კი ელანდებოდა სმოლენსკის ტყის მასივები. საპეგასთან იმყოფებოდნენ ივანე მეოთხისა და გოდუნოვის მეფობის წლებში მოსკოვიდან გაქცეული რუსი ბოიარები. ეს ემიგრანტული ელემენტები საპეგამ ცრუდიმიტრის ვინაობის დასადგენად გამოიყენა. მაგალითად, ძმებმა ხრიპუნოვებმა შეჰფიცეს, რომ ვიშნევეცკის მიერ წარმოდგენილი ახალგაზრდა ნამდვილად დიმი-

ტრია. აღმოჩნდა ვიღაც იური პეტროესკი, რომელიც, ცხადია, ქრთამის შედეგად „ადასტურებდა“, რომ იგი ადრევე მსახურობდა უფლისწულ დიმიტრისთან, კარგად ახსოვს მისი გარეგნობა და ვიშნევეცკების კარზე მყოფი ახალგაზრდა ნამდვილად დიმიტრიაო.

ავანტურისტი „უფლისწული“ მალე სანდომიერი ვოევოდის იური მნიშეკის ბინაზე მოხვდა. ეს ხარბი და ბნელ საქმეებში ნაცადი ფეოდალი ახლო იყო სასახლის წრეებთან. ცრუდიმიტრის გამოჩენამ მას ფრთები შეასხა და გამდიდრების ახალი პერსპექტივები დაუსახა. დიმიტრი გაეცნო მნიშეკის ქალიშვილს მარინას და მას მოსკოვის დედოფლობა შეჰპირდა. 1604 წელს ავანტურისტი პოლონეთის მაშინდელ დედაქალაქ კრაკოვში ჩაიყვანეს. უნდა ითქვას, რომ თავის როლს ცრუდიმიტრი საკმაოდ ოსტატურად ასრულებდა. კრაკოვში მან მოლაპარაკება გამართა რომის პაპის ელჩთან, რომელიც შეჰპირდა ეცნო იგი, როგორც ტახტის კანონიერი მემკვიდრე, თუ დიმიტრი კათოლიკურ რწმენას მიიღებდა. დიმიტრი დათანხმდა კათოლიკური ეკლესიის სამსახურზე. რომის პაპს მოსკოვის საქმეებში ჩარევის იმედი აღეძრა. პოლონეთის დედაქალაქში ერთი თვის ყოფნის შემდეგ „უფლისწულს“ გამოსამშვიდობებელი მიღება მოუწყო პოლონეთის მეფემ სიგიზმუნდმა, რომელმაც „იცნო“ რა უფლისწული, აღუთქვა მას თავისი მფარველობა და ნება მისცა ტახტის დასაპყრობად პოლონეთში საჭირო ძალები შეეგროვებინა. სამაგიეროდ ცრუდიმიტრი პოლონეთის მეფეს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაებედა აშკარა ინტერვენციის მოწყობა რუსეთის წინააღმდეგ, შეჰპირდა სმოლენსკისა და სევერსკის ტერიტორიის გადაცემას, შეჰპირდა ბაგრეთვე მას შვედეთის ტახტის დაპყრობასა და თურქეთის წინააღმდეგ ომში დახმარებას.

ასე გამოიძებნა „მოსკოვის მეფე“ პოლონეთში. მის გარშემო დაირაზმნენ პოლონელი პანები, წვრილი შლიახტა და რაინდობა, რომელთაც სახიფათო ლაშქრობა და სხვის ხარჯზე გამდიდრება ხელობად ჰქონდათ გადაქცეული. ცრუდიმიტრის შეუერთდნენ აგრეთვე მოსკოვის მოღალატე ემიგრანტი ბოიარები. 1604 წელს პოლონური ჯარით ცრუდიმიტრიმ გადმოლახა რუსეთის საზღვარი და დაიწყო საომარი მოქმედება. ცრუდიმიტრიმ კარგად იცოდა, რომ რუსეთის კაზაკობა უკმაყოფილო იყო მოსკოვის ხელისუფლებით. დიმიტრის აგენტებმა კაზაკობაში ხმა დაარხიეს უფლისწულის გამოჩენის შესახებ. ცრუდიმიტრი მათ მრავალ შეღავათს შეჰპირ-

და და ეს ძალა თავის მხარეზე გადაიბირა. ავანტურისტს აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის ქალაქები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ბორისის მმართველობით უკმაყოფილო ბოიარები და ვოევოდები ღალატობდნენ რუს ხალხს და ავანტურისტის მხარეზე გადადიოდნენ.

1605 წლის 13 აპრილს ბორის გოდუნოვი უეცრად გარდაიცვალა. ამბობენ, რომ იგი ბოიარებმა მოწამლეს. ტახტი მისი მცირეწლოვანი შვილის თევდორეს ხელში გადავიდა. მოსკოვის მსხვილმა არისტოკრატიამ ივარაუდა, რომ ცრუდიმიტრისათვის მხარდაჭერის შემთხვევაში მეტ პრივილეგიებს მოიპოვებდა და როცა 1605 წლის 1 ივნისს მოსკოვში ცრუდიმიტრის სიგელებით გამოცხადნენ ნაუმ პლეშჩევი და გავრილა პუშკინი, ბოიარებმა თევდორე და მისი დედა დააბრჩვეს: თვითმარქვია შევიდა დედაქალაქში. ავანტურისტი ინტერვენტთა მხარდაჭერით ხელმწიფე გახდა.

ცრუდიმიტრიმ ვერ მოახერხა შეექმნა მოსკოვის სახელმწიფოში სოციალური დასაყრდენი: კაზაკობა მან მოატყუა, ბოიარებს იგი სურდათ მანამ, ვიდრე გოდუნოვებს დაამარცხებდნენ. ქვეყნის შიგნით მხარდაჭერას მოკლებული დიმიტრი ყველაზე დიდ იმედებს პოლონეთზე ამყარებდა. პოლონელი აზნაურობა მოსკოვში თავისუფლად დათარეშობდა. სასახლეში პოლონური ეტიკეტი გაბატონდა. დიმიტრიმ, მისადმი ეჭვები რომ მოესპო, რამდენიმე უხამსი სცენა გაითამაშა: გადასახლებიდან დააბრუნა მოკლული უფლისწულის — დიმიტრის დედის ნათესავები. საზეიმო შეხვედრა მოუწყო თავის „დედას“ — მონაზვნად აღკვეცილ მართას, რომელიც სიხარბემ გაიტაცა და თვითმარქვია თავის შვილად აღიარა.

1606 წლის გაზაფხულზე დიმიტრიმ მარინა მნიშეკზე იქორწინა. მარინას თან ჩამოჰყვა პოლონელთა დიდი ამალა. მათ დიდძალი იარაღი ჩამოიტანეს ქალაქში. მოსკოველებს მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ, რომ პოლონელები ამზადებდნენ ნიადაგს მოსკოვის დაპყრობისათვის. მაგრამ ეს ღონისძიებანი დიმიტრის უკვე აღარ შველოდა. მოსკოველი მოსახლეობა დრტვინავდა. პოლონელი შლიახტებისა და რაინდობის თავაშვებული პარპაშით შეურაცხყოფილი ბოიარები, რომელთა ავტორიტეტი და პრივილეგიები არათუ გაზარდა დიმიტრიმ, არამედ შეურაცხყო და შეკვეცა კიდეც, ხალხის მხარეზე აღმოჩნდნენ.

მოსკოვი აჯანყდა. ხალხმა კრემლს მიაშურა. ცრუდიმიტრი

დააპატიმრეს, მოკლეს, დასწვეს და მისი ფერფლი ზარბაზნით პოლონეთის მიმართულებით გაისროლეს. აჯანყების დროს გადარჩენილმა პოლონელებმა შეწყალება ითხოვეს. ისინი განაიარაღეს და დააპატიმრეს. ჩამოართვეს ნაძარცვი განძეულობა. იური და მარინა მნიშეკი მათი ნათესავებით იაროსლავლში (ვოლგაზე) გადაასახლეს, ხოლო დანარჩენი ტყვე პოლონელები გაანაწილეს რუსეთის ქალაქებში. ბოიარებმა ტახტზე დასვეს ვასილ შუისკი, რომელსაც ფიცი ჩამოართვეს ემართა ქვეყანა მათი მონაწილეობით.

ამრიგად, პოლონეთის ეს პირველი ავანტიურა ჩაიშალა. მაგრამ სიგიზმუნდ მესამეს თავის გეგმებზე ხელი არ აუღია. პოლონეთში ახალი ავანტიურის მომზადებას შეუდგნენ.

ვასილ შუისკის გამეფება მსხვილი ბოიარული არისტოკრატიის გამარჯვებას მოასწავებდა, რაც სრულებითაც არ იყო ხელსაყრელი წვრილი და მსახურეული აზნაურობისათვის, რომელიც, როგორც ცნობილია, ივანე IV დროს სწორედ მსხვილი არისტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაწინაურდა.

უკმაყოფილონი იყვნენ ქალაქის ვაჭარ-ხელოსნები. ქალაქების გარეუბნების მოსახლეობას აჩანაგებდა გამუდმებული ომები, რომელთა გაჩაღებაში მთავარი დამნაშავენი სწორედ ბოიარები იყვნენ.

განსაკუთრებულ გაჭირვებას გლეხობა განიცდიდა. ბოიართა თვითნებობამ ინტერვენციის პერიოდში ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. გლეხები კვლავ მასობრივად გარბოდნენ სამხრეთისაკენ. სამხრეთში თავშეყრილი ეს ვეებერთელა მასა ღელავდა, ცრუდიმიტრის მიერ მოტყუებულ მასას მოსკოვის ტახტზე სურდა ეხილა „კეთილი მეფე“, რომელიც მის ინტერესებს დაიცავდა. შუისკი კი მათთვის ძველთაგანვე იყო ნაცნობი, როგორც ხარბი, ძალაუფლების მოყვარული და გლეხების დაუძინებელი მტერი.

ამგვარად, რუსეთის გლეხობა და გაბატონებული კლასის ზოგიერთი ფენა ახალი მეფისადმი მტრულად იყო განწყობილი. 1606 წლის შემოდგომაზე რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ ქალაქებში უკვე დაიწყო აჯანყება. მალე გლეხთა მღელვარებებმა მოიცვა ტვერის, პსკოვის, ნოვგოროდის მხარე. მთავრობა ახერხებდა ამ აჯანყებების დამარცხებას, ვინაიდან გლეხები სტიქიურად, სპორადულად გამოდიოდნენ. მაგრამ მოსკოვის ტახტი დიდი საფრთხის ქვეშ

დააყენა სამხრეთის გლეხთა, ხოლოპთა და კაზაკთა დიდმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ყმა ივანე ბოლოტნიკოვი.

ივანე ბოლოტნიკოვმა კარგი ორგანიზაციული და მხედართმთავრული ნიჭი გამოიჩინა. იგი რუსეთის სხვადასხვა მხარეში გზავნიდა მოწოდებებს, მოესპოთ ბოიარები და მათ მიწებს დაპატრონებოდნენ. ბოლოტნიკოვის გარშემო შემოიკრიბა სამხრეთ რუსეთის გლეხთა ვეებერთელა მასა, რომელიც კრომ-სერპუხოვ-კოლომნის გზით მოსკოვისკენ დაიძრა. ქვითკირის კედლებით გამაგრებული მოსკოვი ბოლოტნიკოვმა ვერ აიღო. გადამწყვეტ ბრძოლაში მას უღალატეს აზნაურმა მოლაშქრეებმა, რადგან კლასობრივმა ინტერესებმა დასძლია ბოიართა მეფისადმი სიძულვილს. ტულაში ალყაშემორტყმული ბოლოტნიკოვი გმირულად იცავდა თავს, ბოლოდ 1607 წლის შემოდგომაზე შესძლეს შუისკის ჯარებმა მისი დამარცხება.

ზოგიერთი ისტორიკოსი შეცდომით ფიქრობს, თითქოს ბოლოტნიკოვის ხელმძღვანელობით რუსეთში დაწყებულმა გლეხთა მოძრაობამ წააქეზა პოლონელები ახალი ინტერვენციისათვის. ზოგი ისტორიკოსი იმასაც კი ამტკიცებდა, თითქოს ცრუდიმიტრი პირველი და მეორეც რუსი გლეხების მიერ იყვნენ წამოყენებული სამეფო ტახტის კანდიდატებად. ყველაფერი ეს ტყუილია.

რუსი გლეხობა მტრულად იყო განწყობილი ფეოდალური კლასისადმი, მაგრამ იგი კიდევ უფრო მტრულად იყო განწყობილი პოლონელი ინტერვენტებისადმი, რომელთაც სოციალურ ჩაგვრასთან ერთად ნაციონალური ჩაგვრაც მოჰქონდათ. სწორედ მოსკოვის დაბალმა ფენამ ე. წ. „შავმა მოსახლეობამ“ აიღო ხელთ ცრუდიმიტრი პირველის დამხობის ინიციატივა. ბოლოტნიკოვის მოძრაობის მთელ პერიოდში პოლონელებს ერთხელაც არ უცდიათ ახალი ავანტიურისტები წამოეყენებიათ. მათ მშვენივრად იცოდნენ რუსი გლეხების ხასიათი, რომლებიც „ლიახებს“ (პოლონელებს), როგორც მძარცველებსა და მოძალადეებს, განსაკუთრებული ზიზღით უყურებდნენ. მხოლოდ ბოლოტნიკოვის დამარცხების შემდეგ, როცა გლეხური მასა დაცხრა, უეცრად გამოჩნდა ტახტის ახალი პრეტენდენტი.

გლეხთა მოძრაობა არათუ ხელს უწყობდა უცხოურ ინტერვენციას, არამედ, პირიქით, აფერხებდა მას. რუს გლეხებს სურდათ არა უცხოელთა გაბატონება თავიანთ ქვეყანაში, არამედ საკუთა-

რი ბატონების მოსპობაც. გლეხთა მოძრაობა წარმოადგენდა „დაჩაგრული კლასების სტიქიური აღშფოთების, ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ გლეხობის სტიქიური აჯანყებების გამოხატულებას“ (სტალინი). გლეხთა ეს სტიქიური აჯანყებანი წარმოადგენდნენ პროგრესულ მოვლენას, მიუხედავად იმისა, რომ მათ გამარჯვება არ ეწერათ.

პოლონეთიდან გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს გლეხთა მღელვარების დაცხრომას, ამავე დროს ახალ ავანტიურისტს აბზადებდნენ. როცა 1606 წელს მოსკოველმა ელჩებმა პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ პოლონელები დახმარებას უწევენ თვითმარქვია ავანტიურისტებს, სენატორები უსირცხვილოდ უპასუხებდნენ: თუ თქვენი ხელმწიფე გაათავისუფლებს სანდომირელ ეოევოდას (იური მნიშეკს) თავისი ამხანაგებითა და მთელს პოლონელ და ლიტველ პატიმრებს, რომლებიც ახლა მოსკოვში იმყოფებიან, მაშინ არც დიმიტრი იქნება, არც პეტრუშკა, ხოლო თუ თქვენი ხელმწიფე მათ არ გაუშვებს, მაშინ ნამდვილი დიმიტრიც და პეტრეც გამოჩნდებიან და ჩვენები აშკარად მათ მხარეზე დადგებიანო.

1607 წლის ზაფხულზე დასავლეთის სასაზღვრო ქალაქ სტაროდუბში მოულოდნელად გამოჩნდა ახალი თვითმარქვია, მეორე ცრუდიმიტრი. ხმა გავრცელდა, თითქოს 1607 წელს აჯანყებულმა მოსკოველებმა მოჰკლეს ვიღაც გერმანელი, რომელიც სახით ძალიან ჰგავდა „მეფეს“, ხოლო „მეფე“ გადარჩა და ახლა ისევ ტახტის დასაპყრობად ემზადებაო. ეს ახალი თვითმარქვიაც პოლონეთის ჯაცი იყო; ცრუდიმიტრის სასწაულებრივ გადარჩენის ჭორს სწორედ პოლონელები ავრცელებდნენ დაჟინებით. ერთ-ერთი თანამედროვე წყარო ასე გადმოგვცემს „მეფის“ გამოჩენის ამბავს: იური მნიშეკის მეგობარმა პოლონელმა პანებმა ერთ-ერთ ბელორუსულ ქალაქში „აღმოაჩინეს“ თავზე ხელაღებული ახალგაზრდა, რომელიც საკმაოდ გაწაფული იყო ქურდობაში. ეს არამზადა წაიყვანეს, სათანადოდ შეამზადეს, შემდეგ დიმიტრიდ გამოაცხადეს და გაგზავნეს პან ნიკოლოზ მეხოვეიცკისთან, რომელიც ცრუდიმიტრი პირველს კარგად იცნობდა და შეეძლო მისი ქცევები და საიდუმლოებანი გაეცნო ავანტიურისტისათვის. ამ ახალგაზრდამ, როგორც გადმოგვცემენ, ადრე შეისწავლა თავისი როლი და იმდენად დახელოვნდა, რომ

ცრუდიმიტრი პირველის მახლობელ ბევრ პირს იგი სასწაულებრივ გადარჩენილ „მეფედ“ მიაჩნდა.

ცრუდიმიტრი მეორე სათამაშო ტიკინა იყო პოლონელი ავანტიურისტი პანების: მეხოვეცკის, ვალავსკის, ტიშკევიჩის, ადამ ვიშნევეცკის, ლისოვსკის, ხარლინსკისა და სხვათა ხელში. იგი რამდენჯერმე გაიქცა პოლონელთა ბანაკიდან, ერთხელ უარი თქვა კიდეც ეცნო თავის თავი დიმიტრიდ, მაგრამ პანებმა იგი მუქარით აიძულეს გასძღოლოდა მოსკოვის ტახტის დასაპყრობად. თვითმარქვიას რაზმი მთლიანად პანების მიერ შეგროვილი შლიახტისა და რაინდობისაგან შედგებოდა. იან საპეგამ (ლიტვის კანცლერის ნათესავმა) თვითმარქვიას ბანაკში 7.500 ქვეითი და ცხენოსანი მოიყვანა. გეტმანი როჟინსკი 4.000 კაცისაგან შემდგარი რაზმით შეუერთდა ავანტიურისტებს. აქვე მოვიდა კაზაკთა ატამანი ზარუცკი, რომელიც აგრეთვე წარმოშობით პოლონელი იყო.

ახალი ცრუდიმიტრი შეკოწიწებული ჯარით კალუგისა და მოჟაისკის გავლით მოსკოვისკენ გაემართა. მოსკოვთან მან მარცხი განიცადა და გამაგრებული ბანაკი სოფელ ტუშინოსთან მოაწყო. მოსკოველებმა ამ თვითმარქვიას „ტუშინოს ყაჩაღი“ (ანუ „ტუშინოს დამნაშავე“) უწოდეს.

მოსკოვის სახელმწიფოს მდგომარეობა ახლა მეტად გართულდა. ტუშინოელი გარეწარის ხელში ქვეყნის საკმაოდ დიდი ნაწილი აღმოჩნდა. ვასილ შუისკით უკმაყოფილო მოსკოველი ბოიარები (ჩერკასკები, ტრუბეცკოები, ბახოვსკები და სხვ.) ტუშინოს ბანაკში გარბოდნენ, რუსეთში მოქმედებდა ორი, ერთმანეთს დაპირისპირებული ხელისუფლება. თითოეულს ჰყავდა თავისი ადმინისტრაცია, თავისი პატრიარქი. პოლონელთა რაზმები მოედვნენ ახლო-მახლო ტერიტორიებს და ხალხის უმოწყალო ძარცვას მიჰყვეს ხელი. ვოლგისპირა და ჩრდილოეთის ქალაქები ტუშინოელი ხელისუფლის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდნენ.

მალე ტუშინოს ბანაკში აღმოჩნდნენ იური და მარინა მნიშეკები. იური მნიშეკმა, ტუშინოელი ცრუ მეფე რომ სიძედ ეცნო, 300 ათასი მანეთი მოითხოვა. მარინამ „იცნო“ თავისი ქმარი და მთელი ბანაკის თვალწინ გადაეხვია მას. ეს ახალი სახიზღარი სცენა ცრუდიმიტრიმ პოლონელი პანების ჩაგონებით გაითამაშა.

პოლონელი პანების ასეთი ძალადობა და თარეში რუსეთში სხვა არა იყო რა, თუ არა აშკარა ინტერვენცია, თუმცა მოსკოვი-

სა და პოლონეთის მეფეებს შორის ამ დროს საზავო ხელშეკრულება იყო დადებული.

პან მოძალადეებს რუსეთის მოსახლეობა ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა. სამების მონასტერმა, რომლის განძეულობის დატაცებას ლამობდა იან საპეგა, გაუძლო 30 000 ჯარის გარემოცვას. მონასტერს თავშეფარებული გლეხობა ენერგიულად იცავდა თავს და ხშირი გამოხდომებით პოლონელებს დიდ ზიანს აყენებდა. პარტიზანული რაზმები შეიქმნა რუსეთის მთელ რიგ რაიონებში. პატრიოტი რუსი ადამიანები სასტიკად უსწორდებოდნენ დამპყრობლებს.

ხშირად, როცა ბოიარები ღალატობდნენ სამშობლოს და ინტერვენტთა მხარეზე გადადიოდნენ, თავისი ტერიტორიის დაცვის ინიციატივას ხელთ იღებდა გლეხობა. ასე მოხდა ნოვგოროდში. ტუშინოს ბანაკიდან ნოვგოროდის საძარცვავად გაემართა პანი კერნოზიცკი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ვოევოდა ტატიშჩევის დახმარებით ქალაქს დაიპყრობდა, მაგრამ კერნოზიცკი მოტყუვდა. ქალაქის მოსახლეობამ ევსეი რეზანოვის მეთაურობით მოღალატე ვოევოდა მოჰკლა, შექმნა სახალხო ლაშქარი და ქალაქის გამაგრება დაიწყო. ნოვგოროდის დასაცავად აღსდგნენ მახლობელი ტერიტორიის გლეხები. ტიხვინიდან. ონეგის იქეთა მხრიდან მოდიოდნენ რაზმები სახალხო ლაშქრისათვის მხარდასაჭერად. სახალხო ომის ნიშნები უკვე იჩენდა თავს, მაგრამ პატრიოტული მოძრაობა ჯერ კიდევ სტიქიურ ხასიათს ატარებდა და საკმაოდ სუსტი იყო იმისათვის, რომ პოლონელ-ლიტველთა დიდძალ ჯარს გამკლავებოდა.

ვასილ შუისკიმ მისი ბიძაშვილის, ნიჭიერი ახალგაზრდა სარდლის მიხეილ სკოპინ შუისკის მეშვეობით მოლაპარაკება გამართა შვედებთან და ტუშინოს ბანდების წინააღმდეგ დამხმარე ჯარი სთხოვა.

შვედეთის აგრესიულ ზრახვებზე ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი. ცხადია, მოსკოვში შექმნილ ვითარებას შვედეთის მჭართველი წრეები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს. მათ სრულიადაც არ ჰქონიათ განზრახვა მოსკოვის სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობის პასიურ ძაყურებლებად დარჩენილიყვნენ. 1595 წლის ზავის შესწორება (ამ ზავით ხომ რუსეთმა დაიბრუნა ქალაქები იამი, კოპორიე, ივანგოროდი), მათი აზრით, სწორედ ახლა შეიძლებოდა. ვასილ

შუისკის თხოვნაც დროული იყო და შვედების მეფე კარლოს IX სიამოვნებით დათანხმდა სკოპინ-შუისკისათვის გადაეცა 2 ათასი ცხენოსანი და 3 ათასი ქვეითი ჯარისკაცი. მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ რუსეთი ხელს აიღებდა კარელის მაზრასა და მის ციხე-სიმაგრეებზე.

შვედეთი უფრო შორს უმიზნებდა და მისი ნამდვილი ზრახვები სულ მალე გამოაშკარავდა. იგი გზავნიდა რუსეთში დაქირავებულ ჯარს, რომელსაც შემდგომ ნოვგოროდის მიწა-წყლის ხელში ჩაგდება უნდა მოეწყო. ეს ჯარი, რომელიც გამდიდრების მოყვარული ფრანგი, გერმანელი, დანიელი, შოტლანდიელი, ინგლისელი ავანტიურისტებისაგან შედგებოდა, შუისკის უნდა მოემარაგებინა და ხელფასიც ეძლია. ასე რომ, ფაქტიურად შვედეთი არავითარ მსხვერპლს არ იღებდა და დიდ ლუკმას კი ეპოტინებოდა.

მაგრამ ამ მომენტში ვასილ შუისკი სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. შვედეთის მიერ გამოგზავნილი დაქირავებული ჯარი, რომლის რიცხვმა შემდეგ 15 ათასამდე მიაღწია, იაკობ დელაგარდის სარდლობით მივიდა ნოვგოროდში. სკოპინ შუისკიმ რუსთა და შვედთა გაერთიანებული ძალებით დაიწყო შეტევა „ტუშინოს ბანაკის“ წინააღმდეგ. პოლონელი ინტერვენტებისაგან განთავისუფლებულ იქნა როშანოვო, პოშეხონიე, მოლოგა, რიბინსკი, სტარაია რუსა, ტოროპეცი, ორეშოკი. სკოპინ შუისკის შეტევით შეშინებულმა ტუშინოელმა ავანტიურისტებმა თავისი ნებით მიატოვეს ბევრი ქალაქი. იან საპეგამ მოხსნა ალყა სერგეევის სამების მონასტერზე. სკოპინ შუისკი ალექსანდროვსკაია სლაბოდაში მივიდა, დაამარცხა იქ ინტერვენტთა ძალები და გამარჯვებული, ზეიმით შევიდა მოსკოვში. ტუშინოელთა ბანაკის მესვეურთა გეგმები ჩაიშალა. ცრუდიმიტრი მეორე იძულებული შეიქნა კალუგას გაქცეულიყო.

პოლონეთში გულის ფანცქალით უთვალთვალებდნენ თვითმარქვიას ყოველ ნაბიჯს, მაგრამ სახარბიელო არაფერი ჩანდა. თანდათანობით ცხადი ხდებოდა, რომ იგი მოსკოვს ვეღარ იხილავდა, რომ რუსი ხალხის გმირული წინააღმდეგობა თანდათანობით იზრდებოდა და სულ მალე ავანტიურის სავსებით ჩაშლა იყო მოსალოდნელი.

ამიტომაც ბოლო ხანებში პოლონელ ხელისუფალთა დახმარება და სიმპატია ცრუდიმიტრი მეორისადმი შესუსტდა. ახლა პოლონეთში აშკარა ინტერვენციის მომზადებას შეუდგნენ. ეს ინტერვენ-

ცია მანამ უნდა დაეწყოთ, ვიდრე რუსეთის მიწა-წყალზე უკვე მოქმედი ცალკეული პოლონელი რაზმები სავსებით არ განადგურდებოდა.

ზოგიერთი ისტორიკოსი შეცდომით ფიქრობს, თითქოს პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ მესამე რუსეთ-შვედეთის შეთანხმებამ აიძულა რუსეთის წინააღმდეგ აშკარა ინტერვენცია მოეწყო. ეს არაა მართალი. პანური პოლონეთი, როგორც ვნახეთ, ადრევე ამზადებდა მოსკოვის სახელმწიფოს დაპყრობას და ამისათვის არა ერთსა და ორ ხერხს მიმართავდა. თუ 1609 წელს იგი აშკარა თავდასხმის პოლიტიკაზე გადავიდა, ეს იმიტომ, რომ ცრუდიმიტრეების პოლიტიკამ კრახი განიცადა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსკოვის სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობა პოლონეთის მეფეს ხელსაყრელად მიაჩნდა თავისი გეგმების განხორციელებისათვის. ჯერ კიდევ 1608 წელს, ე. ი. რუსეთ-შვედეთის შეთანხმებამდე, პოლონელთა ცალკეული ბანდები აშკარად იჭრებოდნენ რუსეთის სასაზღვრო ტერიტორიებში და ძარცვავდნენ მას.

აშკარა ინტერვენციის გეგმის მომზადებაში განსაკუთრებულ აქტივობას ლიტვის კანცლერი ლევ საპეგა იჩენდა, რომლის ბიძაშვილი იან საპეგა, როგორც ვიცით, უკვე დათარეშობდა რუსეთში. პანებმა მოსკოვში შეჰრის რამდენიმე გეკმა წამოაყენეს. მიღებულ იქნა გონსევსკის გეგმა, რომელიც სმოლენსკის გზით მოსკოვზე ლაშქრობას ითვალისწინებდა. სიგიზმუნდ III ჩაატარა მობილიზაცია, მთელი რიგი შელავათები მიანიჭა ლაშქრობაში მონაწილე შლიახტას და შეკრიბა 30.000-იანი არმია (რომელშიც მონაწილეობდნენ დაქირავებული უნგრელები, გერმანელები, კაზაკები) და ომის გამოუცხადებლივ 1609 წლის სექტემბერში დასძრა იგი სმოლენსკის მიმართულებით.

დამპყრობლური ზრახვების დასაფარავად სიგიზმუნდი რუსეთში ავრცელებდა მანიფესტს, სადაც პირმოთნეულად თავის თავს რუსეთის სახელმწიფოს ერგებრად აცხადებდა. ნე მოვდივარ ხხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი „ვიხსნა მონობისა და საბოლოო დაღუპვისაგან... განვამტკიცო რუსული სარწმუნოება და ყველას მშვიდობა და მოსვენება დავუმკვიდრო“,—ურცხვად აცხადებდა იგი. მაგრამ რუსმა ხალხმა მშვენიერად იცოდა პოლონელი პანების ვერაგული განზრახვა და გმირული წინააღმდეგობისათვის ემზადებოდა.

სიგიზმუნდ III არმიამ ალყა შემოარტყა ქალაქ სმოლენსკს და

მას დანებება მოსთხოვა. ქალაქის მთელი მოსახლეობა ვოევოდა შეინის მეთაურობით ენერგიულ თავდაცვას შეუდგა. ვაჭარ-ხელოსნებმა დასწვეს ქალაქის გარეუბანი და სმოლენსკის კედლებში ჩაიკეტნენ. რა ღონისძიებას არ მიმართეს პოლონელებმა სმოლენსკის დასამორჩილებლად, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. რუსები გაუგონარი სიმამაცით იცავდნენ თავს და დამპყრობთა ყველა გეგმას ფუშავდნენ.

პოლონეთის არმიის მთავარი ძალები სმოლენსკთან იყო თავმოყრილი, სიგიზმუნდმა გადაწყვიტა არ დალოდებოდა ქალაქის დაცემას და არმიის ნაწილი მოსკოვისკენ გაეგზავნა, მით უმეტეს, რომ მისი ძალები შეივსო ცრუდიმიტრის ბანაკიდან მოსული პოლონური რაზმებით.

რა ხდებოდა ამ დროს ტუშინოს ბანაკში? ცრუდიმიტრი მეორე კალუგას იყო გაქცეული. პოლონელ ავანტიურისტთა ნაწილი სიგიზმუნდთან გაემგზავრა, ნაწილი კალუგაში წავიდა იმ იმედით, რომ ცრუდიმიტრი ისევ შესძლებდა მდგომარეობის გამოსწორებას. სამშობლოს მოღალატე რუსი ბოიარები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ხალხის პატრიოტული მოძრაობა თანდათან იზრდებოდა და უსწორდებოდა როგორც დამპყრობლებს, ისე სამშობლოს მოღალატეებს. ცრუდიმიტრი მეორის მხარეზე გადასულმა ბოიარებმა გადაწყვიტეს შეთანხმება დაედოთ სიგიზმუნდთან. „უკეთესია პოლონეთის მეფეს ვემსახუროთ, ვიდრე ჩვენ საკუთარ ხოლოპებთან ბრძოლაში დავშარცხდეთ და სამუდამოდ მათ სამსახურში ვიტანჯოთ“, — ასე იმართლებდნენ თავს გამცემლები. ტუშინოელ ბოიართა გამცემლური ჯგუფი (ვასილ რუბეც-მოსალსკი, თავადი იური ხვოროსტინინი, ბოიარინი მიხეილ სალტიკოვი და სხვ.) სმოლენსკთან ეახლა პოლონეთის მეფეს და აღუთქვა, რომ რუსეთი (რომლის სახელით ლაპარაკის უფლება მათ სრულებითაც არ ჰქონდათ) დათანხმდებოდა მოსკოვის ტახტზე სიგიზმუნდის შვილის ვლადისლავის მოწვევას; ხოლო ვიდრე მოსკოვი ახალ მმართველს „იცნობდა“, წესრიგის დაცვის მიზნით იქ პოლონეთის საოკუპაციო ჯარები დარჩენილიყვნენ.

რუსი ბოიარების ეს გამცემლობა სიგიზმუნდს გზას უხსნიდა, მაგრამ ახლა მას ეს პირობაც კი არ აკმაყოფილებდა და მოსკოვის ტახტი არა თავისი შვილისათვის, არამედ თავისთვის უნდოდა.

მან მოსკოვისკენ დასძრა ექვსიათასიანი რაზმი ჰეტმან ჟოლკევსკის მეთაურობით.

ენერგიული და ნიჭიერი სკოპინ-შუისკი, რომელმაც მოსკოვი ტუშინოელთა ალყისაგან გაათავისუფლა, ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო. იგი მოწამლეს მოსკოვში და, როგორც გადმოგვცემენ, ამ საქმეში ერია თვით მეფე, რომელსაც სახელმოხვეჭილი ნათესავის შემდგომი კარიერა აშინებდა. სამეფო ჯარებს ახლა უნიჰო, უინიციატივო დიმიტრი შუისკი (ვასილის ძმა) სარდლობდა. არმიაში დისციპლინა დაცემული იყო. 1610 წლის 24 ივნისს ჟოლკევსკიმ დაამარცხა რუსები. გამყიდველური როლი ითამაშეს რუსეთის არმიაში მოქმედმა შვედმა დაქირავებულმა რაზმებმა. ისინი საკმაო ქრთამის მიღების შემდეგ ჟოლკევსკის მხარეზე გადავიდნენ და რუსეთის ჯარების დამარცხებაში მას დახმარება გაუწიეს.

ჟოლკევსკიმ შვედები ერთგული სამსახურისათვის თავის ნებაზე მიუშვა. ისინი ნოვგოროდის კენ გაემართნენ და, როგორც შვედეთის მეფის საიდუმლო ინსტრუქცია ავალებდა, ამ ტერიტორიის დარბევა-დამორჩილებას შეუდგნენ. თვით ჟოლკევსკის მოსკოვისკენ გზა გაეხსნა. ამ დროს ისიც გამოჩნდა ცრუდიმიტრი მეორე, რომელმაც გადაწყვიტა თვითონაც მოსკოვის დაპყრობის მონაწილე გამხდარიყო.

მტრები მოსკოვის კარს მიადგნენ. მოსახლეობა წინააღმდეგობის გასაწევად ემზადებოდა, მაგრამ ბოიარებმა კვლავ ღალატი ჩაიდინეს. ვასილ შუისკი ახლა მათთვის საჭირო აღარ იყო. 17 ივნისს იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და ბერად აღკვეცეს. ხელისუფლება ხელთ იგდო ბოიართა სათათბიროშ თავად მსტისლავსკის მეთაურობით. მტისლავსკის პარტია, რომელშიაც ძირძველი ბოიარები შედიოდნენ, მოსკოვის ტახტზე ვლადისლავის მოწვევის მომხრე იყო. ბოიარებმა მოლაპარაკება გამართეს ჟოლკევსკისთან, რომელიც ამ დროს მოჟაისკთან იდგა. შეთანხმების დადების შემდეგ ჟოლკევსკიმ მოსკოველი ელჩები გაგზავნა, სიგიზმუხდის ბანაკში პოლონეთის მეფემ თავისი დიდი ხნის განზრახვა ახლა უკვე გამოამჟღავნა იმით, რომ მოსკოველი ელჩები დააპატიმრა. ცხადი შეიქნა, რომ სიგიზმუნდს სრულებითაც არ სურდა მოსკოვის ტახტი მიეცა თავისი შვილისათვის, რომელსაც მოსკოველი ბოიარები ყოველმხრივ შეზღუდავდნენ. სიგიზმუნდი ფიქრობდა, რომ ახლა ადვილად შეიძლებოდა მოსკოვის ტახტის ხელში ჩაგდება ყოველგვარ შეთანხმებათა და ვალდებულებათა გარეშე.

მოსკოვის ხელისუფლების სათავეში მოქცეული 7 უმაღლესი ბოიარი საბოლოოდ დაადგა გამცემლობის გზას და პოლონელ ინტერვენტებს ქალაქის კარები გაუხსნა.

ჟოლკევსკიმ შესძლო ცრუდიმიტრი მეორის ბანაკში მყოფი პოლონელი პანების გადაბირება. ცრუდიმიტრი, რომელიც ახლა აღარავის სჭირდებოდა, იძულებული შეიქნა ისევ კალუგას გაქცეულიყო, სადაც მალე მოჰკლეს კიდეც. ჟოლკევსკიმ ამავე დროს მოსკოველ ბოიარებთან გონსევსკის მეშვეობით გამართა მოლაპარაკება და მოითხოვა ქალაქში პოლონეთის ჯარის შეშვება. აღშფოთებით შეხვდა ამ ცნობას მოსკოვის მოსახლეობა. ბოიარებმა იარაღით „დაამშვიდეს“ განრისხებული ხალხი. 21 სექტემბერს ღამით, ქურდულად, უხმაუროდ შევიდნენ პოლონელები ქალაქში. მათ ხელში აღმოჩნდა კრემლის გასაღები.

პოლონელთა გარნიზონი მოსკოვში განაწილებულ იქნა ისე, რომ მოსალოდნელი მღელვარების შემთხვევაში ყველა უბანში ყოფილიყო დამსჯელი ძალა: კრემლში თავადი ჟოლკევსკი მოთავსდა, კიტაიგოროდში — კაზანოვსკის პოლკი, ბელიგოროდი ზაბოროვსკის ნაწილებმა დაიჭირეს, ხოლო „დევიჩი მონასტრის“ ტერიტორიაზე გონსევსკის ნაწილები განლაგდნენ.

ასე მოღალატურად ჩაუგდეს ხელში რუსეთის გული პოლონელ ინტერვენტებს რუსმა ბოიარებმა. აჯანყებული გლეხების შიშით პოლონელები ძარცვავდნენ მცხოვრებლებს, ხოცავდნენ ყველას, ვინც წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა. ბოიართა სათათბირო პოლონელი ინტერვენტების ყურმოჭრილი მონა გახდა. პოლონელებმა ხელი მიჰყვეს კრემლის განძეულობათა დატაცებას. სიგიზმუნდმა სმოლენსკიდან გონსევსკის სახელზე ბრძანება გამოგზავნა, რომ სახელმწიფო ხაზინიდან ჯამაგირი გაეცათ პოლონელი ჯარისკაცებისათვის. გონსევსკის მიერ შედგენილი „დეპუტაცია“ ჯარისკაცებს ჯამაგირის საფასურში კრემლის ძვირფასეულობას ურიგებდა. რუსეთის ხაზინის გასავალმა ამ პერიოდისათვის 344.128 მანეთს მიაღწია (4.128 ათასი მან. ოქროთი 1913 წლის კურსით). გონსევსკიმ არ დაივიწყა პოლონეთის მეფე და „სახელმწიფო საქმეებისათვის“ მას ოფიციალურად გაუგზავნა ფული და განძეული 4.780 მანეთის რაოდენობით (56.900 მან. ოქროთი 1913 წლის კურსით), სულ მოსკოვის ხაზინიდან პოლონეთის მეფემ მიიღო 126.000 მანეთი ოქროთი.

მოსკოვის მოსახლეობა დამპყრობლების მიმართ ზიზღითა და შურისგების გრძნობით იყო გამსჭვალული. ხალხი არა ნაკლებ იყო გაბოროტებული რუს ბოიარებზე, რომლებმაც სამშობლოს უღალატეს და მტერს კარები გაუღეს. მოსკოვის დაბალი ფენების განწყობილებას საუკეთესოდ ასახავს პოლონელ აგენტთა მოხსენებები მეფის სახელზე. ერთ-ერთ ასეთ მოხსენებაში აღწერილია მოსკოველთა შორის საუბრის შინაარსი:

„— ჩვენ ავირჩიეთ პოლონეთის მეფისწული არა იმისათვის, რომ ყოველი უტვინო პოლონელი ჩვენზე მბრძანებლობდეს... ხოლო ჩვენ, მოსკოველები, ვიტანჯებოდეთ. მეფე ძველი ქოფაკია, იგი მთელი წლის განმავლობაში არ გამოუშვებს ჩვენთან თავის ლეკვს... დეე, საუკუნოდ თავის ქვეყანაში დარჩეს. არ გვსურს, რომ იგი ჩვენი ხელმწიფე იყოს. თუ ეს ექვსი ათასი მოძალადე თავისი ნებით აქედან არ წაეთრევა, მაშინ მათ, როგორც ძაღლებს, გასწყვეტენ... საკმაოა, რომ ჩვენებმა ერთსულოვნად მოჰკიდონ საქმეს ხელი... ბევრის გაკეთება შეიძლება“.

— წაეთრიეთ აქედან, გასწმინდეთ ჩვენი ქალაქი, თორემ მალე ძაღლების სათრევი გახდებით. — მრისხანედ აფრთხილებდნენ მოსკოველები პოლონელებს.

პოლონელთა მიერ მოსკოვის ოკუპაციის ხმა სწრაფად დაირხა მთელს რუსეთში. დედა მოსკოვის განსაცდელმა აამოძრავა სამშობლოს პატრიოტები. დაიწყო სახალხო რაზმების ორგანიზაცია. ხალხმა თავის ხელში აიღო დამპყრობლებისაგან დედაქალაქის განთავისუფლების კეთილშობილური საქმე. რიაზანი, ნიჟნი-ნოვგოროდი, იაროსლავლი და რუსეთის სხვა ქალაქები 1611 წლის დასაწყისიდანვე იწყებენ მოსკოვის განთავისუფლებისათვის ძალების შეკრებას. ქალაქები წერილობით უკავშირდებიან ერთი მეორეს და ერთსულოვანი, ერთდროული გამოსვლის იდეას აყენებენ.

გულხელდაკრეფილი როდია მოსკოვი. მოსახლეობა ემზადება აჯანყებისათვის, პატრიარქი გერმოგენი მთელს რუსეთში გზავნის მოწოდებებს. მართლმადიდებლურ რუსეთს იგი დედაქალაქის განთავისუფლებისაკენ მოუწოდებს. გაცხოველებული მოძრაობაა რუსეთის სოფლებშიც. პატრიოტები ტრიბუნიდან მოუწოდებენ თანამემამულეებს, იხსნან რუსეთი პოლონელთა ძალადობისაგან. ხალხი სიხარულით ეწერება ლაშქარში. მთიდან დაგორებული თოვლის ზვავივით იზრდება სახალხო რისხვა.

პირველი სახალხო ლაშქრის ორგანიზაციაში ხელმძღვანელი როლი დაიკავა რიაზანელმა აზნაურმა პროკოფი ლიაპუნოვმა, რომელიც ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო ვასილ შუისკის ტახტიდან ჩამოგდებისა. ლიაპუნოვმა სახელი გაითქვა ჯერ კიდევ ადრე, ტუშინოელ ცრუმარქვიას წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლებში. მართალია, იგი პირველად მხარს უჭერდა ვლადისლავის კანდიდატურას, მაგრამ პოლონელთა მიერ მოსკოვში შეჭრამ დააარწმუნა, რომ სიგიზმუნდ III რუსეთის დამონებას აპირებდა.

ლიაპუნოვმა სიგელები დაგზავნა რუსეთის ქალაქებში და მოუწოდა რუს ხალხს მის ლაშქარში ჩაწერილიყო. პატრიოტულმა მოწოდებამ აქტიური გამოხმაურება ჰპოვა. სხვადასხვა მხრიდან დაიძრნენ მოლაშქრენი.

ლიაპუნოვს თავისი რაზმით შეუერთდა კაზაკთა ატამანი ზარუცკი. როგორც ჩანს, იგი პოლონელთა აგენტი იყო და ლაშქარს შიგნიდან აფეთქებას უპირებდა. ლიაპუნოვის ლაშქარს შეურთდნენ აგრეთვე კაზაკები დიმიტრი ტრუბეცკოის მეთაურობით. ისინი ადრე ცრუდიმიტრი მეორეს ემსახურებოდნენ. ახლა ლაშქარი რიცხობრივად გაიზარდა, მაგრამ დაეცა მისი შინაგანი სიმტკიცე. განსაკუთრებით გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობა. ლაშქრის ხელმძღვანელი ზედაფენა, რომელიც მსხვილი ბოიარებისაგან შედგებოდა, კაზაკებისა და ხოლოპებისათვის რაიმე შეღავათის მიცემისაგან თავს იკავებდა. ტრუბეცკოის, რომელსაც ლიაპუნოვის ორგანიზაციული ნიჭი აკლდა და პატრიოტული გრძნობები არ აწუხებდა, გვარის „კეთილშობილების“ გამო ლაშქარში ხელმძღვანელი პოსტი ერგო. ზარუცკიმ კაზაკობა განაწყო ლიაპუნოვის წინააღმდეგ. შეთქმულმა კაზაკებმა ლიაპუნოვი გაასამართლეს და ხმლებით აჩეხეს. ასე რომ, პირველმა სახალხო ლაშქარმა, მართალია, მოსკოვის კედლებს მიაღწია, მაგრამ უორგანიზაციობისა და შინაგანი ინტრიგის გამო არსებობა შეწყვიტა. ლიაპუნოვის მოკვლის შემდეგ აზნაურები თავიანთ მამულებში დაბრუნდნენ. მოსკოვთან მხოლოდ ზარუცკისა და ტრუბეცკოის კაზაკობა დარჩა.

როგორი მდგომარეობა იყო თვით ქალაქში? მოსკოველებამდე მიაღწია ცნობამ იმის შესახებ, რომ პოლონელთა წინააღმდეგ დაიძრა ლიაპუნოვის ლაშქარი. ამ ცნობამ აღაფრთოვანა მოსკოველები. მათ აჯანყებისათვის ფარული მზადება დაიწყეს. ლიაპუნოვის

ლაშქრის მოსკოვთან მოახლოებამ პოლონელები ააფორიაქა. მათ საჩქაროდ დაიწყეს მოსკოვის გამაგრება და ამ საქმეში მოსკოვის მცხოვრებთა გამოყენება სცადეს. მაგრამ მოსკოველებმა კიტაიგოროდისა და კრემლის კედელზე დადგმულ ზარბაზნებს მსხვრევა დაუწყეს. ინტერვენტები დაერივნენ უიარაღო ხალხს და ხმლებით დაუწყეს ჩეხვა. ეს იყო 16:1 წლის 19 მარტს. კიტაიგოროდის მცხოვრებლებს რომ მხეცურად გაუსწორდნენ (თანამედროვეთა ცნობით მოკლულთა რიცხვი 7 ათას აღწევდა), ინტერვენტები ახლა ბელიგოროდის მოსახლეობის გასაჟლეტად დაიძრნენ, მაგრამ ეს მხარე უკვე სახალხო აჯანყების ალში იყო გახვეული. ქუჩები ჩახერგილი იყო ბარიკადებით. უიარაღო ხალხი თავდაცვისათვის ყველა საშუალებას იყენებდა.

პოლონელი შლახტელის დღიურში ვკითხულობთ: „ბრძოლა პირველად დაიწყო კიტაიგოროდში, სადაც ჩვენებმა ამოხოცეს მოსახლეობა, შემდეგ ბელიგოროდში. მაგრამ ჩვენი მდგომარეობა გართულდა. აქ გარეუბანი ფართოა და ხალხიც მებრძოლია. რუსებმა კოშკებიდან ჩამოაცურეს საველე ქვემეხები და დადგეს რა ქუჩებში, ცეცხლი დაგვიშინეს. ჩვენ იერიშზე გადავდივართ, ისინი მაშინვე ქუჩას ხერგავენ მაგიდებით, სკამებით, შეშის ნაპობებით, ჩვენ ვიხევთ, რომ ისინი ამ სიმაგრეებიდან გამოვიტყუოთ—ისინი უკან მოგვდევენ და თან მოაქვთ მაგიდები და სკამები და როგორც კი შეამჩნევენ, რომ ბრძოლისათვის ვემზადებით, კვლავ ხერგავენ ქუჩებს და ამ სიმაგრეებიდან გვიშენებენ თოფებს, ხოლო სხვები, წინასწარ მომზადებულნი, სახლის სახურავებიდან, ფანჯრებიდან, ღობეებიდან გვიშენებენ ქვებს, კეტებს; ჩვენ, ე. ი. მხედრები, უძლურნი ვართ რაიმე გავაკეთოთ, უკან ვიხევთ, ისინი კი მოგვდევენ და ასე მიგვერეკებიან კრემლისაკენ“.

მოსკოვის ამ გმირულ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო თავადმა დიმიტრი პოჟარსკიმ. მისი რაზმი სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში შეიჭრა ქალაქში. მეზარბაზნეთა დახმარებით ლუბიანკაზე პოჟარსკიმ სასწრაფოდ ააგო სახელდახელო სიმაგრე. მისი მცირე რაზმი შეტევაზე გადავიდა და პოლონელებს უკან დაახევინა.

უიარაღო მოსკოველებმა აჯობეს პოლონელთა თავით ფეხებამდე შეიარაღებულ ჯარს და კრემლის კედლებში შერეკეს. ცუდი დღე დაუდგათ ინტერვენტებს. აჯანყება უფრო და უფრო ფართოვდებოდა.

„ჩვენ ვერ შევძელით მოფიქრება, თუ რით დაგვეხსნა თავი ამ უბედურებისაგან. ამ დროს ვიღაცამ დაიყვირა: ცეცხლი, ცეცხლი! დაწვით სახლები!... ვიშოვეთ ფისი, ძენძი, ფისიანი კვარი. ცეცხლს ვუკიდებდით ყველა სახლს. ბოლოს გაჩნდა დიდი ხანძარი“,—წერს იგივე შლიახტელი თავის დღიურში.

ამგვარად, პანიკით მოცულმა პოლონელებმა ხანძრით გადაუღობეს გზა მოსკოველებს და კრემლში ჩაკეტვა მოასწრეს. ხანძარი რამდენიმე დღეს მძვინვარებდა და ქალაქის გულში ჩაკეტილ პოლონელებს შურისგებისაგან იცავდა. ქარი, რომელიც პოლონელთა განლაგების საწინააღმდეგო მიმართულებით ქროდა, ხანძრის ტერიტორიას თანდათან აფართოებდა და ცეცხლის სტიქიონის წინაშე ახლა მოსკოველები უკან იხევდნენ. პოლონელები კი ხანძრის ახალ-ახალ კერებს ქმნიდნენ. სწორედ ამ დროს მოახერხა პოლონელების ახალმა რაზმმა კრემლისკენ გაჭრა. ახლა პოლონელებს დიდი ძალა ჰყავდათ. ისინი კონტრშეტევაზე გადავიდნენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პოჟარსკის რაზმი. იგი ერთდროულად ხანძარსაც ებრძოდა და პოლონელთა გააფთრებულ იერიშებსაც იგერიებდა. ლიაპუნოვის ძირითადი ძალები ჯერ კიდევ შორს იყვნენ. მალე თვით პოჟარსკი, რომელიც ბრძოლის ყველაზე საშიშ უბანზე იმყოფებოდა, ძნიმედ დაიჭრა.

— ო, ნეტავ მე მოვკვდე, ოღონდ ნულარ ვიხილავ ჩემი ქალაქის უბედურებას,—ქვითინით ამბობდა დაჭრილი დიმიტრი. ერთგულმა მხედრებმა მეთაური გაიყვანეს ქალაქიდან.

მოსკოვი ალმოდებულ ოკეანეს ჰგავდა. ქალაქიდან ლტოლვილი მოხუცები, ბავშვები, ქალები დამწუხრებული მიაბიჯებდნენ თოვლში. ზეიმობდა მტერი, რომელიც განსაცდელისაგან ხანძარმა იხსნა. მაგრამ ნაადრევი იყო ზეიმი. რუსი ხალხის გულში ღვივდებოდა შურისგების ძლიერი ხანძარი, რომელსაც ვეღარაფერი დაუდგებოდა წინ.

ვინ იყო ეს მამაცი, სამშობლოსათვის თავდადებული მეომარი, რომელიც ლიაპუნოვის ლაშქრიდან დაწინაურდა და აჯანყებულ ხალხთან ერთად პირველი ეკვეთა პოლონელებს?

თავადი დიმიტრი მიხეილის ძე პოჟარსკი ერთ დროს გამოჩენილ სტაროდუბელ მთავართა შთამომავალი იყო (რიურიკელთა დინასტიის მოდგმა). მათი შორეული წინაპარი იყო სახელგანთქმული მთავარი ვსევოლოდ იურის ძე (დიდი ბუდე), რომლის შვილი

ივანე სტაროდუბის საუფლისწულოს მფლობელი გახდა. სტაროდუბის უფლისწულს ევალებოდა ველის მოთარეშე ტომებისაგან რუსეთის სამხრეთი საზღვრების დაცვა. კეთილსინდისიერად ასრულებდნენ ისინი ამ სამსახურს. სტაროდუბელი მთავარი ვასილ ანდრიას ძე მამაცურად იბრძოდა დიმიტრი დონელის გვერდით თათარ-მონღოლთა ურდოების წინააღმდეგ. გვარი პოჟარსკი, როგორც ისტორიკოსები ვიუთითებენ, წარმოშობილია სტაროდუბელ მთავართა ერთ-ერთი მთავარი სოფლის პოგარას სახელწოდებიდან. ეს სოფელი იმსხვერპლა დიდმა ხანძარმა დიმიტრი დონელის დროს. სტაროდუბელი პოჟარსკები ბოიართა არისტოკრატიულ ზედაფენას ეკუთვნოდნენ. ამიტომ, ივანე IV ღონისძიებათა სუსხი, ცხადია, მათ გვარსაც შეეხო და უმაღლესი არისტოკრატიიდან საშუალო ფენამდე ჩამოაქვეითა. ამ შევიწროების გარდა პოჟარსკების ოჯახს თავს დაატყდა მეფის შერისხვა. დიმიტრის პაპა ივანე IV მიერ გადასახლებულ იქნა ყაზანში. ბორის გოდუნოვის დროს შერისხულ იქნა დიმიტრის დედა, რომელიც ადრე დაქვრივდა და თვით დიმიტრიც, რომელიც ამ დროისთვის 2 წლისა იყო. 1602 წელს მეფემ შეიწყალა ისინი და შერისხვა მოხსნა. პოჟარსკის ოჯახი ისევ დაუახლოვდა სასახლეს, დიმიტრის სტოლნიკობა უბოძეს.

დიმიტრი, როგორც ძველ ბოიართა წრის წარმომადგენელი, ცხადია, ბორის გოდუნოვის პოლიტიკის კმაყოფილი არ იყო. ამიტომ, როგორც ისტორიკოსი პლატონოვი შენიშნავს, იგი ბოიართა იმ ოლიგარქიულ ჯგუფში აღმოჩნდა, რომელიც ვასილ შუისკის მეთაურობით აღსდგა გოდუნოვისებური წესების წინააღმდეგ. მართლაც, შუისკის დიმიტრი ერთგულად ემსახურებოდა. 1608 წელს დიმიტრი პოჟარსკიმ სასტიკი დამარცხება აგემა ცრუდიმიტრი მეორის ერთ ერთ რაზმს კოლომნიდან 30 კილომეტრის დაცილებით. დიმიტრიმ ფარულად მიიყვანა თავისი მცირე რაზმი მტრის განლაგებასთან და მოულოდნელად შეიპრა სოფელში. როგორც მემატიანე მოგვითხრობს, ამ ხანმოკლე ბრძოლაში დიმიტრიმ მტერს დიდი ზიანი მიაყენა და მდიდარი ნადაელით დაბრუნდა უკან.

ვასილის დროს პოჟარსკი სამსახურში დაწინაურდა. მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მას სამსახური. ქვეყანა არეული იყო,

ბევრი ბოიარი, რომელიც თავის უშიშროებასა და გამდიდრებაზე უფრო მეტს ზრუნავდა, ვიდრე სამშობლოს ბედზე, ცრუდიმიტრის მხარეზე გადადიოდა. დიმიტრი შორს იყო ასეთი მოღალატური საქციელისაგან. შუისკის დროს საკმაოდ ცნობილი გახდა ახალგაზრდა პოჟარსკის სამხედრო ტალანტი. რუსეთის სამხედრო ხელოვნების ტრადიციებს კარგად დაუფლებული დიმიტრი ინტერვენტებთან შეჯახების დროს ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ფიზიკურად ძლიერი, სულით მტკიცე, უშიშარი დიმიტრი დიდი საყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ზარაისკის მოსახლეობას, სადაც იგი ვოევოდად იყო განწესებული, საიმედო ხელმძღვანელად მიაჩნდა და ყოველგვარ საქმეში ერთგულად მიჰყვებოდა.

ვასილ შუისკის ტახტიდან ჩამოგდებამ და ბოიართა ზედაფენის სამშობლოსადმი ღალატმა დიმიტრიზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. იგი განრისხებული იყო ტრუბეცკოის, სალტიკოვისა და სხვათა საზიზღარი საქციელის გამო.

დიმიტრის თავზარი დასცა მოსკოვში პოლონელთა ფარული შეჭრის ცნობამ. პატრიოტი თავადი დედაქალაქის განთავისუფლებისათვის ლაშქრის მომზადებას შეუდგა. სწორედ ამ მომენტში გაიგო მან, რომ სამშობლოსათვის ერთგული მებრძოლის ლიაპუნოვის ლაშქარს პრონსკში მტერმა ალყა შემოარტყა. დიმიტრი თავისი პოლკით თანამემამულის საშველად დაიძრა, პოლონელები დაამარცხა და ლიაპუნოვის ლაშქარი იხსნა. მრავალი შეუპოვარი ბრძოლა გადაიხადა მან ლიაპუნოვთან ერთად რიაზანისკენ მიმავალ გზაზე. შემდეგ ისევ ზარაისკში დაბრუნდა, რომ მოსკოვზე სალაშქროდ უფრო მომზადებულიყო. მაგრამ ამ დროს მოულოდნელი რისხვა დაატყდა თავზე თვით ზარაისკს. გათავხედებული მტერი ფარულად, ღამით შეიპყრა ქალაქში. დიმიტრი მცირერიცხოვანი რაზმით ქალაქის კრემლში აღმოჩნდა ჩაკეტილი. იგი არ დაბნეულა. თავისი მცირე რაზმით კრემლიდან გაიჭრა და არა მარტო დააღწია თავი ალყას, არამედ ინტერვენტების დიდი ნაწილი გასწყვიტა ბრძოლაში, ხოლო ნარჩენები გააქცია. დიმიტრის ეს გამარჯვება იმდენად მოულოდნელი და ბრწყინვალე იყო, რომ მემატიანე მას სასწაულს მიაწერდა.

პოჟარსკი ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა მოსკოვის განსათავისუფლებლად სახალხო ლაშქრის შექმნის ინიციატივას და,

როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, მისი რაზმი პირველად შეიჭრა მოსკოვში აჯანყებულთა დასახმარებლად.

მძიმედ დაჭრილი დიმიტრი თავის მამულში—მუგრეევოში (სუზდალის მაზრა) წაიყვანეს. აქ იშუშებდა იგი ბრძოლაში მიღებულ ჭრილობას, მაგრამ სამშობლოს ბედით დაჭრილი გული წამლებით ვერ გამთელდებოდა. იგი ცდილობდა სწრაფად წამომდგარიყო ფეხზე, რომ მოსკოვთან ისევ ეცადა თავისი მკლავის ძალა. დიმიტრის ტკივილები დააყუჩა ცნობამ, რომ ნიჟნი-ნოვგოროდში მზადდება დიდი სახალხო ლაშქარი, რომ ამ საქვეყნო საქმის ერთ-ერთ ხელმძღვანელად სამშობლოს პატრიოტებმა იგიც დაასახელეს.

* * *

პირველი სახალხო ლაშქრის დაშლის შემდეგ მოსკოვის სახელმწიფოს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. პოლონელი პანები გათამამდნენ. მათ გაძარცვეს, დასწვეს მოსკოვი. როცა ქალაქში სურსათის მარაგი გამოილია, მოთარეშე რაზმები შეუსიეს მოსკოვის ახლომახლო მდებარე ქალაქებსა და სოფლებს. მოძალადეები უკან არ იხევდნენ არავითარი სისასტიკის წინაშე. წვავდნენ ქალაქებს, სოფლებს, ხოცავდნენ უიარაღო ხალხს, ყველაფერს იტაცებდნენ და ნთქავდნენ.

სიგიზმუხდი თავისი ძირითადი ძალებით ისევ სმოლენსკის კედლებთან იდგა. ქალაქის გარემოცული მოსახლეობა თავს არაჩვეულებრივი მაძაცობით იცავდა, ამ ბრძოლაში სმოლენსკის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაწყდა. მემატიანის ცნობით, 1609 წელს სმოლენსკში 80 ათასი კაცი ცხოვრობდა, 1611 წლის ივნისისათვის მხოლოდ 8 ათასიღა დარჩა. დაშეულ მოსახლეობაში თავი იჩინა ეპიდემიამ, გარემოცულთა ნაწილი დაავადებათა მსხვერპლი ხდებოდა, ნაწილი პოლონელთა განუწყვეტელი იერიშების დროს დებდა თავს. ვოევოდა შეინი თავისი მცირე რაზმებით ხშირად გაიპრებოდა ქალაქის კედლებიდან და მტერს დიდ ზარალს აყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის დაცვის შესაძლებლობანი თითქოს ამოწურული იყო, სმოლენსკი მაინც არ ნებდებოდა, მაგრამ გამოჩნდა გამცემი. ეს იყო შდიდარი ბოიარინი ანდრია დედევშინი. იგი გაიქცა სიგიზმუნდის ბანაკში, დაუსურათა მტერს ალყაშემორტყმულთა კრიტიკული მდგომარეობა და მიუთითა ქალაქის კედლის ყველაზე სუსტ ადგილზე, რომლის გარღვევა ადვილად შეიძლებოდა. 2 ივნისს ღა-

მით, პოლონელები იერიშზე გადავიდნენ. მათ ნაღმით ააფეთქეს ქალაქის კედლის ეს სუსტი ადგილი და შიგნით შეიჭრნენ. გაჩაღდა გააფთრებული ხელჩართული ბრძოლა. თავგანწირულმა სმოლენსკის მოსახლეობამ ხანძარი გაუჩინა ქალაქს, რომ მტერს მისი ნანგრევები დარჩენოდა. გამხეცებულმა პოლონელებმა გასწყვიტეს ალყაშემორტყმულთა დიდი ნაწილი. თითქმის 2 წელი იცავდა თავს გმირული ქალაქი და ბოლოს გმირულადვე დაეცა.

დიდი ზეიმით აღნიშნა სიგიზმუნდმა სმოლენსკის აღება. ახლა მის არმიას ხელ-ფეხი გაეხსნა. პოლონეთის მეფეს მოსკოვის სახელმწიფო უკვე დაპყრობილად მიაჩნდა.

არა ნაკლებ ზეიმობდნენ შვედეთში. კარლოს IX უკვე ჩამოიგლიჯა „მოკავშირის“ ნიღაბი და, ისარგებლა რა მოსკოვის სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობით, თავისი გეგმების განხორციელებას შეუდგა, ახალი ჯარები გამოგზავნა ივანგოროდის, ლადოგას, ორეშოკის, კარელას დასაპყრობად. ქალაქის მოსახლეობა გმირულად იცავდა თავს შვედი დამპყრობლებისაგან. ნოვგოროდიდან მოდიოდა დამხმარე ძალები. შვედებმა მოახერხეს მხოლოდ ერთი ქალაქის — კარელას დაპყრობა.

შვედთა დაქირავებული არმია დელაგარდის მეთაურობით ნოვგოროდის კედლებს მიადგა. ხანგრძლივი ალყის შემდეგ მათ მოახერხეს ქალაქში შეჭრა. მოსახლეობა ინტერვენტებს მამაცურად უმკლავდებოდა. მემატიანეს შემონახული აქვს იმ პატრიოტთა სახელები, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ინტერვენტებთან ბრძოლაში. ესენი იყვნენ: მეთოფეთა მეთაური ვასილ გაიუტინი, დიაკი აფინოგენ გოლენიშჩევი, ვასილ ორლოვი, კაზაკთა ატამანი ტომოთე შაროვი, სოფიის პროტოპოპი ამოსი და მრავალი სხვები, რომლებმაც თავი დასდეს. შვედებმა გაძარცვეს ქალაქი. გადარჩენილ მოსახლეობას განუცხადეს, რომ შვედეთის ქვეშევრდომებად ეცნოთ თავი. მოსახლეობა ზიზღით შეხვდა ამ ბრძანებას. მაგრამ ბოიარებმა ოდოევსკიმ და ქალაქის ეპისკოპოსმა ხელი მოაწერეს „შეთანხმებას“. შვედეთის მეფისათვის ნოვგოროდის დაპყრობა მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო შემდგომი გეგმის გზაზემას იმედი ჰქონდა, რომ შვედეთის ძალაუფლებას მალე სხვა ქალაქებზეც გაავრცელებდა.

შვედი და პოლონელი დამპყრობლების წარმატებამ ყირიმის ხანიც გაათამამა. მისმა ბანდებმა სამხრეთ რუსეთის ტერიტო-

რიის ძარცვას მოუხშირეს. მოსკოვზე ზეგავლენის იმედები აღეძრათ სხვა სახელმწიფოებსაც. ინგლისელი ვაჭარი ჯონ მერიკი მოსკოვიდან ლონდონში გზავნიდა ჯაშუშურ ცნობებს და, აღწერდა რა მოსკოვში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას, ინგლისელ ხელისუფალთ არწმუნებდა—ახლა ყველაზე ხელსაყრელი დროა რუსეთი ჩვენი პროტექტორატის ქვეშ მოვაქციოთო.

ინგლისის მეფე იაკობ პირველი საკმაოდ გაიტაცა მოსკოვის დაპყრობის აზრმა. ლონდონში შემუშავდა გეგმა, რომლის თანახმად უნდა განხორციელებულიყო რუსეთში შეჭრა და ინგლისის ძალაუფლება დამკვიდრებულიყო ჩრდილოეთ რუსეთში და ვოლგის გზაზე, თვით კასპიის ზღვამდე.

ამრიგად, მოსკოვის სახელმწიფოს წინაშე მდგარი საფრთხე კიდევ უფრო გაიზარდა. ქვეყანას დამოუკიდებლობის დაკარგვა ემუქრებოდა. ირგვლივ ჩასაფრებული მტაცებლები უფრო და უფრო შორს წვდიდნენ თავიანთ თათებს და გლეჯდნენ რუსეთის სხეულს.

მაგრამ განსაცდელის ზრდასთან ერთად იზრდებოდა შურისძიების რისხვა. დედა მოსკოვისა და მთელი რუსეთის გადარჩენის იდეამ ხალხში მტკიცედ გაიდგა ფესვი. რუსეთი იწყებდა ძალის მოკრებას. და თუ როგორი ძალისა იყო იგი, როგორი აღტყინება სუფევდა ხალხში, ეს ნათელჰყო ნიჟნი-ნოვგოროდში დაწყებულმა პატრიოტულმა მოძრაობამ, რაც საბოლოოდ მოსკოვის განთავისუფლებით დაგვირგვინდა.

* * *

ნიჟნი-ნოვგოროდი სუზდალის მიწა-წყალზე აღმოცენდა, როგორც ციხე-ფორფოსტი რუსეთის აღმოსავლეთი საზღვრის დასაცავად. XVII საუკუნის დასაწყისისათვის იგი მოსკოვის სახელმწიფოს ერთ-ერთ უმსხვილეს ქალაქს წარმოადგენდა. რუსეთის ორი უდიდესი მდინარის—ვოლგისა და ოკის შეერთების ადგილზე აღმოცენებულ ქალაქში ფართოდ იყო გაჩაღებული ვაჭრობა. ოკა მას აკავშირებდა პურით მდიდარ რიაზანის მხარესთან, მდინარე მოსკოვი—დედაქალაქთან, ვოლგა კი—ჩრდილოეთ რუსეთთან, ყაზანთან, ასტრახანთან და კასპიის ზღვით—სამხრეთის ქვეყნებთან. ვოლგაზე ნაოსნობა იყო განვითარებული. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისელ ჯენკინსკონს ვოლგაზე მგზავრობის დროს სხვადასხვა

საქონლით დატვირთული 500 დიდი ვემი დაუთვლია. ნოვგოროდელები სავაჭროდ შორეულ ქვეყნებში მიემგზავრებოდნენ. ქალაქს გარს ერტყა ფართო რაბაოი (გარეუბანი)—დასერილი ხელოსნური და სავაჭრო რიგებით. სავაჭრო რიგები სავსე იყო მრავალნაირი საქონლით: რიაზანიდან მოჰქონდათ პური, ასტრახანიდან—თევზი, ხიზილალა, მარილი, ციმბირიდან—ძვირფასი ბეწვეული, ხოლო კასპიის მხრიდან აღმოსავლური საქონელი. მოდიოდნენ ვაჭრები შუა აზიის სახანოებიდან—ხივიდან და ბუხარიდან, XVI საუკუნის შუა წლებიდან აქ გამოჩნდნენ ინგლისელებიც.

ქალაქში ფართოდ იყო განვითარებული ხელოსნობა. ამიტომ ცხოვრებათა დიდ ნაწილს ვარეუბნელები შეადგენდნენ. XVII საუკუნეში რაბათელებს რუსეთის ქალაქებში თვითმმართველობის უფლება ჰქონდათ. ისინი თავიანთი წრიდან ირჩევდნენ საერობო მამასახლისს, რომელიც სამოსამართლო საქმეს ეწეოდა და გადასახადს ანაწილებდა რაბათელთა შორის. საერობო მამასახლისს დიდი გავლენა ჰქონდა. ასეთ თანამდებობაზე ჩვეულებრივ მაღალი მორალური თვისებებით დაჯილდოებულს, ყველაზე გავლენიან პიროვნებას წამოაყენებდნენ ხოლმე.

მდიდარი ნიჟნი-ნოვგოროდის დაპყრობა-გაძარცვა არა ერთხელ სცადეს ტუშინოს ბანაკში თავმოყრილმა პანმა ავანტიურისტებმა, მაგრამ ქალაქი თავს მტკიცედ იცავდა. აღსანიშნავია, რომ „ტუშინოს ქურდის“ პარპაშის პერიოდში, როდესაც მოსკოვთან კავშირი გაწყდა, ნიჟნი-ნოვგოროდელებმა არ იცნეს ცრუმარქვიას ხელისუფლება და ჩამოაყალიბეს საკუთარი მთავრობა—ქალაქის სათათბირო, ოომლის გადაწყვეტილებას ემორჩილებოდნენ ვოევოდებიც. ქალაქის სათათბიროში შედიოდნენ ყველა ფენის წარმომადგენლები, მაგრამ ყველაზე დიდი გავლენით, როგორც ისტორიკოსი ლუბომიროვი მიუთითებს, რაბათელები სარგებლობდნენ. სათათბიროს ინიციატივით ინტერვენტების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩამოყალიბდა რაზმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვოევოდა ალიაბაევი. 1609 წლის 7 იანვარს ალიაბაევმა დაამარცხა ტუშინოელთა მოთარეშე რაზმი და მრავალი ტყვე წამოიყვანა, მათ შორის იყო ტუშინოელთა „ვოევოდა“, სამშობლოს მოღალატე ვიაზემსკი, რომელიც ნოვგოროდში საჯაროდ ჩამოახრჩეს.

ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების მოშლა, ინტერვენტთა ბანდების თარეში მძიმე გავლენას ახდენდა ნიჟნი ნოვგოროდის ვაჭრო-

ბაზე. ქალაქი ღარიბდებოდა, მისი ფართო ბაზარი ვიწროვდებოდა, შეწყდა ქარავანთა სვლა ნიჟნი-ნოვგოროდისაკენ. გზებზე ჩასაფრებული ინტერვენტი ყაჩაღები ძარცვავდნენ ვაჭრებს, დაეცა ფასი ხელოსნურ პროდუქტზე, ვინაიდან მისი გატანა შორეულ ადგილებში შეუძლებელი ხდებოდა. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ინტერვენტებმა ვერ მოახერხეს ნიჟნი-ნოვგოროდის დაპყრობა-აოხრება, ქალაქის მოსახლეობა მაინც განიცდიდა რუსეთში შექმნილი ვითარების სიმძიმეს. განსაკუთრებით მტკივნეული ნიჟნი-ნოვგოროდელთათვის მოსკოვის მდგომარეობა იყო. მოსკოვიდან გამოპარული პირები რაბათელებს მოუთხრობდნენ ინტერვენტთა მბეცობის შესახებ. გულმართალ, მშრომელ, პატრიოტ ხელოსანთა შორის იზრდებოდა შურისგების რისხვა; სახალხო ლაშქრის შექმნისა და დიდაქალაქის განთავისუფლების კეთილშობილური აზრი თანდათანობით მწიფდებოდა რაბათელ მოსახლეობაში.

ნიჟნი-ნოვგოროდელი მოსახლეობისა და მთელი რუსი ხალხის პატრიოტული გრძნობებისა და მისწრაფების ჭეშმარიტი გამომხატველი გახდა ნიჟნი-ნოვგოროდის რაბათელი (გარეუბნელი) მოსახლეობის მამასახლისი კუზმა ზაქარიას ძე მინინი—სუხორუკოვი.

კუზმა მინინის ადრინდელი მოღვაწეობის შესახებ ცნობები არ შენახულა. მაგრამ ის ფაქტი, რომ რაბათელებმა იგი საერობო მამასახლისის თანამდებობაზე აირჩიეს, თავისთავად ლაპარაკობს მის დიდ გავლენასა და ავტორიტეტზე. მინინი იყო ხორცის გამყიდველი, საშუალო სიმდიდრის მქონე, გამრჯე, გულმართალი ადამიანი. მართალია, სწავლა-განათლება არ მიუღია, მაგრამ დიდი პრაქტიკული ხიპით იყო დაჯილდოებული. კარგად იცნობდა რაბათელთა ცხოვრებას და მათი ინტერესების საუკეთესო დამცველი იყო. ადამიანთა ხასიათის გამოცნობის უნარი, თითოეულისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, საერთო საქმისათვის თავდადება და უანგარობა მას დიდ პოპულარობას უხვევდა. მის რჩევას ყველანი ენდობოდნენ. მინინი ყოველთვის თავის ხალხთან იდგა, რაბათელთა ინტერესებით ცხოვრობდა. როგორც რიგითი მოლაშქრე, იგი მონაწილეობდა ტუშინოელი ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაშაკი პატოიოტი, თავისი საქმის მცოდნე მამასახლისი, ახლაც, რუსეთის ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამს, თავის სადარაჯოზე აღმოჩნდა.

პირველი სახალხო ლაშქრის დაშლის შემდეგ მინინს ახალი ლაშ-

ქრის ჩაწოყალიბების აზრი დაებადა. მან ამ იდეის პროპაგანდა დაიწყო ამომრჩეველთა წინაშე. მინინის პატრიოტულ წამოწყებას ბევრი მოწინააღმდეგე გაუჩნდა, მაგრამ ნიჟნი-ნოვგოროდის რაბათელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მინინის წინადადებას მხარდაჭერით შეხვდა. ლაშქრის ორგანიზაციის იდეამ რაბათელ მოსახლეობაში ფართოდ მოიკიდა ფეხი. მაგრამ მარტო რაბათელი მოსახლეობის სურვილი არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ამ საერთო სახალხო საქმეში სხვა ფენების მონაწილეობაც; მინინმა ქალაქის სათათბიროს მიმართა, რომლის სპეციალურ სხდომაზე გადაწყდა, რომ საკითხი მთელი ნოვგოროდის წინაშე გამოეტანათ. სწორედ ამ დროს ნიჟნი-ნოვგოროდში მოვიდა მოწოდების სიგელი სერგის სამების მონასტრიდან, რომელიც ასაბავდა სამშობლოს მძიმე მდგომარეობას და რუს ხალხს მის საშველად იწვევდა. ეს იყო 1610 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

ტაძრის დიდი ზარის გუგუნზე დილით ადრე შეიკრიბნენ ნიჟნი-ნოვგოროდელები კრემლში. ტაძრის მთავარხუცესმა საბამ წარმოთქვა პირველი სიტყვა და სერგეევის სამების მონასტრის სიგელი წაიკითხა. შემდეგ ხალხის წინაშე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა კუზმა მინინი და ჩამოაყალიბა მოქმედების ნათელი პროგრამა. მინინმა თავის ბრწყინვალე სიტყვაში, პირველყოველისა, დაახასიათა სამშობლოს მძიმე მდგომარეობა.

— პოლონეთი ჩვენს ქვეყანას დამონებას უქადის. ისინი მოკალათდნენ რუსეთის გულში, ჩვენს დედა მოსკოვში. დაირღვა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება. მოსკოვის ბედი არც ჩვენ აგვცდება, თუ ახლავე არ შევუდექით დედაქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლას. ჩვენს ხალხში დიდი ძალაა, რომელსაც ვერც ერთი დამპყრობი ვერ გაუძლებს. უნდა გავაერთიანოთ ეს ძალა და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. მაგრამ,—ამბობდა მინინი,—ყოველი დიდი საქმე მსხვერპლს მოითხოვს. სახალხო ლაშქარს შეიარაღება, სურსათი სჭირდება. ამისათვის სახსრებია საჭირო. სად ვიშოვნოთ ეს სახსრები?—იგი თვით ჩვენს შორის მოიპოვება. დავივიწყოთ დროებით პირადი ცხოვრება, ნუ დავზოგავთ ნურაფერს საერთო საქმისათვის, შევსწიროთ მას ყველაფერი. ცოლებიცა და შვილებიც კი დავაგირაოთ, თუ კი ამას სამშობლოს სამსახური გვაიძულებს. მართლმადიდებლური რწმენისათვის, ჩვენი მოსკოვისათვის დავიხოცოთ,—ასეთია მინინის პატრიოტული მოწოდების შინაარსი.

ამ მოწოდებამ ხალხზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. შემატიანე გადმოგვცემს, რომ ხალხი, რომელიც მინინს უსმენდა, ტიროდა. კუზმა მინინმა იქვე დასდო პირობა, რომ პირადად იგი ლაშქრის ორგანიზაციის საქმეს მთელ თავის ქონებას შესწირავდა.

ცხადია, ნიჟნი ნოვგოროდის ჰრელ მოსახლეობას შორის ისეთებიც იყვნენ, რომელნიც მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდნენ და საერთო საქმისათვის ნებაყოფლობით რაიმე სახსრების გაღება არ სურდათ. მინინმა წინადადება შეიტანა მიეღოთ დადგენილება, რომელსაც ქალაქის ყველა მცხოვრები დაემორჩილებოდა. ნიჟნი-ნოვგოროდის მკვიდრთ ევალებოდათ თავიანთი ქონების მესამედი ლაშქრის ორგანიზაციისათვის გაეღოთ. მინინი ამის შემდეგაც სისტემატურად გამოდიოდა ხალხის წინაშე და სახალხო ლაშქრის ორგანიზაციის საქმეზე ლაპარაკობდა. პატრიოტულმა მოძრაობამ მთელი ქალაქი მოიცვა. ხალხს თავიანთი სურვილით მოჰქონდა ფული, განძეულობა. მინინი სახსრების შემგროვებელთ აფრთხილებდა, მეტისმეტად არ შეევიწროებინათ ღარიბი ხალხი, სამაგიეროდ, მდიდრებისაგან რაც შეიძლება მეტი აეღოთ. დადგენილების თანასმად, მოსახლეობას თავისი ქონების ერთი მესამედი უნდა გაეღო. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ხალხი უფრო მეტს იღებდა. გარდა ამ სპეციალური შემოწირულებებისა, ლაშქრის ორგანიზაციის საქმეს ხმარდებოდა ქალაქის შემოსავალიც.

ლაშქრის ორგანიზაცია ნიჟნელებმა თავის საამაყო წარმომადგენელს კუზმა მინინს მიანდვეს: „შენ იყავი ჩვენი უფროსი, დეე, შენს ნებაზე იყოს ყველაფერი",—ასე მიმართეს მინინს. მთელი თავისი ენერგიით შეუდგა მინინი ხალხის ნდობის გამართლებას. ლაშქრის ორგანიზაცია უკვე დაიწყო. დაიწყეს იარაღის დამზადება. ნიჟნი-ნოვგოროდის მრავალრიცხოვანი სახელოსნოები დღე-ღამ მუშაობდნენ. იქედებოდა სამშობლოს ცხსნელი მახვილი.

ლაშქრის ორგანიზაციის პროცესში ჯამოიჭრა საკითხი სამხედრო ხელმძღვანელის შესახებ. კრებაზე ხალხმა ასეთ კანდიდატად დიმიტრი პოჟარსკი წამოაყენა. ის ფაქტი, რომ სახალხო ლაშქრის სამხედრო მეთაურის პოსტზე დაასახელეს დიმიტრი პოჟარსკი, რომელიც ამ დროს ნიჟნი-ნოვგოროდიდან მოშორებით ჭრილობებს იშუშებდა, თავისთავად მოწმობს მის დიდ პოპულარობას. ხალხი, რომელიც ბოიართა შორის არაერთსა და ორ გამცემს ხედავდა, განსაკუთრებული სიმპათიით იყო გამსჭვალული

პოჟარსკისადმი, რომელსაც არასოდეს არ უღალატნია სამშობლოსათვის და ყოველთვის იდგა უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში. განსაკუთრებული სიამაყით იგონებდა ხალხი დიმიტრის თავდადებას ზარაისკის განთავისუფლებაში, მოსკოვის ბრძოლებში. ახალგაზრდა, მამაცი, სამხედრო ნიჭით დაჯილდოებული პოჟარსკი, ხალხის აზრით, ყველაზე უკეთ შესძლებდა ქვეყნის განთავისუფლებისათვის დაწყებულ სახალხო ომის ხელმძღვანელობას. კარგად იცნობდა მას კუზმა მინინიც და ფრიად კმაყოფილი იყო ხალხის არჩევანისა.

განკურნებული პოჟარსკი ჩავიდა ნიჟნი-ნოვგოროდში და ჩვეული ენერგიით შეუდგა ლაშქრის წვრთნას. იგი სრულებითაც არ ერეოდა ლაშქრის სამეურნეო ორგანიზაციაში. ეს რთული საქმე მინინს ჰქონდა დაკისრებული. ნიჟნიდან რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში დაიგზავნა მოწოდებანი, მინინი და პოჟარსკი ამცნობდნენ რუსეთს, რომ სამშობლოს გასათავისუფლებლად იქმნება დიდი არმია და ვისაც გული შესტკივა საქვეყნო საქმეზე, დეე, ჩვენ შეგვიერთდესო.

პატრიოტულმა მოწოდებამ მალე რუსეთის სხვა რაიონებშიც ჰპოვა ნახარდაჯერა; რუსეთი იარაღს ისხამდა, იგი მტერთან გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა.

სახალხო ომის იდეა ამ დროს არა მარტო ნიჟნი-ნოვგოროდში, არამედ რუსეთის ყველა მხარეში იყო მომწიფებული. ამის თვალსაჩინო დამადასტურებელია პარტიზანული მოძრაობა პოლონელი და შვედი დამპყრობლების წინააღმდეგ. უცხოელი მოძალადეების მიმართ შურისგების გრძნობით გამსჭვალული რუსი ადამიანები, რომელთაც ჯერ კიდევ არ გააჩნდათ აშკარა და ერთსულოვანი მოქმედებისათვის საჭირო ასპარეზი, მცირე პარტიზანულ რაზმებს აყალიბებდნენ და მოულოდნელი თავდასხმებით ინტერვენტებს დიდ ზიანს აყენებდნენ.

პოლონელი პანები მოსკოვში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც ალყაში. მათ გარს ერტყა სახალხო შურისმგებელთა რკალი და არც დღე, არც ღამე მოსვენებას არ აძლევდა.

როდესაც 1611 წლის სექტემბერში სიგიზმუნდმა მოსკოვში

მყოფი პოლონეთის გარნიზონის დასახმარებლად ხოდკევიჩის რაზმი გაგზავნა, პარტიზანებმა რაზმის მეწინავე ნაწილი გაჟლიტეს. ხოდკევიჩი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მოსკოვიდან მის დასახმარებლად შლიახტელი მასკევიჩი გაგზავნეს. თავის დღიურში მასკევიჩი მოგვითხრობს, თუ რა საშინელი დღე გაუთენეს პარტიზანებმა, რომლებიც თავს დაესხნენ, დაუხოცეს მხლებლები, წაართვეს სურსათით დატვირთული საბარგულები.— მე ძლივს მოვახერხე ქალაქში დაბრუნება, მაგრამ მოსკოვში სამწუხარო ამბავი დაბზედა. ჩემი მსახური პარტიზანებთან გაპარულიყო,—მოგვითხრობს იგი.

პოლონელები ამ პარტიზანებს „შიშებს" უწოდებდნენ. თითქოს მიწიდან ამოძვრენო, ისე მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ „შიშები" და პოლონელთა მოთარეშე რაზმებს ულმობლად ჟლეტდნენ. ერთ-ერთი პოლონელი იგონებს: „არ შეიძლებოდა ცეცხლის ანთება, არ შეიძლებოდა ერთი წუთით შეჩერება— იმ წუთშივე საიდანღაც გამოჩნდებოდნენ „შიშები"; როგორც კი ხეობაში შევიდოდით, იმ წამშივე თავს დაგვესხმებოდნენ ისინი. ძლიერი ყინვის გამო ხელში იარაღის აღებაც კი არ შეიძლებოდა. „შიშები" გვართმევდნენ მარაგს და სწრაფად ქრებოდნენ, გამოდიოდა ისე, რომ პოლონელებს, რომლებიც ბევრ ნაძარცვ ქონებას აგროვებდნენ, დედაქალაქში ძალზე ცოტა შეჰქონდათ". ინტერვენტებს ქალაქიდან გასვლის ეშინოდათ. ქალაქში კი სურსათის მარაგი ილეოდა. ოფიცრები და რიგითი მეომრები წყევლიდნენ თავიანთ ბედს. ყოველი მხრიდან მათ სიკვდილი უთვალთვალებდა. ისინი მოითხოვდნენ პოლონეთში დაბრუნებას.

— ჩვენ კრემლში ჩაკეტილნი, უკვე ერთ წელზე მეტია ვდგავართ სხვის მიწაზე და ვკარგავთ ჩვენს ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, ვიტანთ შიმშილს. ერთი ტომარა ჰვავი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ერთი ტომარა პილპილი, მშიერი ცხენები ხეებს ღრღნიან,— ჩიოდნენ ისინი. მაგრამ ხოდკევიჩს მათი შეცვლა რეზერვების უყოლობის გამო არ შეეძლო.

პარტიზანები არა მარტო მოსკოვის მახლობლად მოქმედებდნენ, არამედ ყველგან, სადაც კი პოლონელ და შეედ ინტერვენტებს ხელი მიუწვდებოდათ. სმოლენსკის რაიონში პარტიზანები დარაჯობდნენ მოსკოვისაკენ მიმავალ გზას და პოლონელებს, რომლებიც ამ გზით მიემართებოდნენ მოსკოვში, ან მოსკოვიდან პოლონეთში, საშინელ დღეს აყენებდნენ. სმოლენსკის მაბლობლად

პარტიზანებმა დაამარცხეს პოლონელების დამხმარე რაზმი, რომელიც მოსკოვისაკენ მიემართებოდა.

პარტიზანთა რაზმი თანდათან ფართოვდებოდა. პოლონელებს მოსკოვთან სადარაჯო დაცვა ჰქონდათ მოწყობილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსკოველები ფარულად გარბოდნენ პარტიზანებთან. პოლონელი ოფიცრები მოსახლეობას იარაღის ქვეშ აიძულებდნენ გაჰყოლოდნენ ახლომახლო ადგილებში მეგზურად, მაგრამ რუსები, როგორც კი ხელსაყრელ დროს იპოვნიდნენ, ან თავისიანებს დაინახავდნენ, მათ მხარეზე გადადიოდნენ. შლიახტელი მასკევიჩი, რომელიც 1612 წელს ახლდა პოლონელი პოლკოვნიკის კოსტიუშკევიჩის რაზმს, პარტიზანებთან შეხვედრის შემთხვევას ასე აგვიწერს: სულ ერთი ან ორი მილით დავცილდით ჩვენ ჰეტმანის ბანაკს, რომ თავს დაგვესხნენ „შიშები“ და ადვილად მოიპოვეს გამარჯვება, რადგან ჩვენს საბარგულებთან მყოფი მოსკოველები იმ წუთშივე თავისიანების მხარეზე გადავიდნენ. ხოლო სხვებმა საბარგულებს გზა გადაუღობეს... მტრებმა ჩვენი რაზმი გაანადგურესო.

პარტიზანებს მოწყობილი ჰქონდათ სათვალთვალო პუნქტები. მათ ყოველმხრივ ეხმარებოდა მოსახლეობა. მოსკოვსა და სხვა ქალაქებში პარტიზანულ ჯგუფებს ჰყავდათ აგრეთვე თავიანთი აგენტები, რომლებიც მტრის მოძრაობის მიმართულებას წინასწარ იგებდნენ. პოლონელი ინტერვენტები უძლურნი იყვნენ პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხალხურ თქმულებებში, წერილობით ძეგლებში შემონახულია მრავალი ამაღელვებელი მაგალითი რუსი ადამიანების გმირობისა და თავგანწირვის შესახებ. შლიახტელი მასკევიჩი აგვიწერს ერთ ასეთ შემთხვევას: 1612 წელს, მარტში, როდესაც ჩვენი ძალების დასახმარებლად მოსკოვისაკენ მივემართებოდით, ვოლოკოლამსკის მახლობლად, სოფელ ვიშენცაში დავიჭირეთ ერთი მოხუცი გლეხი და მას ვუბრძანეთ გზის მასწავლებლად გაგვყოლოდა, რადგან გვეშინოდა, ვოლოკის მახლობლად დაბანაკებულ ძლიერ მტერს არ შევჩეხებოდით. იგი დაგვთანხმდა და ვოლოკის გაყოლებით გვატარა. როგორც კი დაღამდა, გზა დაგვიბნია და, როგორც ჩანს, თავისიანებისკენ წაგვიყვანა. მტრისაგან ერთი ვერსითაც არ ვიქნებოდით დაცილებული, რომ ჩვენდა საბედნიეროდ შეგვხვდა რუცკი, რომელიც, გააცილა რა თავისი ამხანაგები გონსევსკის

ბანაკისაკენ, ახლა უკან ბრუნდებოდა. მისგან გავიგეთ, რომ პირდაპირ მტრისკენ მივდივართ. გამცილებელს თავი მოვკვეთეთ, სასწრაფოდ უკან დავბრუნდით, მაგრამ შიშისაგან დიდხანს გონს ვერ მოვედითო.

ასეთ თავდადებულ გმირთა მაგალითზე შექმნა რუსმა ხალხმა თქმულება ივანე სუსანინის შესახებ. მრავალი ასეთი სუსანინები ჰყავდა მაშინ რუსეთს, თუმცა მათი სახელები ჩვენთვის უცნობი დარჩა და, როგორც ისტორიკოსი ზაბელინი შენიშნავს, რუსეთის ქვეყანა დიდი განსაცდელისაგან იხსნა არა რომელიმე პარტიის თაოსნობამ, არამედ საყოველთაო სახალხო ძალამ, ხალხის საზოგადოებრივი და მორალური შეგნების სიწმინდემ, რომელიც ღრმად იყო ფესვებგადგმული რუსეთში და რომელმაც მრავალი წარმატებითი და წარუმატებელი ცდების შემდეგ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა, როგორც ბუნებრივმა, ყოველმხრივ უძლეველმა სიცოცხლის ძალამ.

* * *

ნიჟნი-ნოვგოროდში დაწყებული პატრიოტული საქმე მალე მთელ ქვეყანას მოედო. აღტაცებაში მოიყვანა მან რუსი ადამიანები, შეაძრწუნა დამპყრობლები. სხვადასხვა ქალაქებიდან ნიჟნი-ნოვგოროდისაკენ დაიწყეს დენა მოლაშქრეებმა. ნიჟნი-ნოვგოროდელებს შეუერთდა სმოლენსკელ აზნაურთა ორიათასიანი რაზმი, მოვიდნენ მოლაშქრენი ვიაზმიდან, დოროგობუჟიდან, რიაზანიდან, კოლომნადან და ა. შ. პოლონელებს ამ ამბავმა თავზარი დასცა. ძათ გადაწყვიტეს ლაშქრის ჩასაშლელად გამოეყენებინათ პატრიარქ გერმოგენის ავტორიტეტი, დაპატიმრებულ პატრიარქს იარაღქვეშ უბრძანეს დაეწერა მოწოდება რუსი ხალხისადმი, რომ ნიჟნი-ნოვგოროდის ლაშქრობის მიზანია ახალი სისხლისღვრა ქვეყანაში და მას მბარი არ დაუჭიროთო. მაგრამ პატრიარქი არ შეუშინდა პოლონელთა მუქარას პირიქით, მან დალოცა ლაშქრობის ორგანიზატორები, დასწყევლა ისინი, ვინც ამ დიად სახალხო საქმეს უღალატებდნენ. პოლონელებმა პატრიარქი ჩაკეტეს და შიმშილით მოჰკლეს.

ნიჟნი-ნოვგოროდში დაწყებული სახალხო მოძრაობა პოლონელებზე არა ნაკლებ აშინებდა იმ რუს ბოიარებს, რომლებიც ვლადისლავსა და სიგიზმუნდს ემსახურებოდნენ. მათ სიგელები გაგზა-

ვნეს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და სახალხო ლაშქრის წინააღმდეგ მოუწოდეს ხალხს, მაგრამ მოღალატეთა მოწოდებას არავინ არ გამოეხმაურა. ახალ-ახალი რაზმები მიდიოდნენ ნიჟნი ნოვგოროდში. სახალხო აღტყინება უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებდა.

სახალხო ლაშქრის წინააღმდეგ აღსდგა პოლონეთის აგენტი ატამანი ზარუცკი. მან გადაწყვიტა მოსკოვის ჩრდილო ქალაქები დაეპყრო და ლაშქრისათვის მოსკოვისაკენ მიმავალი გზა გადაეკეტა. ზარუცკიმ კაზაკები გაგზავნა იაროსლავლის დასაპყრობად. იაროსლავლელებმა სასწრაფოდ აფრინეს კაცი ნიჟნი-ნოვგოროდში. დიმიტრიმ იაროსლაველის დასაცავად გაგზავნა ლოპატინ-პოჟარსკი, რომელიც კაზაკებზე ადრე მივიდა ქალაქში და გააფრთხილა იგი. კაზაკებმა ვეღარ გაბედეს ქალაქში შესვლა და უკანვე გაბრუნდნენ. ამის შემდეგ იაროსლაველისაკენ დაიძრნენ სახალხო ლაშქრის ძირითადი ძალები. გაიარეს მათ ბალახნა, იურიევეცი, კინეშმა, კოსტრომა. კოსტრომიდან გაგზავნილმა რაზმმა დაიკავა სუზდალი, ორმელიც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო და იფარავდა მოსკოვ-ნიჟნი-ნოვგოროდის გზას.

მემატიანე აგვიწერს, რომ მინინისა და პოჟარსკის სახალხო ლაშქრის მსვლელობა ვოლგის გზაზე ნამდვილ ტრიუმფს წარმოადგენდა. ლაშქარს ყველგან ზეიმით ეგებებოდნენ. მის ბელადებს ძვირფას საჩუქრებს სთავაზობდნენ. ყველა ქალაქში, სადაც კი ლაშქარი მივიდოდა, უკვე ბზად იყო რაზმი მათთან შესაერთებლად.

1611 წლის 1 აპრილს ლაშქარი იაროსლავლში ჩავიდა და იქ დაბანაკდა. ისტორიკოსი პლატონოვი შენიშნავს, რომ ამით დამთავრდა ნიჟნი-ნოვგოროდელი ვოევოდების მოღვაწეობის პირველი საფეხური. ნიჟნში ისინი ადგილობრივი ხელისუფალნი იყვნენ, იაროსლავლში კი მათ საერთო რუსული ხელისუფლება ელოდათო. ნიჟნი-ნოვგოროდის „საერობო საბჭო“ იაროსლავლში უნდა გადაქცეულიყო მთელი ქვეყნის საბჭოდ და შევსებულიყო ახალი ელემენტებით. ნიჟნი-ნოვგოროდის ხელისუფლება იაროსლავლში მთელი რუსეთის ქვეყნის ახალ მთავრობად იქცაო.

რუსეთის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარი ცდილობდა დაემცირებინა დიმიტრი პოჟარსკის როლი სახალხო ლაშქრის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საქმეში. ისინი პოჟარსკის, სხვათა შორის, ბრალს სდებდნენ იმაშიც, რომ მან თითქოს იაროსლაველ-

ში 4 თვე უჭმად გაატარა, უინიციატივობა და სიმხდალე გამოიჩინა. ცხადია, ეს ბრალდებანი ყალბ მოსაზრებებზეა დამყარებული. იაროსლავლში ლაშქრის ხანგრძლივი დროით შეჩერებას თავისი მიზეზები ჰქონდა და იგი საერთო ვითარებით იყო ნაკარნახევი, სავსებით უპასუხებდა პოჟარსკის საერთო სტრატეგიულ გეგმას, რომელიც, როგორც ცნობილია, წარმატებით დაგვირგვინდა. პოჟარსკის მიმართ მკვლევართა ბრალდებების უსაბუთობაზე რომ ლაპარაკობს, ისტორიკოსი პლატონოვი სამართლიანად მიუთითებს ორ ძირითად მიზეზზე, რამაც ლაშქრის მოსკოვისკენ მოძრაობა შეანელა: „პირველ ყოვლისა,— აღნიშნავს პლატონოვი,— ლაშქარს უნდა დაემთავრებინა მუშაობა არა მარტო საკუთარი თავის მოსაწყობად, არამედ გაეერთიანებინა სახელმწიფოს ის ნაწილები, რომლებიც ნიჟნი-ნოვგოროდის ლაშქარს შეუერთდნენ მეორეც — მას უნდა განესაზღვრა თავისი დამოკიდებულება იმ ძალებისა და ავტორიტეტებისადმი, რომლებიც ძალაუფლებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ. თუ პოლონელები მთავარი და ჭეშველი მტრები იყვნენ, თუ კაზაკობა მისი მნიშვნელოვანი შემადგენლობით ლაშქრობისადმი ისევე მტრული აღმოჩნდა, როგორც პოლონელები, სამაგიეროდ მოსკოვის უბანში ჯერ კიდევ მოიპოვებოდნენ სხვა ცვალებადი და მერყეევი ელემენტები, რომელთა ლაშქრის მხარეზე გადმობირება შეიძლებოდა. რჩებოდა კიდევ დიდი ნოვგოროდი, სადაც შვედებმა მოაწყვეს ნოვგოროდის განსაკუთრებული სახელმწიფოს მსგავსი რამ და ამ ძალაუფლების მთელ რუსეთზე გავრცელებას ფიქრობდნენ. რა ფორმას მიიღებდა იაროსლავლის ხელისუფლების დამოკიდებულება ნოვგოროდის ხელისუფლებასთან, ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებდა“.

იაროსლავლში ლაშქრის ხელმძღვანელობა გართულდა. ამ დიდ პატრიოტულ საქმეს შეუერთდნენ რუსეთის მთელი რიგი ქალაქები და რაიონები. საჭირო იყო ამ ქალაქებსა და რაიონებში გამეფებული ანარქიის ლიკვიდაცია, მტკიცე წესრიგის დამყარება. საჭირო იყო სხვადასხვა წოდებების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა. ლაშქარი ახლა არა მარტო რაბათელ მოსახლეობას, არამედ რუსეთის ყველა ფენებს აერთიანებდა და თითოეულ მათგანს საკუთარი პრეტენზიები გააჩნდა. წამოიჭრა აგრეთვე გადაუდებელი საგარეო საკითხები, რომელთა მოსაგვარებლად ავტორიტეტული ხელისუფლება იყო საჭირო.

დიმიტრი პოჟარსკი და კუზმა მინინი შეუდგნენ ახალი საერობო ხელისუფლების ორგანიზაციის სამზადისს. 1612 წლის 7 აპრილს პოჟარსკიმ რუსეთის ქალაქებს მიმართა მოწოდებით, გამოეგზავნათ იაროსლავლში ყველა წოდების პირთაგან ორ-ორი წარმომადგენელი, რომელთაც თან უნდა ჰქონოდათ წერილობითი განაწესი. მართლაც, მალე იაროსლავლში თავი მოიყარეს ხალხის არჩეულმა დეპუტატებმა. ამ წარმომადგენლობამ შეადგინა საერობო კრება, რომელსაც რუსეთის ახალი ხელისუფლების ფუნქცია დაეკისრა. იგი წყვეტდა როგორც საშინაო, ისე საგარეო საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ რაბათელმა მოსახლეობამ, რომელსაც დიმიტრი პოჟარსკის სახით ძლიერი და ავტორიტეტიანი ხელმძღვანელი ჰყავდა, იაროსლავლის ხელისუფლებაში შექმნა თავისი ძლიერი ბირთვი და ამით შეზღუდა პრეტენზიები ბოიარებისა, რომელთაც ხელისუფლების სავსებით დაპატრონება სურდათ. იაროსლავლის ხელისუფლების პოლიტიკური გავლენა სწრაფად გაიზარდა. ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციის მიზნით ქალაქებში დაგზავნილ იქნენ საგანგებოდ შერჩეული ვოევოდები, რომელთაც ლაშქართან ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდათ და მას სახსრებითა და ადამიანთა რეზერვებით ამარაგებდნენ.

იაროსლავლიდან მინინი და პოჟარსკი ახალ-ახალ მოწოდებებს გზავნიდნენ. ეს მოწოდებანი ნათლად განსაზღვრავდა იმ დიდ პასუხისმგებლობას, რაც სახალხო ლაშქარს ეკისრებოდა შთამომავლობის წინაშე. მაგალითად, ერთ-ერთ მოწოდებაში ვკითხულობთ: „თუ თქვენ იმ ქურდს (ზარუცკის) და მარინას (მნიშეკს) და მის შვილს (რომელიც ზარუცკის ტახტის მემკვიდრედ ჰყავდა გათვალისწინებული) არ ჩამოსცილდებით და ჩვენ მთელი მიწა-წყლით არ შეერთდებით, მაშინ ჩვენი მტრები—პოლონელები და ლიტველები სამეფო ქალაქ მოსკოვს და მოსკოვის სახელმწიფოს სხვა ქალაქებს საბოლოოდ გაანადგურებენ, თქვენცა და ჩვენც საბოლოოდ დაგვღუპავენ, ჩვენს ქვეყანას აღგვიან პირისაგან მიწისა; ღმერთი მოგკითხავთ თქვენ იმისათვის, რომ ჩვენ არ შემოგვიერთდით. ყველა მეზობელი სახელმწიფო თქვენ სამშობლოსა და რწმენის გამცემლებს შეგარქმევთ“.

ამ მოწოდებებს უდიდესი ზეგავლენითი ძალა ჰქონდა. სახალხო ლაშქარს შეუერთდნენ: ვოლოგდა, გალიჩი, ტვერი, კაშირი და სხვ. ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი გა-

მოთქვეს არარუსმა ხალხებმაც, რომლებიც მოსკოვის სახელმწიფოში შედიოდნენ. იაროსლავლში მეომრები მოიყვანა ციმბირის მმართველმა არასლანმა. კაზაკთა 17 ატამანი ლაშქრის მხარეზე გადავიდა.

მინინსა და პოჟარსკის საჭიროდ მიაჩნდათ მოსკოვზე ლაშქრობის დაწყებამდე შვედებთან ურთიერთობის მოგვარება. თუ პოლონელთა წინააღმდეგ შეტევის პერიოდში შვედეთი ომს დაიწყებდა, მაშინ შეიძლებოდა ყველაფერი დაღუპულიყო. დიდ პატრიოტებს ნოვგოროდი, ცხადია, რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდათ. „საჭიროა,—ეუბნებოდა პოჟარსკი ნოვგოროდელ ელჩებს,—რომ ნოვგოროდი ძველებურად მოსკოვის სახელმწიფოსთან ერთად იყოს“. ნოვგოროდელი მოსახლეობისადმი წერილში პოჟარსკი, ამხელდა რა შვედეთის ზრახვებს, აღნიშნავდა: „ჩვენ უკვე საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით თუ რამდენად უიმედოა უცხო ქვეყნის ხელმწიფეთადმი დანდობა“. ნოვგოროდელები მხურვალედ გამოეხმაურნენ მინინისა და პოჟარსკის მოწოდებას. „ჩვენ მოსკოვის სახელმწიფოსთან ერთად ვართ“,—ამბობდნენ ნოვგოროდელი ელჩები. მინინმა და პოჟარსკიმ დიდი დიპლომატიური უნარი გამოიჩინეს და შესძლეს საკმაოდ დიდი ხნით გადაედოთ საკითხი რუსეთის მეფედ შვედეთის კანდიდატურის ცნობის შესახებ და ამით შეეკავებინათ შვედი ინტერვენტების შეტევა მოსკოვზე.

იაროსლავლში სახალხო ლაშქრის ძალების ზრდა შიშსა და გაბოროტებას იწვევდა პოლონელთა შორის. ისინი თავისი აგენტების საშუალებით ცდილობდნენ შეეტანათ დეზორგანიზაცია ლაშქარში, აეფეთქებინათ იგი შიგნიდან ისევე, როგორც პირველი ლაშქარი. პოლონელთა საიმედო ძალას ამ დროს ატამანი ზარუცკი წარმოადგენდა. მაგრამ ზარუცკი ახლა ვეღარ ბედავდა ლაშქრის წინააღმდეგ აშკარა მოქმედებას და მზაკვრულ ხერხებს მიმართავდა. მან, მაგალითად, იაროსლავლში სპეციალური დავალებით გაგზავნა ორი მოსყიდული კაზაკი—ობრესკა და სტეფანე, მათ პოჟარსკი უნდა მოეკლათ. მოღალატემ სცადა დანა დაერტყა პოჟარსკისათვის იმ მომენტში, როცა იგი ზარბაზნების დასათვალიერებლად მიდიოდა, მაგრამ ვერ მოახერხა და დასჭრა პოჟარსკის მსახური რომანი. განრისხებულმა ხალხმა ჯაშუში შეიპყრო და მას სათანადოდ გაუსწორდა, თუმცა პოჟარსკიმ სულგრძელობა გამოიჩინა და ხალხს სთხოვა ეპატიებინათ დანაშაული მკვლელისათვის.

პოჟარსკი მშვენივრად ხედავდა, რომ ლაშქრის ძალა პირველ ყოვლისა, ხალხის მზარდ პატრიოტიზმში მდგომარეობდა. რუსები აღსდგნენ თავიანთი ქვეყნის დასაცავად. ამ ერთსულოვან ძალაში მას არ სურდა შეერია უცხოური, გამხრწნელი ელემენტები. როდესაც უცხოელებმა პოჟარსკის სამსახური შესთავაზეს და დაქირავებული ლაშქრის მოყვანას შეჰპირდნენ, პოჟარსკიმ მტკიცე უარი განაცხადა. მან იცოდა, თუ რა ანგარიშებით იყო შეპყრობილი დაქირავებული ლაშქარი, რამდენი ჯაშუში იმალებოდა მოლაშქრის ტანისამოსში: ჩვენ დაქირავებული ხალხი არ გვინდა, ჩვენ თვით გავუსწორდებით პოლონელებსა და ლიტველებს, თვით მოსკოვის სახელმწიფოთი, ყოველგვარ დაქირავებულთა გარეშეო,—ეუბნებოდა იგი უცხოელებს.

მოსკოვში ჩაკეტილი ინტერვენტები გრძნობდნენ აღსასრულის მოახლოებას. ისინი პოლონეთს ატყობინებდნენ, რომ რუსი ხალხი აღსდგა და მოსალოდნელია არა მარტო მოსკოვის დაკარგვა, არამედ არმიის საესებით მოსპობა. ისინი მოითხოვდნენ მაშველ ძალას, რომელიც სახალხო ლაშქარს გაუმკლავდებოდა. მოითხოვდნენ სურსათს, რადგან სახალხო ომის გაჩაღების პირობებში ადგილობრივ მომარაგება შეუძლებელი ხდებოდა.

სიგიზმუნდის განკარგულებით პოლონეთში დაიწყო ახალი საინტერვენციო არმიის შედგენა და სურსათის შეგროვება. აგვისტოს პირველ რიცხვებში ახალი არმია ჰეტმან ხოდკევიჩის მეთაურობით დაიძრა მოსკოვში ჩაკეტილი ინტერვენტების დასახმარებლად.

მზვერავებმა პოჟარსკის მოახსენეს, რომ მოსკოვისაკენ მოემართება პოლონელთა დიდი ძალები. პოჟარსკიმ განკარგულება მისცა დმიტრევისა და ლევაშევის რაზმებს, სასწრაფოდ წასულიყვნენ მოსკოვზე და ჩაეკეტათ პეტროვსკის ჭიშკარი. მისივე ბრძანებით ლოპატ პოჟარსკისა და სამსონოვის რაზმები ტვერის ჭიშკრის ჩასაკეტად გაემართნენ. ამ ოპერაციით პოჟარსკის სურდა არ დაეშვა მოსკოვში ჩაკეტილ პოლონურ გარნიზონთან ხოდკევიჩის არმიის შეერთება. სახალხო ლაშქრის ერთი რაზმი გაგზავნილ იქნა ბელოზერში. მის ამოცანას შეადგენდა, შეეკავებინა შეედი ინტერვენტები, თუ კი ისინი დაიწყებდნენ მოსკოვის წინააღმდეგ მოქმედებას. ჩანს, რომ პოჟარსკისათვის ცნობილი იყო ბოროტი ზრახვები ინგლისელი აგრესორებისა, რომლებიც, სარგებლობდნენ

რა რუსეთში შექმნილი ვითარებით, ამზადებდნენ ინტერვენციას ჩრდილოეთის მხრიდან. ამიტომ ერთი რაზმი პოჟარსკიმ გაგზავნა არხანგელსკში, საიდანაც მოსალოდნელი იყო ინგლისელთა გამოჩენა. რომ ეს სიფრთხილე ზედმეტი არ ყოფილა, ჩანს შემდეგი ფაქტიდან: ინგლისის მეფის იაკობ I რწმუნებულები ჯონ მერიკი და ვილიამს როსელი ჩრდილოეთ საზღვარს მოადგნენ საინტერვენციო ძალებით, მაგრამ დააგვიანდათ. მოსკოვი უკვე გათავისუფლებული იყო. ინგლისელმა კოლონიზატორებმა ამის შემდეგ სწრაფად შესცვალეს გეგმა და მოსკოვისაკენ გამოეშურნენ როგორც ელჩები.

მინინი და პოჟარსკი ამ პირველ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ ძირითადი ძალებით 28 ივლისს მოსკოვისაკენ დაიძრნენ. სახალხო ლაშქრის დედაქალაქთან მოახლოებამ დააფრთხო ზარუცკი, რომელიც მარინა მნიშეკთან და მის შვილთან ერთად კაზაკობის მცირე რაზმით კოლომნას გაიქცა. კაზაკობის დიდი ნაწილი კი ჩამოსცილდა ზარუცკის და შეუერთდა ტრუბეცკოის ლაშქარს.

სახალხო ლაშქარი მოსკოვისაკენ გაემართა როსტოვ-სერგის სამების მონასტრის (ზაგორსკის) გზით. სერგის სამების მონასტერთან მინინმა და პოჟარსკიმ ლაშქარი შეასვენეს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩამორჩენილი რაზმებისთვის დაეცადათ, მეორეც იმიტომ, რომ კაზაკობის ჯანსაღ ნაწილთან მოლაპარაკება გაემართათ.

პოჟარსკიმ უფრო დაწვრილებით შეისწავლა კაზაკობისა და მისი ატამანის ტრუბეცკოის სულისკვეთება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ტრუბეცკოი სანდო არ იყო. კაზაკობა კი ყოყმანობდა, სახალხო ლაშქარს უნდობლად უყურებდა. ზარუცკისა და მის ხროვას უკვე მოესწრო კაზაკობის შეგნების მოწამვლა სახალხო ლაშქრისადმი მტრობის სულიაკვეთებით. საკმაო დრო იყო საჭირო იმისათვის, რომ კაზაკობა ამ მავნე შეხედულებებისაგან გათავისუფლებულიყო. დრო კი არ ითმენდა. ხოდკევიჩი თავისი არმიით მოსკოვს უახლოვდებოდა. მინინმა და პოჟარსკიმ გადაწყვიტეს ემოქმედათ ტრუბეცკოისაგან დამოუკიდებლად. აგვისტოს შუა რიცხვებში ლაშქარი მოსკოვის მიმართულებით გაემართა. 20 აგვისტოს ღამე ლაშქარმა მდ. იაუზის სანაპიროზე გაათია, ხოლო 21 აგვისტოს დაკავებულ იქნა პოზიციები არბატსკის ჭიშკართან, რომ ამით ჩაეტილიყო სმოლენსკიდან მოსკოვში მიმავალი გზა.

ამავე დღეს ხოდკევიჩი თავისი არმიით პაკლონნაია გორასთან განლაგდა. ორი დიდი არმია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მოლოდინში დაუპირისპირდა ერთმანეთს.

ინტერვენტების ძალები (ხოდკევიჩის არმია და მოსკოვის პოლონური გარნიზონი) რიცხობრივად ჭარბობდა სახალხო ლაშქარს. მართალია, სახალხო ლაშქრის რაოდენობა ზუსტად აღრიცხული არ არის, მაგრამ თანამედროვე წყაროები, რუსული და უცხოური, პოლონელთა ძალების უპირატესობაზე მიუთითებენ. ხოდკევიჩს თავის განკარგულებაში ჰყავდა კარგად გაწვრთნილი ცხენოსნები, გერმანელ და უნგრელ დაქირავებულ მეომართაგან შედგენილი ქვეითი პოლკები. სჯობნიდა პოლონელთა შეიარაღებაც. არმია ევროპულ ყაიდაზე იყო გაწყობილი. მისი სარდალი ხოდკევიჩი ბრძოლაში არა ერთგზის ნაცადი და უკვე სახელმოხვეჭილი მხედართმთავარი იყო. შვედეთის მეფის კარლოს IX არმიაზე სახელოვანი გამარჯვების შემდეგ ხოდკევიჩს ევროპაში ერთ-ერთ უნიჭიერეს სარდლად თვლიდნენ.

მინინი და პოჟარსკი ხედავდნენ, რომ მათ პირისპირ მოისახნე ძალა იდგა, მაგრამ გამარჯვებაში ეჭვი არ შეჰპარვიათ. მათ სჯეროდათ, რომ სახალხო ლაშქარს ინტერვენტთა არმიასთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა, რომელსაც ბრძოლის ბედი უნდა გადაეწყვიტა: ეს იყო ლაშქრის მორალური სიმტკიცე— კეთილშობილური მიზანი. მოსკოვის კედლებთან რუსი ადამიანები მოვიდნენ არა საძარცვავად, არა გასამდიდრებლად, არამედ საკუთარი ქვეყნის, საკუთარი სინდისის, საკუთარი ცოლებისა და ბავშვების სიცოცხლის დასაცავად. ეს კეთილშობილური მიზანი რუს მხედრებს საგმირო საქმეებისათვის შთააგონებდა, ხოლო მის სახელოვან სარდლებს წარმატების უეჭველ რწმენას უნერგავდა.

მინინმა და პოჟარსკიმ ლაშქარი განალაგეს თავდაცვისათვის მოხერხებულ, მაგრამ საერთოდ მეტად საროსკო პოზიციაზე. ბტერი, რომელსაც მოსკოვის გულში გაჰრა ჰქონდა გათვალისწინებული, ლაშქრის პოზიციებს პირდაპირ უნდა დასჯახებოდა. თუ ხოდკევიჩი გაარღვევდა ამ ცოცხალ კედელს და თავისიანებს შეუერთდებოდა, ყველაფერი დაკარგულად ჩაითვლებოდა. თუ რუსები გაუძლებდნენ პოლონელთა იერიშებს და ხოდკევიჩს დაამარცხებდნენ, მოსკოვის პოლონური გარნიზონის შემდგომი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

ბრძოლა დაიწყო მოწინააღმდეგეთა ცხენოსანი ჯგუფების ცალკეული შეტაკებებით, მაგრამ მალე იგი მძაფრ საერთო შეჯახებაში გადაიზარდა. ხოდკევიჩმა ამასთანავე ასპარეზზე გამოუშვა გერმანელებისა და უნგრელებისაგან შემდგარი ქვეითი რაზმები. საუკეთესოდ გაწვრთნილმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, რომელიც რიცხობრივადაც ჭარბობდა რუსებისას, მოახერხა პოჟარსკის ფრონტის შევიწროება. პოლონელებს დიდი დახმარება გაუწია აგრეთვე მოსკოვში დაბანაკებული პოლონური გარნიზონის მოულოდნელმა გამოხდომამ სტრუსის მეთაურობით. რუსები ორ ფრონტს შუა აღმოჩნდნენ და მიუხედავად იმისა, რომ მამაცურად იცავდნენ თავს, მაინც იძულებული გახდნენ პოზიციის ნაწილი დაეტოვებინათ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მარცხენა ფრთა, რომელიც მოსწყდა ძირითად ნაწილს და მდინარე მოსკოვის ნაპირზე აღმოჩნდა მომწყვდეული. ალყაშემორტყმული რუსი მოლაშქრეები თავს არ ზოგავდნენ. მოგვითხრობენ კუზმა მინინის ხათესავის ფოტი სრემკინის სასწაულებრივ გმირობაზე. ეს გოლიათი დაუღალავად ჩეხდა პოლონელებს, შიში და ძრწოლა შეჰქონდა მათ რიგებში. დახოცა რა რამდენიმე ათეული ინტერვენტი, ბოლოს თავადაც გმირულად დაეცა თავისი ბიძის — კუზმა მინინის თვალწინ.

ბრძოლა თანდათან დაძაბულ ხასიათს იღებდა. ტრუბეცკოი, რომელსაც ხელუხლებელი, დასვენებული ლაშქარი ჰყავდა, მშვიდად დაჰყურებდა ბრძოლის ველს. იგი ამჩნევდა რუსების მდგომარეობის გაძნელებას, მაგრამ დახმარებისაგან თავს იკავებდა. აშკარა, პატივმოყვარე, ანგარებით აღსავსე რუს ბოიარინს, რომელსაც მასების პატრიოტიზმი შეიძლება უფრო აშინებდა, ვიდრე პოლონელებისათვის სამსახური, იქნებ უხაროდა კიდეც პოჟარსკის მარცხი. მაგრამ სხვაგვარ ხასიათზე დადგნენ კაზაკები. თავისიანებისადმი დახმარების გრძნობამ გაიღვიძა მათში. ტრუბეცკოის მოსთხოვეს პოლონელების წინააღმდეგ ბრძოლაში გასძღოლოდა. ტრუბეცკოი დასჯით დაემუქრა. მაშინ კაზაკთა ჯგუფები ატამანების: ფილატე მეჭაკოვის, მაკარი კოზლოვის, ათანასე კოლომნას და დრუჟინა რომანოვის მეთაურობით ჩაებნენ ბრძოლაში. გადალახეს მდინარე და თავს დააცხრენ პოლონელებს. დამხმარე ძალების მოსვლით გამხნევებული მოლაშქრეებიც მეტი გააფთრებით ეკვეთნენ მტერს. მოგერიებულ იქნა სტრუსის რაზმები;

უკან დაიხიეს ხოდკევიჩის მეომრებმაც. მარცხენა ხაზი გასაპირიდან გამოვიდა, პოჟარსკიმ ბრძოლაში ახალი ძალები ჩააბა. პოლონელებმა პირი იბრუნეს. ბრძოლის ველზე მრავალი მოკლული და დაჭრილი დასტოვეს.

22 აგვისტოს რვასაათიან დაძაბულ ბრძოლაში ხოდკევიჩმა არათუ რაიმე წარმატებას მიაღწია, არამედ, პირიქით, დამარცხება იგემა. იგი იძულებული შეიქნა ისევ პოკლონნაია გორასკენ დაეხია; მაგრამ ღამით ხოდკევიჩმა მოახერხა ტრუბეცკოის ბანაკის მხრიდან 600 მეომრისა და პროდუქტითა და საომარი მასალით დატვირთული რამდენიმე აღალის გაპარება. ინტერვენტებს გზა უჩვენა რუსი ხალხის მოღალატე ბოიარინმა გრიგოლ ორლოვმა.

23 აგვისტოს ღამის ოპერაციამ ხოდკევიჩი დაარწმუნა, რომ მისთვის ყველაზე ხელსაყრელია ტრუბეცკოის ბანაკზე შეტევა და ამ მხრიდან გაჰრა კრემლისკენ. ცხადია, მას აცნობეს ტრუბეცკოის მოღალატური საქციელის შესახებ და იმედოვნებდა, რომ მომავალ ბრძოლებში ტრუბეცკოი უკვე აშკარად დადგებოდა მის მხარეზე.

23 აგვისტოს ხოდკევიჩმა დაიკავა დონის მონასტრის რაიონი და შეუდგა გადამწყვეტი იერიშისათვის სამზადისს. ამავე დღეს მოსკოვში ჩაკეტილმა პოლონელებმა კიტაიგოროდიდან დაიწყეს მოქმედება. მათ მოახერხეს წმ. გიორგის რაიონში სახალხო ლაშქრის მიერ აგებულ ხელოვნურ სიმაგრეთა დაკავება.

პოჟარსკის მხედველობიდან არ გამოჰპარვია ხოდკევიჩის განზრახვა და თვით გადავიდა მდინარე მოსკოვის მეორე ნაპირზე, რომ ტრუბეცკოის ბანაკი პოლონელთა იერიშებისაგან დაეცვა.

24 აგვისტოს ბრძოლა ადრე დილით დაიწყო. ხოდკევიჩმა პირველად იერიშები დაიწყო ტრუბეცკოის ბანაკის წინააღმდეგ და კაზაკები აიძულა უკან დაეხიათ. ხოდკევიჩის მოწინავე ნაწილებმა მოახერხეს პიატნიცკის ქუჩის ნაწილის დაკავება. ამან მდგომარეობა მეტისმეტად გაართულა. პოლონელებს კრემლისკენ გაჰრის საშუალება ეძლეოდათ; მაგრამ კაზაკებმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს და კონტრიერიშზე გადავიდნენ. აქტიურ მონაწილეობას პოლონელთა წინააღმდეგ ბრძოლაში თვით მოსკოვის მოსახლეობა იღებდა. ბავშვებს, ქალებს,—მოგვითხრობს მემატიანე,—მოჰქონდათ ბზე და ფიჩხი, ცეცხლს აჩაღებდნენ და პოლონელებს გზას უღობავდნენ. კაზაკებმა კონტრიერიში წარმატებით ჩაატარეს. მტერს

წაართვეს დაკავებული პოზიციები. 24 აგვისტოს ოპერაციაში კაზაკთა ამ გმირულ თაოსნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით თავიდან იქნა აცილებული ხოდკევიჩისა და სტრუსის ძალების გაერთიანების საშიშროება. მაგრამ ტრუბეცკოიმ ისევ სიმხდალე გამოიჩინა და კაზაკთა მიერ უნარიანად დაწყებული კონტრიერიში არ განავითარა.

როგორი იყო მდგომარეობა პოჟარსკის ფრონტზე? ხოდკევიჩმა პოჟარსკის წინააღმდეგ დასძრა ძირითადი შემადგენლობა. ლივონიის ქვეითი რაზმები და პოლონური კავალერია ერთდროულად ეკვეთნენ ნიჟნი-ნოვგოროდელ მოლაშქრეებს. შეუპოვარი და სისხლისმღვრელი ბრძოლა 5 საათის განმავლობაში გრძელდებოდა. პოლონელებმა მოახერხეს რუსთა ლაშქრის მომწყვდევა მდინარის ნაპირზე. პოჟარსკი იძულებული შეიქნა ლაშქრისათვის მდინარის გადალახვის ნებართვა მიეცა. გათამამებულმა მტერმა გადალახა მდინარე და მის მარცხენა ნაპირზე გამაგრდა.

ამრიგად, ბრძოლის პირველ ეტაპზე ხოდკევიჩმა ერთგვარ ტაქტიკურ წარმატებას მიაღწია. იგი შეიჭრა ზამოსკვარეჩიეში. გრაევსკის უნგრული ქვეითი რაზმები და ზბოროვსკელი კაზაკები სერპუხოვის ჰიშკარს მიადგნენ; მაგრამ ხოდკევიჩის ეს დროებითი წარმატება სრულებითაც არ წყვეტდა ბრძოლის ბედს. საქმე ისაა, რომ სამი დღის ბრძოლაში ხოდკევიჩის არმიამ დიდი ზარალი განიცადა. არმია დადნა, რეზერვები გამოილია და კრემლისკენ გაჭრა მაინც ვერ მოხერხდა. კრემლში დაბანაკებული პოლონური გარნიზონი კი მაგრად იყო ჩაკეტილი. სამი დღის ბრძოლაში, მართალია, რუსმა მოლაშქრეებმაც დიდი ზარალი ნახეს, მაგრამ მთელი რიგი ნაწილები სავსებით ხელუხლებელი იყვნენ. რუსების შეუპოვრობა, მორალური სიმტკიცე ამ ბრძოლებს სრულებითაც არ შეურყევია. პირიქით, რაც დრო გადიოდა, იზრდებოდა მათი სიმამაცე და საბრძოლო აღტყინება. პოლონელთა ბანაკში კი უკვე რყევა დაიწყო. იოლ გამარჯვებას დაჩვეული რაინდები შეკრთნენ, მეორე-მესამე დღეს ისინი სრულებითაც არ მიიწევდნენ ბრძოლაში ისეთი შეუპოვრობით, როგორც, მაგალითად, პირველ დღეს.

მინინმა და პოჟარსკიმ, ასწონეს რა შექმნილი ვითარება და შეაფასეს რა სახალხო ლაშქრისა და მტრის მატერიალური და მორალური ძალების თანაფარდობა, ის დასკვნა გააკეთეს, რომ საჭიროა მტრისათვის ინიციატივის ხელიდან გამოგლეჯა და კონტრ-

შეტევაზე გადასვლა. ამ გეგმის წარმატებით დაგვირგვინებაში უდიდესი როლი ითამაშა კუზმა მინინის პირადმა ინიციატივამ და მამაცობამ. მემატიანე („ნოვი ლეტოპისეც“) გადმოგვცემს: „დღე მიიწურა... კუზმა მინინი პოჟარსკისთან მივიდა და მას მოლაშქრეები მოსთხოვა. თავადმა დიმიტრიმ უპასუხა: „წაიყვანე ვინც გსურს“. მან წაიყვანა როტმისტრი ხმელევსკი და აზნაურთა სამი ასეული, გადავიდა მდინარე მოსკოვზე და კრიმსკი დვორის პირდაპირ განლაგდა. აქ იყო ლიტველთა ქვეითი და ცხენოსანი ასეული. კუზმამ შეტევა დაიწყო პირდაპირ მათ წინააღმდეგ. მათ არც კი დაუცადეს რუსების მოახლოებას, მოჰკურცხლეს ხოდკევიჩის ბანაკისაკენ და შიში და პანიკა შეიტანეს იქ ასეულებში“. პოჟარსკიმ სათანადო შეფასება მისცა მინინის ამ მამაცურ ოპერაციას. მან იგრძნო, რომ მორალურად თავზარდაცემულ მტერზე მასობრივი კონტრშეტევის მომენტი მომწიფდა. რუსთა ასეულები სწრაფად გაემართნენ პოლონელთა ძირითადი ძალებისაკენ. ამოქმედდნენ კაზაკებიც. ლაშქარმა მთელი ფრონტით დაიწყო დაწოლა პოლონელებზე, რომელთა შორის შიში და პანიკა კიდევ უფრო გაიზარდა. ხოდკევიჩმა უკანდახევა იწყო. მალე ბრძოლაში ჩაერივნენ ცხენოსნები, რომელთაც ხოდკევიჩის განადგურება ბოლომდე მიიყვანეს: ხოდკევიჩმა დაჰკარგა 500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მთელი არტილერია, სურსათისა და საომარი მასალით დატვირთული 400-ზე მეტი აღალი. იგი იძულებული შეიქნა მცირედი ნარჩენი რაზმებით მოჟაისკისაკენ გაქცეულიყო.

ამ გადამწყვეტი ოპერაციის შემდეგ ხოდკევიჩს 12 ათასი მეომრიდან 400-მდე ბრძოლისუნარიანი ცხენოსანი და რამდენიმე ასეული ქვეითი შერჩა. მან ძლივს მოახერხა მოსკოვში ჩაკეტილი პოლონური გარნიზონისათვის ეცნობებია, რომ ბრძოლა წაგებულია, იგი პოლონეთს მიემგზავრება ახალი ძალების შესაკრებად და სამი კვირის შემდეგ ისევ მოსკოვის კედლებთან იქნება. 28 აგვისტოს ხოდკევიჩი მოჟაისკიდან გავიდა.

ორი დიდი არმიის ამ სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებაში სახალხო ლაშქრის გამარჯვება არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ცნობილია, რომ ხოდკევიჩის მხარეზე იყო მატერიალური და რიცხობრივი უპირატესობა. პოლონელები ამავე დროს ევროპულ ტაქტიკაზე გაწვრთნილნი და ბრძოლაში ნაცადი მეომრები იყვნენ და სარდალიც ნიჭიერი ჰყავდათ. მართლაც, ხოდკევიჩმა ეს ბრძოლა

დიდი ოსტატობით ჩაატარა. იგი გეგმაზომიერად აწარმოებდა შეტევას და უნარიანად ეძებდა რა რუსთა განლაგების სუსტ ადგილს, სწორედ იქეთკენ უმიზნებდა. მაგრამ ხოდკევიჩის მრავალგზისი უნარიანი ცდა ბოლოს მაინც მარცხით დამთავრდა.

სახალხო ლაშქრის სახელოვანი გამარჯვების მთავარი მიზეზი უთუოდ მისი შინაკანი ბუნებიდან მომდინარეობდა: ლაშქარი ერთი სულისკვეთებით გამსჭვალული პატრიოტი რუსი ადამიანებისაგან შედგებოდა. ამ გადაჭყვეტ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მათ სამართლიანი საქმე აღაფრთოვანებდათ. რუსი მოლაშქრეები ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ პანი პოლონელი დამპყრობლები მათ ქვეყანას—დედა რუსეთს და მის სასიცოცხლო ცენტრს—დედა მოსკოვს დამონებას უქადდნენ, რომ ამ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ქვეყნის ბედ-იღბალი. მაღალ პატრიოტულ გრძნობებთან შესისხლხორცებული ბუნებრივი თვისებები რუსი მეომრისა—მამაცობა და შეუპოვრობა, ცხადია, ლაშქრის მხარეზე დიდ მორალურ უპირატესობას ჰქმნიდა პოლონელ ინტერვენტებთან შედარებით. ხოდკევიჩის არმიას, რომლის ჭრელი მასა (დაქირავებული უნგრელები, გერმანელები და სხვ.) სხვის ქვეყანაში მხოლოდ საშოვარზე მიდიოდა, ცხადია, არ გააჩნდა არავითარი მაღალი მიზანი. იგი გაძარცვავდა თუ მტკიცე წინააღმდეგობას არ შეხვდებოდა, იგი გაიქცეოდა, თუ დამხვდური შეუპოვრობას გამოიჩენდა.

რუსეთის არმიის გამარჯვებაში უდიდესი როლი ითამაშა აგრეთვე მინინისა და პოჟარსკის ბრწყინვალე მხედართმთავრულმა ნიჭმა. სახალხო ლაშქრის ორთავე ხელმძღვანელმა ამ მეტად საპასუხისმგებლო და მძიმე ბრძოლაში გამოავლინეს მბედართმთავრისათვის აუცილებელი თვისებები: მოწინააღმდეგისა და საკუთარი ძალების სწორი შეფასების, საბრძოლო პოზიციის მოხერხებულად შერჩევის, ბრძოლის გეგმაზომიერი წარმართვისა და ერთხელ დასახული სტრატეგიული გეგმის ბოლომდე მიყვანის უნარი. მათი პირადი მამაცობა საუკეთესოდ იყო შეხამებული სიფრთხილესთან, მათ შესძლეს დროულად გამოეყენებიათ მტრის ბანაკში მომხდარი გარდატეხა. გამოჰგლიჯეს რა მტერს ინიციატივა, შემდგომში სულისმოთქმის საშუალება აღარ მისცეს. მათ მოხერხებულად ჩაჰკეტეს მოსკოვის ჰიშკრები და კრემლში დაბანაკებულ პოლონურ გარნიზონს მოუსპეს მეორე ფრონტის გაშლის შესაძლებლობა. მათ

შესძლეს ატამან ტრუბეცკოის პასიობის წინააღმდეგ რიგითი კაზაკობის ამოქმედება და ბრძოლაში ჩაბმა.

მოსკოვთან სახალხო ლაშქრის გამარჯვებას პოლონეთის ინტერვენციის საბოლოო ლიკვიდაციის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მოსკოვთან ინტერვენტების ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ პოლონეთში ახალი არმიის შექმნასა და აღჭურვას სწრაფად ვეღარ შესძლებდნენ. ხოლო გარედან დახმარების გარეშე მოსკოვში ჩაკეტილი პოლონური გარნიზონის ბედი გადაწყვეტილად ითვლებოდა. მას იარაღი უნდა დაეყარა. XVII საუკ. პოლონელი ისტორიკოსი კობერჟიცკი მიუთითებდა: „პოლონელებმა ისეთი მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს, რომ მისი ანაზღაურება აღარაფრით აღარ შეიძლებოდა. „ფორტუნას ეტლი“ მობრუნდა და მოსკოვის სახელმწიფოს სრული დაპყრობის იმედი საბოლოოდ დაიმსხვრა“.

სახალხო ლაშქრის წინაშე მდგარ მორიგ ამოცანას შეადგენდა მოსკოვის განთავისუფლება პოლონელი ინტერვენტებისაგან. პოლონელები ჯერ კიდევ არ კარგავდნენ გარედან დახმარების იმედს. კრემლი და კიტაიგოროდი ჩაკეტილი ჰქონდათ და შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდნენ.

მინინი და პოჟარსკი შეუდგნენ ქალაქის ბლოკადის მომზადებას, მაგრამ ამ საკითხის წარმატებით მოგვარება შეუძლებელი იყო ტრუბეცკოის ბანაკთან შეთანხმების გარეშე. ინტერვენტთა აგენტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ კაზაკები სახალხო ლაშქრის წინააღმდეგ აემხედრებინათ. ტრუბეცკოის ქედმაღლურად ეპირა თავი და მინინისა და პოჟარსკის დამორჩილებას მოითხოვდა. მოსალოდნელი იყო განხეთქილება; მინინმა და პოჟარსკიმ მოლაპარაკება გააჩაღეს ტრუბეცკოისთან და ბოლოს და ბოლოს დაითანხმეს იგი, გაეერთიანებინათ მმართველობის ადმინისტრაციული ორგანოები (პრიკაზები).

ახალი, გაერთიანებული მთავრობის საქმაოდ მრავალრიცხოვანი აპარატი ნეგლინაიაზე მოთავსდა, რომელიც პოჟარსკისა და ტრუბეცკოის საბრძოლო შტაბებიდან თითქმის თანასწორი მანძილით იყო დაშორებული. აქ იკრიბებოდნენ ვოევოდები ბჭობისა და ოფიციალური საქმეების გადაწყვეტისათვის. ახალ სიგელში პოჟარსკი და ტრუბეცკოი იუწყებოდნენ, რომ ლაშქრის ძალები გა-

ერთიანდნენ, განმტკიცდნენ და ახალი მთავრობა ხელთ იღებს ქვეყნის მმართველობასო.

სახალხო ლაშქარი შემოერტყა დედაქალაქს.

პოჟარსკიმ გარემოცულ პოლონურ გარნიზონს წინადადება მისცა, ინტერვენტებს დანებებოდა. იგი ლმობიერ მოპყრობას ჰპირდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, გარემოცულთ ჯერ კიდევ იმედი ჰქონდათ გარედან დახმარებისა და დანებებაზე მტკიცე უარს ამბობდნენ. კიტაი გოროდისა და კრემლის კარების გახსნის წინააღმდეგ განსაკუთრებით ილაშქრებდნენ რუსი გამცემი ბოიარები, რომელთაც სახალხო შურისგების ეშინოდათ. პანი სტრუსი თავის თავხედურ პასუხში კვლავ იმედს გამოთქვამდა, რომ სამეფო გვირგვინს თავზე ვლადისლავს დაადგამდა და ამის შემდეგ სასტიკად დასჯიდა გათავხედებულ რუსებს.

ხოდკევიჩის დამარცხებამ გააფთრა პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ III. მან გადაწყვიტა ახალი საინტერვენციო ლაშქრის შეკრება, მაგრამ პოლონელ პანებს, რომელთაც მოსკოვის კედლებთან 22—24 აგვისტოს ბრძოლებში იწვნიეს რუსეთის ძალა, აღარ სურდათ თავის სასწორზე დადება. ხოდკევიჩის დაპირება ვეღარ განხორციელდა. გარემოცულთა მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა. გამოილია სურსათის უკანასკნელი მარაგი. დაიწყო შიმშილობა, რამაც იმდენად მძვინვარე ხასიათი მიიღო, რომ კაციჭამიობამდეც კი მიაღწია. ერთ-ერთი პოლონელი, რომელიც ამ საშინელი სურათის მოწამე იყო, შემდეგს მოგვითხრობს: „ძნელია იმის აღწერა, რაც მაშინ ხდებოდა. გარემოცულებმა შეჭამეს ცხენები, ძაღლები, კატები, თაგვები. ისინი ფეხსაცმლის, ჯაპანის, მოსართავის, ქარქაშის ტყავებს ხარშავდნენ და ძიძგნიდნენ, წიგნებს პერგამენტის ყდებს აცლიდნენ და ჭამდნენ, მაგრამ მალე ესეც გამოილია... ამის შემდეგ მათ ადამიანებს დაუწყეს ჭამა... ისინი საფლავებიდან იღებდნენ გახრწნილ გვამებს, ასეთი საჭმლისა და შიმშილისაგან იზრდებოდა სიკვდილიანობა. მალე ცოცხალი ადამიანების დაკვლასა და ჭამაზე გადავიდნენ.“

დახმარება კი არსაიდან ჩანდა. ამავე დროს რუსები გარემოცვის რკალს ავიწროებდნენ. 22 ოქტომბერს ინტერვენტებისაგან განთავისუფლებულ იქნა კიტაიგოროდი. ალყაშემორტყმულთა მდგომარეობა ამის შემდეგ უფრო გაუარესდა. პოლონელი ჯარისკაცები მოითხოვდნენ იარაღის დაყრას, მაგრამ პოლონელი პანები

და მოღალატე რუსი ბოიარები, რომელთაც დახმარების იმედი ჯერ კიდევ არ დაეკარგათ, ისევ ჯიუტობდნენ.

მაგრამ, როდესაც ყოველგვარი იმედი ამოიწურა, ინტერვენტებმა დანებება გადაწყვიტეს. 26 ოქტომბერს პანმა სტრუსმა პოჟარსკის განუცხადა, რომ გბარდებით და შეწყალებას ვითხოვთო. 27 ოქტომბერს რუსეთის ჯარი შევიდა კრემლში. აქ რუსი ადამიანების თვალწინ გადაიშალა საშინელი სურათი. მკვდრებით იყო მოფენილი ყველა ქუჩა. ცოცხლად გადარჩენილები ძლივს დალასლასებდნენ და მოწყალების თვალებით უყურებდნენ რუს ჯარისკაცებს. კრემლი დანგრეული და გაძარცული იყო, შურისძიებით აღსავსე კაზაკებსა და მოლაშქრეებს ძლივს აკავებდნენ მინინი და პოჟარსკი. კაზაკები მოითხოვდნენ მოღალატე რუსი ბოიარების კოცონზე დაწვას, მაგრამ ლაშქრის ხელმძღვანელობის ენერგიულმა მოქმედებით თვითგასამართლება და ანგარიშგასწორება თავიდან იქნა აცილებული. მოსკოვი გაწმინდეს ინტერვენტებისაგან. მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდნენ ლტოლვილები. დაიწყო ნორმალური ცხოვრება.

პოლონეთისა და ლიტვის პანების მიერ მოწყობილი ინტერვენციისაგან განთავისუფლების აღსანიშნავად 1 ნოემბერს მოსკოვში დიდი ზეიმი ჩატარდა. მოსკოვი თავის განთავისუფლებას უმადლოდა მთელ რუსეთს, მის პატრიოტ შვილებს, მის ნაციონალურ გმირებს—მინინსა და პოჟარსკის. მოსკოვი იხსნა რუსეთმა. ნიჟნი-ნოვგოროდში დაწკებულმა თაოსნობამ ფრთები შეისხა რუსეთის ყველა მხარის ხელდაჭერითა და აქტიური მონაწილეობით. ეს იყო სამამულო, სახალხო, განმათავისუფლებელი რუსი ხალხისა. ამ სამართლიან ომში დაიმსხვრა დაშპყრობთა ბოროტი ზრახვები. რუსეთმა შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა, მან დაიცვა თავისი მიწა-წყალი.

* * *

მოსკოვის ინტერვენტებისაგან განთავისუფლებამ ჩაშალა რუსეთის აგრესიული მეზობლების მომავალი გეგმები. სიგიზმუნდ III კვლავ სცადა ვლადისლავის აღდგენა მოსკოვის ტახტზე და რამდენჯერმე ახალი თავდასხმაც განახორციელა, მაგრამ ყველა ეს ცდა განწირული აღმოჩნდა. სიგიზმუნდმა ვერ შესძლო მოსკოვის სახელმწიფოს ვერც ერთი ქალაქის აღება და უშედეგოდ გაბრუნდა უკან.

ჩაიშალა შვედი ინტერვენტების გეგმებიც. პოლონელთა პარპაშისაგან განთავისუფლებული მოსკოვის სახელმწიფო მალე შვედ დამპყრობლებსაც მიუბრუნდა და იწყო ჩრდილოეთის ოლქებიდან მისი გაძევება. შვედეთის ახალი მეფე გუსტავ ადოლფი პრეტენზიას ისევ აცხადებდა მოსკოვის სამეფო ტახტზე. ნოვგოროდში შვედი ფეოდალები პარპაშობდნენ. ადოლფის ძმა კარლ ფილიპე თავის თავს ნოვგოროდის მფლობელად და მოსკოვის ტახტის კანდიდატად თელიდა. მაგრამ ნოვგოროდის მოსახლეობა, აღფრთოვანებული სახალხო ლაშქრის საგმირო საქმეებით, იწყებს შეუპოვარ ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ. აჯანყებულმა ნოვგოროდელებმა არ იცნეს შვედეთის ხელისუფლება, მათ ელჩები გაგზავნეს მოსკოვში, მოითხოვეს დახმარება.

დაიწყო რუსეთ-შვედეთის ომი. გუსტავ ადოლფმა სცადა პსკოვის ხელში ჩაგდება, მაგრამ ვერ შესძლო. ხანგრძლივი ბრძოლა 1617 წელს სტოლბოვოს ზავით დამთავრდა. რუსეთმა დაიბრუნა ნოვგოროდის ოლქი. შვედეთი ჯერჯერობით ინარჩუნებდა უპირატეს მდგომარეობას ბალტიის ზღვაზე, მაგრამ ეს იყო დროებითი მოვლენა. 100 წლის შემდეგ პეტრე პირველის ალამი ფრიალებდა ბალტიის ზღვის სანაპიროებზე. რუსეთმა მოიპოვა ზღვაზე გასასვლელი, დაიბრუნა თავისი ტერიტორია და აღკვეთა შვედი დამპყრობლების მადა.

რუსეთის ცალკეულ ოლქებში ჯერ ისევ პარპაშობდნენ პოლონელი პანებისა და მათი დაქირავებული აგენტების ბანდები, მაგრამ მათი ლიკვიდაცია მალე მოხერხდა. ზარუცკი და მარინა მნიშეკი ასტრახანში დათარეშობდნენ და მოლაპარაკებას ეწეოდნენ ირანთან და თურქეთთან რუსეთის წინააღმდეგ ახალი ინტერვენციის მოწყობის შესახებ; მაგრამ ეს განზრახვა მათ ვერ განახორციელეს. ავანტურისტები შეიპყრეს თვით კაზაკებმა. გაწყვეტილ იქნა პან ლისოვსკის მოთარეშე რაზმებიც.

მოსკოვის სახელმწიფო ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, სახალხო ლაშქრის მონაწილეები წავიდ-წამოვიდნენ. სახალხო ლაშქრის მთავრობამ ამოსწურა თავისი ფუნქცია. საჭირო იყო სახელმწიფოს მმართველობის შექმნა. გაბატონებულ კლასებს თავიანთი ინტერესების დამცველი მთავრობა ესაჭიროებოდათ. მაშასადამე, მათ კვლავ უნდა აღედგინათ ფეოდალური მონარქია თავისი ძველი ფორმებით. ამ ამოცანის განხორციელება კი სახალხო

კრებას უნდა ეკისრა, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა გაბატონებული კლასების ყველა ფენის ინტერესები. 1612 წლის ნოემბერში სახალხო ლაშქრის მთავრობამ სიგელები დაგზავნა მთელ რუსეთში და ქალაქებს თავიანთი დეპუტატები მოსთხოვა.

1613 წელს შეიკრიბა საერობო ყრილობა. დიდი ბჭობის შემდეგ სამეფო ტახტზე ბოიართა მიერ არჩეულ იქნა ბოიარი მიხეილ თეოდორეს ძე რომანოვი.

პოლონეთი და შვედეთი არ ცნობდნენ მოსკოვის ტახტზე მიხეილ რომანოვს. პოლონეთი ისევ ვლადისლავის კანდიდატურას აყენებდა, შვედეთი—კარლ ფილიპესას, მაგრამ რეალური შესაძლებლობანი თავიანთი დამპყრობელური გეგმების განხორციელებისათვის არც ერთ მათგანს არ გააჩნდა. სამამულო სახალხო, განმათავისუფლებელმა ომმა მტრებს დაანახვა რუსი ხალხის ამოუწურავი შესაძლებლობანი, დაანახვა, რომ რუსეთს გააჩნდა საკმაო ძალა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად.

* * *

როგორ დააფასა რომანოვის თვითმპყრობელურმა მთავრობამ რუსი ხალხის ნაციონალური გმირების—კუზმა მინინისა და დიმიტრი პოჟარსკის დამსახურება სამშობლოს წინაშე? რა როლს თამაშობდნენ ისინი მომდევნო წლებში?

მიხეილ რომანოვმა თავის გარშემო შემოიკრიბა სამეფო დინასტიის ნათესავები. ბევრი მათგანი გამცემლურ როლს თამაშობდა პოლონეთისა და შვედეთის ინტერვენციის პერიოდში, მაგრამ ყოველივე დავიწყებულ იქნა. სამეფო ოჯახის ნათესავებს აწინაურებდნენ, აჯილდოებდნენ დამსახურების გარეშე.

თვითმპყრობელობას ხალხის თვალში არ შეეძლო სახალხო ომის ორგანიზატორების—მინინისა და პოჟარსკის დამსახურების სავსებით დავიწყება. ამას რუსი ხალხი არ აპატიებდა. 1613 წლის 12 ივლისს კუზმა მინინს აზნაურობა ებოძა, მასვე მიეცა რამდენიმე სოფელი ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში.

ეს იყო და ეს. სამამულო ომის დიდი ორგანიზატორის კარიერა ამით ამოიწურა. 1614 წელს მას დაევალა მოსკოვის ვაჭართა და სოვდაგართა შორის „პიატი დენგის“ შეგროვება. 1615 წელს მისი სახელი გვხვდება მოსკოვის ბოიართა კოლეგიაში. ამავე წლის დეკემბერში სათათბიროს აზნაური (думный дворянин)

მინინი სხვა თანამდებობის პირებთან ერთად ხელს აწერს იმ სიგელს, რომელიც პოლონეთს გაეგზავნა საზავო ხელშეკრულების საკითხზე თათბირის მოწვევის შესახებ. მალე იგი თავად რომადანოვსკის მიერ გაგზავნილ იქნა ყაზანში. 1616 წელს ეს დიდი ადამიანი გარდაიცვალა.

დიდად შეიზღუდა დიმიტრი პოჟარსკის როლი ახალი მეფის არჩევის შემდეგ. მიხეილ რომანოვს არ უყვარდა პოჟარსკი, რომლის წინაპრები მტრულად იყვნენ განწყობილი რომანოვებისადმი. გადმოგვცემენ, რომ თვით დიმიტრიმ საერობო კრებაზე გაილაშქრა მიხეილის კანდიდატურის წინააღმდეგ.—თუ ტახტზე არჩეული იქნება მიხეილ რომანოვი, წესრიგი რუსეთში დიდხანს ვერ გაგრძელდებაო,—ამბობდა იგი. როგორც ჩანს, პოჟარსკი კარგად იცნობდა ახალგაზრდა მეფის პირად თვისებებს და შიშობდა, რომ უნებისყოფო, ავადმყოფი, შეზღუდული გონების პატრონი მეფის მმართველობის პირობებში ტახტს დაეპატრონებოდნენ მსხვილი ბოიარები, რომელთაც სამშობლოს ღალატი, როცა საქმე მათ პირად ინტერესებს ეხებოდა, როდი მიაჩნდათ სამარცხვინო საქმედ.

მაგრამ პოჟარსკის დიდი პოპულარობის გამო მეფეს არ შეეძლო მისთვის აშკარად ანგარიშგასწორება. სამაგიეროდ, პოჟარსკის ყველა დამსახურება დავიწყებულ იქნა. იგი სასახლეს ჩამოაცილეს და წვრილ სამხედრო და ადმინისტრაციული დავალებებით დატვირთეს.

შეურაცხყოფილი იყო დიმიტრი პოჟარსკი, მაგრამ იგი ამის გამო არასოდეს არ მისულა სამეფო ხელისუფლების ღალატამდე. კეთილსინდისიერად ასრულებდა ყველა დავალებას და დამშვიდებული იყო იმით, რომ რუს ხალხში თავისი საგმირო საქმეებით დაიდგა სამუდამო ძეგლი, რომელსაც რომანოვთა ხელისუფლება ვერავითარ შემთხვევაში ვერ წაშლიდა.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის სახელმწიფოს ახალი განსაცდელის დღეებში რომანოვის მთავრობა იძულებული ხდებოდა ისევ პოჟარსკისათვის მიემართა. პან ლისოვსკის თარეშის აღსაკვეთად 1615 წელს გაგზავნილ იქნა პოჟარსკი და მან ლისოვსკის ბანდები გაანადგურა. 1617 წელს, როცა მოსკოვის სახელმწიფოში პოლონელი ინტერვენტები შემოიჭრნენ ვლადისლავის მეთაურობით და როცა ბევრმა ბოიარმა ისევ ღალატი ჩაიდინა, ხალხმა პოჟარსკის მიანდო თავისი ბედი.

პოჟარსკი ასრულებდა ადმინისტრაციულ დავალებებსაც. იგი ხან პრიკაზის უფროსი იყო, ხან ვოევოდა. მიუხედავად ხშირი ავადმყოფობისა, მთელი ენერგიით ებმებოდა ქვეყნის სამხედრო და ადმინისტრაციული განმტკიცების საქმეში.

1642 წელს პოჟარსკი გარდაიცვალა.

* * *

რუსეთის თავადაზნაურულმა და ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ შექმნა მითი იმის შესახებ, თითქოს 1612 წლის მრისხანე დღეებში რუსი ხალხი და მისი საუკეთესო შვილები კუზმა მინინი და დიმიტრი პოჟარსკი აღსდგნენ მეფის დასაცავად, თითქოს არეულობის ძირითადი მიზეზი იყო რიურიკთა დინასტიის შეწყვეტა. ხოლო არეულობის ლიკვიდაცია ახალი დინასტიის დამსახურებას შეადგენსო. კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ივანე სუსანინის საგმირო საქმეებში თავადაზნაური ისტორიკოსები ხედავდნენ მეფის ხელისუფლებისათვის თავდადებას.

რა თქმა უნდა, დიდი რუსი მხედართმთავრებისა და ნაციონალური გმირების ასეთი შეფასება ტენდენციური და ყალბი იყო. თვითმპყრობელობის მეხოტბე ისტორიკოსების ეს კონცეპცია მათი კლასობრივი ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

კუზმა მინინი და დიმიტრი პოჟარსკი იყვნენ არა მეფის, არამედ რუსი ხალხის ინტერესთა საუკეთესო დამცველები. ისინი სათავეში ჩაუდგნენ რუსი ხალხის გმირულ ბრძოლას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ისინი იყვნენ XVII საუკ. პირველ ნახევარში რუსი ხალხის სამამულო ომის, სახალხო ომის დიდი ორგანიზატორები.

დიდი რუსი მხედართმთავრების მინინისა და პოჟარსკის როლის ნამდვილი შეფასება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, რომელიც კანონიერი მემკვიდრეა ყოველივე იმისა, რაც რუს ხალხსა და რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს შეუქმნიათ თავიანთ ისტორიულ განვითარებაში. მინინისა და პოჟარსკის სახელს პატივისცემით წარმოთქვამენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში. მრისხანე განსაცდელის წლებში კუზმა მინინისა და დიმიტრი პოჟარსკის მამაცური სახე საბჭოთა ხალხს ახალ-ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებდა.



ალექსანდრე სუვოროვი

1730–1800

ალექსანდრე ვასილის ძე სუვოროვის შესახებ არსებობს რუსული ხალხური თქმულება: გოლიათი სუვოროვი არ მომკვდარა. მას მხოლოდ სძინავს ხშირი და დაბურული ტყის შუაგულში, სადაც ვერც ადამიანის, ვერც ნადირის ფეხი ვერ მისწვდება. მარადიულია მისი მშვიდი ძილი და ვიდრე რუსთა ქვეყანაში არ დადგება სისხლის ღვარი ისე, რომ მისი დონე ბედაურ ცხენს კოპებამდე წვდებოდეს, გოლიათი არ გაიღვიძებს. ხოლო თუ ეს მოხდება, სუვოროვი ისევ გაახელს თვალებს, მერანზე შეიმართება და თავის დევგმირებთან ერთად სამშობლოს განსაცდელისაგან დაიხსნის.

ამ თქმულებაში ჩაქსოვილია ხალხის ღრმა რწმენა სწორუპოვარი მხედართმთავრისა და მეომრის—სუვოროვის უკვდავებისა და უძლეველობისადმი. რუს ხალხს ღრმა საფუძველი ჰქონდა ასეთი წარმოდგენა ჰქონოდა იმ ადამიანზე, რომელმაც მთელი სიცოცხლე ომებსა და ლაშქრობებში გაატარა და არასოდეს მარცხი არ განუცდია, რომელმაც მთელს მსოფლიოში ასახელა რუსეთის იარაღი, გამოავლინა რუსი ჯარისკაცის დიდი შესაძლებლობანი, აჩვენა მხედართმთავრული ოსტატობისა და პირადი მამაცობის სასწაულები.

ალექსანდრე ვასილის ძე სუვოროვი ყველაზე გამოჩენილი მხედართმთავარი იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიოში. იგი იყო სწორუპოვარი სტრატეგი და ტაქტიკოსი, სამხედრო ხელოვნების ნოვატორი, ჯარისკაცთა და ოფიცერთა საუკეთესო აღმზრდელი. მისი ცხოვრება სახელოვან გამარჯვებათა, დიდების მწვერვალთა დაპყრობის გზაა. ამ ჭეშმარიტად დიდ ადამიანში, რომლის საგმირო საქმენი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით იყო შთაგონებული, სრულყოფილად გამოვლინდა რუსი ხალხის დიადი თვისებანი.

* * *

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი რუსეთის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია. გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ პეტრე დიდმა სამეფო ტახტზე ასვლისთანავე გაბედულად დაიწყო რუსეთის საუკუნოებრივი ჩამორჩენილობის მსხვრევა. სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა დარგში გატარებულმა მისმა რეფორმებმა უზრუნველჰყო მემამულეებისა და აღმავალი ბურ-

ჟუაზიის კლასების ნაციონალური სახელმწიფოს განმტკიცება. ამ რეფორმებმა დიდი ბიძგი მისცეს ქვეყნის საწარმოო ძალებს და მოამზადეს ნიადაგი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის. პეტრე პირველმა აგრესიული შვედეთის წინააღმდეგ ოცდაერთწლიანი ომით სახელოვნად გადაპრა რუსეთის ნაციონალური სახელმწიფოს წინაშე ადრევე წამოჭრილი ისტორიული ამოცანა—მტკიცედ მოიკიდა ფეხი ბალტიის ზღვაზე.

პეტრეს ღონისძიებათა შედეგად რუსეთის იმპერია ბალტიის ზღვიდან წუნარ ოკეანემდე გადაიზიმა და ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. რუსეთის უშუალო მონაწილეობის გარეშე ამიერიდან მსოფლიოში ვერ გადაწყდებოდა ვერც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხი.

პეტრე იყო არა მარტო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, არამედ თავისი დროის უდიდესი მხედართმთავარი. მან შეიმუშავა რუსეთის სამხედრო ხელოვნების საფუძვლები. პეტრემ მისი ბავშვობის დროის გასართობი სემიონოვკისა და პრეობრაჟენსკის პოლკები გარდაქმნა გვარდიად და რუს ოფიცერთა სამხედრო წრთობის კერად გადააქცია. პეტრემ სიახლე შეიტანა არმიის ორგანიზაციაში. მან უარყო ფეოდალური ლაშქრისა და უცხოელთა დაქირავების სისტემა. არმიის დაკომპლექტება დაიწყო მოსახლეობის სამხედრო ვალდებულების ბაზაზე. ამ პროგრესულ ღონისძიებათა შედეგად, რაც ევროპაში ახალი მოვლენა იყო, პეტრემ შექმნა თავის დროზე უდიდესი და უძლიერესი რეგულარული არმია; პეტრემ საფუძველი ჩაუყარა მეომართა აღზრდის რუსულ სისტემას, რაც გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე ევროპაში მაშინ სახელმოხვეჭილი პრუსიული სისტემა. ცნობილია, რომ პრუსიის მეფის ფრიდრიხ მეორის მიერ შემუშავებული სამხედრო აღზრდის მეთოდები ჯარისკაცის მონურ მორჩილებას ეყრდნობოდა.—ჯარისკაცს უფრო მეტად უნდა ეშინოდეს თავისი კაპრალის ჯოხისა, ვიდრე მოწინააღმდეგისაო,—ამბობდა ფრიდრიხი. ჯარისკაცი პრუსიის არმიაში მხოლოდ მანქანა იყო. მას არავითარი კეთილშობილური მიზანი არ აღაფრთოვანებდა. იგი მექანიკურად ასრულებდა უფროსის ბრძანებას. ჯოხის დისციპლინა სასურველ შედეგს იძლეოდა სუსტ მოწინააღმდეგესთან შეხვედრის შემთხვევაში. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში კი, როგორც მაგალითად ეს მოხდა გროს ეგერსდორფთან, პალციგთან, კუნერსდორფ-

თან, 1757—1760 წ.წ. ფრიდრიხის ნაწრთობი პოლკები რუსეთის კორპუსებთან შეხვედრისას სასტიკ მარცხს განიცდიდნენ.

პეტრემ მეომართა აღზრდის სისტემას საფუძვლად დაუდო რუსი ჯარისკაცის მაღალი საბრძოლო თვისებები და შეგნებული დისციპლინა. პეტრეს ღრმად სწამდა, რომ „ჯარისკაცი, საერთოდ, შესანიშნავი სიტყვაა. ჯარისკაცი ეწოდება პირველ გენერალსაც და უკანასკნელ რიგითსაც“ და ყველას მოვალეობაა სამშობლოს დაცვა, მისთვის ერთგული სამსახური. პეტრეს მიერ შემუშავებული სამხედრო წესდება ოფიცრებს ავალებდა თითოეულ რიგით მეომრამდე დაეყვანათ ამა თუ იმ ბრძოლის ამოცანა. ჯარისკაცმა უნდა იცოდეს, რისთვის იბრძვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება იგი შეუპოვარი და მამაცი, მხოლოდ მაშინ გამოამჟღავნებს პირად ნიჭსა და უნარსო,— მიუთითებდა პეტრე და უფროსებს ავალებდა მამობრივად ეზრუნათ ხელქვეითთა ყოფა-ცხოვრების უკეთ მოწყობაზე. პეტრე სასტიკად სჯიდა უხეშ, უგულო ოფიცრებს, ახალისებდა მამაც, ინიციატივიან ჯარისკაცებს. მეომრებს იგი ყოველთვის პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა. პოლტავის სახელგანთქმული ბრძოლის წინ პეტრე თავისი არმიისადმი მოწოდებაში აღნიშნავდა: „მეომრებო, უკვე დადგა ჟამი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს სამშობლოს ბედი და თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ იბრძვით არა პეტრესთვის, არამედ სახელმწიფოსთვის, თქვენი მოდგმისათვის, მამულისათვის. ხოლო პეტრეს შესახებ გჯეროდეთ, რომ მას სიცოცხლე ძვირად არ უღირს, ოღონდ თქვენი კეთილდგომარეობისათვის დიდებითა და კეთილდღეობით ცოცხლობდეს რუსეთი“. „არმიის ორგანიზაციისა და აღზრდის პეტრესეული სისტემა,— მიუთითებს ისტორიკოსი ბაზილევიჩი,— გაცილებით პროგრესული და ქმედითი იყო, ვიდრე დაჭირავებული არჩიებისა და საპარადო წვრთნის ის გზა, რომელსაც იმ დროს ადგნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები და განსაკუთრებით პრუსია“.

ამ სისტემამ თავისი უპირატესობა გამოამჟღავნა რუსეთ-შვედეთის, რუსეთ-პრუსიის არმიების სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებებში. შვედეთის არმია, რომელსაც სათავეში ნიჭიერი მხედართმთავარი კარლოს XII ედგა, ევროპას შიშის ზარს სცემდა. პეტრემ კი შემუსრა იგი ლესნაიასთან და პოლტავასთან. ფრიდრიხ II, ისე როგორც კარლოს XII, დარწმუნებული იყო თავის უძლეველობაში და ევროპის სახელმწიფოების, მათ შორის რუსეთის

დამორჩილებას ცდილობდა. რუსეთის არმიამ შვიდწლიან ომში დაამსხვრია ფრიდრიხის ყველა გეგმა და თვით ფრიდრიხი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. ბართალია, პეტრე ამ დროს ცოცხალი აღარ იყო და რუსეთის იმპერიას შემთხვევითი ადამიანები—მედროვენი მართავდნენ, მაგრამ არმია მტკიცედ ინარჩუნებდა პეტრეს სახელოვან ტრადიციებს და არ უხვევდა იმ ნაციონალური გზიდან, რომელზედაც იგი მტკიცედ დააყენა პეტრე პირველმა.

ამრიგად, პეტრე პირველი რუსული ნაციონალური სამხედრო სკოლის შემქმნელი და მამამთავარი იყო. ამ სკოლამ შემდეგშიც შეინარჩუნა თავისი უპირატესობა ევროპულ სკოლაზე და მოგვცა გამოჩენილ მხედართმთავართა მთელი გალერეია. მისმა ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლებმა—სუვოროვმა და კუტუზოვმა პეტრესეული ტრადიციები განავითარეს, ახალ საფეხურზე აიყვანეს, რუსეთის იარაღი უპყრობი დიდებით შემოსეს.

სუვოროვი დიდად აფასებდა პეტრე პირველს. მას „პრომეთეს", „იშვიათ, სასწაულებრივ მომაკვდავს" უწოდებდა. სუვოროვი გაოცებული იყო პეტრეს მოღვაწეობის მრავალფეროვნებით, მისი მხედართმთავრული ტალანტის სიღრმითა და ყოველთვის ცდილობდა მისი სახელოვანი მემკვიდრე ყოფილიყო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პეტრე პირველის გარდაშქმნელ ღონისძიებათა გარეშე, რუსეთის არმიის ცხოვრებაში ეროვნული ტრადიციების ღრმად დანერგვის გარეშე, სუვოროვის ფრთები შეკვეცილი იქნებოდა. პეტრემ გაწმინდა ნიადაგი, რომელზედაც შემდეგ რუსეთის არმიის ახალი დიდებანი აღმოცენდნენ.

* * *

ალექსანდრე ვასილის ძე სუვოროვი დაიბადა 1730 წ. 13 ნოემბერს მოსკოვში. მისი მამა ვასილ ივანეს ძე სუვოროვი იყო პეტრე პირველის ნათლული. მან თავისი სიცოცხლე კეთილსინდისიერ შრომაში გაატარა და გენერალ-ანშეფის ჩინამდე და სენატორის წოდებამდე მიაღწია. სუვოროვის ოჯახში განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებოდა პეტრეს სახელი და ეს პატივისცემა სულსა და გულში ჰქონდა გამჯდარი ალექსანდრესაც.

სუვოროვი ბავშვობიდანვე დაეწაფა წიგნების კითხვას. მამის მდიდარ ბიბლიოთეკაში უხვად მოიპოვებოდა მისთვის სულიერი საზრდო. მშობლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მემკვიდრე, მაშინდელი

რვეულების წინააღმდეგ, სამოქალაქო მოხელედ გაეზარდათ. მათი ასეთი მოსაზრება გამოწვეული იყო პატარა ალექსანდრეს სუსტი აღნაგობით. მართლაც, გამხდარი, ტანმორჩილი ალექსანდრე ხშირად ავადმყოფობდა, ოდნავ ქარი დაჰკრავდა თუ არა, ლოგინად ვარდებოდა. ცხადია, ფიქრობდა მამა, მისგან ვერ დადგება ოფიცერი, რომლის მთელი ცხოვრება მკაცრ საველე სამსახურთან არის დაკავშირებული. მაგრამ ალექსანდრეს იდეალს ცწორედ სამხედრო სამსახური შეადგენდა. ეს მისწრაფება მას სამხედრო-ისტორიული ლიტერატურის გაცნობამ ჩაუნერგა. ყრმა სუვოროვს პირზე ეკერა ალექსანდრე მაკედონელის, იულიოს კეისრისა და სხვა გამოჩენილ მხედართმთავართა სახელები. იგი ცდილობდა მათთვის მიებაძა.

ალექსანდრე და მისი მამა ალბათ ვერ მორიგდებოდნენ პროფესიის არჩევაში, მაგრამ დავა ვასილის მეგობარმა ჰანიბალმა*) გადაწყვიტა. ერთხელ მან უთვალთვალა ყრმა ალექსანდრეს მეცადინეობას სახხედრო საქმეში, ბევრი რამ გამოჰკითხა სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან და, აღტაცებული დარჩა რა ბავშვის ცოდნითა და ნიჭით, ვასილს რჩევა მისცა. შვილი სამხედრო სამსახურში შეეყვანა. 1742 წლის ოქტომბერში სუვოროვი ჩარიცხულ იქნა ლეიბ-გვარდიის სემიონოვის პოლკის რიგით ჯარისკაცად. პეტრესდროინდელი წესების თანახმად, აზნაურები თავიანთ შვილებს სამხედრო სამსახურში დაბადების დღიდანვე წერდნენ. ახალშობილ „ჯარისკაცებს“ აკვანში მშვიდად ეძინათ, სამხედრო წოდება კი ეჭატებოდათ. ასე რომ, სუვოროვზე ასაკით უმცროსთ უკვე ოფიცრის წოდება ჰქონდათ, მაშინ, როცა ალექსანდრე, უკვე 12 წლისა. მხოლოდ რიგითად იწოდებოდა.

სემიონოვის პოლკში ჯარისკაცად ჩარიცხულ სუვოროვს 2 წლის შვებულება მიეცა, რომ სახლში „სავალდებულო მეცნიერებანი“ შეესწავლა. სიპარულით ფრთებშესხმული ალექსანდრე დაეწაფა სწავლას და სუსტი სხეულის გამოწრთობას შეუდგა. იგი ადრე დგებოდა, ვარჯიშობდა, დარსა თუ ავდარში აწყობდა შორეულ გასეირნებას, იკვებებოდა მსუბუქად, ზამთარში ცივი წყლით იზელდა სხეულს, შხაპუნა წვიმაში წელამდე შიშველი დადიოდა, იძინებდა თივაზე და ზევით თხელ წამოსასხამს იფარებდა, ხელოვნურად გაურბოდა ფუფუნებას და ამბობდა ხოლმე: „რაც მეტია კომფორტი, მით ნაკლებია სიმამაცე“. აღსანიშნავია, რომ ასეთ

*) ჰანიბალი—პეტრე I მიერ უცხოეთიდან ჩამოყვანილი აბისინიელი თავადი. ჭკუთვნოდა იმ ძახურეულ არისტოკრატიის წრეს, რომელიც პეტრეს კარზე დაწინაურდა. დედით ა. ს. პუშკინის წინაპარი.

სპირტანულ ცხოვრებას სუვოროვი მთელი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა. ფელდმარშლისა და გენერალისიმუსის ჩინით, 60—70 წლის მოხუცი სიამოვნებით იძინებდა თივაზე, ყინვასა და თოვლში, ღია ცის ქვეშ ათევდა ღამეებს.

ამგვარად, სუვოროვმა შეინარჩუნა ფიზიკური წრთობის მთელი სისტემა და ბუნებით სუსტი თავისი სხეული ისე გააკაჟა, რომ 70 წელი იცოცხლა და დაუცხრომელი საბანაკო ცხოვრების ყველა სიძნელენი ისე გადაიტანა, რომ ერთხელაც ლოგინად არ ჩავარდნილა.

5 წელი გაატარა სუვოროვმა სახლში, დამოუკიდებელ მეცადინეობაში (ბაბის თხოვნით მას დამატებით მისცეს 3 წელი შეებღლება). 1747 წელს კაპრალის წოდება მიიღო. 1748 წელს კი ნაძდვილი საბრძოლო სანსახური დაიწყო. სუვოროვი უაღრესი კეთილსინდისიერებით ასრულებდა ჯარისკაცის ყველა ვალდებულებას. იგი მომთხოვნი იყო თავისთავისა და ხელქვეითი რიგითი ჯარისკაცებისადმი. ერთხელ სუვოროვი გუშაგის პოსტზე იდგა და თავისი აკურატობით დედოფალ ელისაბედ პეტრეს ასულის ყურადღება მიიქცია. როცა ელისაბედმა გაიგო, რომ კაპრალი გუშაგი მისი მამის ნათლულის შვილია, ალექსანდრეს ოქროს ფული გაუწოდა, მაგრამ სუვოროვმა ეს საჩუქარი არ მიიღო და უარი იმით დაასაბუთა, რომ გუშაგს წესდების თანახმად ნება არ აქვს რაიმე აიღოსო.

1754 წელს სუვოროვი პორუჩიკი გახდა და დანიშნულ იქნა სამსახურში ინგერმანლანდის ქვეითთა პოლკში; სუვოროვმა შვებულება აიღო, დაბრუნდა მამის სახლში და ისევ ჩაუჯდა წიგნებს. იგი ეცნობოდა არტილერიის, საინჟინრო ხელოვნების საკითხებს, კითხულობდა ისტორიულ და მხატვრულ ლიტერატურას, სწავლობდა ფილოსოფიას. ამავე პერიოდში დაუკავშირდა სახმელეთო კადეტთა კორპუსს, სადაც ჩამოყალიბებული იყო რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოება. ახალგაზრდა ნიჭიერი ოფიცრები სისტემატურად იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ ფილოსოფიის, ლიტერატურის, თეატრის საკითხებზე, ერთიმეორეს აცნობდნენ საკუთარ ნაწარმოებებს. სუვოროვმაც სცადა თავისი კალმის ძალა. 1755 წელს დაწერა ორი ნაწარმოები: „საუბარი მიცვალებულთა სამეფოში ალექსანდრე მაკედონელსა და ჰეროსტრატეს შორის“ და „საუბარი კორტეცსა და მონტეზუმას შორის“.

ორიენ ეს თხზულება დაიბეჭდა 1756 წელს ჟურნალ „ენციკლოპედიაჩინიე სოჩინენიაში“, რომელსაც პოეტი სუმარკოვი რედაქტორობდა.

1757 წელს რუსეთი ჩაება შვიდწლიან ომში პრუსიის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ამ ომში პეტრეს ტრადიციებზე აღზრდილმა რუსეთის არმიამ სასტიკი მარცხი მიაყენა ევროპაში ნაქებ პრუსიის ე. წ. „უძლეველ“ არმიას. ყოყოჩა ფრიდრიხი კამპანიის დასაწყისში დაცინვით გაიძახოდა: რუსების არმია ველურების ურდოა, როგორ შეუძლიათ მათ ჩემთან ომიო. მაგრამ ცორნდორფთან ბრძოლაში რუსების სიმტკიცემ და მამაცობამ ფრიდრიხი სხვა ხასიათზე დააყენა და ათქმევინა: შეიძლება რუსები სათითაოდ გაწყვიტო, მაგრამ მათ ვერ დაამარცხებო.

რუსეთის სამხედრო ძალებს მოლალატე აპრაკსინის შემდეგ სათავეში ჩაუდგა სალტიკოვი, რომელიც დიდად ერთგული იყო პეტრესეული ტაქტიკისა .და ჩინებულადაც გამოიყენა იგი კუნერსდორფთან ბრძოლაში, რასაც შედეგად მოჰყვა ფრიდრიხის არმიის განადგურება. 1660 წლის 3—9 ოქტომბრის ბრძოლაში რუსეთის არმიამ კვლავ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და იერიშით აიღო ბერლინი.

სუვოროვი ომის დასაწყისშივე განაწესეს მოქმედ არმიაში, სადაც მას შეეძლო ეყნოსა „დენთის სუნი“, ე. ი. მიეღო საბრძოლო ნათლობა. კუნერსდორფთან ბრძოლამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი აღტაცებული იყო სალტიკოვის მხედართმთავრული ოსტატობით. მაგრამ არ მოსწონდა ის, რომ ბრძოლის შემდეგ სალტიკოვი არ დაედევნა დამარცხებულ მტერს და საბოლოოდ არ გაანადგურა.

— მთავარსარდლის ადგილას რომ ვყოფილიყავ, მე დაუყოვნებლივ შევუტევდი ბერლინს და ომიც დამთავრდებოდა,—თქვა მაშინ სუვოროვმა. ჩანს, ახალგაზრდა ოფიცერში ამ დროს უკვე ყალიბდებოდა რწმენა იმის შესახებ, რომ მტერს, როცა იგი დამარცხებული და დემორალიზებულია, არ უნდა მისცე შესვენების, სულისმოთქმის საშუალება, დაედევნო და მისი ცოცხალი ძალის ლიკვიდაციით დაასრულო მთელი კამპანია. „ბოლომდე გაუჩეხავი ტყე ისევ იზრდება,“—შენიშნავდა შემდეგ სუვოროვი. ეს დებულება საფუძვლად დაედო სუვოროვის გამარჯვების მეცნიერებას.

მოქმედ არმიაში სუვოროვი პირველად საინჯენდანტო სამსახურს ასრულებდა. ერთ ხანს იგი ქალაქ მემელის კომენდანტიც იყო,

მაგრამ მალე სურვილი აუსრულდა და უშუალოდ საბრძოლო ოპერაციებში ჩაება.

1761 წელს იგი ბერგის საკავალერიო კორპუსში ჩარიცხეს. აქედან დაიწყო მისი მუდამ მღელვარე და ფათერაკებით აღსავსე საბრძოლო ცხოვრება. სუვოროვი კაზაკთა საკავალერიო რაზმებით მოულოდნელად ესხმოდა თავს მტერს, იჭრებოდა მის განლაგებაში და სიმაბაცის ისეთ სასწაულებს ჩადიოდა, რომ ყველანი გაოცებული იყვნენ. მალე მამაც ოფიცერს ტვერის პოლკის მეთაურობა ჩააბარეს. ნოვგარტენთან ბრძოლაში ამ პოლკით მან გაანადგურა პრუსიელი დრაგუნები. რეგენსვალდთან სუვოროვი არ შეუშინდა რიცხობრივად ჭარბ მტერს, თავისი ესკადრონით გააფთრებული იერიში მიიტანა მასზე და რაღაც წუთების განმავლობაში პრუსიელთა ხუთი ესკადრონი გაანადგურა. სუვოროვის მიერ საკავალერიო კორპუსში ყოფნის დროს ჩატარებულმა ოპერაციებმა მას მთელს არმიაში მოუხვეჭეს მამაცი, მოხერხებული, არაჩვეულებრივი ხასიათის ოფიცრის სახელი. ბუტურლინი და ფერმორი, რუმიანცევი და სალტიკოვი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ეს ახალგაზრდა ოფიცერი განსაკუთრებული ნიჭითა და მამაცობითაა დაჯილდოებული და მომავალიც დიდი ეჭნებაო.

შვიდწლიან ომში რუსეთის მონაწილეობა ელისაბედ პეტრეს ასულის გარდაცვალების შემდეგ შეწყდა. ნახევრად სულელმა და ფრიდრიხ მეორისადმი მონური თაყვანისმცემლობით გამსჭვალულმა პეტრე III სასწრაფოდ შეჰკრა ზავი პრუსიასთან და ფრიდრიხს დაუბრუნა რუსეთის არმიის მიერ ბრძოლით მოპოვებული ტერიტორია. არცია მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა. სუვოროვს სუზდალის ქვეითი პოლკის მეთაურობა ჩააბარეს. მის ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო.

შვიდწლიან ომში მიღებული საბრძოლო ნათლობა სუვოროვისათვის მნიშვნელოვან სკოლას წარმოადგენდა. ფხიზელმა ოფიცერმა მიიღო მდიდარი გამოცდილება. შეისწავლა რუსეთის არმიის სუსტი და ძლიერი მხარეები.

სუვოროვმა ბრძოლის ველზე გამოსცადა რუსი ჯარისკაცები, რომელნიც არავითარ საშიშროებას არ ერიდებოდნენ და საგმირო საქმეებს ჩადიოდნენ. მასში განმტკიცდა რწმენა, რომ ჯარისკაცი ომის უმთავრესი ფაქტორია და თუ მის ბუნებრივ თვისებებს—სიმამაცეს, შეუპოვრობას, მოხერხებულობას მივუმატებთ დისციპლინას

და მხედრულ ოსტატობას, მაშინ იგი სასწაულებს მოახდენს. სუვოროვმა ნათლად დაინახა უსუსურობა აღზრდის იმ სისტემისა, რომელიც პრუსიულ თარგზე იყო გამოჭრილი და რასაც პეტრეს შემდეგ მედროვენი იძულებით ნერგავდნენ არმიაში. სუვოროვი დარწმუნდა, რომ აუცილებელია პრუსიული სისტემის, როგორც რუსი ჯარისკაცის ბუნებასთან ყოვლად შეუფერებელი სისტემის, უკუგდება, პეტრესეული სისტემის აღდგენა, შემდგომი განვითარება. ჯარისკაცი არ არის მანქანა, მას ზრუნვა ესაჭიროება. პრუსიული წვრთნა კი, რომელიც ერთსა და იგივეს იმეორებს, ზიზღს იწვევს ჯარისკაცში, აბეზრებს მას სამსახურს. ჯარისკაცს სწავლა უყვარს, ოღონდ იგი გონივრული იყოს. ასეთი აზრებით გამსჭვალული სუვოროვი დაუღალავი ენერგიით შეუდგა მუშაობას. მას დიდი დაბრკოლება უნდა გადაელახა. აღზრდის პრუსიული სისტემის დაწუნება ხომ სასახლის გაბატონებული წრეებისადმი ომის გამოცხადებას ნიშნავდა, მაგრამ სუვოროვი არ შეუშინდა ამას და დაიწყო პოლკის იმგვარად წვრთნა, რომ ჯარისკაცთა ბუნებრივი თვისებების გაფურჩქვნა-ჩამოყალიბებისათვის ყველა შესაძლებლობა მიეცა.

სუვოროვი მიუთითებდა, რომ ქვეყნის ცხოვრებაში ბრძოლიანი პერიოდი არმიამ თავისი წრთობისათვის უნდა გამოიყენოსო. „ემზადე ომისათვის მშვიდობის დროს, ხოლო მშვიდობისათვის—ომის დროს“,—წერდა იგი 1771 წელს. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, ერთ საათსაც კი უმიზნოდ არ კარგავდა და პირად შემადგენლობას ავარჯიშებდა სროლასა და შორეულ ლაშქრობაში, ციხე-სიმაგრეებზე იერიშსა და ხიშტით კვეთებაში, მდინარეების გადალახვასა და ღამის ოპერაციებში. მას უსაყვედურებდნენ კიდეც, ჯარისკაცებს მეტისმეტად ღლისო, მაგრამ სუვოროვი ამ საყვედურზე უპასუხებდა: „ძნელია სწავლისას—ადვილია ბრძოლისას“.

სუვოროვს სწამდა, რომ ჯარისკაცი მამაცია, მაგრამ მარტო სიმამაცით ბრძოლაში შორს ვერ წახვალ, რომ სიმამაცე შერწყმული უნდა იყოს ბრძოლის ოსტატობასთან. საბრძოლო წვრთნის შედეგად ჯარისკაცს უმუშავდება მხნეობა, თავის თავისადმი რწმენა; ეს კი მთავარია, რადგან გამარჯვებისადმი წინასწარი რწმენის გარეშე არც ერთი ბრძოლის მოგება არ შეიძლება. სუვოროვს სწამდა, რომ ჯარისკაცის სწავლება თვითმიზანი კი არ არის, არამედ ბრძო-

ლის მოგების საშუალებაა, ამიტომ იგი ყველა მეცადინეობას ნამდვილი საბრძოლო ვითარების მიხედვით ატარებდა.

სუვოროვი ამავე დროს შესანიშნავად იცნობდა ჯარისკაცის პუნებას. იგი მასში ხედავდა, პირველ ყოვლისა, ადამიანს, რომელსაც ადამიანური მოპყრობა ესაჭიროებოდა. ოფიცრებს იგი ავალდებულებდა ეზრუნათ ჯარისკაცთა ყოფა-ცხოვრების უკეთ მოწყობაზე. დასვენების საათებში შემოიკრებდა ჯარისკაცებს და გულღიად, მეგობრულად საუბრობდა სხვადასხვა საკითხებზე. მან პოლკის ოფიცერთა და ჯარისკაცთა შვილებისათვის დააარსა ორი სკოლა, სადაც თვითვე მასწავლებლობდა, აწყობდა თეატრს პირადი შემადგენლობისათვის.

აღზრდის ახალმა მეთოდებმა შესანიშნავი შედეგები გამოიღო. სუზდალის პოლკი სამაგალითოდ იყო გაწვრთნილი. 1765 წლის მანევრებზე ამ პოლკმა ყველაზე უკეთესი შედეგები უჩვენა.

1768—1772 წლებში სუვოროვი პოლონელი კონფედერატების წინააღმდეგ იბრძოდა. პოლონეთის კამპანიაში მან არა ერთი და ორი ბრწყინვალე ოპერაცია ჩაატარა და არმიაში უმამაცესი და უნიჭიერესი მხედართმთავრის სახელი მოიხვეჭა. მისი ბრიგადა სწორედ იქ გაჩნდებოდა, სადაც მტერი არ მოელოდა. მისი ჯარისკაცები ოთხი-ხუთი დღის სავალს ერთ დღე-ღამეში გადიოდნენ, რიცხობრივად ჭარბი მოწინააღმდეგე ყოველთვის მარცხდებოდა მისი ოსტატური, სწრაფი, გამანადგურებელი იერიშების შედეგად. სუვოროვმა ამავე დროს სახელი გაითქვა თავისი გულკეთილობით. მაშინდელი ჩვეულების წინააღმდეგ იგი ტყვე ჯარისკაცებს, ოფიცრებსა და ოკუპირებული რაიონის ნოსახლეობას არაჩვეულებრივი გულთბილობითა და თავაზიანობით ეპყრობოდა.

„პოლონეთში ყოფნის დროს ჩემ გულს არასოდეს არ გასჭირვებია სიკეთის ჩადენა,“—სიამაყით აღნიშნავდა იგი თავის ერთ-ერთ წერილში.

პოლონეთში ომი არ იტაცებდა სუვოროვს. ეს ომი მას საჭიროდ არ მიაჩნდა სამშობლოს დიდებისათვის. მთელი მისი გულისყური დუნაისკენ იყო მიპყრობილი, სადაც ამ დროს თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდა რუსეთის არმია. 1773 წელს სუვოროვს ნატვრა აუსრულდა. იგი გრაფ ი. სალტიკოვის დივიზიაში განაწესეს.

1768 წელს თურქეთის მმართველმა წრეებმა ინგლისის, ავსტრიისა და საფრანგეთის ხელისუფალთა წაქეზებით რუსეთს ომი გამოუცხადეს. ოტომანურ თურქეთს ამავე დროს ფართო საკუთარი აგრესიული ზრახვები ჰქონდა. ფლობდა რა ყირიმსა და შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებს, თურქეთი ცდილობდა, რუსეთის ხარჯზე ჩრდილოეთით ახალ-ახალი ტერიტორიები შეეძინა. იგი ხელს უპოტინებდა უკრაინას, პოლონეთის მიწა-წყალს. თურქეთის მხარდაჭერითა და წაქეზებით ყირიმელი თათრები სისტემატურად აწიოკებდნენ სამხრეთ რუსეთის რაიონებს. თურქეთს მიტაცებული ჰქონდა საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი. ამავე დროს იგი ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის დამონებასაც ამზადებდა.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ამ დროისათვის თურქეთის აგრესიული მადის შეკვეცა შეადგენდა, აუცილებელი იყო შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებიდან და ყირიმიდან თურქეთის განდევნა, ზღვაზე გასვლა და რუსეთის სამხრეთი საზღვრების უზრუნველყოფა თურქეთისა და მისი ვასალის— ყირიმის ხანის მუდმივი თარეშისაგან. ომში გამარჯვება, ცხადია, განამტკიცებდა რუსეთის ცარიზმის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთში, მაგრამ ობიექტურად იგი აახლოვებდა თურქეთის აღმოსავლური დესპოტიზმისაგან კავკასიისა და ბალკანეთის ხალხების განთავისუფლებას, დესპოტიზმისაგან, რომელიც კავკასიელ და სლავ ხალხებს ფიზიკურ გადაშენებას უქადდა.

სუვოროვი თავისებური გატაცებით ჩაება დუნაის ბრძოლებში. მან რამდენიმეჯერ ჩაატარა ფრონტის წინა ხაზის დაზვერვა და გადაწყვიტა იერიში ტურტუკაის ციხე-სიმაგრეზე მიეტანა. 500 ქვეითი, 150 კარაბინერი და 60 კაზაკი იყო სუვოროვის განკარგულებაში. 7 მაისს ღამით უნდა დაეწყოთ იერიში, მაგრამ თურქებმა სწორედ ამ ღამეს მოაწყვეს თავდასხმა რუსთა პოზიციაზე. სუვოროვმა ეს თავდასხმა მოიგერია და მტრისათვის სულისმოთქმის საშუალება რომ არ მიეცა, განკარგულება გასცა, ციხეზე საიერიშოდ მომზადებულიყვნენ. სუვოროვს სჯეროდა, რომ თურქები ვერც კი მოისაზრებდნენ, თუ პირველი ბრძოლის შემდეგ, იმავე დღესვე, რუსები იერიშზე გადავიდოდნენ. ღამით სუვოროვის რაზმმა გადალახა დუნაი და მიადგა ციხეს, რომელსაც 4 ათასზე მეტი თურქი იცავდა. იგი მოულოდნელად შეიჭრა მტრის განლა-

გებაში და, მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა, გაანადგურა იგი. მზე ახალი ამოწვერილი იყო, რომ სუვოროვმა ტურტუკაის ციხე-სიმაგრიდან გაგზავნა მისთვის ჩვეული ლაკონური მოხსენება რუმიანცევის სახელზე:

„Слава богу, слава вам.
Турцкай взят, и я там". *)

სუვოროვის ამ შესანიშნავ ინიციატივას ფრონტზე მოქმედმა სხვა ნაწილებმა დროზე ვერ დაუჭირეს მხარი და სუვოროვმა ტურტუკაი დატოვა მანამდე, ვიდრე თურქები კონტრშეტევას დაიწყებდნენ. მისი არანაკლები ოსტატობა და სიმამაცე გამომჟღავნდა ტურტუკაის მეორედ აღებისას. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფობისაგან დასუსტებულ სუვოროვს სიარულიც კი არ შეეძლო და ოფიცრებს ხელგამოდებული მიჰყავდათ, იგი თვითონ ხელმძღვანელობდა ამ ბრძოლას, რომელიც მთელი დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. სუვოროვმა მეორედ აიღო ტურტუკაი. კაზაკებმა 5 ვერსის მანძილზე სდიეს მოწინააღმდეგეს და დიდი ზიანი მიაყენეს.

დიდი ოსტატობა და მამაცობა გამოიჩინა სუვოროვმა გირსოვოსა და კოზლუჯის ბრძოლებში. 1773 წლის 3 სექტემბერს გირსოვოსთან, რომლის დაცვის უფროსად სუვოროვი იყო დანიშნული, გამოჩნდა თურქეთის ერთი კორპუსი 10.000 კაცის რაოდენობით. სუვოროვს 3 ათასამდე ჯარისკაცი ჰყავდა და პოზიციების გამაგრება დამთავრებული არ ჰქონდა; მან ბრძანება გასცა, სწრაფად ჩასანგრებულიყვნენ და ვიდრე მტერი ახლოს არ მოვიდოდა, თოფები არ გაესროლათ. თურქები განლაგდნენ სამ ხაზად და ორგანიზებული შეტევა დაიწყეს. როდესაც გათამამებული თურქები რუსთა სანგრებს მიუახლოვდნენ, სუვოროვმა მათ ერთბაშად დაუშინა არტილერიისა და თოფების ცეცხლი. ბრძოლა, როგორც სუვოროვი თავის ბიოგრაფიაში აღნიშნავს, დიდხანს არ გაგრძელებულა. 2 საათის შემდეგ თავზარდაცემული თურქები გარბოდნენ. რუსები მათ 30 ვერსის მანძილზე ერეკებოდნენ. ბრძოლის ველზე და დადევნების გზაზე მათ 1.100 მოკლული, 7 ქვემეხი და საბარგულები დატოვეს. კოზლუჯთან კი თვრამეტი ათასიანი არმიით სუვოროვმა გაანადგურა თურქეთის ორმოციათასიანი არმია. რუსებს დარჩათ მტრის 24 ქვემეხი და 107 დროშა. სწორედ

*) „მადლობა ღმერთს, დიდება თქვენ,
ტუოტუკაი აღებულია, და მეც იქა ვარ"

ასეთმა დამარცხებებმა გასტეხეს საბოლოოდ თურქების წინააღმდეგობა და აიძულეს ზავი ეთხოვათ.

* * *

რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დამთავრდა სუვოროვის მხედართმთავრული მოღვაწეობის პირველი ეტაპი. ამ პერიოდში მას უმთავრესად ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტა უხდებოდა, ფრონტის რომელიმე უბანს ხელმძღვანელობდა. შემდგომისათვის მხედართმთავარს უფრო რთული და საპასუხისმგებლო საქმეები ელოდა და ამ საქმეთა წარმატებით დაგვირგვინებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მიღებულ გამოცდილებათა განზოგადოებასა და დანერგვას არმიის ცხოვრებაში. იგი საფუძვლად ედებოდა ომის მომავალ, სუვოროვისებურ სტრატეგიას.

თურქეთთან პირველ ომში სუვოროვმა პრაქტიკულად შეამოწმა ახალი საბრძოლო წესრიგი და აღზრდის ახალი სისტემა. შედეგები ბრწყინვალე იყო. მაშასადამე, მომდევნო ამოცანას ამ სისტემის დანერგვა და მისი შემდგომი გაღრმავება შეადგენდა. სუვოროვს კიდევ უფრო განუმტკიცდა რწმენა ჯარისკაცისადმი. სამშობლოს სიყვარული, მამაცობა, მახვილი გონება, ინიციატივის უნარი, შეუპოვრობა და ამტანობა, რითაც ხასიათდებოდა რუსი მეომარი, წარმოადგენდა სუვოროვისათვის იმ ძვირფას მასალას, რომლითაც მას შეეძლო გამოეკვედა შემდეგ იზმაილისა და სენ-გოტარდის გმირები.

1774—1787 წლებში სუვოროვი სამხედრო-ადმინისტრაციულ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი მეთაურობდა ყუბანისა და ყირიმის კორპუსებს, მოსკოვის, ყაზანის, ვლადიმირის, პეტერბურგის დივიზიებს. ყველგან შეჰქონდა თავისებური სიახლე და ენერგიულობა, ყველგან ამსხვრევდა რუსეთის არმიისათვის უცხო პრუსიული წვრთნისა და პარადომანიის მავნე შედეგებს.

მაგრამ სუვოროვს არ მოსწონდა მშვიდი, უაზარმული ცხოვრება. მისი ოცნება ბრძოლის ველისკენ ისწრაფოდა. მის სტიქიას შეადგენდა ზარბაზნების ქუხილი და ცეცხლის წვიმა. ბრძოლაში ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. საამისო დროც დაუდგა.

რუსეთ-თურქეთს შორის არსებულმა წინააღმდეგობებმა კვლავ ომის აუცილებლობა წარმოშვეს. რუსეთს თვალი კონსტანტინ-

პოლისკენ ეჭირა, თურქეთი კი წინანდელ მდგომარეობის აღდგენას და ახალი ტერიტორიების მიტაცებას ცდილობდა.

1787 წელს ისევ დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი.

1787 წლის საომარ კამპანიაში განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა ხერსონ-კინბურნის რაიონს, რომელიც კონტროლს უწევდა დნეპრისა და ბუგის შესართავს, აგრეთვე ყირიმის დასავლეთ სანაპიროს და ოჩაკოვზე მიმავალ საზღვაო გზას. სწორედ ამ რაიონის დაცვის ხელმძღვანელობა დაევალა გენერალ-ანშეფ სუვოროვს.

1 ოქტომბერს თურქეთის ხუთიათასიანი არმია კინბურნის რაიონში გადმოსხდა. სუვოროვი თითქოს აინუნშიაც არ აგდებდა მტრის მოქმედებას.

— დღეს დღესასწაულია, წავიდეთ წირვაზე, დეე, გადმოსხდნენ ისინი,— ეუბნებოდა იგი ოფიცრებს. ოფიცრებს შეეშინდათ გენერალი ჭკუაზე ხომ არ შეცდაო. სუვოროვმა კი წირვა მოისმინა და როცა წინააღმდეგობის გაუწევლობის შედეგად გათამამებული თურქები უკვე ციხეს მიუახლოვდნენ, სუვოროვმა გასცა ბრძანება აემოქმედებინათ ქვემეხები, კონტრშეტევაზე დაძრულიყვნენ ქვეითები. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. რუსებს რამდენჯერმე მოუხდათ უკანდახევა, მაგრამ სუვოროვის ოსტატური მოქმედების შედეგად ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ხუთიათასიანი დესანტიდან თურქეთის ხომალდებმა მხოლოდ 700 კაცი წაიყვანეს უკან.

კინბურნთან გამარჯვების შემდეგ სუვოროვს მიზანშეწონილად მიაჩნდა შეტევის დაწყება, მაგრამ პოტიომკინი არ ჩქარობდა და ოჩაკოვის ალყა მხოლოდ 1787 წლის 1 ივლისს დაიწყო. სუვოროვი საალყო კორპუსის მარცხენა ფრთას მეთაურობდა. მას გულს უწყალებდა პოტიომკინის ორჭოფობა და მეტისმეტი, მოსაბეზრებელი სიფრთხილე. სუვოროვი ხშირად ახორციელებდა დამოუკიდებელ ოპერაციებს, რისთვისაც პოტიომკინის გულისწყრომასაც კი იმსახურებდა. ერთ-ერთი ასეთი ოპერაციის დროს, 27 ნოემბერს, იგი დაიჭრა. პოტიომკინმა მთელი ზაფხული უქმად გაატარა და მხოლოდ დეკემბერში დაიწყო ციხე-სიმაგრეზე იერიში. სუვოროვი ამ დღეს იერიშზე არ ყოფილა, რადგან დაჭრილი იყო, მაგრამ, როგორც ალყის მონაწილე, მაინც წარადგინეს ჯილდოზე.

ოჩაკოვის აღების შემდეგ საომარი მოქმედების ცენტრმა დუ-

ნაიზე გადაინაცვლა. სუვოროვზე გულმოსულმა პოტიომკინმა იგი კინალამ ჩამოაცილა ფრონტს, მაგრამ სუვოროვმა ეკატერინე II-ს მიმართა თხოვნით და ბრძოლამოწყურებულ გენერალს ახლა დუნაიზე ქვეითი დივიზია ჩააბარეს.

პირველი ბრწყინვალე ოპერაცია, რომელიც აქ განახორციელა სუვოროვმა, იყო ფოკშანთან გამარჯვება. სუვოროვმა თურქეთის 30 ათასიანი არმია 10 საათიან ბრძოლაში თითქმის გაანადგურა და ხილთ იგდო სასურსათო საწყობები, ქვემეხები, 16 დროშა. ფოკშანის შემდეგ დემორალიზებული მტრის დადევნება და საბოლოო განადგურება სუვოროვს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა, მაგრამ ამ გაბედულ გეგმაზე რეპნინი და პოტიომკინი ვერ დაითანხმა.

მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება სუვოროვმა მოიპოვა რიმნიკთან. თურქეთის 100 ათასიან არმიას გადაწყვეტილი ჰქონდა, დაერტყა რუსეთის მოკავშირე ავსტრიის არმიისათვის. საჭირო იყო მოკავშირისათვის დაუყოვნებლივ დახმარების გაწევა. ეს ამოცანა პოტიომკინმა სუვოროვს დააკისრა, თუმცა არც კი სჯეროდა, რომ იგი თურქებს რიმნიკთან მიასწრებდა. მიუხედავად ცუდი ამინდისა, სუვოროვი ვადაზე ადრე მივიდა ავსტრიელ პრინც კობურგელის განლაგებაში. სუვოროვი და კობურგელი პრინცი შეტევაზე გადავიდნენ. ბრძოლა, რომელიც თითქმის მთელი დღე გრძელდებოდა, სუვოროვის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

რიმნიკთან გამარჯვებას ომის მთელ მსვლელობაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. დიდი ვეზირის 100 ათასიანი არმია აქ თითქმის განადგურდა და რუსებს საშუალება მიეცათ შეუწყვეტლივ გაეგრძელებინათ იერიშები ახალ-ახალ პოზიციებზე, თუმცა პოტიომკინი ისევ მერყეობდა. სუვოროვს ამ გამარჯვების აღსანიშნავად რიმნიკის გრაფის ტიტული მისცეს და გიორგის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

ომის საბოლოო ბედი ახლა იზმაილის ციხე-სიმაგრეზე იყო დამოკიდებული.

იზმაილი მაშინ, ევროპიელ სამხედრო ინჟინრების დასკვნით, ერთ-ერთ მიუვალ სიმაგრედ ითვლებოდა. ადგილი, სადაც ციხე იყო მოთავსებული, თავისთავად, ბუნებრივად ძნელად მისასვლელ ადგილს წარმოადგენდა. გარდა ამისა, ციხეს გარს ერტყა ფრანგი ინჟინრების ხელმძღვანელობით აგებული ხელოვნურ სიმაგრეთა რამდენიმე წყება—ღრმა და ფართო, წყლით საეს

თხრილები, მიწაყრილები. მიწაყრილებზე დამაგრებული ასეულობით ქვემეხები ირგვლივ თავდაცვისათვის იყო გათვალისწინებული. ციხეს იცავდა 35 ათასი კაცი ნაცადი მხედართმთავრის აიდოს მუჰამედ ფაშას ხელმძღვანელობით.

1790 წლის 2 მარტს იზმაილის რაიონში მოვიდა სუვოროვი, რომელსაც თან ჰქონდა მთავარსარდლის ბრძანება—რადაც არ უნდა დასჯდომოდა აეღო ეს ციხე-სიმაგრე. ამ ურთულესი ამოცანის შესასრულებლად მას 31 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი ჰყავდა მიცემული.

სუვოროვმა დაწვრილებით შეისწავლა იზმაილის ადგილმდებარეობა და იგი, მართლაც, მიუვალი ეჩვენა. „შეპირება არ შემიძლია,—შეუთვალა სუვოროვმა პოტიომკინს, მაგრამ დარწმუნებული იმაში, რომ კარგად გაწვრთნილ რუს ჯარისკაცს წინ ვერავითარი სიმაგრე ვერ დაუდგებოდა, შეუდგა იერიშისათვის სამზადისს. ახლა ყველაფერი ჯარისკაცთა ოსტატურ მოქმედებაზე იყო დამოკიდებული. საჭირო იყო მოიერიშე პოლკების გავარჯიშება. მან იზმაილის მსგავსი ხელოვნური მიწაყრილები და ორმოები გააკეთებინა და ღამით შეუსვენებლივ ამეცადინებდა ჯარისკაცებს თხრილთან მისვლასა და მისი ფიჩხის კონებით ამოკსებაში, მიწაყრილზე ასვლასა და ღობეების გადალახვაში; მისივე შეკვეთით ამზადებდნენ ფიჩხის კონებსა და კიბეებს. სუვოროვი დღედაღამ ფეხზე იდგა. პირადად წვრთნიდა ჯარისკაცებს, ოხუნჯობდა მათთან, ამხნევებდა, თავისებური სიცოცხლე და ხალისი შეჰქონდა მუშაობაში, ამავე დროს, ციხეს უთვალთვალებდა და სწავლობდა მისი დაცვის შედარებით სუსტ ბზარეს, რომ მთავარი დარტყმა ამ მიმართულებით განეხორციელებინა.

სუვოროვის სამზადისი მტრისათვის არ იყო მოულოდნელი. იზმაილიდან თურქები ყველაფერს ხედავდნენ. სუვოროვიც არ მალავდა თავის სამხედროს. იზმაილის გარნიზონის სარდლობისადმი გაგზავნილ ულტიმატუმში სუვოროვი აცხადებდა: ჩემი ჯარებით იერიშისათვის ვემზადები და დაფიქრებისათვის 24 საათი მომიცია, დათმობთ თუ არა ციხეს. ეს თქვენი უფლებაა. ჩემი პირველი გასროლა თქვენ თავისუფლებას წაგართმევთ, იერიში სასიკვდილო იქნებაო.

თურქები ღრმად იყვნენ დარწმუნებული იზმაილის მიუვალობაში და, ცხადია, სუვოროვის მუქარა არაფრად ჩააგდეს. უმალ

დუნაი დაშრება და ცა დედამიწას დაენარცხება, ვიდრე იზმაილი დანებდებოდესო,—ამაყად უპასუხეს სუვოროვს ციხიდან.

სულ ერთი კვირა გავიდა იზმაილის რაიონში სუვოროვის მისვლის დღიდან და არმია გარდაიქმნა. ჯარისკაცთა მორალური სულისკვეთება და ცხედრული ოსტატობა იმდენად ამაღლდა, რომ სუვოროვს წარმატება უკვე აღარ ეჩვენებოდა საეჭვოდ. 9 დეკემბერს საბჭოს სხდომაზე მან განაცხადა:

— რუსები ორჯერ მიუახლოვდნენ იზმაილს, მაგრამ ორჯერვე უშედეგოდ. ძესამედ ან ქალაქის აღება ან სიკვდილი. მე მტკიცედ გადავწყვიტე ან დავეუფლო იზმაილს, ან მის კედლებთან დავიღუპო. ხელქვეითები საყვარელ გენერალს ყველაფერში ენდობოდნენ, მისი ხელმძღვანელობით ყველა დაბრკოლების დასაძლევად მზად იყვნენ და სუვოროვის მოწოდებას—„იერიშზე“ ყველანი სიხარულით შეხვდნენ.

10 დეკემბერს ღამით დაიწყო იზმაილის დაბომბვა. 600 ქვემეხმა გააჩაღა ძლიერი და გამანადგურებელი ცეცხლი. „ცა მოგაგონებდათ ნამდვილ ვულკანს, რომელიც ცეცხლის ალს აფრქვევს,“—წერდა ამის შესახებ ფრანგი ლანჟერონი. ჰაერში ავარდა სასიგნალო შუშხუნა და რუსი ჯარისკაცები შეტევაზე გადავიდნენ. ქვემეხების ცეცხლით განათებულ ღამეში შეუპოვრად მიიწევდნენ წინ ისინი და ვაჟკაცურად სძლევდნენ მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას. შეტევა სამი მხრიდან მიმდინარეობდა.

პავლე პოტიომკინის ჯგუფი დასავლეთიდან უტევდა, საძოილოვის ჯგუფი – აღმოსავლეთიდან, დე-რიბასისა – სანხრეთიდან. 11 დეკემბერს, დილის 5 საათსა და 10 წუთზე, მესამე სასიგნალო შუშხუნამ ამცნო რუს მეომრებს იერიშის დასაწყისი.

იერიში გეგმაზომიერად დაიწყო. პრაქტიკულად ნავარჯიშევი ჯარისკაცები უნარიანად სძლევდნენ ყველა დაბოკოლებას. პირველ რიგში მიდიოდნენ ზუსტი მსროლელები, რომლებიც მიწაყრილის დამცველებს ესროდნენ და არ აძლევდნენ თავის წამოწევის საშუალებას. ცეცხლის საფარქვეშ სპეციალური მუშა რაზმები თხრილებში აწყობდნენ ფიჩხის კონებს, ხოლო კედლებზე ასასვლელად დგამდნენ კიბეებს. მათ უკან მოჰყვებოდნენ მოიერიშე გუნდები. ცეცხლით მათ გზას უკაფავდნენ სარეზერვო ბატალიონები.

ერთი-ერთ რაზმს, რომელიც ციხის ყველაზე უფრო გამაგრებულ უბანს უტევდა, მეთაურობდა კუტუზოვი, მტერმა არა ერთ-

გზის დაახევინა უკან კუტუზოვის რაზმს, მაგრამ მამაცი ოფიცერი კვლავ ძალებს იკრებდა და იერიშს იერიშზე აწყობდა. სუვოროვი აღტაცებული იყო კუტუზოვის მამაცური და შეუპოვარი მოქმედებით. „თქვენ იზმაილის კომენდანტად გნიშნავთ“,—მისწერა სუვოროვმა კუტუზოვს ყველაზე მძიმე იერიშის მომზადების პერიოდში. მან იცოდა, რომ ამ ორ სიტყვას კუტუზოვისა და ჯარისკაცებისათვის უდიდესი გამამხნევებელი მნიშვნელობა ჰქონდა. არც შემცდარა. კუტუზოვის რაზმმა კვლავ დაძაბა ძალები, გადავიდა იერიშზე და მიწაყრილს დაეუფლა.

სუვოროვმა შეუტია იზმაილს აგრეთვე დუნაის მხრიდან. მტერი არ ელოდა ამ მხარეზე მოქმედების გაჩაღებას, რადგან დუნაის შვეული ნაპირები მიუვალად მიაჩნდა, მაგრამ სუვოროვი ხომ ასეთი სიურპრიზების შეუდარებელი ოსტატი იყო.

დილის 9 საათისათვის ციხის მთელ მიწაყრილს რუსები დაეუფლნენ. თურქებმა ქალაქისაკენ დაიხიეს. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და მისი დაცემისათვის საჭირო იყო თითოეული ქუჩის, თითოეული სახლის ბრძოლით აღება. ამავე დროს მამაცური გამოხდომა განახორციელა ხანმა ყაფლან გირეიმ, მან აკუწა კაზაკები და მოახერხა რუსთა პოლკებში შეჭრა. მაგრამ რუსმა ჯარისკაცებმა, რომელთაც ახლა წინ ვერაფერი დაუდგებოდათ, შესძლეს ყაფლან გირეის სამიათასიანი რაზმის ერთიანად გაჟლეტა და ქალაქის შუაგულში შეჭრა. შუადღის 4 საათისათვის ყველაფერი დამთავრდა. იზმაილის დამცველმა არმიამ შეწყვიტა არსებობა. იზმაილის მაღლობიდან დუნაის ციხფარ ზოლს ამაყად გაჰყურებდა გენერალი სუვოროვი.

სუვოროვის მიერ იზმაილის აღებამ განაცვიფრა მთელი ევროპა. მართლაც, ისტორიაში ეს უპრეცენდენტო შემთხვევა იყო. ეს იყო არა მარტო სიმაგრის აღება, არამედ მტრის ვეებერთელა არმიის მთლიანად გაჟლეტა, რაც სუვოროვმა განახორციელა ნაკლები ძალითა და უმაგალითო ოსტატობით.

იზმაილის იერიშში სუვოროვმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო რუსი ჯარისკაცის უძლეველობა და რუსეთის ნაციონალური სამხედრო ხელოვნების უპირატესობა ყველა ქვეყნის სამხედრო ხელოვნების წინაშე, ვინაიდან იზმაილი აღა მარტო თურქეთის, არამედ ევროპული სამხედრო ხელოვნების მიხედვით იყო ნაგები და უძლეველად ითვლებოდა. სუვოროვმა უმკნობი დიდებით შემოსა რუსეთის

იარაღი, მაგრამ ეს ბრწყინვალე გამარჯვება სუვოროვს ყველაზე ნაკლებად დაუფასდა. იგი დედოფლისაგან ფელდმარშლობას ჭლოდა და მხოლოდ პოტიომკინის მოწყალების ღირსი გახადეს.

„რით შემიძლია დაგაჯილდოვოთ თქვენი დამსახურებისათვის, გრაფო სუვოროვ?“ — მიმართა მას ქედმაღლურად პოტიომკინმა.

გაბრაზებულმა სუვოროვმა მიახალა: „არაფრით, თავადო, მე ვაჭარი არა ვარ და აქ სავაჭროდ არ მოვსულვარ, ღმერთისა და დედოფლის გარეშე ჩემი დაჯილდოება არავის შეუძლია“. ეკატერინეს ფავორიტისა და ყოვლისშემძლე პოტიომკინისათვის ასეთი პასუხი შეურაცხყოფა იყო და მან დანაშაული სუვოროვს არ აპატია. იზმაილის აღსანიშნავად სუვოროვს მხოლოდ პრეობრაჟენსკის პოლკის პოდპოლკოვნიკის წოდება მისცეს. რუსეთში ეს თანამდებობა, მართალია, საპატიო იყო (თვით ეკატერინე ვეორე ამ პოლკის პოლკოვნიკის წოდებით იყო დაჯილდოებული), მაგრამ მსოფლიოში სწორუპოვარ მხედართმთავარს აინტერესებდა არა საპარადო, არამედ ნამდვილი მხედრული წოდება, რაც მას უკვე დიდი ხანია ჰქონდა დამსახურებული.

იზმაილის შემდეგ სუვოროვმა წელიწად-ნახევარი გაატარა ფინეთში. არსებითად ეს პოტიომკინის წინაშე კადნიერებისათვის მასზე დადებულ სასჯელს წარმოადგენდა. აქედან იგი სამხრეთში გადაიყვანეს და ეკატერინოსლავის გუბერნიის ჯარების სარდლობა ჩააბარეს. სუვოროვი ყველგან მაღალი კეთილსინდისიერებით ასრულებდა დავალებას. სასახლისადმი გულისწყრომას იგი თავის მშობლიურ არმიაში, ნაცად ჯარისკაცებთან მეგობრობაში იქარვებდა. თუ სასახლეში სძულდათ ეს „ახირებული“ გენერალი, თუ მისადმი შურით იყვნენ გამსჭვალულნი და ათასნაირ ბოროტ ჭორებს თხზავდნენ, რომ მისი ბრწყინვალე სახელისათვის ლაქა მოეცხოთ, სამაგიეროდ ოფიცრები და ჯარისკაცები, სუვოროვის დაზრდილი არწივები, რომელთაც ყველაზე უკეთ გაეგებოდათ ნაცადი მხედართმთავრის ნამდვილი ფასი, მას თაყვანს სცემდნენ. აფორიზმად ქცეული მისი ყოველი წინადადება პირზე ეკერათ მის ხელქვეითებს. ისინი მზად იყვნენ გაჰყოლოდნენ სუვოროვს ყველგან, თუნდ სიკვდილი გარდაუვალი ყოფილიყო.

1794 წელს სუვოროვი მონაწილეობდა პოლონეთის ომში. სუვოროვს ნაკლებ იზიდავდა ეს ომი, მოწინააღმდეგე სუსტი იყო. პოლონეთის კამპანიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია პრაღის

ოპერაცია. რომელსაც თავისი სირთულითა და ბრწყინვალე შედეგებით იზმაილს ადარებენ. სუვოროვმა შეძლო მოწინააღმდეგის ძლიერი თავდაცვითი ხაზის გარღვევა სწრაფად და ნაკლები დანაკარგით. ამ ბრძოლამ გადაწყვიტა მთელი კამპანიის ბედი. ეკატერინე მეორემ, რომელსაც რევოლუციური პოლონეთი უფრო მეტად აშინებდა, ვიდრე თურქეთი, ამჟამად წყალობა არ დაიშურა სუვოროვისათვის და მას ფელდმარშლობა უბოძა.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დაუძინებელი მტერი—ეკატერინე ევროპული მასშტაბის ომისათვის ემზადებოდა. საფრანგეთში თავადაზნაურული მონარქიის აღდგენის აზრი მას მოსვენებას არ აძლევდა. იგი იმ კოალიციის სულისჩამდგმელი იყო, რომელსაც რევოლუციური საფრანგეთი უნდა დაესაჯა. სუვოროვი განწესებულ იქნა ტულჩინოში უკანასკნელი სამზადისის ჩასატარებლად, მაგრამ რუსეთის დედოფალს არ დასცალდა, 1796 წლის ნოემბერში გარდაიცვალა.

* * *

ეკატერინეს მემკვიდრე პავლეს, როგორც ისტორიკოსი ოკუნი აღნიშნავს, მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა სამი რამის შიში, როგორც სამი გველეშაპის: სასახლის გადატრიალების, პუგაჩოვშჩინისა და საფრანგეთის რევოლუციის. აბეზარი და თავნება, ჟინიანი და უხეში იმპერატორი არავის არ იკარებდა, ყველას მიმართ უნდობლობითა და ზიზღით იყო გამსჭვალული. განსაკუთრებით ძლიერი იყო მასში შიში რევოლუციური იდეებისადმი და რომ აღეკვეთა მისი გავლენა რუსეთზე, აბსურდულ ღონისძიებებამდე მიდიოდა. მკაცრი ყაზარმული რეჟიმის მოტრფიალე პავლე თაყვანს სცემდა პრუსიულ ჯოხის დისციპლინას და სურდა რუსეთი ერთ მთლიან ყაზარმად გადაექცია.

ასეთი აზრებით აღსავსე იმპერატორსა და სამხედრო საქმეში ნოვატორ, სახელმოხვეჭილ ფელდმარშალ სუვოროვს შორის განხეთქილება გარდაუვალი იყო. ეს ასეც მოხდა. მალე პავლე შეუდგა მისი საყვარელი წესების დანერგვას არმიაში. პავლე ანგრევდა ყოველივე იმას, რასაც 50 წლის დაუღალავი შრომით აშენებდა სუვოროვი. სუვოროვისათვის ეს აუტანელი იყო და გადაწყვიტა არ დაეთმო,

შაგრამ ჟინიანმა პაველმ 1797 წ. 16 თებერვლის ბრძანებით ფელდმარშალი სუვოროვი სამსახურიდან გადააყენა.

სუვოროვმა ჩააბარა არმია და თავის მამულში გაემგზავრა; მაგრამ იმპერატორის მეორე ბრძანებით იგი გადასახლებულ იქნა ნოვგოროდის გუბერნიის მიყრუებულ სოფელ კონჩანსკოეში, აქ მას მიუჩინეს ჯაშუშები, ადგილობრივი გოროდნიჩი ზედამხედველად დაუყენეს, აუკრძალეს სამხედრო პირებთან ურთიერთობა. ამგვარად, სუვოროვს შინაური პატიმრობა მიესაჯა. იგი მოსწყვიტეს გარე სამყაროს. დასჯილი ფელდმარშალი ბშვიდად იტანდა განდეგილობასა და მარტოობას.

მაგრამ მალე იმპერატორისათვის სუვოროვი უფრო საჭირო გახდა, ვიდრე სუვოროვისათვის იმპერატორი.

1798 წ. პაველ I შეუერთდა ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური საფრანგეთის წინააღმდეგ ფეოდალურ-აბსოლუტური მონარქების კოალიციას. ავსტრიამ და რუსეთმა ვალდებულებად აიღეს გამოეყვანათ 320 ათასიანი არმია საფრანგეთის წინააღმდეგ. ინგლისმა, რომელიც სხვისი ხელით ნარის გლეჯას იყო მიჩვეული, ფულადი სახსრების გაღება იკისრა. დიდი არმიის ერთი ნაწილი საფრანგეთზე უნდა წასულიყო, მეორე ნაწილს საფრანგეთის ჯარებისაგან იტალია უნდა გაეწმინდა. მოკავშირეთა არმიის მთავარსარდლის თანამდებობაზე ინგლისის წინადადებით წამოყენებულ იქნა სუვოროვის კანდიდატურა, რომელიც მთელს ევროპაში ცნობილი იყო, როგორც სწორუპოვარი მხედართმთავარი.

სუვოროვი გადასახლებიდან პეტერბურგში იქნა გაწვეული. იმპერატორმა ამჟამად ქედი მოიხარა მის წინაშე და ნება ითხოვა საომარი მოქმედება მისი ჩვეული მეთოდებით ეწარმოებინა. სუვოროვი გაემგზავრა იტალიაში, რომ პირველ რიგში ეს ტერიტორია გაეწმინდა ფრანგების ძალებისაგან.

იტალიაში ჩასვლისთანავე სუვოროვს ბევრი უსიამოვნება შეხვდა. ავსტრიის სასახლის სამხედრო საბჭოს თავისი გეგმა ჰქონდა და ცდილობდა იგი სუვოროვისათვის თავზე მოეხვია. მაგრამ სუვოროვი ხედავდა, რომ ავსტრიის სამხედრო საბჭოს გეგმა ბრძოლის ნამდვილ ვითარებას სრულებით არ შეესაბამებოდა და მას ზედმეტად შებოჭავდა. სუვოროვს საკუთარი გეგმები და მეთოდები ჰქონდა, რომლის გამომჟღავნება მას ავსტრიის გენერალიტეტისათვის, სადაც ბევრი ჯაშუში და ენაჭარტალა მოიპოვებოდა,

საზიანოდ მიაჩნდა. ამიტომ მან იმთავითვე განუცხადა ავსტრიის სარდლობას: მე დავიწყებ კამპანიას მდინარე ადასთან და დავამთავრებ იქ, სადაც მიზანშეწონილად ჩავთვლიო.

1799 წლის 3 აპრილს სუვოროვი ვერონაში ჩავიდა. იტალიელები სახელმოხვეჭილ ფელდმარშალს ზეიმით შეხვდნენ.

სუვოროვმა მამაც პეტრე ბაგრატიონს — ხელქვეითთა შორის მის ყველაზე საყვარელ პირს — მიანდო ავანგარდის გაძღოლა. დაიძრნენ ძირითადი ძალები. წინსვლა ხდებოდა სწრაფად და წარმატებით. ადასთან და კასანოსთან გამარჯვების შემდეგ არმიას გაეხსნა გზა მილანისაკენ.

იტალიაში მოქმედ საფრანგეთის ორ არმიას მორო და მაკდონალდი სარდლობდნენ. სუვოროვის გამოჩენის შემდეგ მათ გადაწყვიტეს ციხე ტორტონთან გაეერთიანებინათ თავიანთი ძალები. სუვოროვმა ამოიცნო მოწინააღმდეგის ეს განზრახვა და გადაწყვიტა მათთვის ხელი შეეშალა იმით, რომ ჯერ პირველს დასჯახებოდა, მერე მეორეს და ცალ-ცალკე დაემარცხებინა.

სუვოროვი ტურინიდან ისეთი სწრაფი მარშით გავიდა, როგორსაც მისი ვეტერანებიც კი არ იყვნენ შეჩვეული. 36 საათის განმავლობაში დაფარულ იქნა 80 ვერსი. ტორტონთან სუვოროვი მივიდა სწორედ იმ დროს, როცა მაკდონალდს უკვე გაეჩაღებინა ბრძოლა ავსტრიელი ოტას წინააღმდეგ. მაკდონალდმა თავის ნაწილებს მდ. ტრებიას ნაპირებთან დაახევინა. 8 ივნისს ორი არმია შეება ერთმანეთს. საინტერესოა სუვოროვის დისპოზიცია: იგი ითვალისწინებდა ბრძოლის შემდეგ შესვენებას მდ. ნურის ნაპირზე, რაც მტრის განლაგებიდან 13 ვერსით იყო მოცილებული. ცხადია, სუვოროვი თავის დისპოზიციას მტრის უეჭველი განადგურების ვარაუდზე აგებდა. ამასვე გულისხმობდნენ მისი დარიგებანი: „არ გამოიყენოთ კომანდა — „შეჩერდი!“, ეს არის არა მეცადინეობა, არამედ ბრძოლა; იერიში, ჩეხე, ჩხვლიტე, ურა, ბრძოლის დროს ძლიერად ისმოდეს მუსიკის ხმა!“

ტრებიასთან ბრძოლა მეტად გააფთრებული იყო. რიცხობრივად ჭარბი ფრანგები არა ერთხელ შეიჭრნენ მოკავშირეთა რიგებში. განსაკუთრებით გაუჭირდა ავსტრიელ გენერალ როზენბერგს: დამფრთხალი მიიჭრა იგი სუვოროვთან და გამოსთხოვა უკანდახევის ნებართვა.

სუვოროვი ამ დროს დიდ ლოდთან იწვა და ისვენებდა.

— შეგიძლიათ თქვენ დასძრათ ეს ლოდი ადგილიდან? არ შეგიძლიათ? ასევე რუს ჯარისკაცებს არ შეუძლიათ უკანდახევა, — უპასუხა მან დამფრთხალ გენერალს.

სამ დღე და ღამეს მიმდინარეობდა ეს სისხლისმღვრელი ბრძოლა და გამარჯვება ბოლოს რუსებს დარჩათ. მაკდონალდმა ბრძოლის ველზე დატოვა 18 ათასამდე გვამი.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა სუვოროვის ნოვატორული ნიჭი. მაკდონალდთან შეჯახება მან შემხვედრი ბრძოლის ყველა ელემენტის წინასწარი გათვალისწინებით მოაწყო. ჯარების საბრძოლო წყობა სრულებითაც არ ჰგავდა სუვოროვის მიერ წინათ გამოყენებულ წყობას. მისი მანევრირების ამოცნობას მოწინააღმდეგე ვერ ახერხებდა.

ტრებიასთან მაკდონალდის დამარცხებამ დააფრთხო მორო და იძულებული გახადა უკან დაეხია. ორი არმიის შეერთებისა და სუვოროვის ტომარაში მოქცევის ვარაუდი ჩაიშალა. მორიგი გამარჯვება სუვოროვმა ნოვთან მოიპოვა. ამჟამად მის წინააღმდეგ მოქმედებდა ახალგაზრდა, ენერგიული რესპუბლიკელი გენერალი ჟუბერი.

„ახალგაზრდა ჟუბერი სასწავლად მოვიდა, მივცეთ მას გაკვეთილი“, — თქვა სუვოროვმა და დაიწყო იერიში ნოვზე, რომელსაც ჟუბერის 35 ათასიანი არმია იცავდა. ჟუბერი დაიჭრა. რუსები და ავსტრიელები შეიჭრნენ ნოვში. ფრანგებმა დიდი დანაკარგით უკან დაიხიეს. აქაც სუვოროვის მარჯვენა ხელი პეტრე ბაგრატიონი იყო. სუვოროვმა განაგრძო წინსვლა. უბრძოლველად დანებდა მას ტორონტას ციხე. ჩრდილოეთ იტალია ფრანგებისაგან განთავისუფლებულ იქნა. სუვოროვის სახელი ქუხდა მთელს ევროპაში. მტრებიც კი ქედს იხრიდნენ მისი გენიის წინაშე. მამაცი და უდაოდ ნიჭიერი ძორო სუვოროვის ლაშქრობას ტურინიდან ტრებიამდე საძხედრო ხელოვნების უმაღლეს წერტილს უწოდებდა.

ავსტრიის მმართველი წრეების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სუვოროვმა გასაოცრად მოკლე დროში გააკეთა ის, რის განხორციელებას გოფკრიგსტრატის (სასახლის სამხედრო საბჭო) გეგმით წლები სჭირდებოდა. ამის შემდეგ სუვოროვი აღარ იყო საჭირო ავსტრიისათვის და გოფკრიგსტრატმა, რომელიც თავისი ინსტრუქციებით სუვოროვის ბორბალს ყოველთვის ჯოხს უდებდა, შეიმუშავა ახალი გეგმა: სუვოროვი თავისი არმიით შვეიცარიაში უნდა გამგზავრებულიყო და იქ მყოფ რიმსკი-კორსაკოვთან ერთად შეკრილიყო საფრახგეთში.

რიმსკი-კორსაკოვის 27 ათასიანი კორპუსი ციურიხის რაიონში იყო განლაგებული. მის პირისპირ იდგა ფრანგების 84 ათასიანი არმია, რომელიც საუკეთესოდ იყო შეიარაღებული სამთო პირობებში ომისათვის და რომელსაც სათავეში ედგა ფრანგების ერთერთი საუკეთესო გენერალი მასენა.

ავსტრიელმა ერცჰერცოგმა კარლოსმა შვეიცარიიდან თავისი ნაწილები გამოიყვანა. ფრანგთა ოთხჯერ ჭარბი ძალების წინააღმდეგ დარჩა მხოლოდ კორსაკოვის კორპუსი, რომელიც ცუდად იყო შეიარაღებული და სამთო ომის ჩვევები არ გააჩნდა. სუვოროვი გრძნობდა, რომ მას ურთულესი ამოცანა დაუსახეს. სამთო პირობებში ომი ჭარბი, კარგად აღჭურვილი და მთებში ნაწრთობი ჯარების წინააღმდეგ, როცა მათ თავდაცვისათვის უაღრესად ხელსაყრელი პოზიციები ეკავათ, ერთის შესედვით შეუძლებელი იყო; მაგრამ იგი არ შეუშინდა ამ სირთულეს და რიმსკი-კორსაკოვის მისაშველებლად გაეშურა.

იტალიიდან შვეიცარიის გზაზე სუვოროვის წინაშე აღმართული იყო უდიდესი სამთო ბარიერი — შვეიცარიის ალპები. მოწინააღმდეგის განლაგებისა და ძალების შესახებ ზუსტი ცნობები არ არსებობდა; დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული ეს ლაშქრობა, მაგრამ სუვოროვმა არა თუ გადაწყვიტა მისი განხორციელება, არამედ აირჩია ყველაზე ძნელი გზა — სენ-გოტარდის გადალახვა; ფრანგები ყველაზე ნაკლებად მოელოდნენ სუვოროვს ამ მხრიდან. ეს იყო ამავე დროს უმოკლესი გზა, რომლითაც შეიძლებოდა მოწინააღმდეგის ზურგში გაჭრა.

30 აგვისტოს სუვოროვი ტორტონიდან გავიდა. 5 დღის განმავლობაში 150 კილომეტრი გაიარა. ტავერნოსთან მის წინაშე უკვე თვალუწვდენი მთები აღიმართა. 5 დღე უქმად იდგა ტაევერნოში სუვოროვი და ავსტრიელებისაგან სურსათსა და 1500 ჯორს ელოდა. ავსტრიელები დაპირებაში უხვნი იყვნენ, მაგრამ შესრულებაში ძუნწობდნენ. დიდი ლოდინის შემდეგ მელასმა მხოლოდ 650 ჯორი მიიყვანა. სუვოროვი იძულებული შეიქნა დაექვეითებინა კაზაკები და ტვირთი ცხენებისათვის აეკიდებინა.

1799 წლის 10 სექტემბერს დაიწყო სუვოროვის ლეგენდარული ლაშქრობა ალპებში. მსოფლიოში არც ერთ არმიას არასოდეს არ გადაელახა ასეთი სიძნელენი. რუსი ჯარისკაცები მხნედ მიაბიჯებდნენ თითქმის შვეულ ბილიკებზე. მოდიოდა საშინელი წვიმა,

ჰქროდა სუსხიანი ქარი, ალპები პირქუშად ხვდებოდა რუს გოლიათებს, მაგრამ მათ შეჩერებას მაინც ვერ ახერხებდა. სადაც ირემი გაივლის, იქ რუსი ჯარისკაციც გაივლის, — სუვოროვის ამ რწმენას მისი გოლიათები პრაქტიკულად ახორციელებდნენ.

13 სექტემბერს სუვოროვი სენ-გოტარდის მწვერვალთან იდგა. მთების ამ მასივთან ჩასაფრებული იყვნენ ფრანგთა ნაწილები. მწვერვალიდან დასჩერებოდნენ ისინი ბილიკით მიმავალ რუსებს და გამოთოფილი ჰქონდათ თითოეული მტკაველი. მწვერვალზე ასვლა და იქიდან მოწინააღმდეგის განდევნა უგზოობის პირობებში თითქმის შეუძლებელი იყო. სუვოროვმა კი ბრძანა შეტევა. ორჯერ დაახევინებს უკან რუსებს ფრანგებძა. სუვოროვმა მესამედ წაიყვანა იერიშზე თავისი გოლიათები და დღის 4 საათზე მწვერვალი აიღო. ამ ოპერაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა პეტრე ბაგრატიონის ოსტატურ და მამაცურ მანევრს ჰქონდა. მიუხედავად უგზოობისა, მან ერთი რაზმი ფარულად გადაიყვანა მტრის ზურგში, ზევიდან მოექცა მწვერვალს და ხიშტებით ეკვეთა მოწინააღმდეგეს სწორედ მაშინ, როცა სუვოროვი მესამედ გაუძღვა წინ იერიშზე თავის ჯარისკაცებს. ფრანგებმა მიატოვეს არტილერია და თავს უშველეს. ალპების მწვერვალზე რუსული დროშა ფრიალებდა, მაგრამ მთავარი სიძნელე ჯერ კიდევ დასაძლევი იყო.

სუვოროვს რიმსკი-კორსაკოვთან შეერთება ახლა სულ ერთი დღის საქმედ მიაჩნდა. იგი მდ. რეისის გაყოლებით დაიძრა ლუცერნისაკენ, მაგრამ მოულოდნელად მის წინაშე შვეული კლდეების რიგი აღიმართა. კლდეში ამოტეხილი პატარა ხვრეტილის (ურზერნის ხვრელის) საშუალებით ჯარისკაცებს მხოლოდ თითო-თითოდ შეეძლოთ გავლა, მაგრამ ხვრელის გასასვლელს ფრანგები იცავდნენ. სუვოროვმა პოლკოვნიკ ტრუბნიკოვს და მაიორ ტრეივოგინს დაავალა შემოევლოთ ურზერნის ხვრელისათვის. ტრუბნიკოვმა გადალახა კლდე და ფრანგებს ზურგში მოექცა. მილორადოვიჩის ნაწილებმა გაარღვიეს მტრის ცეცხლითი ფარდა ხვრელთან და წინ გაეშურნენ. მაგრამ მათ წინ ახლა ახალი, უფრო რთული დაბრკოლება გაჩნდა. ეს იყო „ეშმაკის ხიდი“, რომელიც აერთებდა მქუხარე რეისის 75 მეტრი სიმაღლის შვეულ ნაპირებს. ხიდის მარცხენა ნაპირს ფრანგთა ბატალიონები იცავდნენ. ქვის თაღი მთლიანად ფრანგების ჯვარედინა ცეცხლში იყო მოქცეული. ამავე დროს

ფრანგებს ჩაენგრიათ ხიდის ქვის ნაგებობის ერთი ნაწილი: ახლა მოწინააღმდეგეებს ერთმანეთისაგან უფსკრული ჰყოფდა.

რუსი ჯარისკაცები ხიდს მიადგნენ. მათ სასწრაფოდ დაანგრიეს ხიდთან აღმართული ხის ფარდული და მოწინააღმდეგის ცეცხლში ძელები გასდეს უფსკრულზე. დაიწყო ხიდის გადალახვა. ფრანგები ენერგიულად იცავდნენ თავს. ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი დაეცა ხიდთან, მაგრამ დაბრკოლება მაინც გადალახულ იქნა. რუსთა ამ უმაგალითო მამაცობის შედეგად ფრანგები შედრკენ და პირი იბრუნეს. 4 საათისათვის „ეშმაკის ხიდის“ გადალახვა მთლიანად დამთავრდა და სუვოროვის რაინდები დაუშვნენ სოფ. ალტორფისაკენ. ალტორფში რუსებმა ხელთ იგდეს ფრანგების მიერ მიტოვებული სურსათის მცირე მარაგი. მშიერი ჯარისკაცები მსუბუქად დანაყრდნენ და ისევ გზას გაუდგნენ. მაგრამ მათ წინაშე ახლა უარესი საშინელება გადაიშალა: სენ-გოტარდის გზა დამთავრდა. ლუცერნის ტბაზე კი, რომელიც გზის დასასრულს იყო გაშლილი, მიმოდიოდნენ ფრანგთა ხომალდები. ამგვარად, გზა მოკრილი აღმოჩნდა, თუ არ ჩავთვლით იმ საცალფეხო ბილიკებს, რომელიც როსშტოკის ქედზე გადადიოდა. ავსტრიელებმა მოატყუეს სუვოროვი ადგილმდებარეობის აღწერაში და იგი მტერს პირდაპირ სახაში ჩაუგდეს.

სუვოროვი გამოუვალი მდგომარეობის წინაშე აღმოჩნდა: წინ გზა არ არის. ჯარისკაცები მშივრები და უზომოდ დაღლილნი არიან; ტანსაცმელი და ფეხსაცმელი შემოაცვდათ. მსხვერპლი დიდია. რიმსკი-კორსაკოვი კი სულ ახლოსაა, მას შველა უნდა, თორემ მასენა გაანადგურებს; და სუვოროვმა გადაწყვიტა რუსი გოლიათები ახალი გამოცდის წინაშე დაეყენებინა — გადაელახა როსშტოკის ქედი, რომელზედაც ირემიც კი ვერ გაივლიდა.

მეტისმეტად დაიჭანცა ამ დღეებში თვით სუვოროვიც. 69 წლის მოხუცი მოიერიშეთა პირველ რიგებში იდგა ყოველთვის. იგი ამავე დროს გაციებდა და საშინელი ხველება დააწყებინა, მაგრამ სუსტ სხეულში მოქცეული დევგმირული სული მას ახალ-ახალ საგმირო საქმეებისკენ მოუწოდებდა.

პირველ რიგში დაიძრა პეტრე ბაგრატიონის ავანგარდი. სუვოროვის ყველაზე საყვარელი ადამიანი, მისი „მარჯვენა ხელი“, მისი არწივი—ქართველი მხედართმთავარი ყოველთვის მზად იყო პირველი ჰკვეთებოდა ყველა სიძნელეს და სხვებისთვის მაგალითი მიეცა.

ბილიკი თანდათან ვიწროვდებოდა. მალე იგი კლდეებს შორის ხავსებით დაიკარგა. მეომრები მიცოცავდნენ თოვლში; ზურგით მიჰქონდათ ყუმბარები, თოკებით ეწეოდნენ ქვემეხებს. „თითოეული არასწორი ნაბიჯი, — წერს ამ ლაშქრობის შესახებ მილიუტინი, — სიცოცხლის დაკარგვას უდრიდა. მთის კალთებზე ნელ-ნელა მიცურავდა სქელი ღრუბელი, ნისლში ხვევდა მოლაშქრეებს და ისე ასველებდა, როგორც კოკისპირული წვიმა. ამ ნისლოვან სიბნელეში ისინი ხელების ცოცებით მიიკვლევდნენ გზას, ვერც ზევით, ვერც ქვევით ხედავდნენ რასმე, არაქათი გამოცლილი ჰქონდათ, ოდნავ შედგებოდნენ და ამოსუნთქვის შემდეგ ისევ ცოცვას განაგრძობდნენ“. სულ 16 კილომეტრი გზა ჰქონდათ გასავლელი, მაგრამ იგი იმდენად საშინელ იყო, რომ 12 საათს მოუნდნენ მის დაძლევას და როცა ბაგრატიონის მეწინავე ჯარისკაცები სოფ. მუტენში იყვნენ ჩასულნი, უკანასკნელი რიგი ჯერ როსშტოკის ბილიკს არც კი შესდგომოდა.

სუვოროვი ჯარისკაცთა შორის იყო და იზიარებდა ლაშქრობის ყველა სიძნელეს. იგი ამხნევებდა მეომრებს, ხშირად ხუმრობდა კიდეც. აუწერელი გაჭირვება გამოიარეს მეომრებმა ღამით, რომელმაც მათ მწვერვალზე მოუსწრო. საშინელი სუსხიანი ქარი ჰქროდა. ბნელოდა ისე, რომ ხელის გაწვდომის მანძილზეც არაფერი ჩანდა; მაგრამ ჯარისკაცთა მხნეობა გასაოცარი იყო. ისინი მღეროდნენ, ოხუნჯობდნენ. პირველი იყო ძათ შორის სუვოროვი.

17 სექტემბერს სუვოროვის პოლკები უკვე მუტენის ველზე განლაგდნენ. ისტორიაში განუმეორებელი ლაშქრობა ბრწყინვალედ ჩატარდა. ამ დღიდან ბილიკს, რომლითაც გაიარეს რუსმა გოლიათებმა, ეწოდა „სუვოროვის გზა 1799 წელს.“

მუტენში სუვოროვი რიმსკი-კორსაკოვისა და ავსტრიის ნაწილებთან შეხვედრას ელოდა, მაგრამ მას თავზარდამცემი ამბავი დახვდა: სწორედ სენ-გოტარდზე სუვოროვის ლაშქრობის პერიოდში მასენას მოესწრო რიმსკი-კორსაკოვსა და გოტცეზე იერიშის მიტანა და მათი დამარცხება, ხოლო ავსტრიელების ერთი ნაწილი თოფის გაუსროლელად გაპარულიყო ბრძოლის ველიდან. სუვოროვი ხაფანგში აღმოჩნდა. მის პირდაპირ იდგა მასენას 80 ათასიანი არმია. მშიერი, ჩამოფლეთილი და დაღლილი 20 ათასი კაცით მოწინააღმდეგესთან ბრძოლაზე სუვოროვი კიდევ უარს არ იტყო-

და, მაგრამ მას არ ჰქონდა არავითარი მარაგი. უკან მრისხანე ალპები იყო, წინ — უთვალავი მტრის რაზმები. მასენა უკვე ტრაბახობდა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მის წინაშე იქნებოდა ტყვე რუსი ფელდმარშალი.

18 სექტემბერს სუვოროვმა მოიწვია სამხედრო თათბირი. ოფიცრებმა და გენერლებმა შეატყვეს, რომ მოხუცი ფელდმარშლის ნებისყოფა ვერც ამ უბედურებას გაეტეხა და იგი ახალ საგმირო საქმეს ამზადებდა.

— დახმარების იმედი არსაიდან არ არის. ჩვენ უფსკრულის წინაშე ვართ. გვრჩება მხოლოდ ერთი იმედი—ჩემი ჯარის მამაცობა და თავგანწირვა. ჩვენ რუსები ვართ, ჩვენ ყველა სიძნელეს გადავლახავთ, — თქვა სუვოროვმა და თათბირს გადაუშალა მოქმედების გეგმა,—არიერგარდი ადგილზე დარჩება და იბრძოლებს უკანასკნელ შესაძლებლობამდე. ძირითადი ნაწილი გაემართება გლარისისკენ. ავანგარდში — ბაგრატიონი.

მეორე დღეს ძალაგამოლეული, მშიერი და ნახევრად ტიტველი ჯარისკაცები ისევ დაადგნენ სამთო ბილიკებს. ახლა საჭირო იყო ისევ თოვლიანი ბილიკებით სვლა; ბაგრატიონის ავანგარდმა დაამარცხა ამ რაიონში გამაგრებული მოწინააღმდეგე და დაეშვა კლენსკის ველზე. არიერგარდი ამ დროს წარმატებით იგერიებდა ფრანგთა იერიშებს. რუსებმა უკიდურესად დაჭიმეს ენერგია. ისინი არა თუ გაუმკლავდნენ მტრის დივიზიებს, არამედ მათ უკან დაახევინეს, შვიცამდე სდიეს და 1000-მდე ტყვე ჩაიგდეს. ღამით, სუვოროვის ბრძანების შემდეგ, არიერგარდი მოიხსნა და იმავე გზით თავისიანებს შეუერთდა.

სუვოროვის არმია ბრძოლით შევიდა გლარისში. სუვოროვს იმედი ჰქონდა, რომ აქ იგი ავსტრიელ ლინკენის ჯარებს შეხვდებოდა და მათთან ერთად ბრძოლით გაიკვლევდა გზას გოტცეს გადარჩენილი კორპუსისაკენ, მაგრამ ლინკენი არსად ჩანდა. იგი უგზო-უკვლოდ გამქრალიყო, ლაჩრულად, თვითნებურად მიეტოვებინა ბრძოლის ველი. ჩაქრა იმედის უკანასკნელი ნაპერწკალი. უიარაღო, მშიერი და ჩამოფლეთილი რაზმებით ბრძოლის გაჩაღება ამიერიდან მოკლებული იყო ყოველგვარ აზრს. რჩებოდა ორი გამოსავალი: კაპიტულაცია ან ისევ შვეიცარიის თოვლიანი მთები.

სუვოროვისათვის არ არსებობდა სიტყვა კაპიტულაცია. იგი არც მოწინააღმდეგისათვის თავის არიდებას იყო მიჩვეული, მაგრამ

ამ შემთხვევაში, არმიისათვის სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინა, მან გადაწყვიტა ისევ გადაელახა თოვლიანი მწვერვალი, გაეკვლია გზა სამხრეთით, მდინარე რეინის ველისაკენ და შეერთებოდა იქ რუსეთ-ავსტრიელთა ნარჩენებს. ეს ერთადერთი გამოსავალი სხვა სარდალს ალბათ აზრადაც არ მოუვიდოდა, რადგან იგი ისეთ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რომ სენ-გოტარდი და როსშტოკი მასთან შედარებით გართობად მოჩანდა. სუვოროვს კი იმედი ჰქონდა, რომ მისი გოლიათები ამ მწვერვალსაც გადაივლიდნენ.

24 სექტემბერს ღამით გავიდნენ რუსები გლარისიდან. ბაგრატიონი, რომელიც აქამდე შეტევით ოპერაციებში ყოველთვის ავანგარდში იყო და პირველი არღვევდა მტრის რკალს, სუვოროვმა ახლა არიერგარდში დატოვა, რადგან შერცხვენილი მასენა დაედევნა სუვოროვს და მის დატყვევებას ლამობდა. მამაცმა ბაგრატიონმა უმძიმესი ბრძოლები გადაიტანა, არა ერთგზის გადავიდა კონტრიერიშზე და ფრანგები დაამარცხა. ბაგრატიონმა ბრწყინვალედ შეასრულა ამოცანა. ფრანგებმა ვერ გაარღვიეს მისი პოზიცია. სუვოროვი ძირითადი ძალებით პანიკის ბილიკებს შეუდგა.

მაგრამ ბილიკები მალე თოვლმა დაფარა და სუვოროვის არმიის წინაშე თითქმის ვერტიკალური, ყინვისა და თოვლისაგან გალიპული მწვერვალი წამოიჭიმა. რა უნდა ყოფილიყო რუსი ჯარისკაცისათვის საშიში სენ-გოტარდისა და როსშტოკის შემდეგ? ისინი მხნედ შეუდგნენ გზას.

ციებ-ცხელებისაგან დაუძლურებულ სუვოროვის სხეულს მისი დაუდეგარი სული ავიწყებდა ტკივილებს, დაღლას და ზევით-ზევით ეწეოდა. მწვერვალზე არტილერიისა და სხვა რაიმე მძიმე საჭურვლის ატანა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა და ისინი გადაყარეს. ხან ნაბიჯით, ხან ცოცვით მიჰყვებოდნენ მაღლობს მეომრები. ბევრი იჩეხებოდა უფსკრულში. „ნესტიანი, ხშირი ნისლი გვეხვია გარს, წვიმისა და თოვლის წვეთები გვირტყამდა სახეში, ძლიერი ქარი ფეხებს გვიშლიდა“, — იგონებს ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე. ალმართი დაძლეულ იქნა. სუვოროველები პანიკის მწვერვალზე ავიდნენ. მაგრამ როგორღა შეიძლებოდა ქვევით ჩასვლა, როცა დაქანებულ და თოვლითა და ყინვით გარანდულ დაღმართზე ერთი ბუჩქიც კი არ ჩანდა ხელმოსაკიდი. რამდენიმე მამაცი დაექანა ამ მოლიპულ გზაზე და უფსკრულში შთაინთქა, მაგ-

რამ სად იყო ფიქრისა და ლოდინის დრო! ჯარისკაცთა მასა ჯდომით დაეშვა დაბლობისაკენ. რუსი ჯარისკაცის გამჭრიახმა გონებამ აქაც იპოვა გამოსავალი. თითქოს ციგებზე ისხდნენო, შურდულივით მიექანებოდნენ ისინი ქვევით. ბევრი იღუპებოდა, მაგრამ უმრავლესობამ მშვიდობიანად დააღწია თავი განსაცდელს.

26 სექტემბერს სუვოროვის არმია, რომელიც ახლა 15 ათასი მეომრისაგან შედგებოდა, ქალაქ ილანცში შევიდა. აქ დათბენ გათოშილი ჯარისკაცები და ამდენი ხნის ნაშიმშილარებმა პირველად ჭამეს ცხელი სადილი. დასვენების შემდეგ ისინი ისევ გზას გაუდგნენ. გაჭირვება თითქოს გადაავიწყდათ, გამოცოცხლდნენ. გაისმა ჯარისკაცული სიმღერები. ეს ჩამოფლეთილი, წვერებმოშვებული, სახედანაოჭებული ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებმაც ზღაპრული სიძნელენი გადალახეს, ნამდვილი დევგმირები იყვნენ. სუვოროვი ამაყობდა ამ ადამიანებით. ეს ადამიანები ამაყობდნენ სუვოროვით. რუსეთის შვილებმა სამარადისოდ დაიდგეს უკვნობი დაფნის გვირგვინი.

იტალიასა და შვეიცარიაში სუვოროვის ლაშქრობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა რუსეთის არმიის უპირატესობა დასავლეთ ევროპის არმიების წინაშე. დაამტკიცა, რომ რუსეთის ნაციონალური სამხედრო ხელოვნება გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე ევროპაში მაშინ პირველხარისხოვანი არმიის — საფრანგეთის არმიის ხელოვნება. სუვოროვმა აჯობა დასავლეთში სახელგანთქმულ გენერლებს — მაკდონალდსა და ჟუბერს, მოროსა და მასენას და ლაშქრობის ყველაზე უმძიმეს პირობებში მოიგო 12 ბრძოლა.

შვეიცარიის ლაშქრობით სუვოროვმა სიახლე შეიტანა მაღალმთიან პირობებში ბრძოლის ხელოვნებაში. დაამტკიცა ამ პირობებში მთავარი ძალებით არა მარტო თავდაცვითი, არამედ შეტევითი ბრძოლის ჩატარების შესაძლებლობა; მან ამ ლაშქრობით მსოფლიოს წინაშე ერთხელ კიდევ ცხადჰყო რუსეთის არმიის მაღალი მორალური სულისკვეთება, ამტანიანობა, მამაცობა და გაწვრთნილება. ენგელსი სუვოროვის ამ ლაშქრობას ყველაზე სახელოვან ალპების ლაშქრობას უწოდებდა.

* * *

მაშინაც კი, როცა სიცხიანი მოხუცი როსშტოკის მწვერვალზე მიუძღოდა თავის გოლიათებს, იგი ფრანგების წინააღმდეგ ახალი ოპერაციის გეგმებს ამუშავებდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებ-

ში ავსტრიელთა არა ერთგზის ღალატმა მას სამუდამოდ გული გაუტეხა. ბოდენის ტბასთან, სადაც შვეიცარიის ლაშქრობის შემდეგ სუვოროვი დაბანაკდა, მასსა და ავსტრიის გოფკრიგსტრატს შორის საბოლოოდ ჩატყდა ხიდი.

ავსტრიის სამეფო კარის არაკეთილსინდისიერმა მოქმედებამ აღშფოთება გამოიწვია პეტერბურგში. პავლეც კი დარწმუნდა, რომ არც ინგლისი, არც ავსტრია ოდნავადაც თავს არ იწუხებდნენ სამოკავშირო ვალდებულებათა შესრულებისათვის. ცბიერი ალბიონი რუსეთისაგან ფარულად აკეთებდა თავის საქმეებს ხმელთაშუა ზღვაში, გაბსბურგები კი საიდუმლოდ აწარმოებდნენ მოლაპარაკებას საფრანგეთთან სეპარატული ზავის შესახებ. პავლეს აღარც საფრანგეთის რესპუბლიკა ეჩვენებოდა რუსეთისათვის მომაკვდინებელ საფრთხედ, რადგან ნაპოლეონის სახით იგი ხედავდა ადამიანს, რომელიც ადრე თუ გვიან თვით საფრანგეთის ძალებით გაუსწორებდა ანგარიშს რესპუბლიკას. და რუსეთის საიმპერატორო კარმა 1800 წელს 180 გრადუსით შეაბრუნა საგარეო პოლიტიკის კურსი. იგი ახლა ნაპოლეონს დაუმეგობრდა და კაზაკებს ბრძანება მისცა დაეწყოთ ლაშქრობა ინგლისის წინააღმდეგ ინდოეთისაკენ.

ამის შემდეგ სუვოროვის ავსტრიაში ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა. ბოჰემიაში მან პავლეს დეპეშა მიიღო: „მდგომარეობა მოითხოვს რუსეთის არმიის დაბრუნებას თავის საზღვრებში... დაუყოვნებლივ გამოემგზავრეთ შინისაკენ“.

გენიოსი მხედართმთავარი სამშობლოსაკენ გამოეშურა. ახლა იგი დიდების ზენიტში იყო. არა მარტო რუსეთში, არამედ მთელს ევროპაში ლაპარაკობდნენ მისი სწორუპოვარი მხედართმთავრული ტალანტის შესახებ. ყოველი მხრიდან მოსდიოდა მილოცვანი და ძვირფასი საჩუქრები. გენერალისიმუსის წოდებით დააჯილდოვა იგი პავლე პირველმა. პეტერბურგში უმზადებდნენ საზეიმო შეხვედრას. მოხუცი სუვოროვისათვის უკვე მძლავრად დაერია ხელი ავადმყოფობას, მაგრამ იგი მაინც მხნეობდა, უხაროდა, რომ თვით ურწმუნო და ჯიუტმა იმპერატორმაც კი მოიხარა ქედი მის წინაშე.

მაგრამ პავლეს ხასიათის უეცარმა ცვლილებამ საბოლოოდ მოშხამა სუვოროვის სიცოცხლე. იმპერატორმა სუვოროვს საყვედური გამოუცხადა მთელი არმიის წინაშე — ლაშქრობის პერიოდში სამხედრო წესდების დარღვევისათვის (რაც თურმე იმაში გამოიხატე-

ბოდა, რომ მას თან ჰყავდა ძველი ჩვეულების თანახმად უცვლელი მორიგე გენერალი). პავლემ ესეც არ აკმარა და ალბათ იმის შიშით, რომ გენერალისიმუსის დიდება მის დიდებას დაჩრდილავდა, აკრძალა მისთვის საზეიმო შეხვედრა პეტერბურგში.

1800 წლის 23 აპრილს სუვოროვი ჩავიდა პეტერბურგში. ქალაქი მას ყრუდ შეხვდა და შეურაცხყოფილმა, შერისხულმა გენერალისიმუსმა თავის ნათესავს ხვოსტოვს მიაკითხა. აქ იგი ლოგინად ჩავარდა. დღითი დღე უარესდებოდა მისი მდგომარეობა. შერისხული მხედართმთავრის ნახვა ყველას აეკრძალა. სუვოროვის გოლიათური სული მარტოდმარტო ებრძოდა სიკვდილის აჩრდილს. მას იმდენი ნებისყოფა ჰქონდა, რომ თურქული ენის შესწავლას მიჰყო ხელი, მაგრამ დაუძლურებულმა სხეულმა ბოლოს უღალატა: გაეხსნა ძველი შეხორცებული ჭრილობები, წაერთვა მეხსიერება, უკანასკნელი მისი აშოძახილი ისევ საბრძოლო მოწოდება იყო.

— გენუა... ბრძოლა... წინ...

1800 წლის 6 მაისს სუვოროვი გარდაიცვალა. იგი დაასაფლავეს პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში. „აქ წევს სუვოროვი“—ეს სამი, მაგრამ მრავლისმთქმელი სიტყვა ამშვენებს უკვდავი მხედართმთავრის განსასვენებელს.

* *

ბევრი შურიანი თანამედროვე სუვოროვის წარმატებას შემთხვევითობას, სარდლის ბედნიერ ბედ-იღბალს მიაწერდა. ამ ყალბ შეხედულებას განსაკუთრებული დაჟინებით ავრცელებდნენ უცხოეთში, ცხადია, იმ მიზნით, რომ წაეშალათ გენიოსი მხედართმთავრის დიდება და სახელი.

სინამდვილეში საქმე სწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს. თანამედროვეთაგან მას ყველაზე უკეთ შეეძლო წინასწარი, შეუპოვარი შრომით შეეზადებინა თითოეული ოპერაცია. მას წყალობდა არა ბედი, არამედ ბრწყინვალე მხედართმთავრული გენია; მისი ყოველი გამარჯვება სუვოროვის სისტემის, რუსული ნაციონალური სამხედრო სისტემის გამარჯვებასა და ტრიუმფს მოასწავებდა.

სუვოროვის სამხედრო შემოქმედება რუსული კულტურის საგანძურის ძვირფასი საუნჯეა. იგი ღრმად ნაციონალურია. მისი ფესვები რუსი ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობს. სუვოროვმა შესანიშნავად ამოიცნო თავის ხალხში დაგროვილი უშრეტი მხედ-

რული შესაძლებლობანი და იგი ერთ მთლიან სისტემად, „გამარჯვების მეცნიერებად“ ჩამოძერწა. სუვოროვის პიროვნებაში ჰარმონიულად იყო შერწყმული ღრმად განათლებული გონება და მხედრული ტალანტი, უტეხი ნებისყოფა და მასების აღზრდის უნარი. იგი ფლობდა ჯარისკაცებზე მაგიური ზემოქმედების ხელოვნებას.

როდესაც სუვოროვი მხედართმთავრულ ასპარეზზე გამოვიდა, ევროპაში მაშინ კორდონული, სახაზო სისტემა იყო გაბატონებული. ეს სისტემა ყველაზე უფრო სრულყოფილი სახით წარმოდგენილი იყო პრუსიის არმიაში. ამ სისტემის მანკიერება სუვოროვისათვის ცხადი შეიქნა ჯერ კიდევ 7 წლიან ომში. ახალგაზრდა ოფიცერმა აქედანვე დაიწყო ბრძოლა ამ სისტემის წინააღმდეგ, დაუპირისპირა რა მას რუსული სისტემა, რომლის კონტურები ჯერ კიდევ პეტრე პირველის მიერ იყო მოხაზული. საბოლოოდ სუვოროვმა მიაღწია ძველი სისტემის მსხვრევას. მისმა ნოვატორულმა მოღვაწეობამ უზრუნველჰყო რუსული სამხედრო ხელოვნების მთელი ეტაპით ამაღლება ევროპულ სამხედრო ხელოვნებასთან შედარებით. სუვოროვის ღონისძიებათა შედეგად XVIII საუკუნეში რუსეთის სამხედრო ხელოვნება მსოფლიო სამხედრო ხელოვნების წამყვან ძალად იქცა.

სუვოროვმა უკუაგდო სახაზო ტაქტიკა, რომელიც კორდონულ სისტემასთან იყო დაკავშირებული, მან მოახერხა სახაზო წყობის შეხამება ღრმა კოლონურ წყობასთან. ეს იყო ახალი სიტყვა სამხედრო მეცნიერებაში, რომელმაც შემდგომი განვითარება ნაპოლეონის ტაქტიკაში ჰპოვა და, რატომღაც ამ სიახლეს უცხოეთში ნაპოლეონისეულად თვლიან.

სუვოროვს სამხედრო მეცნიერებაში არ სწამდა მარადიული, ურყევი პრინციპები. იგი რეალურ პირობებთან შესაბამისად ყოველთვის ახერხებდა მოენახა ამოცანის ახლებური, ორიგინალური გადაწყვეტა. იგი არასოდეს შაბლონით არ მოქმედებდა, არამედ მოწინააღმდეგისა და საკუთარი ძალების კონკრეტულ შესაძლებლობათა ღრმა ანალიზის მიხედვით. სწორედ ამაში მდგომარეობდა მისი სისტემის სიღრმე, ორიგინალობა და ძლიერება.

სუვოროვს არასოდეს არ აშინებდა მოწინააღმდეგის ჭარბი ძალები. მის ანალიტიკურ გონებას შეეძლო მოწინააღმდეგის განლაგებასა და განზრახვებში აღმოეჩინა ყველაზე სუსტი ადგილი და სწორედ იქ მიეტანა გადამწყვეტი იერიში.

„ომობენ არა რიცხვით, არამედ უნარით," — სუვოროვის ამ საყვარელ გამოთქმაში ჩაქსოვილი იყო მისი სამხედრო ხელოვნების თავისებურება.

სუვოროვის სტრატეგიას საფუძვლად ედო შეტევითი ბრძოლა. მისი აზრით, მხოლოდ შეტევით ოპერაციას შეუძლია დაამთაროს მტერზე გამარჯვება. ცხადია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს სუვოროვი ყოველთვის და ყოველგვარ ვითარებაში შეტევას მოითხოვდა. ზოგჯერ სუვოროვი იძულებული ხდებოდა თავდაცვითი ტაქტიკისათვის მიემართა, მაგრამ საგულისხმოა, რომ მისი თავდაცვა არასოდეს არ ატარებდა პასიურ ხასიათს. მისი თავდაცვა მხოლოდ მოსამზადებელი პერიოდი იყო კონტრშეტევისათვის.

სუვოროვი ხანგრძლივ შეუპოვარ შრომაში ჰქმნიდა თავის სისტემას და მის სიმტკიცეს საბრძოლო ოპერაციებში სცდიდა. ჯერ კიდევ სუზდალის პოლკის მეთაურობის დროს შეიმუშავა მან ის მთავარი პრინციპები, რომლებმაც განვითარება და სრულყოფა მის უკვდავ „გამარჯვების მეცნიერებაში" ჰპოვეს.

„გამარჯვების მეცნიერებაში", რომელიც სუვოროვისათვის დამახასიათებელი ლაკონური სტილით არის დაწერილი, მოკლედ, სხარტად, ინსტრუქციის სახით გადმოცემულია მისი ძირითადი პრინციპები. ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა თითქმის ზეპირად იცოდნენ ეს ინსტრუქცია. ბევრი ფრაზა აფორიზმად იქცა. „გამარჯვების მეცნიერებაში" სუვოროვი ასე ახასიათებს სამხედრო სისტემის სამ ძირითად ელემენტს.

პირველია თ ვ ა ლ ზ ო მ ა: რა ადგილი უნდა დაიკავო ბანაკში, როგორ განახორციელო მარში, სად გადახვიდე იერიშზე, სად მისდიო და ურტყა მოწინააღმდეგეს. კარგად უნდა იცნობდე ადგილმდებარეობას, მტრის ძალებსა და სამოქმედო გეგმებს.

მეორეა ს ი ს წ რ ა ფ ე: მტერი არ უნდა მოგელოდეს. როცა მტერს შენ ორასი, სამასი კილომეტრის დაცილებით ეგულები, სწორედ მაშინ უნდა დააცხრე თავს. მტერს მოულოდნელობისაგან თავგზა აებნევა, შენ კი ჩაები შეუსვენებლივ ბრძოლაში. დაიწყე ცხენოსანო! ჩეხე, ჩხვლიტე, სდიე, გზა მოუჭერი, არ გაუშვა, ვაშა!— დევგმირები სასწაულებს ახდენენ!

მესამეა ი ე რ ი შ ი: ფეხი ფეხს შველის, ხელი ხელს. სროლაში ბევრი იღუპება. მოწინააღმდეგესაც ხელები აქვს, მაგრამ იგი რუსულ ხიშტს არ იცნობს. გაშალე ხაზი და დაუყოვნებლივ შეუტიე

მტერს ცივი იარაღით. ქვეითები—ხიშტით ჩხვლეტაზე. იქვეა ცხენოსნებიც. ჩვეულებრივად ცხენოსნები პირველნი გადადიან ჩეხვაზე, მას ქვეითები მისდევენ, მაგრამ მწყობრი ყველგან უნდა დაიცვა. ორ მწკრივს ძალა აქვს, სამს ძალა-ნახევარი; წინა მწკრივი გლეჯს, მეორე უკუაქცევს, მესამე ოპერაციას ამთავრებს.“

ამრიგად, სუვოროვის თვალზომა — ეს არის გამარჯვების უჯრუნველსაყოფად ყველა საჭირო პირობების ზუსტად ცოდნა, სისწრაფე — დროის მაქსიმალური გამოყენება და მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელი დარტყმა, იერიში — მოწინააღმდეგის განადგურება ბრძოლის ველზე და მისი დევნა დანებებამდე.

სუვოროვი იყო შესანიშნავი სამხედრო პედაგოგი. ჯარისკაცთა აღზრდას იგი ისეთივე სერიოზულობით ეკიდებოდა, როგორითაც საბრძოლო ოპერაციას, სუვოროვი საერთოდ დაუძინებელი მტერი იყო ყოველგვარი უცოდინარობისა. „გამარჯვების მეცნიერებაში“ იგი მიუთითებდა: „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე. საქმეს ოსტატისა ეშინია. თუ გლეხმა სახნისის ხმარება არ იცის, პურს ვერ მოიყვანს. ერთ ნასწავლში სამ უსწავლელს იძლევიან. ჩვენთვის სამი ცოტაა, მოგვეცით ექვსი, ექვსიც ცოტაა, მოგვეცით ათი ერთზე: ყველას დავამარცხებთ; წავაქცევთ, ტყვედ წავიყვანთ. უკანასკნელ კამპანიაში მოწინააღმდეგემ 75 ათასი მაინც დაკარგა, თუ ასი ათასი არა. იგი უნარიანად და შეუპოვრად იბრძოდა, მაგრამ ჩვენ სრული ერთი ათასიც არ დაგვიკარგავს. აი, ძმებო, რას ნიშნავს სამხედრო სწავლება. ბატონო ოფიცრებო! რა სასიხარულოა“.

სუვოროვმა არ იცოდა რა არის დაღლა. მის სუსტ სხეულში დაგროვილი იყო ენერგიის გამოულევი მარაგი.

„ჭეშმარიტად, არ შემიძლია ჩავაქრო ჩემს სულში დანთებული ხანძარი,“ — თქვა ერთხელ სუვოროვმა. ეს იყო გულწრფელი აღიარება. მის სხეულში მუდამ ენთო მოქმედების ცეცხლ ი.ი.გი იწოდა საქმისათვის. იგი ყველგან, ყველა მდგომარეობაში პოულობდა სამუშაოს. მას ჰქონდა საქმისადმი თავდავიწყებამდე გატაცების უნარი. გატაცებით ზრდიდა ჯარისკაცს, გატაცებით მიუძღოდა ბრძოლის ველზე, ასევე გატაცებით წერდა თავის ტრაქტატებს.

სუვოროვი პირველ რიგში ცდილობდა თითოეულ ჯარისკაცში აღეზარდა მამაცობის, ამტანიანობის, ვითარებაში სწრაფი გარკვევის, ინიციატივის გამოჩენის უნარი და ჩვევები. ამ ჩვევების-

გამომუშავებაში მეომრებს იგი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა. სუვოროვი ოფიცრებისაგან მოითხოვდა ყოფილიყვნენ სანიმუშონი, რომ ჯარისკაცებს ყველაფერში მათთვის მიებაძათ. „ასწავლე თვალსაჩინოებით და არა თხრობით“,—ავალებდა იგი მეთაურებს.

სუვოროვს განსაკუთრებით უყვარდა მოხერხებული, გაბედული ჯარისკაცები. იგი ვერ იტანდა „არვიციობას“. იმავე „გამარჯვების მეცნიერებაში“ აღნიშნავს: „დევგმირებო! მტერი კანკალებს თქვენი მამაცობის წინაშე. მაგრამ არის უფრო საშიში მტერი — წყეული არვიციობა... არვიციობისაგან ბევრი, ბევრი უბედურებაა. არვიციობისათვის ოფიცერს პატიმრობა, შტაბ-ოფიცერს უფროსი შტაბ-ოფიცრისაგან ბინაზე პატიმრობა!“

სუვოროვის ვეტერანებმა იცოდნენ, რომ მათ სახელოვან სარდალს არ უყვარდა, როცა ჯარისკაცი დადუმდებოდა ისეთ კითხვებზეც კი, რომელზედაც სწორი პასუხის გაცემა საერთოდ შეუძლებელი იყო. მაგალითად, სუვოროვი სვამს კითხვას:

— რა ნანძილია მთვარემდე?

— ჯარისკაცის ორი გადარბენა, — უპასუხებენ მას და სუვოროვი მეტისმეტად კმაყოფილია.

— რამდენი ვარსკვლავია ცაზე?

— ახლავე დავთვლი, — ამბობს ჯარისკაცი და იწყებს თვლას და ითვლის მანამ, ვიდრე სუვოროვს არ მოსწყინდება და ღიმილით არ განშორდება ჯარისკაცს.

— რა მანძილია დედაბიწასა და, აი, იმ ვარსკვლავს შორის?

— სამი სუვოროვული გადარბენა.

ხშირად შეთამაშებული ჯარისკაცი სუვოროვს ამ დროს კონტრკითხვით მიმართავდა:

— თქვენო ბრწყინვალებავ, რა ერქვა ჩემს ბაბუას?

სუვოროვი აღტაცებაში მოდიოდა ჯარისკაცთა გამჭრიახობით. „თუ ვინმე ერთი სიტყვის წარმოთქმისას დაიბნევა, როგორ გამოდგება იგი მოწინააღმდეგის მოულოდნელი იერიშის დროს,“ — ამბობდა სუვოროვი და მისი დევგმირები მართლაც არასოდეს, არავითარ გაჭირვებაში არ იბნეოდნენ.

სუვოროვი ჯარისკაცებში ნერგავდა მტკიცე დისციპლინას. იგი დამნაშავეთა მიმართ სასტიკი იყო. და რაც უფრო მაღალი ჩინისა იყო მეომარი, მით მკაცრი იყო მისი სასჯელი დანაშაულისათვის. მაგრამ მისი სიმკაცრე არასოდეს არ ამცირებდა მისადმი

სიყვარულსა და პატივისცემას. ჯარისკაცებმაც და ოფიცრებმაც იცოდნენ, რომ თუ სუვოროვი დასჯის, ის სამართლიანი სასჯელია. ამასთანავე დასჯის დროს სუვოროვი არასოდეს არ ამცირებდა ხელქვეითის ადამიანურ ღირსებას.

სუვოროვი უდიდეს მზრუნველობას იჩენდა ჯარისკაცებისადმი. ჯარისკაცის კვება, ჩაცმა მას პირველხარისხოვან საქმედ მიაჩნდა. ყოველი ლაშქრობის წინ იგი ინტენდანტის ოფიცრებს ბრძანებას აძლევდა უზრუნველეყოთ არმია საჭირო პროდუქტებითა და ტანსაცმლით. უყურადღებობის შემთხვევაში დამნაშავე სანიმუშოდ ისჯებოდა. სუვოროვი ხშირად მიდიოდა ჯარისკაცულ სამზარეულოსთან, ჩაჯდებოდა ჯარისკაცთა შორის, საუბრობდა, ოხუნჯობდა, გამოჰკითხავდა მათ ყოფაცხოვრებით ამბებს. ჯარისკაცი მას მთელი არსებით უყვარდა. — ჯარისკაცი ჩემთვის საკუთარ თავზე უფრო ძვირფასია, — ამბობდა იგი და ამ სიტყვებს ხელქვეითებისადმი ყოველდღიური მამობრივი მზრუნველობით ამართლებდა. „გამარჯვების მეცნიერებაში“ იგი ოფიცრებს ავალებდა: „ჯარისკაცი ძვირფასია, გაუფრთხილდი მის ჯანმრთელობას“... სუვოროვს შემუშავებული ჰქონდა ოფიცერთა და ჯარისკაცთა ჯანმრთელობის განმტკიცების სისტემა და მას შეუპოვრად ანხორციელებდა. შედეგებიც საუკეთესო იყო. მის პოლკებში ავადმყოფობა და სიკვდილიანობა მინიმუმამდე შემცირდა.

სუვოროვს შესანიშნავად ესმოდა მის მიერ შემუშავებული სისტემის მნიშვნელობა მშობლიური ქვეყნის არმიის ძლიერებისათვის და ამბობდა: „შთამომავლობას ვთხოვ ჩემი მაგალითი გადაიღოს“. იგი თვით ზრდიდა სახელოვან მემკვიდრეებს, რომლებსაც სუვოროვული სისტემისათვის ფრთები უნდა შეესხათ და შემდგომში განევითარებინათ. ეს ადამიანები იყვნენ: კუტუზოვი, ბაგრატიონი, კულნევი, მილორადოვიჩი, პლატოვი, რაევსკი და სხვები. ეს არწივები მის ბუდეში დაიზარდნენ, მათ ახალი უჭკნობი დიდებით შეამოსეს რუსეთის იარაღი.

სუვოროვი თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი იყო. მას უსაზღვროდ უყვარდა მშობლიური რუსეთი, მისი კეთილდღეობა საწინდარი იყო იმ თავგანწირული შრომისა და ბრძოლისა, რომელსაც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა. სუვოროვს სძულდა სასახლის ის ხროვა, რომლის გარეგნულ ბრწყინვალებაში იმალებოდა უმეცრება, რუტინა, პირადობა; მას თავდავიწყებამდე

უყვარდა ის უბრალო ადამიანები — ჯარისკაცები, რომლებიც თავიანთი სისხლით წერდნენ სამშობლოს დიდებას. 1771 წელს პოლონეთიდან ბიბიკოვისადმი მიწერილ წერილში სუვოროვი აღნიშნავდა: „მე მხოლოდ ჩემი სამშობლოს სიკეთისათვის ვისწრაფოდი, როცა არავითარ ზიანს არ ვაყენებდი იმ ხალხს, ვისთანაც ვიმყოფებოდი (სუვოროვის მეტისმეტი გულისხმიერება პოლონელებისადმი ცარიზმის მოხელეებს არ მოსწონდათ და მას კიცხავდნენ კიდეც). სიკეთე თითოეული პატიოსანი ადამიანის კუთვნილებაა. ჩემს კეთილ სახელს მხოლოდ სამშობლოს დიდებას ვუწინდრებდი. ყველა ჩემი გამარჯვება მის კეთილდღეობას განეკუთვნება... მე ვივიწყებდი საკუთარ თავს იქ, სადაც უნდა მეზრუნა საერთო სარგებლობისათვის“.

„— ჩვენ რუსები ვართ, ჩვენ ყველა დაბრკოლებას დავძლევთ,“ — სიამაყით ეუბნებოდა იგი თავის დევგმირებს შვეიცარიის უმძიმესი ლაშქრობის დროს. ხოლო ამ ლაშქრობის წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი ამბობდა: „რუსეთის არწივებმა გაუსწრეს რომის არწივებს!“

* * *

საინტერესოა თვით სუვოროვის პიროვნება. შესახედაობით იგი არ იყო მიმზიდველი. დაბალი, ხმელი, ოდნავ მოხრილი, სუვოროვი ყურადღებას იპყრობდა არა თავისი გარეგნობით, არამედ საქმით.

სუვოროვი მრავალი ორიგინალური თვისებით იყო დაჯილდოებული. მაშინდელი დიდკაცობის ჩვეულების წინააღმდეგ, მას საშინლად ეჯავრებოდა განცხრომით ცხოვრება, თავდავიწყებითი გართობანი. იგი არ ესწრებოდა ბალ-მასკარადებს, ვერ ეგუებოდა სასახლის ეტიკეტს და ნამდვილ შვებას გრძნობდა ბანაკად, თავის საყვარელ ჯარისკაცთა შორის.

„შრომისმოყვარე სული ყოველთვის თავის საქმეშია გართული,“ — ამბობდა ხოლმე იგი.

სუვოროვი ბუნებით მეტისმეტად გულწრფელი და კეთილი იყო. ბრძოლაში დაუნდობელსა და შეუპოვარს, ყოველდღიურ ცხოვრებაში სიკეთის ჩადენა ჩვეულებად ჰქონდა. იგი ეხმარებოდა ღა-

რიბებს. კონჩანსკოეში თავის ხარჯზე ინახავდა ინვალიდთა მთელ ჯგუფს.

„მე სისხლის მდინარე დამიღვრია და ამის გახსენებაზე სასოწარკვეთა მიპყრობს. მაგრამ მე მიყვარს ჩემი ახლობელნი და არავინ არ გამიხდია უბედური, ხელი არ მომიწერია არც ერთი სასიკვდილო განაჩენისათვის, არ გამიჟყლეტია ერთი მუმლიც კი.“

სუვოროვი სხარტი გამოთქმების, გადაკრული, ეზოპესებური პასუხის ოსტატი იყო. ძისი „ახირებულობა“ სასახლეში ბევრ მოხელეს და თვით ეკატერინესაც კი სიცოცხლეს უმწარებდა.

1787 წელს კრემენჩუგში ეკატერინე დაესწრო სუვოროვის დივიზიის მანევრებს და აღტაცებული დარჩა. იგი თავისი მოგზაურობის დროს უხვად არიგებდა საჩუქრებს და სუვოროვიც სურდა დაეჯილდოებინა, მაგრამ სუვოროვის უკმეხმა, ეზოპესებურმა პასუხმა ენა წააკვნეტინა დედოფალს.

— მიეცი მათ, ვინც გთხოვს, ასეთი მათხოვარი ალბათ ისედაც ბევრი გყავთ... დედოფალო, უბრძანებინის ქირა მისცენ ჩემი სახლის პატრონს, იგი მოსვენებას არ მაძლევს.

— განა ბევრია? — გაკვირვებით შეეკითხა დედოფალი.

— ბევრია, დედოფალო, სულ სამნახევარი,—უპასუხა სუვოროვმა სერიოზული კილოთი.

სუვოროვი იყო თავისი დროის უაღრესად განათლებული პიროვნება. იგი ფლობდა მრავალ უცხო ენას. იცოდა მათემატიკა, ისტორია, ფილოსოფია, გეოგრაფია. განსაკუთრებით უყვარდა მხატვრული ლიტერატურა. მისი თანამედროვე ერთ-ერთი ფრანგი შენიშნავს: „სუვოროვი ღრმა ცოდნას იჩენდა მეცნიერებასა და ლიტერატურაში. მას უყვარდა ლაპარაკი თავის ნაკითხობაზე, მაგრამ მხოლოდ იმათ წინაშე, ვისშიც იგი ხედავდა მისი ცოდნის შეფასების უნარს. მან ზუსტად იცოდა ყველა ევროპული ციხე-სიმაგრე, მათი ნაგებობის ყველა წვრილმანი, ახსოვდა ყველა პოზიცია და ადგილი, სადაც კი ცნობილი ბრძოლები მომხდარა.“

განათლებული, დაუღალავი, დიდი ტალანტითა და ამოუწურავი ენერგიით დაჯილდოებული ადამიანი ბევრ თანამედროვეს უცნაურად ეჩვენებოდა. სუვოროვზე დადიოდა ბევრი მწარე ანეგდოტი. ზოგი გახგებ ცდილობდა მისი სახელისა და დიდების დამცირებას, მაგრამ ამაოდ. საუკუნეებმა ეს სახელი წმინდად, სათუთად, ნათლად შემოინახეს.

სუვოროვი მთელი თავით მაღლა იდგა თანამედროვეობაზე. მისი სახელი ბრწყინავს ლომონოსოვისა და დერჟავინის სახელების გვერდით. იგი იყო ჰეშმარიტი შემოქმედი, რომელსაც სძულდა ყოველივე ძველი და დამყაყებული და რომელსაც შეეძლო დაემსხვრია იგი.

სუვოროვის ტრადიციები, ცარიზმისა და რეაქციული გენერალიტეტის წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთის არმიას მტკიცედ შერჩა. სუვოროვის მიერ რუს ჯარისკაცებში დანერგილი ჩვევები თავის ბრწყინვალე შედეგებს ავლენდნენ ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში და სევასტოპოლის გმირულ დაცვაში, ბალკანეთის მთებზე ლაშქრობასა და შიპკას უღელტეხილის დაცვაში.

სუვოროვის სახელს წმინდად ინახავს საბჭოთა ხალხი. მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში გახდა შესაძლებელი სუვოროვის მხედართმთავრული ღვაწლის ჰეშმარიტი დაფასება. საბჭოთა არმია სუვოროვის ტრადიციების კანონიერი მემკვიდრეა. სუვოროვის „გამარჯვების მეცნიერების“ ძირითადი დებულებები 1918 წელს შეტანილ იქნა წითელარმიელის პირველ სასამსახურო წიგნაკში. საბჭოთა არმიის მეომრები სუვოროვის დევგმირთა სახელოვანი შთამომავალნი არიან. სუვოროვის მხედართმთავრული ხელოვნება უძლეველი საბჭოთა სამხედრო მეცნიერების შენაკადია. საბჭოთა სამხედრო ხელოვნებამ — მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, უძლეველმა სამხედრო ხელოვნებამ, მარქსისტულ-ლენინურ ყაიდაზე გადაამუშავა და შეისისხლხორცა რუსული ტრადიციები. დიდი სტალინის გენიამ ეს ტრადიციები გაამდიდრა და განავითარა, ახალ საფეხურზე აიყვანა და სრულჰყო იგი ყოველმხრივ. დიდმა სტალინმა შექმნა ახალი გამარჯვების მეცნიერება, რომლის სიზუსტე და უპირატესობა, ძალა და უძლეველობა თვალნათლივ დადასტურდა დიდ სამამულო ომში ფაშისტი და იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ. სტალინური სამხედრო ხელოვნება მსოფლიოს განთავისუფლებას ემსახურება, იგი იბრძვის იმისათვის, რომ არასოდეს ომი არ იქნეს.



მიხეილ კუტუზოვი

1745–1813

„მე შემეძლო მეამაყა იმით, რომ პირველად ნაპოლეონი ჩემგან გარბის, მაგრამ ამაყს ღმერთი სჯის“,—სწერდა კუტუზოვი თავის მეუღლეს, როცა ნაპოლეონის „უძლეველ არმიას“ დასავლეთისაკენ მიერეკებოდა.

გენიოსი მხედართმთავარი არასოდეს არ ლაპარაკობდა თავის დამსახურებაზე. იგი, მაგალითად, მადლობას უხდიდა კალუგელებს ერთ-ერთი გულთბილი წერილისათვის და იქვე დასძენდა: „მე ბედნიერი ვარ რუსებს რომ ვწინამძღოლობ, მაგრამ რომელ მხედართმთავარს არ დაუმარცხებია მტერი ჩემს მსგავსად, ესოდენ მამაცი ხალხით.“

ხალხმა ყველაზე უკეთ შესძლო კუტუზოვის დამსახურების დაფასება. რუსეთის არმია და მთელი მოსახლეობა სწორედ კუტუზოვისაგან ელოდა ნაპოლეონის დამარცხებას. ხალხმა სამართლიანად შეარქვა კუტუზოვს რუსეთის მსხნელის სახელი. დიდი მხედართმთავრის უდიდესი ღვაწლი სამშობლოს წინაშე გენიალურადაა შეფასებული ალექსანდრე პუშკინის სიტყვებში:

„В твоем гробу восторг живет!
Он русский глас нам издает;
Он нам твердит о той године,
Когда народный веры глас
Возвал святой твоей седине:
„Иди, спасай“. Ты встал и спас“.

(„მხედართმთავრის აჩრდილთან“)

* * *

მიხეილ ილარიონის ძე გოლენიშჩევ-კუტუზოვის ცხოვრებისა და მხედართმთავრული მოღვაწეობის პერიოდი ევროპის კონტინენტზე რთული და მრავალმხრივი პოლიტიკური მოვლენებით ხასიათდებოდა. კუტუზოვის ეპოქაში, სუვოროვის ეპოქასთან შედარებითაც კი, ომების მასშტაბი იმდენად გაიზარდა და გაფართოვდა, რომ მხედართმთავრისაგან იგი მოითხოვდა არა მარტო ურთულესი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის უნარს, არამედ პოლიტიკური მოვლენების სწორი ანალიზისა და დიპლომატურ ინტრიგებში გარკვევის უნარსაც. კუტუზოვი თავისი ეპოქის მოთხოვნათა სიმაღლეზე იდგა. მასში შერწყმული იყო მხედართმთავრის, პოლიტიკოსისა და დიპლომატის ბრწყინვალე ტალანტი.

მიხეილ კუტუზოვი დაიბადა 1745 წ. 5 (18) სექტემბერს პეტერბურგში. მან წარმატებით დაასრულა პეტერბურგის საინჟინრო-საარტილერიო სკოლა და უკვე 16 წლისამ დაიწყო სამწყობრო სამსახური პრაპორშჩიკის ხარისხით.

მიხეილ კუტუზოვის სამხედრო სამსახურის პირველი წლები სუვოროვის დიდების ხანას ეკუთვნის. კუტუზოვის მასწავლებელი, ხელმძღვანელი, მეგობარი იყო გენიალური რუსი მხედართმთავარი სუვოროვი, რომელიც დიდად აფასებდა კუტუზოვის სიმამაცესა და მხედრულ ხელოვნებას. ჭაბუკი კუტუზოვი ხარბად დაეწაფა სუვოროვის სამხედრო სისტემას. მან შეისისხლხორცა მისი „გამარჯვების მეცნიერება“ და დარწმუნდა, რომ ამ სისტემის მთელი ძალა რუს ჯარისკაცშია, რომელსაც, თუ კარგად გავწვრთნით, შეუძლია ომში სასწაულების განხორციელება.

კუტუზოვის ოჯახი ახლო იყო სასახლის წრეებთან. ახალგაზრდა ოფიცერს აქ კარები გახსნილი ჰქონდა. მაგრამ იგი, ისე როგორც სუვოროვი, ვეო მოხიბლა სასახლის ბრწყინვალებამ, მისმა უდარდელმა ცხოვრებამ. კუტუზოვმა არჩია ოფიცრის მძიმე, მაგრამ მუდამ მჩქეფარე და საინტერესო საბანაკო ცხოვრება; 1764 წელს იგი მოქმედ არმიაში დაინიშნა და აქედან დაიწყო მისი საბრძოლო მოღვაწეობის, წარმატებებისა და სახელის მოხვეჭის ერცელი გზა.

პირველი საბრძოლო ნათლობა კუტუზოვმა პოლონეთში მიიღო.

გმირულად იბრძოდა იგი თავისი ასეულით მდინარე ოვრუჩთან და ვარშავის კედლებთან. აქედანვე მოიხვეჭა მან მამაცი და ნიჭიერი ოფიცრის სახელი. 1770 წელს გადაყვანილ იქნა თურქეთის წინააღმდეგ ომში დუნაის ფრონტზე, რომელსაც სახელგანთქმული რუმიანცევი ხელმძღვანელობდა. დუნაიზე კუტუზოვმა მოკლე დროში განვლო საბრძოლო გზა ასეულის მეთაურიდან კორპუსის მეთაურამდე. მონაწილეობდა თურქების წინააღმდეგ მძაფრ ბრძოლებში პრუტზე და ლარგთან, კაგულთან და პოპეშტებთან. რუმიანცევის ხელმძღვანელობით იძენდა იგი საშტაბო მუშაობის ჩვევებს. ადგენდა საბრძოლო რაიონების რუკებს, ხელმძღვანელობდა მოწინააღმდეგის ტერიტორიის დაზვერვას, თვით არჩევდა შეტევის ყველაზე მოსახერხებელ უბანს. დუნაიზე სამსახური მისთვის შესანიშნავი სკოლა იყო, მაგრამ იგი დიდხანს არ გაგრძელდა. შურიანმა ოფიცრებმა კუტუზოვის შესახებ ბოროტი ენები მიუტანეს რუმიანცევს. კუტუზოვი გადაყვანილ იქნა ყირიმში. თურქების წინააღმდეგ ბრძოლებში ნაცადმა კუტუზოვმა ყირიმის ფრონტზე ახალი წარმატებები მოიპოვა. გაბედული იერიში მიიტანა ალუშტას ციხე-სიმაგრეზე, შეიპრა შიგ, დაამარცხა მტერი და დაედევნა. აქ მან თავში მძიმე ჭრილობა მიიღო. განკურნების შემდეგ ისევ ყირიმის არმიაში დაბრუნდა და მონაწილეობდა ოჩაკოვის ალყაში, აკერმანისა და ბენდერის ციხე-სიმაგრეთა აღებაში. კუტუზოვმა ჩამოაყალიბა ბუგის ეგერთა კორპუსი და გაწვრთნა იგი „გამარჯვების მეცნიერების“ პრინციპებზე. თურქების წინააღმდეგ ერთ-ერთ ოპერაციაში უშიშარ გენერალს, რომელიც იერიშზე მიუძღოდა ჯარისკაცებს, მტრის ტყვიამ შუბლი გაუხვრიტა. ჭრილობა იმდენად მძიმე და სახიფათო აღმოჩნდა, რომ ექიმებმა კუტუზოვი განწირულად ჩათვალეს. მაგრამ იგი გადარჩა, მხოლოდ მარჯვენა თვალი დაჰკარგა.

კუტუზოვის მაღალმა მხედრულმა ოსტატობამ განსაკუთრებით იჩინა თავი იზმაილის ცნობილი იერიშის დროს. აქ კუტუზოვმა თავისი რაზმით იერიში მიიტანა კილის კარიბჭეზე და მიუხედავად თურქების გრიგალისებური ცეცხლისა, აიპრა თხრილებში, შემდეგ ბასტიონზე და ხიშტებით გაიკაფა გზა სიმაგრის ცენტრისაკენ. სუვოროვი აღფრთოვანებული იყო კუტუზოვის მოქმედებით. პოტიომკინისადმი გაგზავნილ პატაკში აღნიშნავდა: „გენერალ-მაიორმა და კავალერმა გოლენიშჩევ-კუტუზოვმა თავის ოსტატობისა

და მამაცობის ახალი მაგალითები გვიჩვენა, მტრის ძლიერ ცეცხლში გადალახა ყველა სიძნელე, სანგარზე აიპრა, ბასტიონი დაიკავა და როდესაც ჭარბმა მტერმა იგი აიძულა შეჩერებულიყო, მან ვაჟკაცობის მაგალითი გვიჩვენა, შეინარჩუნა ადგილი, დასძლია ძლიერი მოწინააღმდეგე, ციხეში გამაგრდა და შემდეგ მტრის განადგურებას განაგრძობდა". თვით კუტუზოვი იზმაილზე იერიშს გამოარჩევდა ყველა ოპერაციიდან. „საუკუნეში ვერ იხილავ ამნაირ ბრძოლას",—სწერდა იგი თავის მეუღლეს.

სახელმოხვეჭილ კუტუზოვს ახლა უფრო დიდი მასშტაბის ოპერაციების ჩატარება დააკისრეს: 1791 წლის ივნისში მან ბაბადაღთან და მაჩინთან ბრძოლებში გაანადგურა თურქთა არმიები. ამ ოპერაციებში უჩვენა სამთო პირობებში ბრძოლისა და მანევრირების მაღალი ოსტატობა. აღტაცებული რეპნინი ეკატერინე მეორეს მოახსენებდა: გენერალ კუტუზოვის სიმარჯვე და საზრიანობა ჩემ ყოველგვარ ხოტბას აღემატებაო.

კუტუზოვის მოღვაწეობის ეს პირველი პერიოდი მის ბიოგრაფიაში ასეა შეფასებული: „ჯარებში კუტუზოვის სამსახურის ოცდაათი წლის პერიოდმა, აღსავსემ თითქმის განუწყვეტელი ბრძოლებითა და ლაშქრობებით, გამოავლინა მისი, როგორც ნიჭიერი მხედართუფროსის შესანიშნავი თვისებები. კუტუზოვმა თავი გამოიჩინა, როგორც მოხერხებულმა ტაქტიკოსმა, რომელიც გამბედაობას და სიმედგრეს ახამებდა წინდახედულებასთან, საბრძოლო ვითარების გულმოდგინედ შესწავლასთან. მისმა ამ თვისებებმა, ჯარისა და სამხედრო საქმის ყველა წვრილმანის ჩინებულად ცოდნამ, საბრძოლო წრთობამ უდიდესი როლი შეასრულეს ისეთი მომწიფებული და გამობრძმედილი ხელმძღვანელის განვითარებაში, როგორადაც კუტუზოვმა შემდგომს ომებში გამოიჩინა თავი".

* * *

თურქეთთან იასის ზავის შემდეგ კუტუზოვის ცხოვრებაში დაიწყო ახალი პერიოდი—დიპლომატიური და სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურის პერიოდი. თავაზიანმა, ღრმად განათლებულმა, დინჯმა და მოპირდაპირის ფარული ზრახვების ამოცნობის უნარით დაჯილდოებულმა კუტუზოვმა დიპლომატიურ სარბიელზე დიდი წარმატებები მოიპოვა. იგი მეთაურობდა

რუსეთის დიპლომატიურ მისიას კონსტანტინეპოლში. აღმოსავლეთის სახელმწიფოთა შორის, განსაკუთრებით კონსტანტინეპოლში ელჩობა, სადაც ინასკვებოდა ევროპის ინტერესები და ყოველ მცდარ ნაბიჯს შეეძლო საერთაშორისო გართულების გამოწვევა, მკაცრი გამოცდა იყო თითოეული დიპლომატისათვის. ეს გამოცდა კუტუზოვმა ბრწყინვალედ ჩააბარა. მან მალე მოინადირა სულთანისა და მისი ვეზირების გული, რუსეთისათვის დადებითად გადაწყვიტა თურქეთთან მთელი რიგი სადაო საკითხი, ამასთანავე ღრმად შეისწავლა თურქეთის მდგომარეობა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წარსული ომით გაჩანაგებულ და შინაური ცხოვრებით აწეწილ თურქეთს ხანგრძლივი დროის განმავლობაში საგარეო ომზე ფიქრიც კი არ შეეძლო. ამ დასკვნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რუსეთის საიმპერატორო სასახლეში ბევრი ამტკიცებდა, თურქეთი მალე ისევ ომს დაიწყებსო.

კონსტანტინეპოლში კუტუზოვი 1794 წლის შემოდგომამდე დარჩა. შემდეგ იგი განაწესეს ფინეთში სახმელეთო ჯარების, ფლოტილიისა და ციხე-სიმაგრეთა მთავარსარდლის პოსტზე. მალე კუტუზოვი აზნაურთა ქვეითი კორპუსის დირექტორი გახდა. მასვე ეჭირა სხვადასხვა დროს ლიტვის გენერალ-გუბერნატორის, ხოლო შემდეგ პეტერბურგის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა. 1802 წელს კუტუზოვი ამ თანამდებობიდან ალექსანდრე პირველმა გაანთავისუფლა. განთავისუფლების საფუძველს თითქოს კუტუზოვის პირადი თხოვნა შეადგენდა, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო კუტუზოვის გადაყენება იმპერატორის მიერ, რომელსაც არ მოსწონდა სახელმოხვეჭილი გენერლის ბრძვიდი დამოკიდებულება პოლიციისადმი. კუტუზოვი გაემგზავრა ვოლინის გუბერნიაში, თავის მამულში და ხელი მიჰყო სოფლის მეურნეობას.

* * *

მეცხრამეტე საუკუნე ევროპაში რთული პოლიტიკური მოვლენებით დაიწყო. კორსიკელმა აზნაურმა ნაპოლეონ ბონაპარტემ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მშფოთვარე წლებში მოხერხებულად გაიკაფა გზა პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ. აღმოჩნდა რა საიმპერატორო ტახტზე, მან დაიწყო რევოლუციის ჩახშობა და საფრანგეთის ტერიტორიის გაფართოება სხვა სახელმწიფოთა ხარჯზე. ნაპოლეონი ევროპაში გამოვიდა როგორც

უძლიერესი და უსასტიკესი დამპყრობელი, რომელმაც მიზნად დაისახა მსოფლიო მონარქიის ფანტასტიკური გეგმის განხორციელება. „კორსიკელი ვეშაპის“ წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიოს გადაყლაპვას ცდილობდა, გაერთიანდნენ მთავარი ევროპული სახელმწიფოები, მაგრამ ეს კოალიცია, რომელიც რიცხვით მეორე იყო, დაიშალა, რადგან ნაპოლეონმა ავსტრია დაამარცხა, ხოლო ინგლისთან ზავი დასდო; ეს ზავი ნაპოლეონს მხოლოდ ხანმოკლე შესვენებისათვის სჭირდებოდა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ინგლისის დაპყრობა. ამ მიზნით ბულონში დიდი სამხედრო ბანაკი ააგო. მაგრამ მის წინააღმდეგ ინგლისმა, რუსეთმა და ავსტრიამ ახალი კავშირი შეჰკრეს. ავსტრიის დიდი არმია გენერალ მაკის მეთაურობით საფრანგეთის წინააღმდეგ დაიძრა სწორედ მაშინ, როცა ინგლისში შეჭრისათვის გამზადებული ნაპოლეონი ლამანშზე ნისლიანი დღეების დადგომას ელოდა. მანვე გაიგო ისიც, რომ ვილნოს გუბერნიიდან ვენისაკენ მიემართება რუსეთის პოლკები, რომელთაც სათავეში უდგას ინფანტერიის გენერალი მიხეილ კუტუზოვი.

ნაპოლეონმა სწრაფად შეიმუშავა მოქმედების ახალი გეგმა. 220 ათასიანი არმიით იგი ბავარიისკენ დაიძრა, რომ პირველ რიგში გენერალი მაკი გაენადგურებინა. ნაპოლეონი დიდი სამხედრო ხელოვანი და ტაქტიკოსი იყო. მას ჰყავდა ნიჭიერი გენერალიტეტი და შესანიშნავად გაწვრთნილი დიდი არმია, რომელშიც რევოლუციურ ტრადიციებს კიდევ ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. ასეთი არმიით მან ერთის დაკვრით დაამარცხა მაკი, რომელიც ავსტრიელთა მიერ შემუშავებული ცალმხრივი, უნიჭო გეგმით მოქმედებდა. მაკის კაპიტულაციის შემდეგ კუტუზოვი თავისი 50 ათასიანი არმიით პირისპირ აღმოჩნდა ნაპოლეონის ორასოციათასიანი არმიის წინაშე. მოწინააღმდეგე ამზადებდა რუსეთის კორპუსის გარშემორტყმასა და განადგურებას. კუტუზოვმა ამოიცნო მტრის ზრახვები და გადაწყვიტა თავისი ჯარები ოსტატური მანევრირებით გამოეყვანა მტრის გარემოცვის საფრთხისაგან და მოკავშირეთა მთავარი ძალებისათვის შეეერთებინა. დაიწყო კუტუზოვის არმიის გადანაცვლება ბრაუნაუდან ოლმიუცისაკენ. კუტუზოვის არმიის არიერგარდი, რომელსაც სათავეში უმამაცესი და უნიჭიერესი ქართველი სარდალი, სუვოროვის არწივი, პეტრე ბაგრატიონი ედგა, აჩერებდა ფრანგების მოძალებას. შენგრაბენთან საარიერგარდო ბრძო-

ლაში ბაგრატიონმა არა თუ მოიგერია ნაპოლეონის საუკეთესო გენერლების: ლანის, სულტის, მიურატის ხუთჯერ ჭარბი ძალების იერიში, არამედ გაარღვია გარემოცვის რკალი და 3000 ფრანგი ტყვე გაიყვანა; კუტუზოვმა დაუზიანებლივ ჩაიყვანა თავისი ძალები ოლმიუცში და ჩაშალა ნაპოლეონის გეგმა. 500 კილომეტრიანი უკანდახევითი მანევრი მდინარე ინიდან ბრიუნამდე, რომელიც კუტუზოვმა ასე ოსტატურად განახორციელა, სამხედრო ხელოვნების ისტორიაში მიჩნეულია ერთ-ერთ შესანიშნავ მანევრად. საფრანგეთის მარშალი მარმონი მას „კლასიკურად გმირულ“ უკანდახევას უწოდებდა.

ოლმიუცში კუტუზოვს დახვდნენ ალექსანდრე პირველი და ავსტრიის იმპერატორი ფრანც იოსები, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ ნაპოლეონისათვის გენერალური ბრძოლის გამართვა. ბრძოლის დისპოზიცია ავსტრიის გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა. კუტუზოვს იგი დამღუპველად მიაჩნდა, მის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდა და ალექსანდრეს ურჩევდა თავი შეეკავებინა, ვიდრე მოკავშირეთა ძალები არ გაიზრდებოდნენ, მაგრამ სამხედრო საქმეში უნიჭო და განდიდების მანიით დაავადებული იმპერატორი აჰყვა ავსტრიის გენერლის ვეიროტერის რჩევას და ნაპოლეონის ანკესზეც ადვილად წამოეგო.

1805 წლის 20 ნოემბერს (2 დეკემბერს) აუსტერლიცის ველზე მოხდა ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი მასშტაბის ბრძოლა. ავსტრიული გეგმით განლაგებულ მოკავშირეთა ჯარების სუსტი ადგილი ნაპოლეონმა ადვილად იპოვნა და სწორედ იქ დაარტყა. კუტუზოვს წართმეული ჰქონდა მოქმედების ინიციატივის საშუალება. მას იძულებით დაატოვებინეს პრაცენის სიმაღლეები, რომელსაც საბრძოლო ასპარეზზე გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. ნაპოლეონმა ბრძოლით დაიკავა ეს სიმაღლეები, რითაც მოკავშირეთა ცენტრი გაარღვია და გათიშული ნაწილები სასტიკად დაამარცხა.

კუტუზოვი დაიჭრა ამ ბრძოლაში (იმპერატორის მიერ გაგზავნილ ლეიბ-მედიკს კუტუზოვმა გულისტკივილით უთხრა: ხელმწიფეს მადლობა გადაეცი და მოახსენე, რომ ჩემი ჭრილობა არაა სამოში, მაგრამ სასიკვდილო ჭრილობა აი სად არისო—და ეჩვენა შემტევ ფრანგებზე მიუთითა).

აუსტერლიცთან მოკავშირეთა მარცხი შედეგი იყო ავსტრიული უნიჭო გეგმისა, რომელსაც რუსეთის იმპერატორიც თანაუგრ-

ძნობდა. მაგრამ ალექსანდრე პირველმა მარცხის პასუხისმგებლობა შემდეგ კუტუზოვს გადააკისრა და რუსეთის ძალების მთავარსარდლის პოსტიდან გადააყენა, თუმცა, როგორც ვნახეთ, იგი თავიდანვე ამ ბრძოლის წინააღმდეგი იყო და თვით ბრძოლის პროცესშიც უმნიშვნელო და შეზღუდულ უბანზე მოქმედებდა. კუტუზოვი მთელი სიცოცხლის მანძილზე განიცდიდა იმპერატორისაგან მიყენებული დაუმსახურებელი შეურაცხყოფის სიმძიმეს. 1812 წელს, როცა რუსებმა ფრანგებს წაართვეს დროშა, რომელზედაც წარწერილი იყო: „აუსტერლიცთან გამარჯვებისათვის“, ჭაღარამოსილმა კუტუზოვმა გაიხსენა შეურაცხმყოფელი ბრალდება და ახალგაზრდა ოფიცრებს გულისტკივილით მიმართა: ბატონებო, თქვენ ახალგაზრდები ხართ, ჩემზე მეტს იცოცხლებთ და მოისმენთ ამბავს ჩვენი ომების შესახებ. იმის შემდეგ, რაც ახლა ჩვენს თვალწინ ხდება, ერთ მოგებულ ან ერთ წაგებულ ბრძოლას ჩემი დიდებისათვის არა აქვს დიდი მნიშვნელობა. მაგრამ გახსოვდეთ, მე დამნაშავე არა ვარ აუსტერლიცის ბრძოლაშიო.

აუსტერლიცთან მარცხის შემდეგ მესამე კოალიციის ბედი განწირული აღმოჩნდა. გამარჯვებულმა ნაპოლეონმა ვენაში ხელი მოაწერა ავსტრიასთან ზავს. საფრანგეთის არმიის პირისპირ მდგომმა რუსეთის არმიამ, რომელსაც ახლა უნიჭო ბენიგსენი სარდლობდა, მარცხი განიცადა პრაისიშ-ეილაუსთან და ფრიდლანდთან. ნაპოლეონი რუსეთის საზღვრებს მოადგა. რუსეთის იმპერატორი იძულებული შეიქნა ნაპოლეონთან ზავზე ხელი მოეწერა ტილზიტში. სამხედრო საქმეს ჩამოცილებული კუტუზოვი ამ დროს კიევის გუბერნიას განაგებდა.

1806 წლის 18 (30) დეკემბერს თურქეთმა ნაპოლეონის წაქეზებით, რომელიც სულთანს ყირიმის ნახევარკუნძულს ჰპირდებოდა, რუსეთს ომი გამოუცხადა. ეს ომი მეტისმეტად გაჭიანურდა. გადამწყვეტ წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. მართალია, რუსეთის არმია ზედიზედ იღებდა თურქეთის ციხე-სიმაგრეებს, მაგრამ სრული გამარჯვება ჯერ კიდევ შორს იყო. ამავე დროს მწიფდებოდა რუსეთ-საფრანგეთის ახალი ომი. ნაპოლეონი, რომელსაც მსოფლიო ბატონობის გზაზე ყველაზე დიდ დაბრკოლებად რუსეთი მიაჩნდა, მისი დამონებისა და შემდეგ ინდოეთზე ლაშქრობისათვის ემზადებოდა, რომ ინგლისიც დაეჩოქებინა. 1811 წლისათვის ევროპაში საეჭვოდ აღარ მიაჩნდათ ნაპოლეონისა და ალექსანდრე

პირველის შეჯახება. ასეთ პირობებში რუსეთისათვის გადამწყვეტი ბნიშვნელობა ჰქონდა თურქეთთან ომის სწრაფად დამთავრებას; ეს გაანთავისუფლებდა ბალკანეთის არმიას და უზრუნველჰყოფდა სიმშვიდეს სამხრეთ საზღვარზე.

დუნაის ფრონტზე რუსეთის არმიის მთავარსარდალი რამდენჯერმე შეიცვალა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გადაწყვიტა ამოცანა. ალექსანდრე იძულებული გახდა ეს საქმე ახლა კუტუზოვისათვის დაეკისრებინა. მოქმედ არმიაში კუტუზოვი 1811 წლის 7 აპრილს ჩავიდა. მდგომარეობა არც ისე სახარბიელო იყო. დუნაის 46 ათასიან არმიას 1000 კმ. სიგრძის ფრონტი ეკავა. ჯარის ასეთი კორდონული განლაგებით შეუძლებელი იყო შეტევაზე ფიქრი. თურქები ჩაკეტილი იყვნენ ციხე-სიმაგრეებში და შეუპოვრად იცავდნენ თავს. თურქებს განსაკუთრებით კარგად ჰქონდათ გამაგრებული შუმლა და ვიდინი. ისინი ამავე დროს უმიზნებდნენ სილისტრიას, რუშჩუკს და ნიკოპოლს, რომლებსაც რუსთა მცირერიცხოვანი გარნიზონები იცავდნენ.

კუტუზოვმა გადაწყვიტა უკუეგდო სახაზო შეტევის ტაქტიკა. მან ბრძანა, დაენგრიათ სილისტრიისა და ნიკოპოლის სიმაგრეები. არმიას თავი მოუყარა ერთ დამკვრელ კოლონად და თავდაცვაზე გადაიყვანა. კუტუზოვმა განგებ შექმნა თავისი ძალების სისუსტის შთაბეჭდილება, რომ ამით მოწინააღმდეგე გაშლილ ველზე გამოეწვია, იქ გაენადგურებინა, შეტევაზე გადასულიყო და აეძულებინა თურქეთი ზავი ეთხოვა.

კუტუზოვმა ოსტატური მანევრით მტერი ანკესზე წამოაგო. თურქებმა იფიქრეს, რუსეთს უჭირს და შეტევის ყველაზე საუკეთესო მომენტი დადგაო. ისინი გამოვიდნენ შუმლას ციხე-სიმაგრიდან, რომ მოლდავეთი და ვალახეთი დაებრუნებინათ. თურქებმა გადაწყვიტეს 50.000-იანი არმიით ბუქარესტზე თავდასხმა. მაგრამ კუტუზოვმა ბუქარესტის მიმართულებით მოწინააღმდეგეს მთელი რიგი დაბრკოლებები შეუქმნა და აიძულა მთავარი შეტაკება რუშჩუკზე მოეხდინა.

კუტუზოვმა დუნაიზე გადაიყვანა მთავარი ძალები და რუშჩუკიდან 4 კმ. სამხრეთით დაიკავა თავდაცვის პოზიცია. რუსეთის არმიის ზურგში იყო დუნაი, ასე რომ, უკან დასახევი გზა აღარ არსებობდა. ასეთი გაბედული სვლა გამარჯვების ურყევი რწმენიდან გამომდინარეობდა.

22 ივნისს რუშჩუკთან მოხდა დიდი ბრძოლა. კუტუზოვს აქ 114 ქვემეხი ჰქონდა და 15.000 მეომარი ჰყავდა, დიდ ვეზირს კი—60.000-იანი არმია და 78 ქვემეხი.

ოსტატური მანევრებით კუტუზოვმა გასტეხა მოწინააღმდეგის შემტევი ძალა და აიძულა იგი, უკან დაეხია. თურქები სასტიკად დამარცხდნენ. კუტუზოვს შეეძლო გაქცეულთ დასდევნებოდა (თურქებიც ასე ვარაუდობდნენ), მაგრამ კუტუზოვმა, რომელსაც მეტად ორიგინალური სტრატეგიული გეგმა ჰქონდა შემუშავებული, დადევნების ნაცვლად ააფეთქა რუშჩუკი და დუნაის ჩრდილო ნაპირზე გადმოინაცვლა. მან მშვენივრად იცოდა, რომ უკანდახეული თურქები თავს ისევ შუმლას შეაფარებდნენ, შუმლას იერიში კი ომის ბედს სრულებითაც ვერ გადაწყვეტდა. მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა არა შუმლას აღებას, არამედ ომის მოგებას.

„ბევრად აჯობებს გავამხნევო, ჩემო მეგობარო, ახმეტ ბეი და ის კვლავ გვეწვევა“,—ეუბნებოდა კუტუზოვი ოფიცრებს. მას სწამდა, რომ თურქები ისევ წამოეგებოდნენ მის ანკესზე და დუნაის ისევ გადმოლახავდნენ. კუტუზოვის ვარაუდები ამჯერადაც დადასტურდა.

ახმეტ ბეიმ კუტუზოვის მოქმედებაში რუსეთის არმიის სისუსტე ამოიკითხა. ამავე დროს მას შეტევისათვის აქეზებდნენ სულთანი და ნაპოლეონი. დიდი ვეზირი ახლა 70 ათასიანი არმიით დაიძრა რუსების წინააღმდეგ. 50 ათასი კაცით იგი რუშჩუკთან დუნაის მარცხენა ნაპირზე გადავიდა, ხოლო 20 ათასი კაცი, სურსათი, ზარბაზნების ნაწილი დუნაის მარჯვენა ნაპირზე დასტოვა.

კუტუზოვმა ძირითადი ძალები (30 ბატალიონი, 40 ესკადრონი და 10 კაზაკთა პოლკი) განალაგა პატრიკთან და თურქებს საშუალება არ მისცა წინ წაწეულიყვნენ. ამავე დროს მან გამოჰყო შვიდი ათასიანი რაზმი მარკოვის მეთაურობით, რომელსაც დაუსახა ამოცანა, გადაელახა დუნაი და გაენადგურებინა თურქთა ის ნაწილი, რომელიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე იყო თავმოყრილი.

1 ოქტომბერს თურქთა ბანაკიდან დაცილებით მარკოვის ნაწილები გადავიდნენ დუნაის მარჯვენა ნაპირზე, გაჰყვნენ დინებას და თავს დაესხნენ თურქების ბანაკს. რამდენიმე საათის შემდეგ ეს ბანაკი აღარ არსებობდა. მარკოვის დანაკარგი 9 მოკლულსა და 40 დაჭრილს უდრიდა. გამარჯვებულმა რაზმმა თურქთა ქვემე-

ხები დუნაის მარცხენა ნაპირისკენ მიმართა. ამ დროს ამოქმედდნენ კუტუზოვის ძირითადი ძალები და დუნაის ფლოტილია. თურქეთის არმია გარემოცვაში აღმოჩნდა. უმაღლესმა ვეზირმა გაქცევით უშველა თავს. მშიერი არმია, რომელმაც თავისი შემადგენლობის ორი მესამედი უკვე დაჰკარგა, 25 ნოემბერს იძულებული შეიქნა დანებებულიყო.

კუტუზოვმა ძალაგამოცლილი თურქეთის წინააღმდეგ ახლა თავისი დიპლომატია აამოქმედა და პორტა აიძულა, ბუქარესტში ხელი მოეწერა რუსეთისათვის ხელსაყრელ საზავო პირობებზე. ეს ზავი რუსეთისათვის ხსნა იყო: უზრუნველყოფილ იქნა სტრატეგიული ფლანგი სამხრეთ-დასავლეთით და განთავისუფლდა დუნაის არმია. ამავე დროს რუსეთმა მიიღო ბესარაბია. „ეს იყო დიდი სამხედრო და პოლიტიკური გამარჯვება, რაც საგრძნობლად აუმჯობესებდა პოლიტიკურ და სტრატეგიულ ვითარებას 1812 წლის სამამულო ომის დასაწყისისათვის“ (მ. ი. კუტუზოვის ბიოგრაფია). ნაპოლეონი საშინლად გაბრაზებული იყო თურქეთის მთავრობაზე. თურქებს გამოყეყეჩებულებს ეძახდა. ბუქარესტის ზავი ნაპოლეონისთვის დიდად საზარალო იყო.

დუნაის ოპერაციებში კუტუზოვმა თავი გამოიჩინა, როგორც ფართო და გადამწყვეტი მანევრის დიდმა ოსტატმა. მისი მანევრის საბოლოო სტრატეგიულ ამოცანას მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის განადგურება და ომის მოგება შეადგენდა. დუნაიზე კუტუზოვმა უკუაგდო დამღუპველი კორდონული სისტემა, გადავიდა მოჩვენებით თავდაცვაზე, რითაც მტერი შეცდომაში შეიყვანა და ხაფანგში მოიმწყვდია. მისი მოჩვენებითი, მაგრამ აქტიური თავდაცვა ფაქტიურად შეტევას მოასწავებდა, რასაც მოწინააღმდეგის განადგურება და ომის სასახელოდ დამთავრება მოჰყვა.

* * *

1812 წლის 11 (24) ივნისს ნაპოლეონი დიდი არმიით, რომელიც 600.000 მეომრისაგან შედგებოდა, ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა რუსეთში. ნაპოლეონს ამ დროისათვის ევროპა დაპყრობილი ჰქონდა და მის ხალხებს ახალ მძარცველურ ომში ერეკებოდა. რუსი ხალხისათვის ამ უსასტიკეს და უძლიერეს დამპყრობელს მონობის უღელი მოჰქონდა. სამამულო ომში რუსი ხალხი აღსდგა სამშობლოს დასაცავად.

რუსეთის არმია, რომლის განლაგება დასავლეთის საზღვარზე იმპერატორმა უნიშნო და უვიც პრუსიელ გენერალ პფულს მიანდო გათიშული იყო ცალკეულ ნაწილებად და ათას კილომეტრზე მეტი სიგრძის ფრონტს იცავდა. ნაპოლეონი ამ შუალედებში ადვილად გაიჭრა და მიზნად დაისახა რუსეთის ჯარების მოსპობა მანამდე, ვიდრე ისინი გაერთიანდებოდნენ. მაგრამ რუსეთის არმიის შეუპოვარი წინააღმდეგობის შედეგად ნაპოლეონმა თავისი გეგმა ვერ განახორციელა, ხოლო გათიშული არმიები 22 ივლისს (3 აგვისტოს) სმოლენსკთან გაერთიანდნენ.

უკანდახევის ტაქტიკა, რომელსაც ბარკლაი დე ტოლი მკაცრი აუცილებლობის კარნახით მიმართავდა, ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის გულისტკივილს იწვევდა. განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო სმოლენსკის დატოვება, რის შემდეგ მტერს გზა ეხსნებოდა მოსკოვისაკენ. სმოლენსკიდან უკანდახევით მოთმინებადაკარგული ბაგრატიონი ალექსანდრე I სწერდა, რომ ბარკლაი დე ტოლს „სტუმრები“ მოსკოვში მიჰყავსო. ბარკლაის ავტორიტეტი შერყეული იყო. მთავარსარდლის პოსტზე მისი დატოვება აღარ შეიძლებოდა.

რუსი ხალხი ერთსულოვნად მოითხოვდა ჯარების მთავარსარდლად კუტუზოვის დანიშვნას. ხალხს ღრმად სწამდა, რომ მხოლოდ კუტუზოვის მხედართმთავრულ გენიას შეეძლო წინ აღსდგომოდა ისეთ ძლევამოსილ სარდალს, როგორიც ნაპოლეონი იყო. მაგრამ სასახლის რეაქციული ხროვა და პირველ რიგში ალექსანდრე არ ეზიარებოდნენ ამ ერთსულოვან აზრს. ალექსანდრეს კუტუზოვი ფაქტიურად განდევნილი ჰყავდა არმიიდან. ომის დაწყებისას იგი თავის მამულში ცხოვრობდა. პატრიოტ მხედართმთავარს გულმა არ მოუთმინა და მაინც პეტერბურგს მიაშურა. აქ მას სახალხო ლაშქრის ორგანიზაცია დაავალეს.

მაგრამ საზოგადოებრივმა აზრმა გასტეხა იმპერატორის ჯიუტობა და 8 (20) აგვისტოს მან კუტუზოვი რუსეთის არმიის მთავარსარდლად დანიშნა, თუმცა თავისიანებში ამ გადაწყვეტილების შედეგებზე პასუხისმგებლობას თავიდან იშორებდა და „ხელს იბანდა“.

კუტუზოვი უდიდესი პასუხისმგებლობითა და პატივით მოეკიდა ხალხის ნდობას. ახლა მას სამშობლოს ბედი ჰქონდა ჩაბარებული. ნაპოლეონს იგი უნიჭიერეს მხედართმთავრად თვლიდა და

ჯრძნობდა, რომ მის წინააღმდეგ ომი იქნებოდა, უსასტიკესი ომი, რუსეთის მკაცრი გამოცდა, რუსული ნაციონალური სამხედრო სკოლის გამოცდა. მას დიდად აწუხებდა ის, რომ მოსკოვის გასაღები—სმოლენსკი მტერს ეჭირა, რომ არმია ისევ განაგრძობდა უკანდახევას. მისი აზრით, უპირველესი ამოცანა უკანდახევის შეწყვეტასა და ნაპოლეონისათვის გენერალური ბრძოლის გამართვაში მდგომარეობდა. ეს ბრძოლა გააცამტვერებდა ნაპოლეონის უძლეველობის მითს და რუსეთის არმიის მორალურ სულისკვეთებას აამაღლებდა.

მოქმედ არმიაში კუტუზოვი 17 (29) აგვისტოს გამოცხადდა ცარევო ზაიმიშჩესთან. მთავარსარდლის შესახვედრად მოწყობილი არმიის წინაშე გენერალიტეტს მან ასეთი სიტყვებით მიმართა: „როგორ შეიძლება ასეთი ვაჟკაცები გყავდეს და უკან იხევდე". ეს ფრაზა ჯარისკაცთა მორალური სულისკვეთების ამაღლებისათვის იყო გამოკვეთილი და მისი ზემოქმედებითი ძალა მართლაც უდიდესი აღმოჩნდა. გამხნევებულმა ჯარისკაცებმა იქვე შეთხზეს სიმღერა:

„Приехал Кутузов
бить французов."

ცარევო ზაიმიშჩესთან გენერალური ბრძოლის გამართვა კუტუზოვმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია. ჯერ ერთი, პოზიცია აქ არახელსაყრელი იყო, მეორეც, რუსეთის არმიის გასაძლიერებლად მან მოსკოვში უკვე მიიღო ზომები და დამხმარე ძალები ფრონტისაკენ მიეშურებოდნენ. საჭირო იყო ამ ძალებისათვის დაცდა. კუტუზოვმა დაიწყო არმიის გადაჯგუფება და მოსკოვიდან 117 კილომეტრის დაცილებით, ბოროდინოსთან შეაყენა თავისი არმია. აქ უნდა გადაწყვეტილიყო რუსეთის ბედი.

გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი კლაუზევიცი განგებ ავრცელებდა ჭორს იმის შესახებ, თითქოს კუტუზოვს მიზნად არ ჰქონდა დასახული ნაპოლეონის განადგურება, თითქოს მას არ ჰქონია მოქმედების რაიმე გარკვეული გეგმა, თითქოს ბოროდინოსთან ბრძოლის გამართვა კუტუზოვს აიძულა სასახლის, ხალხის, მთელი რუსეთის ხმამ, თვით კი ამ ბრძოლას გარდაუვალ ბოროტებად თვლიდაო. ამ სიყალბეს შემდეგ ზოგიერთი რუსი ისტორიკოსიც იმეორებდა. სინამდვილეში, როგორც ამას პირუთვნელი დოკუმენტები მოწ-

მობენ, კუტუზოვს გადაწყვეტილი ჰქონდა არ დაეშვა მოსკოვში ნაპოლეონი, მოეწყო რუსეთის გულის შეუდრეკელი დაცვა. იგი მოსკოვთან მისვლამდე ცდილობდა ნაპოლეონის არმიის ხერხემლის დამსხვრევას. ბოროდინო მისი გენიალური სტრატეგიული ჯაჭვის ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი იყო.

საარიერგარდო ბრძოლების ოსტატური ორგანიზაციით კუტუზოვმა შესძლო ფრანგთა შემტევი ძალების შეფერხება და ეს დრო ბოროდინოზე ძირითადი ძალების განლაგებისათვის გამოიყენა. ამ პოზიციის არჩევაშიაც ნათლად გამოსჭვივის მისი მხედართმთავრული ტალანტი. ბოროდინო გზას უღობავდა მოსკოვისაკენ მომავალ ძველ და ახალ სმოლენსკის გზას. მისი მარჯვენა ფლანგი, რომელიც მდინარე მოსკოვს ეკვროდა, მიუვალი იყო. ცენტრში არსებული ბუნებრივი სიმაგრეები თავდაცვისათვის ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდნენ. მარცხენა ფრთაზე, ბუნებრივ სიმაგრეთა არსებობის მიუხედავად, სივიწროვის გამო ნაპოლეონი ვერ მოახერხებდა ძალთა მანევრირებას. ბოროდინოზე რუსთა ძალების განლაგება ნაპოლეონს აიძულებდა ფრონტალური დარტყმა აერჩია. ამგვარად, კუტუზოვი მოწინააღმდეგეს თავზე ახვევდა თავის გეგმას.

კუტუზოვმა ისე განალაგა თავისი ძალები, რომ ნაპოლეონს შეუქმნა მარცხენა ფლანგისა და ცენტრის სისუსტის შთაბეჭდილება. მხოლოდ 25 აგვისტოს, ბრძოლის წინა ღამით, მან ხელახლა გადააჯგუფა ძალები, ამავე დროს „კურგანნაია ვისოტაზე“ ააგებინა ლუნეტი 18 ქვემეხისათვის („რაევსკის ბატარეა“), გააძლიერა ცენტრი და მარცხენა ფრთა. რეზერვი გადამწყვეტი მომენტისათვის მოიტოვა. ბრძოლის დღეს რუსეთის არმიის „სუსტი“ მხარე ფრანგთა იერიშებს წარმატებით იგერიებდა. ნაპოლეონმა გვიან გაიგო თავისი შეცდომა.

25 აგვისტოს (6 სექტემბერს) ნაპოლეონმა მოწოდებით მიმართა თავის არმიას. ჯარისკაცებს იგი მოაგონებდა აუსტერლიცს, აიმედებდა, რომ ამ გადამწყვეტი ბრძოლის შემდეგ გადაწყდება ომის ბედი და მოსკოვში ისინი მოიპოვებენ დასვენებას, თბილ ბინებს და, რაც მთავარია, სასახელო ზავს. ნაპოლეონი არ ზოგავდა მჭერმეტყველებას, რომ ბრძოლისათვის განეწყო თავისი მეომრები.

კუტუზოვს არავითარი მოწოდება არ დაუწერია და ეს არც იყო საჭირო. მან მშვენივრად იცოდა, რომ თითოეული რუსი

მეომარი გულის ფანცქალით მოელოდა ამ დღეს; ყველას გულში ღვიოდა სამშობლოს სიყვარული და მისი ღირსების დაცვის შეგნება. მან მხოლოდ საღამოთი ჩამოუარა პოლკებს და აღფრთოვანებული დარჩა ჯარის საბრძოლო განწყობილებით. ეს განწყობილება ბრძოლის კი არა, საქორწილო ლხინის წინა დღის განწყობილებას ჰგავდა.

7 სექტემბერს, გარიჟრაჟზე, დაიწყო ნაპოლეონის იერიშები. როგორც მოსალოდნელი იყო, დარტყმის ძირითად მიმართულებად ფრანგებმა მარცხენა ფლანგი—ბაგრატიონის ფლეშები აირჩიეს. შვიდჯერ მიიტანეს მათ იერიში ამ უბანზე, მაგრამ შვიდჯერვე უკუქცეულ, იქნენ. ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტში ბაგრატიონმა მოამზადა კონტრიერიში, მაგრამ სწორედ ამ დროს სასიკვდილოდ დაიჭრა. ბაგრატიონის დაცემამ დიდად იმოქმედა რუს ჯარისკაცებზე. ფრანგებმა ისარგებლეს და ფლეშებში შეიჭრნენ, მაგრამ კუტუზოვმა ბრძოლაში ჩააბა უვაროვისა და პლატოვის ცხენოსანი კორპუსები, რომლებმაც მტრის ზურგში ღრმა რეიდი მოაწყვეს და იქ პანიკა შეიტანეს. კუტუზოვმა ამავე დროს მაშველი ძალები გადაიყვანა მარცხენა ფლანგზე და ფრანგთა იერიშები შეაჩერა. ნაპოლეონი ახლა რუსეთის არმიის ცენტრს ეკვეთა. დიდი მსხვერპლის ფასად მოახერხა მან ბატარეის პოზიციაში შეჭრა, მაგრამ წინ წაწევა ვეღარ შესძლო. რუსეთის არმია ურყევად იდგა თავის პოზიციაზე. სისხლიანი დღე მიიწურა. ნაპოლეონის 180 ათასიანი არმიიდან ბოროდინოსთან დაეცა 58 ათასი ჯარისკაცი და 47 გენერალი. მარშლები მას ურჩევდნენ ბრძოლაში ჩაება გვარდია, მაგრამ ნაპოლეონი უარზე იდგა. მან ბრძოლის პირველსავე საათში იგრძნო, რომ რუსეთის არმიას ვერ მოსპობდა, რომ ახალი ბრძოლები ელოდა და პარიზიდან ათასი კილომეტრებით დაცილებულ სასაკლაოზე უკანასკნელი რეზერვის გაშვება დამღუპველად მიაჩნდა.

ბოროდინოს ველზე კუტუზოვი რუსეთის არმიის ტვინს წარმოადგენდა. ბორცვზე შემდგარი დაჰყურებდა იგი ბრძოლის ველს. აუღელვებლივ იძლეოდა ბრძანებებს. გენიალური სიზუსტით ხსნიდა მოწინააღმდეგის ყველა ჩანაფიქრს და მათ სასწრაფო კონტრღონისძიებებით ფუშავდა.

ღამით ნაპოლეონმა, იმის შიშით, რომ რუსები კონტრშეტევაზე არ გადასულიყვნენ, თავისი ნაწილები წინანდელ პოზიციებზე დააბრუნა. ამგვარად, ორი მოპირდაპირე არმია დარჩა იმავე ადგილას, რომელზედაც ბრძოლის წინ იყო.

საფრანგეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ისტორიოგრაფები ტყავში ძვრებოდნენ იმის დასამტკიცებლად, თითქოს ბოროდინოს ბრძოლაში გამარჯვება ნაპოლეონის მხარეზე დარჩა. ფრანგ ისტორიკოსებს კვერს უკრავდნენ ინგლისელი, გერმანელი, ამერიკელი ისტორიკოსები. მაგალითად, „ბრიტანულ ენციკლოპედიაში“ კუტუზოვის შესახებ ნათქვამია: „მან ბრძოლა გამართა ბოროდინოსთან და დამარცხება განიცადა“. ყალბად ესმოდა ამ ბრძოლის შინაარსი ბევრ რუს ბურჟუაზიულ ისტორიკოსს და პოკროვსკის ანტიმარქსისტულ სკოლას.

ბოროდინოს ბრძოლა რუსეთის არმიისა და მისი გენიოსი მხედართმთავრის—კუტუზოვის ბრწყინვალე გამარჯვება იყო. ყოველი ბრძოლა შეფასებულ უნდა იქნას იმ როლით, რომელიც მას საერთო სტრატეგიულ გეგმაში აქვს განკუთვნილი. ბოროდინოსთან ნაპოლეონს სურდა მოესპო რუსეთის არმია და მიეღო მისთვის ესოდენ საჭირო ზავი, მაგრამ აქ მან თავისი არმიის ნახევარი დატოვა და ვერც რუსეთის არმია შემუსრა, ვერც ზავი მიიღო. ბოროდინოსთან დაიწყო მისი დიდების მზის ჩასვენება. აქედან დაიწყო ის გზა, რომელმაც იგი წმინდა ელენეს კუნძულზე მიიყვანა. თვით ნაპოლეონი აღიარებდა, რომ ამ ყველაზე სისხლისმღვრელ ბრძოლაში მან ყველაზე ნაკლებ წარმატებას მიაღწია.

კუტუზოვის გენიალური სტრატეგიული გეგმა მიზნად არ ისახავდა ნაპოლეონის არმიის მოსპობას. ბოროდინოს ბრძოლა კუტუზოვს ამ გეგმის ერთ ნაწილად ჰქონდა წარმოდგენილი. ამ ბრძოლაში იგი ცდილობდა ნაპოლეონის უძლეველობის მითის გაქარწყლებას, რუსი მეომრების საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას, ფრანგთა ცოცხალი ძალების სისხლისაგან დაწრეტას, რის შემდეგაც უნდა დაწყებულიყო მისი განადგურება. კუტუზოვს ღრმად სწამდა, რომ რუსეთის რეზერვები ულევი იყო, რომ ომის სამამულო ხასიათი არმიის განუწყვეტელი შევსების წყაროს წარმოადგენდა. ნაპოლეონის არმია დნებოდა, რუსეთისა—ივსებოდა.

ბოროდინოს ველზე სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის რუსმა კორიფემ დაამარცხა ფრანგების კორიფე ნაპოლეონი. კუტუზოვმა ნაპოლეონს თავზე მოახვია თავისი გეგმა, მან ისე უხელმძღვანელა ბრძოლას, რომ ნაპოლეონს საშუალება არ მისცა არა თუ რაიმე მანევრი განეხორციელებინა, არამედ თუნდაც კერძო

ხასიათის წარმატება მოეპოვებინა. ბოროდინოს ველზე რუსეთ-საფრანგეთის ომში გარდატეხა მოხდა. აქედან დაიწყო ნაპოლეონის არმიის აღსასრული და რუსეთის არმიის გამარჯვების გზა.

ბოროდინოს შემდეგ კუტუზოვმა ბრძანება გასცა არმიის უკანდახევის შესახებ. მხედართმთავრის ასეთი გადაწყვეტილება ბევრ მკვლევარს იმის საბაბს აძლევდა, რომ ბოროდინო ნაპოლეონის გამარჯვებად მიეჩნია, მაგრამ საკითხისადმი ასე ცალმხრივი მიდგომის უსუსურობა ნათელი ხდება თუ გავითვალისწინებთ გენიალური მხედართმთავრის მთელ სტრატეგიულ მიზანდასახულობას.

ჯერ ერთი, მთავარსარდლის პოსტის მიღებისთანავე კუტუზოვმა ყველა წინასწარი ღონისძიება მიიღო მოსკოვის დასაცავად. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ფრანგები არ დაეშვა ამ ქალაქში. წერილში ჩიჩაგოვისადმი იგი მოსკოვის ხსნას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და დუნაის არმიის მეთაურს აჩქარებდა, შეერთებოდა მთავარ ძალებს. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორ როსტოპჩინისადმი მიწერილ წერილში იგი მოითხოვდა მოსკოველ პატრიოტთა შეიარაღებასა და სახალხო ლაშქრის პოლკების გაგზავნას მოჟაისკში; მაგრამ ცარიზმის რეაქციული ბრალა განგებ აფერხებდა რუსეთში ნაციონალურ, სახალხო განმათავისუფლებელ ომს. მთავრობას ეშინოდა იარაღის მიცემა რუსი გლეხებისათვის, რომ ეს იარაღი თვით ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ არ ყოფილიყო მიმართული. ალექსახდრე I თავი შეიკავა მოსკოვის დაცვის კუტუზოვისებური გეგმისათვის მხარდაჭერისაგან; როსტოპჩინმა ჩაფუშა მოსკოვში 80 ათასიანი სახალხო ლაშქრის შექმნის ამოცანა. ამრიგად, კუტუზოვის გადაწყვეტილება, თავი აერიდებინა მოსკოვის კედლებთან გენერალური ბრძოლისაგან, ნაკარნახევი იყო მთავრობის რეაქციული ხროვის პანიკითა და უილაჯობით. შექმნილ ვითარებაში მოსკოვის დაცვა ჩაფუშვით ემუქრებოდა კონტრშეტევის კუტუზოვისებურ სტრატეგიას.

მეორე, კუტუზოვი კარგად ხედავდა, რომ, მთავრობის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მიუხედავად, მთელს რუსეთში იშლებოდა ფართო სახალხო მოძრაობა. დგებოდა სახალხო ლაშქრის ახალ-ახალი პოლკები. ოკუპირებულ რაიონებში იშლებოდა პარტიზანული მოძრაობა. რუსი ხალხი ახლა ისხამდა იარაღს. ფრანგები კი, რამდენადაც მეტად შედიოდნენ ქვეყნის სიღრმეში, იმდენად უფრო

ფანტავდნენ თავიანთ ძალებს. კუტუზოვი წინასწარ ჰვრეტდა, რომ მოვლენათა ასეთი განვითარების შედეგად ომის მსვლელობაში სულ მალე დადგებოდა გარდატეხის პერიოდი, როცა შეუსებული, დასვენებული, კარგად აღჭურვილი მისი ძალები კონტრშეტევაზე გადავიდოდნენ.

1812 წლის 1 (13) სექტემბერს სოფელ ფილში კუტუზოვმა შეჰკრიბა მსხვილი ნაწილების სარდლები და თათბირი მოაწყო. სარდალთა უმრავლესობა მოსკოვთან ბრძოლის მომხრე იყო. ბევრნი, მათ შორის მაგ., ბენიგსენი და სხვ., ავრცელებდნენ ყალბ ჭორებს მთავარსარდლის უნებისყოფობის შესახებ. მაგრამ კუტუზოვისათვის—იზმაილისა და რუშჩუკის გმირისათვის—უნებისყოფობისა და მშიშრობის დაბრალებას არ ჰქონდა არავითარი საფუძველი; ეს იყო მხოლოდ სახელმოხვეჭილ ადამიანისადმი შური და ბოროტი მტრობა. კუტუზოვს ამ თათბირზე, როგორც აკადემიკოსი ტარლე მიუთითებს, იმ სიტყვების წარმოსათქმელად, რომელიც მან თათბირის ბოლოს წარმოთქვა, გაცილებით მეტი ვაჟკაცობა სჭირდებოდა, ვიდრე იზმაილთან, როცა იგი ცეცხლის ქვეშ პოლკებს იერიშზე მიუძღოდა. ამ თათბირზე ყველაზე მეტად გამოჩნდა მისი ნებისყოფის სიმტკიცე. იგი წავიდა სასახლის, გენერალიტეტის, არმიის სურვილის წინააღმდეგ და მარტო თავის თავზე იღო მთელი პასუხისმგებლობა სამშობლოს ბედისათვის. ასე შეეძლო მას მოქცეულიყო მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი სტრატეგიული გეგმის წარმატების ურყევი რწმენა ჰქონდა.

„თქვენ გეშინიათ მოსკოვიდან უკან დახევისა,—ამბობდა იგი თათბირზე,—მაგრამ მე წინასწარ ვჰვრეტ ამაში არმიის ხსნას. ნაპოლეონი გრიგალისებური ნიაღვარია, რომლის შეჩერება ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია. მოსკოვი ის ღრუბელია, რომელიც მას შეიწოვს... ვიდრე არმია არსებობს და მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევას შესძლებს, მანამ ომის კეთილად დამთავრების იმედი ვიქონიოთ, მაგრამ, როდესაც არმია მოისპობა, მოსკოვი და რუსეთი დაიღუპება, ებრძანებ, უკან დავიხიოთ“.

2 (14) სექტემბერს რუსეთის არმიამ დატოვა მოსკოვი და აღმოსავლეთისაკენ გაემართა. მშობლიურ არმიას გაჰყვნენ ქალაქის მცხოვრებნი.

„პაკლონნაია გორაზე„ გადამდგარი ნაპოლეონი აღტაცებით დაჰყურებდა მოსკოვის მოოქროვილ გუმბათებს და აქ ელოდა რუს-

ბოიართა დელეგაციას, რომელსაც მისთვის ქალაქის გასაღები უნდა მიერთმია. ასე იყო იგი მიჩვეული ევროპაში, მაგრამ მოსკოვი ევროპის გმირს სხვაგვარ შეხვედრას უმზადებდა. ქალაქი ცარიელი იყო. მხოლოდ პარტიზანები იცავდნენ უკანასკნელ შესაძლებლობამდე თითოეულ სიმაგრეს. მოსკოვი პირქუშად, მტრულად ხვდებოდა „გვირგვინოსან სტუმარს“.

ნაპოლეონი რუსეთის მიწასთან გასწორებას ლამობდა. იგი გზაზე ანგრევდა და წვავდა ყველაფერს. მისი ბრძანებით დაფერფლეს სმოლენსკი, მისივე ბრძანებით გააჩაღეს ხანძარი მოსკოვში. ნაპოლეონის მეხოტბე ისტორიკოსები ავრცელებდნენ ყალბ აზრს იმის შესახებ, თითქოს მოსკოვი თვით რუსებმა დაწვეს, ხოლო ნაპოლეონი, პირიქით, მისი დაცვისათვის ენერგიას არ ზოგავდაო. ამ მოჩვენებითი, განგებ შეთხზული ვერსიის გასაბათილებლად საკმარისია მარტო კუტუზოვის პასუხი ლორისტონისადმი.

კუტუზოვის ბანაკში მისული ლორისტონი მოსკოვის ხანძარს თვით მოსკოველებს აბრალებდა. ფელდმარშალმა მას ასე უპასუხა: „რაც შეეხება მოსკოვის ხანძარს, მე საკმაოდ მოხუცი, გამოცდილი ვარ, ვსარგებლობ რუსი ხალხის ნდობით და ამიტომ ვიცი, თუ რა ხდება მოსკოვში თითოეულ დღეს, თითოეულ საათში. მე თვით ვუბრძანე საწყობების დაწვა. მაგრამ ფრანგების შემოსვლისთანავე რუსებმა თვით გაანადგურეს მხოლოდ კარეტების რიგი და კარეტების ურთიერთშორის გაყოფა დაიწყეს. მცხოვრებთაგან ხანძრის გაჩენის შემთხვევა ძალიან ცოტა იყო. თქვენ დაანგრიეთ ქალაქი თქვენებური მეთოდით: ხანძრისათვის წინასწარ საზღვრავდით დღეებს და ჰყოფდით ქალაქის უბნებს, რომელთათვისაც განსაზღვრულ საათში ცეცხლი უნდა წაგეკიდებინათ. მე ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები მაქვს. იმის საბუთად, რომ მოსკოვი მის მცხოვრებთ არ დაუნგრევიათ, საკმარისია ისიც, რომ თქვენ ხანძრის პერიოდში ზარბაზნებით ანგრევდით სახლებსა და სხვა შენობებს, რომლებიც მეტად მაგარი იყო. დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენ სამაგიეროს გადაგიხდით“.

მოსკოვში ყოფნისას ნაპოლეონმა იგრძნო თავისი შეცდომა, იგრძნო, რომ დაღუპვის პირზე იდგა და გადაწყვიტა ომისათვის რაც შეიძლებოდა სწრაფად მოეღო ბოლო. ახლა მას ზავი აინტერესებდა. მისთვის საკმარისი იყო მხოლოდ ის, რომ ზავს ხელს მოაწერდა მოსკოვში. სახელისათვის ესეც კმაროდა. ყველა სხვა

პრეტენზიაზე იგი ხელს იღებდა, მაგრამ ზავის შეკვრის ყოველ ცდას რუსთა ბანაკი დუმილით ხვდებოდა. იმავე დროს მოსკოვს გარს ერტყა სახალხო შურისმგებელთა ცეცხლოვანი რკალი. მოსკოვზე გასალაშქრებლად ემზადებოდა კუტუზოვის შეესებული არმია.

კუტუზოვმა მოსკოვიდან უკანდახევის შემდეგ ტარუტინოს ცნობილი მანევრი განახორციელა. მოსკოვიდან გასული არმია პირველად რიაზანის გზაზე მიემართებოდა. ორი გადასასვლელის შემდეგ კუტუზოვის ბრძანებით იგი სამხრეთით მობრუნდა და ძველი კალუგის გზით კრასნაია პახრში ჩავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ არმია გადავიდა ტარუტინოს პოზიციაზე. კუტუზოვის ეს ცნობილი საფლანგო მანევრი „სამართლიანად ითვლება სამხედრო ხელოვნების ისეთ მიღწევად,—ნათქვამია კუტუზოვის ბიოგრაფიაში,—რომელსაც მარტოოდენ შეეძლო მისთვის გენიალური მხედართმთავრის სახელი მოეხვეჭა. ამ მანევრით მან მთელი სტრატეგიული ვითარება მკვეთრად შესცვალა თავის სასარგებლოდ. ჯერ ერთი, მან არმია მტრის დარტყმებისაგან გამოიყვანა და ის დასვენებისა და ახალი ბრძოლებისათვის მომზადების მშვიდი პირობებით უზრუნველჰყო; მეორე, კუტუზოვმა დაიფარა არა მხოლოდ კალუგა, სადაც თავმოყრილი იყო არმიისათვის საჭირო უზარმაზარი მარაგი, არამედ ტულაც მისი იარაღის ქარხნითურთ; მესამე, მან შეინარჩუნა მიმოსვლა რუსეთის სამხრეთ ოლქებთან, რომლებიც არმიას ჰკვებავდნენ ადამიანთა შევსებით, ცხენებითა და ყველა სახის მომარაგებით“. აქედანვე კუტუზოვი უთვალთვალებდა მოსკოვ-სმოლენსკის გზას და ნაპოლეონს ხელიდან აცლიდა თავისუფალი მანევრირების საშუალებას.

სწორედ აქ, ტარუტინოს ბანაკში, კუტუზოვთან გამოცხადდა ნაპოლეონის ადიუტანტი მარკიზ ლორისტონი და შემპარავი ტონით დაიწყო საუბარი ზავის შესახებ. ლორისტონი ჩიოდა, რომ რუსი ხალხი ეწევა არაჩვეულებრივ ომს, რომელიც ნაპოლეონს არსად არ უნახავს, რომ ნაპოლეონი ძლიერია, მაგრამ მას მოსწყინდა ბრძოლა და სხვ.

კუტუზოვმა ერთ ფრაზაში გამოხატა რუსეთისათვის ამ ომის სამამულო ხასიათი: რუსი ხალხი ფრანგებს ისე უყურებს, როგორც თათრებს, რომლებიც შემოიჭრნენ ჩინგიზ-ხანის მეთაურობითო. ლორისტონის აღშფოთებაზე კუტუზოვმა ერთხელ კიდევ გაიმეო-

რა, რომ რუსი ხალხი ჩინგიზ-ხანსა და ნაპოლეონს შორის განსხვავებას ვერ ხედავსო. კუტუზოვმა შესანიშნავად გაიგო ისიც, რომ ლორისტონი აქ გაპირვებამ მოიყვანა, თუმცა იგი ბევრს ტრაბახობდა ნაპოლეონის ძლიერებაზე.

— რუსეთი მხოლოდ ახლა იწყებს ომს,—ასეთი იყო ლორისტონისადმი კუტუზოვის გულგასახეთქი პასუხი.

ტარუტინოდან ლორისტონი იმედგაცრუებული დაბრუნდა. ჩაიშალა მარშალ ბერტიეს ცდაც—ზავზე მოლაპარაკებოდა კუტუზოვს. „ძნელია შეაჩეროო ხალხი,—სწერდა კუტუზოვი ბერტიეს,—რომელიც გაღიზიანებულია ყოველივე იმით, რაც მან ნახა, ხალხი, რომელსაც სამასი წელია არ უნახავს ომი სახელმწიფოს შიგნით, რომელიც ზედ არის თავი შესწიროს სამშობლოს და არ განასხვავოს ის, რაც მიღებულია და რაც მიუღებელია ჩვეულებრივ ომებში“.

პატრიოტი რუსი ხალხი თანდათან შლიდა თავის გოლიათურ მხრებს და მტერს რისხვას უმზადებდა. სმოლენსკისა და მოსკოვის გუბერნიაში პარტიზანული რაზმები ანგრევდნენ მტრის კომუნიკაციებს, შლიდნენ მის ზურგს, აფერხებდნენ მომარაგებას, ჟლეტდნენ მის მცირე რაზმებს. კუტუზოვი დიდ როლს ანიჭებდა დამპყრობლების წინააღმდეგ პარტიზანულ ომს. მოქმედი არმიიდან გამოყოფილ პარტიზანულ რაზმებს, რომელთაც დენის დავიდოვი, დოროხოვი, ფიგნერი და სხვ. მეთაურობდნენ, იგი აძლევდა ინსტრუქციებს, უსახავდა კონკრეტულ ამოცანებს. კუტუზოვს განსაკუთრებით ახარებდა ხალხის ინიციატივით დაწყებული პარტიზანული ომი. ჩეტვერტაკოვის, სამუსის, ვასილისა კოჟინას გლეხურ რაზმებში, რომლებიც ნაჯახებით, ცელებითა და ორკაპებით იყვნენ შეიარაღებულნი, იგი ხედავდა სახალხო შურისგების მძლავრ სტიქიას, რომელსაც დამპყრობელთა დაღუპვაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშნა. კუტუზოვის მოწოდებანი აღაფრთოვანებდა ნაპოლეონის მიერ ოკუპირებული რაიონების მოსახლეობას. პარტიზანული მოძრაობის ტალღა დღითი დღე ძლიერდებოდა.

ტარუტინოში კუტუზოვი მტერზე გადამწყვეტ შეტევის გეგმას ამზადებდა. იგი დაძაბულად მუშაობდა, რომ მტრისათვის რუსეთის სიღრმეში გაჭრის საშუალება მოესპო. მოდიოდა ახალ-ახალი შევსება. იქედებოდა კონტრშეტევის არმია.

ტარუტინოს მნიშვნელობას შესანიშნავად გამოხატავს ის ძეგ-

ლი, რომელიც ახლა ტარუტინოს ბანაკის ადგილზეა აღმართული. მას ასეთი წარწერა აქვს: „ამ ადგილზე რუსმა მეომრებმა ფელდმარშალ კუტუზოვის წინამძღოლობით განამტკიცეს თავიანთი რიგები, იხსნეს რუსეთი და ევროპა“.

6 (18) ოქტომბერს ორლოვ-დენისოვმა და ბოგაუტმა ტარუტინოსთან იერიში მიიტანეს საფრანგეთის არმიის ავანგარდზე, რომელსაც მიურატი სარდლობდა. ფრანგები დამარცხდნენ. მიურატმა უკან დაიხია. ეს შეტაკება არ გადაზრდილა ორი არმიის გენერალურ ბრძოლაში, თუმცა ომის მსვლელობაში მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო პირველი შეტევითი ბრძოლა, რუსეთის არმიის სახელოვანი კონტრშეტევის დასაწყისი. ნაპოლეონმა სწორად შეაფასა ამ ბრძოლის მნიშვნელობა და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა მოსკოვს და რუსეთს, სადაც მის არმიას სასაფლაოს უმზადებდნენ.

ამავე დღეს ნაპოლეონის მეწინავე ნაწილები მოსკოვიდან გავიდნენ. იმპერატორს გადაწყვეტილი ჰქონდა, სმოლენსკში დაბრუნებულიყო კალუგის გზით, რადგან ეს გზა გაუთელავი იყო და სურსათის შოვნა შეიძლებოდა. ნაძარცვი ქონებით დატვირთული ფორნები დაიძრნენ. ნაპოლეონმა ბრძანა, აეფეთქებინათ კრემლი. ნაპოლეონს განზრახული ჰქონდა მთლიანად დაენგრია ის ქალაქი, რომლიდანაც სამარცხვინოდ გარბოდა. ფრანგთა მიერ ჩაწყობილმა ნაღმებმა დაანგრიეს არსენალი, კრემლის კედლისა და ნიკოლსკის კოშკის ნაწილი, გაჩნდა. ხანძარი გრანოვიტაია პალატაში. წვიმამ პატრუქების ნაწილი დაასველა და ამ ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა კრემლი სრული დანგრევისაგან.

როდესაც კაზაკმა შიკრიკებმა ტარუტინოს ბანაკში მოსკოვიდან ნაპოლეონის წასვლის ცნობა მოიტანეს, კუტუზოვმა დოხტუროვსა და პლატოვს დაუსახა ამოცანა, მალოიაროსლავეცთან დახვედროდნენ ფრანგებს. ამავე მიმართულებით გაეშურა იგი ძირითადი ძალებით. თუ ტარუტინოში მან 85.500 კაცი მიიყვანა, ახლა ტარუტინოდან გაიყვანა დასვენებული და კარგად აღჭურვილი 120.000-იანი არმია.

მალოიაროსლავეცთან დოხტუროვისა და პლატოვის ნაწილებმა შეუტიეს ფრანგების ავანგარდს, რომელსაც ქალაქის დაკავება უკვე მოესწრო. ორთავე მხარეს თანდათან ემატებოდა მებრძოლი ძალა და ბოლოს იგი განსაკუთრებით შეუპოვარ შეჯახება-

ში გადაიზარდა, რომლის დროსაც ქალაქი რვაჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. საღამოზე მალოიაროსლავეცთან მივიდა კუტუზოვი ძირითადი ძალებით და ჩაჰკეტა კალუგის გზა.

ეს ღამე განსაკუთრებით მშფოთვარე იყო ნაპოლეონისათვის. მას მეორე დღეს ახალი ბოროდინო ელოდა. რუსეთის არმია განლაგებული იყო სწორედ იმ გზაზე, რომელიც მისი მშიერი არმიისათვის ხსნას წარმოადგენდა. მაგრამ შეიძლებოდა კი ამ გზის გაკაფვა? და საფრანგეთის იმპერატორმა, რომელმაც აქამდე არ იცოდა რა იყო მოწინააღმდეგისაგან გაქცევა, რომელიც აქამდე თვით ეძებდა გადამწყვეტ ბრძოლას, ახლა, პირველად თავის სიცოცხლეში, ვერ გაბედა მოწინააღმდეგესთან პირისპირ შეტაკება. „პირველად, — შენიშნავს აკადემიკოსი ტარლე, — ამ სისხლიანი კამპანიის განმავლობაში ნაპოლეონმა ზურგი უჩვენა რუსებს, გადაწყვიტა მდევნელის პოზიციიდან გადასულიყო დევნილის პოზიციაზე.“

ნაპოლეონს სმოლენსკისკენ დარჩა ერთადერთი გზა, რომლითაც იგი მოვიდა მოსკოვში. ეს გზა მისი ჯარისკაცების ძვლებით იყო მოფენილი და უდაბნოს წარმოადგენდა, სადაც სურსათის შოვნა კი არა, სუნთქვაც არ შეიძლებოდა, ვინაიდან დახოცილთა გვამებიც არ იყო აკრეფილი. ნაპოლეონი ამ გზას დაადგა.

კუტუზოვი შესანიშნავი ოსტატობით დაედევნა ნაპოლეონის არმიას. არმიის მთავარი ძალები კრემენსკიდან ბიკოვაია-ბელიხოლმი-ლიახოვოს მიმართულებით მიემართებოდნენ, რომ სმოლენსკისათვის სამხრეთიდან შემოევლოთ. მილორადოვიჩი ეგორევსკიდან სმოლენსკის გზაზე მისდევდა ფრანგთა მთავარ ძალებს და ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში მას ბრძოლას უმართავდა. პლატოვი მოწინააღმდეგეს ზურგში მისდევდა, ხოლო პარტიზანები ფრანგებს თავსა და გვერდებში ურტყამდნენ. სმოლენსკის გზის ჩრდილოეთით ნაპოლეონს გენერალ-ადიუტანტ კუტუზოვის ნაწილები მისდევდა, რომელთა მიზანს ნაპოლეონის აომიის მარჯვენა ფლანგის შევიწროება და ვიტგენშტეინთან კავშირის დამყარება შეადგენდა, ხოლო რუსთა მთავარი ძალების სამხრეთით მოძრაობდნენ ოჟეროვსკის ნაწილები, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ქალაქთა გარნიზონებზე თავდასხმა, მისი საწყობების მოსპობა.

ამგვარად, ნაპოლეონის არმია შეკრული იყო არტახებით. კუტუზოვის მდევნელი ნაწილები განუწყვეტლივ ურტყამდნენ მტერს დღეცა და ღამეც, ზურგიდან და ფლანგებიდან. ნაპოლეონის წინაშე თანდათან იზრდებოდა გზის მოჭრის საფრთხე. ამიტომ იგი რაც შეიძლებოდა სწრაფად გარბოდა, გზაზე ჰყრიდა და ტოვებდა დაჭრილებს, საბარგულებსა და იარაღსაც კი.

სმოლენსკში ნაპოლეონს არ დახვდა სურსათის იმდენი მარაგი, რომ მშიერი არმია გამოეკვება. ამავე დროს ოჟეროს ბრიგადა ლიახოვოსთან ტყვედ ჩაიგდეს რუსმა პარტიზანებმა, ხოლო ვიცე-კაროლის კორპუსნა დუხოვშჩინასთან სასტიკი მარცხი განიცადა პლატოვთან და გენერალ-ადიუტანტ კუტუზოვთან ბრძოლაში. გარემოცვის საფრთხე იზრდებოდა იმითაც, რომ ვიტგენშტეინმა დაიკავა ვიტებსკი, ხოლო ჩიჩაგოვი მინსკისაკენ მოემართებოდა. შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა პარიზიდან.

1 (14) ნოემბერს ნაპოლეონი სმოლენსკიდან გავიდა კრასნის მიმართულებით. ამავე დღეს კუტუზოვი მთავარი ძალებით ჩავიდა შელკანოვოში, ხოლო აქედან კრასნისკენ გაემართა. კრასნისთან რუსებმა თითქმის გაანადგურეს ფრანგთა არიერგარდი, რომელსაც მარშალი ნეი მეთაურობდა. სმოლენსკიდან კრასნამდე ბრძოლებში ფრანგებმა 6000 მოკლული დაჰკარგეს, 26.000 ტყვე (მათ შორის 7 გენერალი და 300 ოფიცერი) და 116 ქვემეხი. კუტუზოვი კრასნისთან ბრძოლის შესახებ წერდა: „რუსეთის არმიამ აქამდე გაუგონარი დიდება მოიპოვა, რადგან ამ დღეებში მოწინააღმდეგემ იწვნია მთელი კამპანიის განმავლობაში უძლიერესი დარტყმები“.

ნაპოლეონს მინსკში ეგულებოდა დიდი სასურსათო და სამხედრო მარაგი, მაგრამ 3 ნოემბერს იგი ჩიჩაგოვმა დაიკავა. მალე რუსები ბორისოვშიც შევიდნენ. რამდენიმე ოპერაცია და გზა სავსებით მოჭრილი იქნებოდა. ამიტომ იჩქაროდა ნაპოლეონი ბერეზინაზე გადასვლას.

ორი დღის განმავლობაში სტუდიანკასთან აგებული სახელდახელო ხიდების საშუალებით ნაპოლეონმა მოასწრო ბერეზინაზე გადაეყვანა არმია. დაჭრილები, ჩამორჩენილები და ლტოლვილები თოვლიან უდაბნოში დარჩნენ მდინარის გადმოღმა, რადგან ნაპოლეონმა ბრძანა ხიდები ჩაენგრიათ.

ბერეზინასთან უნდა დამთავრებულიყო „დიდი არმიის“ საბოლოოდ განადგურება, მაგრამ ამ შემთხვევაში სრული უნიჭობა და

უმოქმედობა გამოიჩინეს ჩიჩაგოვმა და ვიტგენშტეინმა, რომლებმაც არ შეასრულეს კუტუზოვის განკარგულებანი. საერთოდ ალექსანდრე 1 ფავორიტი, ადმირალი ჩიჩაგოვი და ვიტგენშტეინი მოქმედებდნენ ისე, რომ ანგარიშს არ უწევდნენ კუტუზოვს. სასახლეში მათ მაგარი ზურგი ჰქონდათ.

ნაპოლეონმა შეაცდინა ჩიჩაგოვი. ვიტგენშტეინმა დაიგვიანა, მაგრამ რუსეთის არმიის მთავარი ნაწილები ისე დააწვნენ ფრანგებს, რომ მდინარის გადალახვა პანიკაში გადაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგების ძირითადი ნაწილები გადავიდნენ ბერეზინაზე და დემბინსკის მიდამოებში განლაგდნენ, მათ სერიოზული წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდათ. „დიდი არმია“ აღარ არსებობდა. თუ 14 ნოემბერს,—ბერეზინამდე, ნაპოლეონის არმია 30.000 მეომარს ითვლიდა, 17 ნოემბერს—ბერეზინას შემდეგ, იგი 9 ათასზე დავიდა. ეს აღარ იყო არმია. ეს იყო დამშეულ ყაჩაღთა უწესრიგო ბრბო, რომელიც გარბოდა სულმოუთქმელად და ანგრევდა და ნთქავდა ყველაფერს, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდა.

იმ დროს ისტორიას არ ახსოვდა მტრის დადევნების ასეთი დიდი მასშტაბი და შესანიშნავი ორგანიზაცია. კუტუზოვის ხელმძღვანელობამ ტალანტმა შესძლო მაღალი ოსტატობით ორგანიზებულ ბრძოლებში მტერი სისხლისაგან დაეწრიტა. ბერეზინიდან ნემანამდე ფრანგთა არმიის ნარჩენებიც დადნა. ნაპოლეონი ადრევე გაიპარა პარიზში. გამარჯვებული მთავარსარდალი ვილნოდან სასახლეს სწერდა: **„ომი დამთავრდა მტრის სრული განადგურებით“.**

რუსმა ხალხმა გენიოსი მხედართმთავრის კუტუზოვის მეთაურობით მოიგო ყველაზე მძიმე ომი, როგორიც მანამდე არ ენახა მსოფლიოს. რუსეთის ტერიტორია გაწმენდილ იქნა დამპყრობლებისაგან. არმია სახელმწიფო საზღვარზე გავიდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა სამამულო ომის დამთავრებას. აქედან უნდა დაწყებულიყო მეორე ეტაპი—ნაპოლეონის უღლისაგან ევროპის ხალხთა განთავისუფლების ეტაპი, რომლის განხორციელება მხოლოდ რუსეთის არმიას შეეძლო. ნაპოლეონმა რუსეთში მიიღო უმძიმესი ჭრილობა, მაგრამ მოასწრო პარიზისათვის თავი შეეფარებინა. მართალია, რუსეთში მან დამარხა დიდი არმია, მაგრამ იგი საფრანგეთის იმპერატორი იყო და ევროპის მბრძანებელი, რომელსაც შეეძლო თოფქვეშ დაეყენებინა ასიათასობით ახალი

ჯარისკაცი. რუსეთის საზღვარი არ იყო დაცული აგრესიის ახალი ცდისაგან. ნაპოლეონი რევანშს ამზადებდა. განა შეიძლებოდა ომის ლოდინი, თუ როდის მოიშუშებდა ივი ჭრილობას და სირცხვილის ჩამოსარეცხად ხელახლა დასძრავდა თავის ჯარებს რუსეთისაკენ?

კუტუზოვი კარგად იცნობდა ნაპოლეონს, შეეძლო მისი განზრახვების ზუსტი ამოხსნა. მან იცოდა, რომ ომი ჯერ კიდევ წინ არის და საჭიროა მისთვის ჯეროვნად მომზადება. ხანგრძლივი ლაშქრობით მოქანცული, განუწყვეტლივი ბრძოლებისაგან შებერტყილი არმია, რომლის მოშარაგება ინტენდანტთა უპასუხისმგებლობის შედეგად ცუდად იყო ორგანიზებული, პირველ რიგში, შესვენებასა და შევსებას საჭიროებდა. კუტუზოვმა იცოდა, რომ ნაპოლეონი ახლა მთელ თავის ძალებს დასჭიმავდა და შესძლებდა დიდი ძალების შეკრებას. ევროპის სიღრმეში შეჭრა, კომუნიკაციების გაჭიმვა რეზერვების გარეშე მას დამღუპველად მიაჩნდა. ანიტომაც სახელმწიფო საზღვართან ხანმოკლე შესვენებას მოითხოვდა.

კუტუზოვის ეს პოზიცია ზოგიერთმა ყალბად გაიგო და საქმე ისე დახატა, თითქოს ფელდმარშალი ევროპაში ლაშქრობის წინააღმდეგი იყო. ეს არაა მართალი.. დოკუმენტები, რომლებიც ამ დროს კუტუზოვის მოღვაწეობას ეხებიან, ნათლად მოწმობენ, თუ რა დიდი სერიოზულობით ემზადებოდა კუტუზოვი ევროპის კამპანიისათვის. მას სწამდა, რომ რუსეთის არმიას დაკისრებული ჰქონდა ევროპის განთავისუფლების ისტორიული მისია. რუსი ჯარისკაცების მახვილს უნდა დაეწყვიტა ის თოკები, რომლითაც ნაპოლეონმა ევროპა შებოჭა.

კუტუზოვი თანამედროვეებზე დიდად მაღლა იდგა, როგორც დიპლომატი. იგი სრულიადაც არ აქცევდა ყურადღებას ინგლისის ელჩის ვილსონის „რჩევებს“, რადგან ისინი რუსეთის ინტერესებს არ უპასუხებდნენ. კუტუზოვმა იცოდა, რომ ნაპოლეონი აშკარა მტერი იყო რუსეთისა, ხოლო ინგლისი—ფარული მტერი. ინგლისი ცდილობდა, ნაპოლეონი რუსეთის ხელით დაეტყვევებინა. ვილსონი შიშობდა, რომ კუტუზოვის აუჩქარებლობას შეეძლო დაეღუპა ინგლისის მდგომარეობა, მაგრამ სრულებითაც არ უწევდა ანგარიშს არმიის მდგომარეობას. მას არ აღელვებდა რუსი ჯარისკაცის ზედმეტად დაღვრილი სისხლი.

კუტუზოვი გრძნობდა, რომ ნაპოლეონის იძულებითი მოკავშირეები—პრუსია და ავსტრია პოზიციას იცვლიდნენ და ახლა რუსეთის მხარეზე გადმოსვლისათვის ემზადებოდნენ. ეს გააადვილებდა ნაპოლეონის განადგურებას, მაგრამ ამას დრო სჭირდებოდა. „კუტუზოვმა, როგორც აკად. ტარლე შენიშნავს, გენიალურად განჭვრიტა ლუტცენის, ბაუტცენის, დრეზდენის მძიმე, სისხლიანი დღეები და ის, რომ მოკავშირეები 1813 წლის შემოდგომამდე ან ძალიან ცოტას დაეხმარებიან რუსეთის არმიას, როგორც მაგალითად პრუსია და შვედეთის კრონ პრინცი ბერნადოტი, ან არც კი გამოუცხადებენ ომს ნაპოლეონს, როგორც ავსტრია, რომელმაც მხოლოდ აგვისტოში გადადგა ეს ნაბიჯი, ან როგორც ინგლისი, რომელიც ატყუებდა თავის რუს მოკავშირეებს.“

ამრიგად, უდიდესი სტრატეგი და დიპლომატი კუტუზოვი ალექსანდრე პირველსა და მრჩევლებზე უკეთ გრძნობდა, რომ ნაპოლეონის საფრთხის საბოლოო ლიკვიდაცია შესაძლებელია არა ნემანზე, არამედ სენასთან, მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ამ გრანდიოზული ამოცანის განსახორციელებლად საჭირო იყო სათანადო სამხედრო და დიპლომატიური მოძზადება.

1813 წლის 1 (13) იანვარს რუსეთის არმიამ გადალახა სახელმწიფო საზღვარი და დაიწყო შეტევა სამი მიმართულებით. ვიტგენშტეინისა და პლატოვის ჯარები მარიენვერდენისა და დანციგის მიმართულებით მიემართებოდნენ; ჩიჩაგოვი, რომელიც ცენტრში იმყოფებოდა, მიიწევდა ტორნასაკენ. ბარცხენა ფლანგზე მიიწევდა მთავარი არმია—პოლოცკისა და ვარშავის მიმართულებით. ვისლას შემდეგ მნიშვნელოვან ზღუდეს ოდერი წარმოადგენდა, რომლისკენ გაკრას საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა პრუსიის პოზიცია—დარჩებოდა იგი წინანდელ მებრძანებელთან თუ შეუერთდებოდა რუსეთის შემტევ არმიას. მართლაც, პრუსიამ ოფიციალურად გამოაცხადა საფრანგეთთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა და სულ მალე რუსეთთან საბოკავშირეო ხელშეკრულება დასდო.

კუტუზოვმა შესანიშნავად განახორციელა ოდერის გადალახვისა და ბერლინის დაკავების ოპერაცია. ბერლინს მოჰყვა ბრესლავლი, დრეზდენი და გერმანიის სხვა ქალაქები ელბას ზღუდემდე. უდიდესი ოსტატობით იყო მოფიქრებული კუტუზოვის მიერ ყველა ოპერაცია. იგი თავს იკავებდა სიღრმეში მეტისმეტი სწრაფი გაჭ-

რისაგან, რომ მეწინავენი რეზერვებს არ მოწყვეტილიყვნენ. მისი ნელი მოქმედების შესახებ სასაცილის ბევრი თავქარიანი გენერალი საყვედურობდა, მაგრამ კუტუზოვი მას ყურს არ უგდებდა.—ნება მომეცით, მე ერთხელ კიდევ გავიმეორო ჩემი თვალსაზრისი ჩვენი წინსვლის სისწრაფის შესახებ,—ეუბნებოდა კუტუზოვი ერთ-ერთ ასეთ მრჩეველს,—მე ვიცი, რომ მთელ გერმანიაში თითოეული პატარა ინდივიდუმი თავის თავს ნებას აძლევს იყვიროს ჩვენი აუჩქარებლობის შესახებ. თვლიან, რომ ყოველი მოძრაობა წინ გამარჯვების თანაბარძალოვანია, ხოლო ყოველი დაკარგული დღე არის დამარცხება. მე დაკისრებული მოვალეობა მავალდებულებს ავწონო თითოეული ოპერაცია, მე ზუსტად უნდა გავითვალისწინო ელბიდან ჩვენს რეზერვებამდე არსებული მანძილი და მტრის უკვე შეკრებილი ძალები, რომელთაც შესაძლებელია ჩვენ შევხვდეთ ან ამ ან იმ სიმაღლეზე. მე უნდა შევუფარდო სწრაფი წინსვლის პერიოდში ჩვენი პროგრესული დასუსტება ჩვენი რესურსებიდან თანდათანობით მეტი მანძილით დაცილებას... დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენი ერთი რომელიმე კორპუსის დამარცხება მოსპობს იმ პრესტიჟს, რომლითაც გერმანიაში ვსარგებლობთო.

ასე წონიდა ყველაფერს გენიოსი მხედართმთავარი. იგი მიიწევდა წინ ისე, რომ რუსეთის არმიის შეტევითი ძალა კი არ სუსტდებოდა, არამედ ძლიერდებოდა. იგი მტკიცედ იკიდებდა ფეხს თითოეულ დაკავებულ პოზიციაზე. მას აინტერესებდა არა მეტი ქალაქების აღება, არამედ მტრის საბოლოოდ განადგურება.

აღფრთოვანებით ხვდებოდა გერმანიის მოსახლეობა დიდ განმათავისუფლებელს. კუტუზოვის ეტლს გერმანიის გზაზე მიაცილებდა ხალხის აღტაცებული შეძახილები და ტაში. „გაუმარჯოს დიდ მოხუცს!"—გაისმოდა ყოველი მხრიდან. კუტუზოვისაგან დიდად დავალებული პრუსიის მეფე მას ძვირფას საჩუქრებს უგზავნიდა. კუტუზოვის სახელი და დიდება ქუხდა მთელს ევროპაში.

1813 წლის 6 აპრილს კუტუზოვმა უკანასკნელად მოაწერა ხელი ბრძანებას, რომელიც ვიტგენშტეინისადმი იყო მიმართული: „როცა მოწინააღმდეგენი მოიწევენ ფრანკონიიდან და ერფურტიდან დრეზდენისაკენ, ამ დროს, უეჭველია, ვიცე-კაროლი შეეცდება განახორციელოს დივერსია მაგდენბურგიდან ბერლინისაკენ. ამ შემთხვევაში, არ მიაქცევთ რა არავითარ ყურადღებას მის მოძრაობას, იფიქრეთ მხოლოდ ბლიუხერთან და ჩვენ მთავარ არმიას-

თან შეერთებაზე. დავტოვებთ რა ბერლინს რამდენადმე ჰაერში, ამით ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენს საოპერაციო ხაზს". ვიტგენშტეინი დესაუდან დელიჩში გადავიდა და ბლიუხერის ჯგუფს შეუერთდა.

აპრილის ბოლოს კუტუზოვმა დრეზდენის პლაცდარმზე თავი მოუყარა თავის ძალებს, რომელიც 92.000 მეომრისა და 656 ქვემეხისაგან შედგებოდა. ამ დიდი ოპერაციით პოლიტიკურად შეზადებულ იქნა ნიადაგი ავსტრიის მიერ საფრანგეთთან კავშირის გაწყვეტისა და ანტინაპოლეონური კოალიციის მხარეზე გადასვლისათვის.

მოკავშირეთა არმიას კვლავ ელოდა სისხლიანი ბრძოლები. მაგრამ გზა პარიზისაკენ გაკაფული იყო. კუტუზოვმა გაკაფა ეს გზა სტრატეგიულად, დიპლომატიურად. მას აღარ დასცალდა გენიალურად დაწყებული საქმე თვითონვე დაებოლოვებინა პარიზში.

სილეზიაში, ქალაქ ბუნცლაუს მახლობლად, კუტუზოვი კარეტიდან გადმოვიდა და ცხენით განაგრძო გზა. თოვდა. მოხუცი ფელდმარშალი გაცივდა და ლოგინად ჩაწვა.

კუტუზოვს თავს დაახვიეს საუკეთესო მკურნალები, მაგრამ მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. სიკვდილის წინ იგი ინახულა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ და ახლოლდ ახლა სთხოვა მას პატიება იმ დევნისა და შეურაცხყოფის გამო, რითაც კუტუზოვს სიცოცხლე გაუმწარა.

— მიხეილ ილარიონის ძევ, მაპატიებთ მე?

— მე, თქვენო უდიდებულესობავ, მიპატიებია, მაგრამ არასოდეს არ გაპატიებთ რუსეთი,—უპასუხა მას მომაკვდავმა.

1813 წლის 16 (28) აპრილს კუტუზოვი ბუნცლაუში გარდაიცვალა. ბუნცლაუს მოედანზე აღმართულ იქნა ობელისკი წარწერით: „ამ ადგილამდე მხედართმთავარმა კუტუზოვმა მოიყვანა ძლევამოსილი არმია რუსეთისა, მაგრამ აქ სიკვდილმა შესწყვიტა მისი დიადი საქმენი. მან იხსნა თავისი სამშობლო და გახსნა ევროპის განთავისუფლების გზა. დაილოცოს ხსოვნა გმირისა".

ფელდმარშალის ცხედარი პეტერბურგში ჩამოასვენეს და ყაზანის ტაძარში დაკრძალეს. გლოვობდა მთელი რუსეთი. მხსნელი მხედართმთავრის ცხედარს უდიდესი მწუხარებით გამოეთხოვენ რუსი ჯარისკაცები, მილიონობით უბრალო ადამიანები, რომელთაც კუტუზოვმა გამარჯვების შარავანდედით შემოსა.

* * *

1812 წლის სამამულო ომი რუსეთისა და მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა რიცხვს ეკუთვნის. ნაპოლეონის არმიის შებოსვამ რუსეთის სიკვდილ სიცოცხლის საკითხი დააყენა. რუსი ხალხი ერთსულოვნად აღსდგა სამშობლოს დამოუკიდებლობის, ღირსების, თავისუფლების დასაცავად. ეს იყო უდიდესი მასშტაბის სახალხო მოძრაობა, რომელშიც მთელი ძალით გამოვლინდა რუსი ხალხის პატრიოტიზმი, გმირობა და მამაცობა. ამ ომმა აამაღლა რუსი ხალხის ნაციონალური თვითშეგნება. რუსეთის არმიამ, რომლის ხელმძღვანელობა ხალხმა კუტუზოვს მიანდო, არა თუ დაამარცხა მომხდური მტერი, არამედ მას საკუთარ ბუნაგამდე სდია და საბოლოოდ გაანადგურა. ამით ევროპის სიცოცხლისუნარიან სახელმწიფოებს, რომლებიც ნაპოლეონის მონობაში იტანჯებოდნენ, დამოუკიდებელი არსებობის გზა გაეხსნათ. რუსეთის ცარიზმის რეაქციული გეგმებისა და ინტერესების მიუხედავად, რუსეთის არმიამ ობიექტურად შეასრულა ევროპის განთავისუფლების კეთილშობილური მისია.

რუსეთის თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ ვერ ახსნა ამ ომის ხასიათი, დაამახინჯა ფაქტები და მოვლენები. ცარიზმის მეხოტბე მკვლევარებმა ომში გამარჯვება არა კუტუზოვის, არამედ ალექსანდრე პირველის დამსახურებას მიაწერეს.

ომის მიზეზების, მსვლელობის, შედეგების გაყალბებაში რუსეთის თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს დიდად გაუსწრეს წინ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა ისტორიკოსებმა. მათ მიზნად დაისახეს, ომის გაჩაღების დანაშაული რუსეთისათვის გადაებრალებინათ, ხოლო რუსეთში შეჭრილი ნაპოლეონის დამარცხება რუსეთის სივრცის თავისებურებით, მისი მკაცრი კლიმატით აეხსნათ. ისინი განგებ აფუჭებდნენ რუსეთის არმიისა და მისი გენიალური ხელმძღვანელის — კუტუზოვის გადამწყვეტ როლს ნაპოლეონის განადგურების საქმეში.

ამ მხრივ ყველაზე მეტ აქტივობას გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი კლაუზევიცი იჩენდა, რომელიც იქამდეც კი მიდიოდა, რომ ნაპოლეონზე რუსეთის გამარჯვებას მიაწერდა არა რუსი, არამედ, რუსეთის არმიაში მყოფი გერმანელი გენერლების დამსახურებას, ხოლო კუტუზოვს ახასიათებდა როგორც უნიჭოს, რომლის როლი თითქოს „ბოროდინოსთან ნულს უდრიდა“.

ისტორიის გაყალბებაში დაოსტატებულ ბურჟუაზიულ „მეცნიერთათვის“ განსაკუთრებით ფართო ასპარეზია გადაშლილი დღევანდელ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში. საბჭოთა ხალხის, მისი ტრადიციების, მისი ისტორიის დაუძინებელი მტრები ინგლისსა და საფრანგეთში, ამერიკასა და იტალიაში, ამ ქვეყნების რეაქციული მმართველი წრეების წასისიანებით ველურ ცილისწამებას ავრცელებენ რუსი ხალხის მიმართ და ცდილობენ, მილიონებს დაუბალონ რუსეთის დაბსახურება მსოფლიოს წინაშე, წაშალონ რუსეთის გამოჩენილი ადამიანების ღვაწლი მსოფლიო პროგრესის საქმეში. ასეთ პირობებში. გასაგებია, კუტუზოვის—რუსეთის ერთერთი სახელოვანი წინაპრის—მთელი ღვაწლი განგებ არის მიფუჩეჩებული და ნაპოლეონის დამმარცხებელის ნაცვლად, იგი წარმოდგენილია, როგორც „დამარცხებული“, „უნებისყოფო“, „უნიჭო“ ადამიანი.

მაგრამ კუტუზოვის დამსახურება იმდენად დიდებამოსილი და მაღალია, რომ მას იმპერიალიზმის ფინიათა ნასროლი ტალახი ვერ შესწვდება. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დღის სინათლეზე გამოიტანა ომის პირუთვნელი დოკუმენტები, რომლებიც კომენტარიების გარეშე მეტყველებენ კუტუზოვის უდიდეს მხედართმთავრულ და დიპლომატიურ ტალანტზე, მის გადამწყვეტ როლზე ნაპოლეონის განადგურების საქმეში.

კუტუზოვის მხედართმთავრული როლის ზუსტი შეფასება მოცემულია ამხანაგი სტალინის სიტყვებში: „ჩვენმა გენიალურმა სარდალმა კუტუზოვმა... ნაპოლეონი და მისი არმია კარგად მომზადებული კონტრშეტევით გაანადგურა“.

კუტუზოვი იყო დიდი მასშტაბის ომების შესანიშნავი ოსტატი. 1812 წლის ომში კუტუზოვი ხელმძღვანელობდა ოთხ არმიას და ცალკე კორპუსებს, სახალხო ლაშქარსა და ზურგის სარეზერვო არმიას, რომლის რიცხვი (თუ არ ჩავთვლით ლაშქარსა და ზურგის რეზერვებს) 240.000 კაცს და 1000 ქვემეხს შეადგენდა. ეს არმია გაშლილი იყო 1000 კილომეტრის სიგანესა და ასეული კილომეტრების სიღრმეზე. საომარი ასპარეზის ასეთი სიფართოვისა და ძალთა დაქსაქსულობის მიუხედავად კავშირგაბმულობის პრიმიტიულ პირობებში მას ხელთ ეპყრა თითოეული ნაწილის საბრძოლო სადავეები და საერთო სტრატეგიულ გეგმაში ისე წარმა-

რთავდა მათ ცალკეულ მოქმედებას, როგორც დირიჟორი მრავალრიცხოვან ორკესტრს რთული სიმფონიის შესრულებისას.

სამხედრო ისტორიკოსები კუტუზოვის ყველაზე დამახასიათებელ თვისებას მის „სიფრთხილეში“ ხედავდნენ. მაგრამ მისი სიფრთხილე მტკიცე ანგარიშიანობის საფუძველზე იყო აღმოცენებული. ოფიცრობისა და გენერლობის პერიოდში იგი ხშირად შეუპოვრობას იჩენდა და საბრძოლო ოპერაციის ყველაზე რთულსა და საშიშ უბანზე პირადი მამაცობის მაგალითს უჩვენებდა. მაგრამ შემდეგ, დამოუკიდებელი და სამშობლოს ბედის განმსაზღვრელი ამოცანების გადაწყვეტისას, მას შეეძლო არა მარტო თვით შეიკავებინა თავი მაცდური აღტყინებისაგან, როცა ოპერაცია საშიშროებასთან იყო დაკავშირებული, არამედ აელაგმა მისი ხელქვეითების გატაცებაც.

კუტუზოვის სიმამაცე და მტკიცე ხასიათი, ჰორიზონტის სიფართოვე და დასახული მიზნის განხორციელების უნარი შესისხლხორცებული იყო მის გონიერ სიფრთხილესთან. მას შეეძლო მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი მხარეების ამოცნობა. თავის სტრატეგიას მოწინააღმდეგის ძალებისა და მიზანდასახულობის სუსტი მხარეების გათვალისწინებით იმუშავებდა.

კუტუზოვი თანამედროვეთაგან ყველაზე ღრმად იცნობდა ნაპოლეონის სტრატეგიას. ნაპოლეონი მას უნიჭიერეს ადამიანად მიაჩნდა და ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა მის ტალანტს. მაგრამ კუტუზოვი ამჩნევდა ნაპოლეონის სუსტ მხარეებს და ყველაზე უკეთ იყენებდა მას.

კუტუზოვს თანამედროვეთაგან ყველაზე უკეთ შეეძლო ომის ხასიათის განჭვრეტა. მთავარსარდლის თანამდებობაზე ახლად დანიშნული, მოქმედ არმიაში მიმავალი კუტუზოვი პერსპექტივაში ხედავდა სახალხო ომის დიდ აღმართულ კვტს, რომელსაც მძლავრი დარტყმით უნდა დაემსხვრია ქვეყნის სიღრმეში შემოჭრილი ურდო. იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის არმიის შეუსების წყარო არ დაიშრიტებოდა, ვიდრე რუსი ხალხი იარსებებდა.

კუტუზოვის თითოეული ოპერაცია წინასწარ მოფიქრებული და გაზომილი იყო. იგი ყოველთვის გაურბოდა გარეგან ეფექტებს. ტაქტიკური წარმატება თუ წარუმატებლობა სტრატეგიული გეგმის განხორციელებისაკენ იყო მიმართული. მან რუშჩუკთან გამარჯვების შემდეგ უკან დაიხია იმიტომ, რომ სტრატეგიული გეგმით

თურქეთის არმიის არა ნაწილობრივ, არამედ სრულ განადგურებას ითვალისწინებდა. ეფექტები იზიდავდა კარლოს მეთორმეტესა და ნაპოლეონს, კუტუზოვი კი უფრო შორს იხედებოდა. სტრატეგიაში ნათლად ჩანდა მისი ჭკუა და გონება. კუტუზოვის „გონივრულ, ყოველმხრივ მოფიქრებულ სტრატეგიაში ყოველთვის იყო სამხედრო ხერხიანობის ელემენტები. კუტუზოვის გეგმები ყოველთვის ითვალისწინებდა იმასაც, რომ მტრის სისუსტე გამოეყენებინა და იგი შეცდომაში შეეყვანა. სუვოროვის ტაქტიკურ უეცრობას კუტუზოვი სტრატეგიული მასშტაბით იყენებდა. კუტუზოვს საუცხოოდ ესმოდა ნაპოლეონის გეგმები და უნარი შესწევდა თავისთვის უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნა. კუტუზოვის მხედართმთავრულმა ოსტატობამ—მისმა სტრატეგიამ და ტაქტიკამ აჯობა ნაპოლეონის მხედართმთავრულ ხელოვნებას“.*

კუტუზოვს, ისე როგორც სუვოროვს, ახასიათებდა რუსი ჯარისკაცის მამაცობისადმი ურყევი რწმენა. მას მთელი არსებით უყვარდა ეს უპრეტენზიო ადამიანები, რომელთაც არ იცოდნენ შიში არავითარი განსაცდელის წინაშე. კუტუზოვს სძულდა პრუსიული „პაროდომანია (აღლუმებით გართობა)“. იგი ჯარისკაცებს წვრთნიდა ომის მოსაგებად და არა სანახაობისათვის. კუტუზოვი დარწმუნებული იყო, რომ ბრძოლის მთელი სიმძიმე ჯარისკაცის ზურგზე გადადიოდა და გამარჯვების ვაშაც პირველ რიგში მისადმი უნდა ყოფილიყო მიმართული.

„ვაშა რუსეთის მხსნელს!“—ასეთი შეძახილებით მიეგებენ მას ჯარისკაცები ნაპოლეონის დევნის გზაზე.

კუტუზოვი შედგა და ხმამაღლა შესძახა:

„უფრო მედგრად, მეგობრებო, უფრო ხმამაღლა! ეს ვაშა მე კი არა, რუს ჯარისკაცს ეკუთვნის“—და მაღლა შეისროლა რა თავისი ქუდი, ხმამაღლა შესძახა: „ვაშა, ვაშა რუს ჯარისკაცს!..“

კუტუზოვი უდიდესი რუსი პატრიოტი იყო. იგი ცხოვრობდა სამშობლოს ინტერესებითა და დაუღალავად ემსახურებოდა მის დიდებას. თავისი დაუცხრომელი, სპეტაკი, დიდებით აღსავსე მოღვაწეობით ხალხის გულში სამარადისო ბინა დაიმკვიდრა. ხალხმა იგი თავის ნაციონალურ გმირად აღიარა. კუტუზოვის ტრადი-

* „მისეილ ილარიონის-ძე კუტუზოვი“, დაბადების 200 წლისთავისათვის. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველო. სახელგამი თბილისი, 1945 წ. გვ. 30.

ციები შეისისხლხორცა გმირმა საბჭოთა არმიამ, რომელიც მსოფლიოში ყველაზე უძლიერესი არმიაა. კუტუზოვის მოღვაწეობის ხამდვილი დაფასება, მისი დიადი საქმეების სინათლეზე გამოტანა შესაძლებელი გახდა საბჭოთა ქვეყანაში, რომელსაც სათავეში უდგას და კომუნიზმის დიად გზაზე წინ მიუძღვის ყველა დროის უდიდესი მხედართმთავარი, სწორუპოვარი სტრატეგი და ტაქტიკოსი, ბრძენი ბელადი და მასწავლებელი, მსოფლიოში მშვიდობის მედროშე დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
წინასიტყვაობა	5
ალექსანდრე ნეველი	11
დიმიტრი დონელი	63
კუზმა მინინი და დიმიტრი პოჟარსკი	113
ალექსანდრე სუვოროვი	175
მიხეილ კუტუზოვი	217